



საქართველოს უნივერსიტეტი



ლინგვისტურ პარადიგმათა სინთეზირების სპეციფიკა

ავტორი: რევაზ ტაბატაძე

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის

ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი მაია ჩხეიძე

თბილისი

2021

*მიმოხილვა*

თუ გადავხედავთ ლინგვისტური მეთოდოლოგიის განვითარების ტრადიციას აღმოვაჩინოთ, რომ არსებობს პრობლემები, რომლებიც მემკვიდრეობითაა მიღებული.

ლინგვისტური მეთოდოლოგია განიცდის უწყვეტ ტრანსფორმაციას სწორედ ამ მემკვიდრეობის ახალ კონტექსტში განხილვის წყალობით. პრობლემათა ახალ კონტექსტში განხილვა უზრუნველყოფს ლინგვისტური მეთოდოლოგიის დინამიზმსა და ინტელექტუალურ ამოცანათა ახლებურად გააზრების შესაძლებლობას.

ახალი ხედვა მეცნიერების მეთოდოლოგიის წინაშე სახავს ახალ ამოცანებს, რომელთა გადაჭრა იძლევა საზღვრების გახსნის, სხვა სიტყვებით კი, ახალ შესაძლებლობათა ხედვის საშუალებას. ღიაობის გარეშე შეუძლებელია ცვლილებების განხორციელება.

თანამედროვე ლინგვისტურ მეთოდოლოგიაში ცხადად იკვეთება მენტალური სტრუქტურებისა და ენის სტრუქტურის, უფრო ზუსტად კი, სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა სინთეზირების ტენდენცია.

როგორია ამ კვლევით პარადიგმათა შორის არსებული მიმართება კონცეპტის კვლევის ფარგლებში? - ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა პარადიგმათა ერთმანეთის მიმართ დომინანტურობა/არადომინანტურობის არსებობა/არარსებობის ფაქტის გამოვლენა.

ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის შიდა სტრუქტურის განსაზღვრისას თავს იჩენს ამ სტრუქტურის შინაგანი იერარქიულობა/არაიერარქიულობის განსაზღვრის პრობლემა.

მეთოდოლოგიის შინაგან იერარქიულობაზე მსჯელობა თავისთავად გვიბიძგებს, დომინანტურად/არადომინანტურად მივიჩნიოთ დიადის რომელიმე წევრი (სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმა-ანთროპოცენტრისტული პარადიგმა). ეს კი არღვევს ინტერპარადიგმულობის არსს. რა თქმა უნდა, დიადის ორივე წევრი თანაბარღირებულებიანია.

სწორედ თანაბარღირებულებიან წევრთა სინთეზირების შედეგად წარმოიშობა სინერგეტიკული პარადიგმა.

ნებისმიერი სტრუქტურული თავისებურების განსაზღვრისათვის საჭიროა თვალსაზრისთა წინასწარ მოცემულობა. ჩვენ ვეყრდნობით თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც,

ექსტენსიურობის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა და იერარქიული პირველობა ენიჭება სინერგიულობას. სინერგიულობა იძლევა საკვლევი ფენომენის თითოეული ასპექტის დეტალური განხილვის შესაძლებლობას. თითოეული ასპექტი კი გააზრებულია როგორც მთლიანობის კონკრეტული პროექცია. მთლიანობა „ზღვრული მოცემულობაა“. მთლიანობის შემადგენელი ელემენტი გამოიყოფა მხოლოდ მთლიანობიდან და მხოლოდ მასში იძენს საკუთარ განსაზღვრულობას.

რამდენადაც ვაღიარებთ სინერგეტიკული პარადიგმის დომინანტურობას და ვაცნობიერებთ, რომ სინერგეტიკული პარადიგმა გულისხმობს ნებისმიერი ფენომენის სინერგიულ ფაქტად თუ პროცესად განხილვას, ამდენად „კონცეპტს“ ვიკვლევთ როგორც სინერგიულობის ფენომენს.

სინერგეტიკული პარადიგმა იძენს უნივერსალურ სტატუსს - მისი გააზრება ხდება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ სფეროში.

აქ შეგვიძლია პარალელი გაგავლოთ სინერგიულობისა და ველის ცნებებს შორის. ველის ცნებაც გენეტიკურად უკავშირდება ბუნებისმეტყველების სფეროს, კერძოდ კი, ფიზიკის სფეროს, თუმცა დღეს აქტიურად გამოიყენება ჰუმანიტარულ აზროვნებაში, განსაკუთრებით კი, ლინგვისტიკაში. სინერგიულობისა და ველის ცნებებს შორის არსებული გენეტიკური და ფუნქციური პარალელი იძლევა სინერგიულობის უკეთ წვდომის შესაძლებლობას.

უკეთ წვდომის შესაძლებლობაში ვგულისხმობთ სინერგიულობის, როგორც საბუნებისმეტყველო წარმოშობის კონცეპტის, ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეში არაავტომატურ ტრანსპოზიციას - სინერგიული ატრიბუტიკის შენარჩუნებასა და მის ჰუმანიტარულ-ლინგვისტური შინაარსით დატვირთვას.

პარადიგმათა სინთეზირების პროცესი ხელმისაწვდომს ხდის კონცეპტის ირგვლივ გენერირებული სივრცის ორგანიზაციისა და დეზორგანიზაციის, წონასწორობისა და უწონასწორობის, სივრცეში არსებული აუცილებლობისა და შემთხვევითობის, შემთხვევითობისა და დეტერმინიზმის, პროგნოზირებადობისა და არაპროგნოზირებადობის, დინამიზმისა და დინამიური წონასწორობის ჰოლისტურ ხედვას.

რა სირთულითაც არ უნდა ხასიათდებოდეს მთლიანსა და მის რომელიმე ასპექტს შორის არსებული მიმართება, საბოლოო ჯამში, სწორედ მთელი განსაზღვრავს ასპექტს და არა პირუკუ, სხვა სიტყვებით, ლოგიკურად მთელი წინ უსწრებს ნაწილს. ფენომენის ცალკეული ასპექტის ხედვა შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს, თუ მას თან არ ახლავს მთლიანის ხედვა. ფენომენის ჰოლისტური ხედვა წარმოადგენს მისი ასპექტური ხედვის ადეკვატურობის აუცილებელ წინაპირობას.

ჰოლისტური ხედვის აქტუალიზაცია იმაზე მიაჩნებს, რომ იცვლება ადამიანის ცნობიერება და ეს არ არის უბრალოდ ცვლილებების მოთხოვნილება - ეს არის ცნობიერების რეფრეიმინგი და შემეცნების პარამეტრების სრული მოდიფიკაცია, აზროვნების ახალი სტილის ჩამოყალიბება.

და ბოლოს, პარადიგმათა სინთეზირება იძლევა კონცეპტის ირგვლივ გენერირებულ სივრცეში დამოკიდებულებათა წვდომის, მუდმივებსა და ცვლადებს შორის კავშირების გამოვლენის, ელემენტთა სივრცეში ლოგიკურად და თანმიმდევრულად ინტეგრირების შესაძლებლობას.

სარჩევი

მიმოხილვა -----	2
შესავალი -----	6
თავი I. მემკვიდრეობა ახალ კონტექსტში-----	10
1.1. რამდენად სოსიურისეულია კოგნიტური ლინგვისტიკა?-----	10
1.2. კოგნიტური ლინგვისტიკის ინტერპრეტაციული მოდელები-----	21
თავი II. კვლევის მეთოდოლოგია-----	29
2.1. პარადიგმა - აკუმულირებული ცოდნის სისტემა-----	29
2.2. სინერგეტიკული პარადიგმის მეთოდოლოგიური პოტენციალი და ლინგვოსინერგეტიკა -----	32
2.3. პარადიგმათა სინთეზირების პროცესი-ჰოლისტური ხედვის აქტუალიზაცია-----	34
2.4. ანალიზის მეთოდები -----	39
თავი III. ენაში ასახული კონცეპტუალური სისტემა-----	46
3.1. ჰიპოთეზები, პრინციპები და მიდგომები-----	46
3.2. მნიშვნელობის კონსტრუირება და მენტალური სივრცეები-----	61
თავი IV. კონცეპტის ინტერდისციპლინარული და ინტეპარადიგმული კვლევა-----	66
4.1. კულტუროლოგიური ლინგვისტიკის თეორიული და ანალიტიკური ჩარჩო-----	66
4.2. კონცეპტი „ღირებულება“ მულტიდისციპლინარულ განზომილებაში-----	80
თავი V. კონცეპტის „თავისუფლება“ ანალიზი-----	94
5.1. კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგვოკოგნიტური ანალიზი-----	94
5.2. კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგვოკულტურული ანალიზი-----	106
5.3. კონცეპტი „თავისუფლება“ ბრიტანულ და ამერიკულ ასოციაციურ-ვერბალურ ქსელში-----	117
5.4. „თავისუფლება“ როგორც ღირებულება: თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა სოციოკულტურული ანალიზი-----	124
5.5. კონცეპტი „თავისუფლება“ პოლიტიკურ დისკურსში-----	143
5.6. კონცეპტის “ადამიანის უფლებები“ კოგნიტური, დისკურსული, კონტექსტუალური და ისტორიული მახასიათებლები-----	151
დასკვნა-----	161
გამოყენებული ლიტერატურა-----	164

### შესავალი

XX საუკუნის დასასრულისა და XXI საუკუნის ადსაწყისის ლინგვისტიკა მყარად მოძრაობს იმანანტური ლინგვისტიკიდან ანთროპოცენტრისტული ლინგვისტიკისაკენ - იმ ლინგვისტიკისაკენ, რომელიც ღიაა გარეგან ფაქტორთა ზემოქმედებისათვის და თავისუფლად ინტეგრირებს სხვა სააზროვნო სივრცეებთან.

ახალ ლინგვისტურ მიმართულებათა გამოჩენა პარადიგმათა ცვლის მომასწავებელია. ეს ცვლა აიხსნება ენის ყველა გამოვლინების სრულად აღწერის სურვილით.

ენის ფუნქციონირების სფეროსადმი ინტერესმა წარმოშვა პოლიტიკური ლინგვისტიკა; ენისა და კულტურის, ენისა და გენდერის მიმართებათა კვლევამ საფუძველი ჩაუყარა ლინგვოკულტუროლოგიას, ეთნოლინგვისტიკასა და ლინგვოგენდეროლოგიას; ენის ფუნქციონირების ახალმა ფორმამ (ელექტრონულმა კომუნიკაციამ) შექმნა ინტერენტ-ლინგვისტიკა.

ნებისმიერი მეცნიერების, მათ შორის, ლინგვისტიკის სიძლიერეს განაპირობებს მასში თვალსაზრისების, მიდგომების და მიმართულებების მრავალფეროვნება. სწორედ მრავალფეროვნების წყალობით ვითარდება ნებისმიერი მეცნიერება, მათ შორის, ლინგვისტიკაც. სწორედ მრავალფეროვნების წყალობით ახერხებს დოგმატიზმის გადალახვას ნებისმიერი მეცნიერება, მათ შორის, ლინგვისტიკაც.

აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა თანამედროვე ლინგვისტიკის სტატუსი. ეს გახლავთ სტატუსი პოლიპარადიგმული სააზროვნო სივრცისა, რომელმაც შეიძინა პოსტმოდერნის მარკერები „მარავლაფეროვნება“ და „მრავალმნიშვნელოვნება“.

ლინგვისტურ მიმართულებათა მრავალფეროვნებამ, ენის ანალიზისადმი ახალ მიდგომათა წარმოშობამ განაპირობა მეტალინგვისტიკის შექმნა. მეტალინგვისტიკა იკვლევს ლინგვისტიკის ისტორიას, თანამედროვე ლინგვისტურ კონცეფციათა მახასიათებლებს, მათ თეორიულ საფუძვლებსა და საკვანძო ცნებებს. ეს ყველფარი კი იძლევა ლინგვისტიკის განვითარების პერსპექტივათა განსაზღვრის შესაძლებლობას.

მეტალინგვისტურმა კვლევებმა გამოავლინა ლინგვისტიკის განვითარების ტენდენციები, შესაძლებელი გახადა არსებულ თვალსაზრისთა და კონცეფციათა გარეგნული

მრავალფეროვნების მიღმა საერთო საწყისის იდენტიფიცირება. მეტალინგვისტიკის საკვანძო ცნებას წარმოადგენს პარადიგმის ცნება.

პარადიგმის ცნებამ შესაძლებელი გახადა ლინგვისტურ კონცეფციათა გარეგანი მრავალფეროვნების მიღმა არსებული კონცეპტუალური ერთობის და ასევე ლინგვისტიკის განვითარების ძირითად ტენდენციათა იდენტიფიცირება.

უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ პარადიგმათა ცვლამ, შესაბამისად, ლინგვისტიკის ობიექტის კონსტრუირების მეთოდთა ცვლილებამ მნიშვნელოვნად შეცვლა ენის ლინგვისტური „სახე“. გაჩნდა ენისა და ენასთან დაკავშირებულ მოვლენათა ახალი იპოსტასები: ენის კორპუსი, ენობრივი ცნობიერება, სამეტყველო ქმედება, ლინგვოკუტურა, ასოციაციურ-ვერბალური ბადე და ა.შ.

ახალი ლინგვისტური იპოსტასები „გაჩნდნენ“ როგორც რეაქციები თავად ბუნებრივი ენის ახალ იპოსტასებზე. ეს თავისებური მეცნიერული პოლიფონია ხელს უწყობს ლინგვისტური ცოდნის დაახლოვებას რეალურ ობიექტთან - ენასთან და მისი ფუნქციონირების სპეციფიკასთან თანამედროვე ინფორმაციულ და მუდმივად ცვალებად სამყაროში.

თანამედროვე ლინგვისტიკაში დღემდე ფიქსირდება დისკუსიურ საკითხთა წყება, რომელიც უკავშირდება კონცეპტსა და მის ენობრივ ობიექტივატორთა შორის არსებულ მიმართებას. თანამედროვე ლინგვისტურ მეთოდოლოგიაში ცხადად იკვეთება მენტალური სტრუქტურებისა და ენის სტრუქტურის სინთეზირების პრობლემა.

აღნიშნული პრობლემის მიღმა იკვეთება ენობრივ და კონცეპტუალურ სისტემათა ინტეგრალური ნიშნის გამოვლენა, რაც შეუძლებელია სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა სინთეზირების გარეშე. სწორედ სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა სინთეზირების სივრცეში იკვეთება ნაშრომის აქტუალობა.

კვლევის მიზანია სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა სინთეზირება კონცეპტის ირგვლივ გენერირებული სივრცის სისრულისა და ადეკვატურობის უზრუნველყოფის მიზნით. დასახული მიზნის მიღწევას ემსახურება კვლევის შემდეგი ამოცანებისა და ეტაპების განხორციელება:

1. ფენომენისადმი იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომათა სინთეზირების სპეციფიკის დადგენა;
2. სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმებს შორის არსებული მიმართების თავისებურებათა გამოვლენა თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტის „თავისუფლება“ კვლევის ფარგლებში;
3. ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის სტრუქტურის განსაზღვრა;
4. ლინგვისტური მეთოდოლოგიის ტრანსფორმაციისა და დინამიზმის არსის ინტერპრეტაცია;
5. სინერგეტიკულ პარადიგმაში კონცეპტის ირგვლივ გენერირებული სივრცის ატრიბუტების იდენტიფიცირება.

ნაშრომის ჰიპოთეზა შემდეგნაირად ჟღერს: კონცეპტის ირგვლივ გენერირებული სივრცის სისრულე და ადეკვატურობა მიღწევადია მხოლოდ ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიით, რომელიც უზრუნველყოფს საკვლევი ფენომენის ჰოლისტურ ხედვას.

კვლევის მეთოდოლოგია შინაგანად პლურალისტური და კომპლექსურია - იგი მოიცავს ფენომენისადმი იმანენტურ (სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმა) და არაიმანენტურ (ანთროპოცენტრისტულ პარადიგმა) მიდგომებს. მეთოდოლოგიური პლურალიზმი გულისხმობს ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეში სხვადასხვა მეთოდებით, მიდგომებითა და პრინციპებით ოპერირებას მათი სინთეზირების გზით.

ინტერპარადიგმული მეთოდოლოგია ორიენტირებულია კონცეპტუალურ და სემანტიკურ სივრცეთა შორის არსებული მიმართების გამოვლენაზე, შესაბამისად, კვლევისათვის თანაბრად რელევანტურია როგორც სისტემურ-სტრუქტურულ, ისე ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა ფარგლებში შემუშავებული მეთოდები. კვლევაში განხორციელებულია კონცეპტუალური ანალიზის, სემანტიკური დეკომპოზიციისა და ექსპერიმენტული მეთოდების სინთეზი.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე იკვეთება „კონცეპტის“ როგორც სინერგიულობის ფენომენის კვლევის ფონზე.

კვლევის თეორიული ღირებულება მდგომარეობს:



1. მრავალფეროვნების ერთ თეორიულ „ფოკუსში“ მოქცევაში, რაც გულისხმობს ცალკეულთა გაერთიანებას მთლიანობაში, ცალკეულთა შეკვრას ერთ შინაარსად;
2. სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა განსხვავებულ საფუძვლებს შორის სისტემური, ორგანული კავშირის გამოვლენაში;
3. ინტერპარადიგმულობის პრინციპის პრაქტიკულ რეალიზაციაში მენტალურ მოვლენასა და მის ვერბალურ რეპრეზენტაციას, შინაარსსა და შინაარსის წვდომის საშუალებას შორის არსებული მიმართების კვლევის გზით.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ფაქტით: მოძიებული მასალა და კვლევის შედეგები ვალიდურია სტრუქტურული ლინგვისტიკისა და ლინგვოკოგნიტოლოგიის, ლინგვოკულტროლოგიისა და ფსიქოლინგვისტიკის სალექციო კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია „თავისუფლების“ აღმნიშვნელი ერთეულები თანამედროვე ინგლისურ ენაში. მასალა მოპოვებულია განმარტებითი ლექსიკონების, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებისა და ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა ანალიზის შედეგად.

ნაშრომის სტრუქტურა მოიცავს შესავალს, თავებს, ქვეთავებს, დასკვნებსა და ბიბლიოგრაფიას.

შესავალში დასაბუთებულია საკვლევი თემის აქტუალობა და სამეცნიერო სიახლე; განსაზღვრულია კვლევის მიზანი, მიზნის მიღწევისათვის საჭირო ამოცანები და კვლევის ეტაპები, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის მეთოდოლოგია.

## თავი I. მემკვიდრეობა ახალ კონტექსტში

### 1.1. რამდენად სოსიურისეულია კოგნიტური ლინგვისტიკა?

კოგნიტური ლინგვისტიკა ხშირად მიჩნეულია სოსიურისეული სტრუქტურალიზმის გაგრძელებად. ორ პარადიგმას შორის არსებულ მიმართებათა კვლევა ფოკუსირდება სემანტიკას, ენასა და აზროვნებას შორის არსებულ მიმართებათა სპეციფიკის კვლევის საკითხზე.

როგორც ჩანს, მსგავსება მხოლოდ ნაწილობრივია. სოსიური ცალსახად უარყოფს ლინგვისტურ რელატივიზმს. მისი შეხედულება მნიშვნელობაზე მხოლოდ ლინგვისტური რელატივიზმის სუსტი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ლინგვისტური რელატივიზმის შედარებით ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა კოგნიტური ლინგვისტიკა, რაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნას უფრო ჰუმბოლტისეული შეხედულების კონსტრუირებისათვის, ვიდრე სოსიურისეული სტრუქტურალიზმის აღორძიებისათვის.

ლინგვისტთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ადრინდელი მიდგომების დაბრუნება შეიძლება ჩაითვალოს დადებით ტენდენციად. თუმცა, არსებობენ ლინგვისტებიც, რომლებიც ამ პროცესს განიხილავენ უარყოფით ტენდენციად მისი არაზუსტი ეტიმოლოგიური კავშირების გათვალისწინებით.

არ შეიძლება კოგნიტური ლინგვისტიკა, რომელიც განვითარდა დაახლოებით 1980 წლიდან, მიიჩნეოდეს სტრუქტურალიზმის ნაწილად, იმ ლინგვისტური მოძრაობის ნაწილად, რომელიც გაბატონებული იყო მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში. სტრუქტურალიზმის ერთ-ერთი გამოჩენილი ფუძემდებელია ფერდინანდ დე სოსიური (1857-1913), შესაბამისად, მისი შეხედულებები ძალიან მნიშვნელოვანია კოგნიტური ლინგვისტიკისათვის, კერძოდ:

1. „ენა ბუნებით სიმბოლურია. ის აძლევს ადამიანს ლინგვისტური ნიშნებისა და გამოთქმების ღია წყებას, სადაც თითოეული მათგანი აკავშირებს სხვადასხვა სახის ენობრივი ელემენტის სემანტიკურ რეპრეზენტაციას ფონოლოგიურ რეპრეზენტაციასთან“. (Langacker / ლანგაკერი, 1987, გვ. 11)

2. „კოგნიტური გრამატიკა მისი სრული გაგებით ცალსახად სოსიურისეულია“. (Taylor / ტეილორი, 1999, გვ. 19).
3. „არსებობს ცხადი კავშირები სოსიურისეული ლინგვისტიკისა და კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის სფეროში“. (Nerlich & Clarke / ნერლიხი & კლარკი, 2007, გვ. 579).

კოგნიტური ლინგვისტიკისა და სტრუქტურალიზმის მიმართების საკითხი, განსაკუთრებით კი სოსიურისეულ მიდგომა, ყურადღებას ამახვილებს სემანტიკაზე, ენისა და შემეცნების მიმართების საკითხზე. აქ ვაწყდებით ერთგვარ პარადოქსს: მაშინ, როდესაც კოგნიტური ლინგვისტიკა არსებითად ინტერესდება ლინგვისტური რელატივიზმით (რაც გულისხმობს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც განსხვავებები სხვადასხვა ენებში მჭიდროდ დაკავშირებულია მოსაუბრეთა კოგნიტურ განსხვავებებთან), სოსიურის იდეები ამ მოძღვრებას ცალსახად უპირისპირდება.

ლინგვისტები, რომლებიც დაკავებულნი არიან კოგნიტური ლინგვისტიკის შესწავლით, მიიჩნევენ, რომ მათი შეხედულებები დაკავშირებულია სოსიურის შედედულებებთან. გუმპერზისა და ლევინსონის ნაშრომში „ლინგვისტური რელატივიზმის გააზრება“ (Gumperz & Levinson / გუმპერზი & ლევინსონი, 1996, გვ. 4), სოსიურის ნაშრომი „ზოგადი ლინგვისტიკის საკითხები“ (Cours de linguistique Générale) (1916) მიჩნეულია ნეო-რელატივიზმის წყაროდ.

ლინგვისტურ რელატივიზმს აქვს ბევრი ფორმა, მაგრამ ცენტრალური იდეა ყოველთვის ერთია - განსხვავებები ენათა შორს ყოველთვის დაკავშირებულია მოსაუბრეთა შორის არსებულ კოგნიტურ განსხვავებებთან. ამ თვალსაზრისით, სემანტიკური განსხვავებები ენათა შორის მეტად საყურადღებოა. ფონეტიკურ განსხვავებებს, რაც ბუნებრივად არსებობს ენებს შორის, არასდროს მივყავართ რელატივისტურ დასკვნებამდე.

პირველი და ნიშვნელოვანი პირობა რელატივისტური შეხედულებისათვის არის ვარაუდი, რომ არსებობს სემანტიკური განსხვავებები ენათა შორის. მეორე პირობა გახლავთ ამ განსხვავებათა კოგნიტური ინტერპრეტაცია. ადრეულ პერიოდებში, ფილოსოფოსები ვარაუდობდნენ, რომ ხალხს გააჩნდა ერთიდაიგივე ცნებები: ამ ზოგად იდეაზე

დაყრდნობით, რომ სიტყვები წარმოადგენენ კონცეპტებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცხადად არსებობს სემანტიკური განსხვავებები ენათა შორის.

აქედან გამომდინარე, აღიარებულ იქნა კონცეპტუალური განსხვავებების არსებობა. მე -17 საუკუნიდან მოყოლებული ფილოსოფოსები (მაგ. ლოკი) განიხილევდნენ სიტყვებს ინდივიდუალურ ფორმებად, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული სხვადასხვა ენებს შორის არსებულ განსხვავებებთან. ზოგადად, ენებს შორის გრამატიკული განსხვავებები განიხილებოდა ზედაპირულ ცვლილებებად ერთ თემასთან მიმართებით, რაც ეფუძვნებოდა ბერძნულ და ლათინურ უნივერსალურ გრამატიკას. ეს უკანასკნელი კი განიხილებოდა როგორც უნივერსალური მოდელი - ადამიანის აზროვნების ანარეკლი.

მე -18 საუკუნემდე ვერ ხერხდებოდა ორივე პირობის თანხვედრა. ეგზოტიკური ენებისა და საზოგადოებებისადმი მკვეთრად გაზრდილმა ინტერესმა და ცოდნამ შესაძლებელი გახადა მომხდარიყო ენათა სემანტიკური განსხვავებულობების - ლექსიკისა და გრამატიკის - გააზრება. ამ შეხედულების გათვალისწინებით აღინიშნა, რომ ხალხს შეუძლია რეალობის კონცეპტუალიზაცია და გამოხატავა განსხვავებული გზებით, რაც წარმოადგენდა რელატივისტური იდეის საფუძველს. ფაქტობრივად, ლინგვისტური რელატივიზმი განვითარდა გერმანიაში, სადაც კულტურებისა და ენების ინტერპრეტაცია ნაციონალურ ცნებად - "Volksgeist" - იყო გაგებული და მნიშვნელოვან საკითხად მიიჩნეოდა (Knobloch / კნობლოხი, 1988, გვ. 186). ჰუმბოლტის (1767-1835) ნაშრომი ამ მიმდინარეობის ერთგვარი საფუძველია.

როგორ ხდებოდა ენათა განსხვავებულობის ინტერპრეტაცია მე-19 საუკუნის ლინგვისტური რელატივიზმის პერიოდამდე? ლექსიკური განსხვავებულობების კონტექსტში ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შედარებით იოლია. ჩვენ დავინახეთ, რომ სიტყვების მნიშვნელოვნება თავიდანვე იყო გათანაბრებული ცნებებთან. ამ თვალსაზრისით, სიტყვის მნიშვნელობები, რომლებიც განსხვავდებიან ენიდან ენაში, შეესაბამებიან კონცეპტუალურ განსხვავებებს.

რა ტიპის სხვაობაზეა აქ საუბარი? - ძირითადად, ეს ეხება იმ შემთხვევას, როდესაც A ენის ლექსიკურ ელემენტს არ აქვს შესაბამისი ლექსიკური ელემენტი B ენაში. ეს არის შემთხვევა, როდესაც გარკვეული ლექსიკური ელემენტის მნიშვნელობა უცნობია B ენაში ან A ენისაგან განსხვავებული მნიშვნელობით ფიქსირდება. პირველ შემთხვევასთან დაკავშირებით,

სეპირი ამბობს: „საზოგადოებას, რომელმაც არ იცის რა არის თეოსოფია, არ სჭირდება სახელი მისთვის“. როგორც ჩანს, საქმე გვაქვს იმ შემთხვევასთან, რომლისადმი „ლინგვისტს ინტერესი არ უნდა გააჩნდეს“ (Sapir / სეპირი, 1921, გვ. 219). მეორე ტიპის მაგალითები ძალიან საინტერესოა ლინგვისტური და ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. შეიძლება ვიფიქროთ ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებზე; მაგალითად, არსებობს ენები, სადაც არ არსებობს ენობრივი ერთეული, რომელიც შეესაბამება ცნებას ”ძმა“ - ამის ნაცვლად, არსებობს ორი ტერმინი: ერთი ”უფროსი ძმისთვის“ და ერთი ”უმცროსი ძმისათვის“.

ორივე შემთხვევაში, კოგნიტური ინტერპრეტაცია მდგომარეობს იმაში, რომ A ენაზე მოსაუბრეებს გააჩნიათ ცნება, რომელსაც ისინი გამოყენებენ კონკრეტული მოვლენის აღსანიშნად, მაშინ როდესაც B ენაზე მოსაუბრეებს არ გააჩნიათ მსგავსი ცნებები. რამდენადაც არსებული ელემენტთა ტიპები განსხვავებულადაა ინტერპრეტირებული, ეს ნიშნავს იმას, რომ B ენაზე მოსაუბრეებს შეუძლიათ აღიქვან კონკრეტული ცნება, რომელიც არ არსებობს მათ ენაში, სხვა ცნებების დახმარებით. არსებულ ინტერპრეტაციის მოდელს ეწოდება - ლექსიკური მოდელი.

ლექსიკური მოდელის გვერდიგვერდ უნდა განვიხილოთ გრამატიკული მოდელი, რაც ამატებს კოგნიტურ ინტერპრეტაციას გრამატიკულ სხვაობებს. ერთი მხრივ, ეს მოდელი, რომელიც მომდინარეობს მეცხრამეტე საუკუნის ლინგვისტურ რელატივიზმისაგან, თამაშობს უფრო მნიშვნელოვან როლს, ვიდრე ლექსიკური მოდელი. მაშინ, როდესაც ლექსიკური მოდელი ინტერესდება კონკრეტული სიყვებით (სიტყვათა კლასებით), გრამატიკულ მოდელს გააჩნია გავლენა ენაზე, როგორც მთლიანობაზე, რაც კიდევ უფრო ართულებს კოგნიტური ეფექტების მიღწევის შესაძლებლობას. სხვა მხრივ, გრამატიკულ სხვაობათა შემეცნებითი ეფექტები გაცილებით ნაკლებად ჩანს, ვიდრე ლექსიკური განსხვავებები. ამის გასააზრებლად შეგვიძლია გადავხედოთ წინარე მაგალითს, რაც დაკავშირებული იყო „თეოსოფია“-თან, სადაც ლექსიკური მოდელი ნათელია. გრამატიკული მოდელით, კოგნიტური ინტერპრეტაციის შესაძლებლობა განსაკუთრებით დამოკიდებულია ჰიპოთეტურ იდეებზე გრამატიკული ელემენტების მნიშვნელობის შესახებ და ამ იდეების როლზე ენის რეალურ გამოყენებაში.

მე-19 საუკუნეში გრამატიკული მოდელი ინტერსედება ენის ტიპებს შორის გრამატიკული განსხვავებებით. უნივერსალური გრამატიკის ნაცვლად, რომელიც ლათინური ენის საფუძველზე ინფლექსიას გრამატიკულ ურთიერთობათა გამოხატვის ერთადერთ საშუალებად თვლიდა, ჩამოყალიბდა სხვადასხვა ენის გრამატიკაში სხვადასხვა მიდგომები. ამრიგად, ჰუმბოლდტმა განასხვავა ინფლექსიური ენები - აგლუტინაციურ, იზოლირებულ და ინტეგრაციულ ენებად. ჰუმბოლდტმა და მისმა მიმდევრებმა (მაგ. სტინტალმა (1823-1894) და მისტელი (1841-1903)) არ მიიჩნიეს ამ ენების ტიპები ეკვივალენტურად - ისინი ახდენდნენ გრამატიკული განსხვავებების ინტერპრეტაციას სემანტიკურად. ამრიგად, ისეთ იზოლირებულ ენები, როგორცაა ჩინური, რომელსაც არ გააჩნია ინფლექციური დაბოლოებები, მიიჩნეოდა, როგორც „უფორმო“, იმიტომ, რომ ისინი არ გადმოსცემდნენ სტრუქტურულ-სემანტიკურ ინფორმაციას, რომელიც ზოგადად გამოიხატება ინფლექციური დაბოლოებებით კოგნიტურ დონეზე, ეს უკავშირდებოდა - „უფორმო“ აზრებს.

გრამატიკული მოდელის ამ ტიპის გამოყენება მოკლებულია ლინგვისტური რელატივიზმის იდეას. მაგრამ, როგორც შემდგომში გამოჩნდება, გრამატიკული მოდელიც ემყარება ჰიპოთეტურ ვარაუდებს გრამატიკული მნიშვნელობების კონკრეტული როლის შესახებ ენის გამოყენების პროცესში.

საბოლოოდ, შეგვიძლია ვისაუბროთ ორ მნიშვნელოვან მოდელზე ესენია: ეტიმოლოგიური მოდელი და ფოკალური მოდელი. ეს მოდელები გვაწვდის დამატებით საშუალებებს სემანტიკური განსხვავებების დასადგენად (ლექსიკური ან გრამატიკული) - იმ სხვაობათა დასადგენად, რომელიც საბოლოოდ შესაძლოა კოგნიტურად ინტერპრეტირდეს. ისევე, როგორც გრამატიკულ მოდელთან, ჩვენ აქაც გვაქვს მკაცრად ჰიპოთეტური ხასიათის სემანტიკური ვარაუდები.

ეტიმოლოგიური მოდელის ამოსავალი დებულება არის ის, რომ ლინგვისტური ელემენტის ეტიმოლოგია იძებნება ამ ელემენტის თანამედროვე მნიშვნელობაში. შესაბამისად, ფრანგული სიტყვა “mouchoir“ ვერ იქნება ზუსტი სინონიმი სიტყვისა “handkerchief“. მიუხედავად საერთო მნიშვნელობისა - „ნაჭერი, რომელსაც ვიყენებთ ცხვირის მოსაწმენდად“, კონოტაციური თვალსაზრისით მაინც არსებობს განსხვავება. ცხადია, რომ ეს განსხვავება თამაშობს მნიშვნელოვან როლს სხვადასხვა ენაში არსებული ცნების გააზრებაში.

ფოკალური მოდელის ამოსავალი დებულება არის ის, რომ ცენტრალური, ძირითადი მნიშვნელობები იქცევიან პერიფერიულ მნიშვნელობებად. ამ მოდელის გათვალისწინებით, მაგალითად, გამოთქმა ინგლისურ ენაში “by train“ ვერ იქნება სინონიმი გამოთქმისა ფრანგულ ენაში “par le train“. მიუხედავად საერთო მნიშვნელობისა - „მატარებლით“, განსხვავებული (კაზუალური და ინსტრუმენტალური) ცენტრალური მნიშვნელობები ფორმებისა - “by” და “par” - თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ამ გამონათქვამის გააზრებაში. თუ ამას განვავრცობთ კოგნიტურ დონეზე, ეს ნიშნავს იმას, რომ ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მოსაუბრეები ახდენენ ამ ცნების - „მატარებელი“ - კონცეპტუალიზაციას, როგორც - 1. ძალის წყარო და 2. ინსტრუმენტი.

მე-19 საუკუნეში ეს ორი მოდელიც აქტუალური იყო. იმ პერიოდში რთული იყო ამ ორი მოდელის განცალკევება, რადგან ძირითადი მნიშვნელობები განიხილებოდა როგორც ელემენტთა პირველადი მნიშვნელობები.

სოსიურის მიერ ლინგვისტიკაში დანერგილი სიახლეები რადიკალურ ცვლილებას იწვევდა ლინგვისტური რელატივიზმის კონტექსტში. სოსიური ნაკლებად აქცევდა ყურადღებას ელემენტთა ექსტრაპოლაციას ენიდან აზროვნებამდე (და სხვა ენობრივ დომენებთან მიმართებაში), და შესაბამისად, ამ ინტერპრეტაციული მოდელის უმეტესობა, რომელიც უკავშირდება ლინგვისტურ რელატივიზმს, შეუთავსებელია სოსიურისეულ ძირითად პრინციპებთან. ჯერ კიდევ არსებობს მე-20 საუკუნის ლინგვისტური რელატივიზმის სხვადასხვა ფორმა, რომლებშიც სემანტიკის სოსიურისეული გააზრება მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მაგრამ ამ ელემენტთა ქმედითუნარიანობისათვის აუცილებელია მათი დაკავშირება არასოსიურისეულ ელემენტებთან.

სოსიურის მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით ცალსახაა. მისი შეხედულებები ნათლადა გადმოცემული მის ნაშრომში „ზოგადი ლინგვისტიკის საკითხები“: „ერთი სიტყვით, სძენს თუ არა ენა სიცხადეს ანთროპოლოგიას, ეთნოგრაფიას, პრეისტორიას? ფართოდ მიჩნეულია, რომ ამ საკითხთან მიმართებით არსებობს უჩვეულოდ დიდი „ილუზია“ (Saussure / სოსიური, 1972, გვ. 304).

სოსიური განიხილავს რამდენიმე „ილუზიას“ სემიტურ ენებთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავს: „სემიტური ენები გამოხატავს ურთიერთობას განმსაზღვრელიდან არსებით

განმსაზღვრელთან [...] მარტივი დამატებით [...] უნდა ითქვას თუ არა, რომ ეს სინტაქსური ტიპი ავლენს სემიტური მენტალობის მახასიათებლებს? ამის მტკიცება ძალიან დიდი წინდაუხედაობაა” (სოსიური, 1972, გვ. 311).

სოსიური ამ თავს ასრულებს ენების გრამატიკული კლასიფიკაციის განხილვით: „...ამ განსაზღვრებითა და კლასიფიკაციით, ლინგვისტურ დომენებს მიღმა ჩვენ ვერაფერს დავასკვნით” (სოსიური, 1972, გვ. 312).

დასკვნითი თავი („ენათა ოჯახები და ლინგვისტური ტიპები“) იწყება იმის ხაზგასმით, რომ „ენა პირდაპირ არ ექვემდებარება განსახილველ საგნებს.“ და მთავრდება ავტონომიის ძირითადი იდეის ხაზგასმით: „მიგნება, რომელიც გაკეთდა ჩვენს სააზროვნო სფეროში, უკავშირდება რიგ უარყოფით მიდგომებს, მაგრამ, ყველაზე საინტერესო არის ის, რომ ეს მიდგომა ემხრობა არსებული კურსის ფუნდამენტურ იდეას: ენათმეცნიერებას უნიკალური და ჭეშმარიტი ობიექტი აქვს - ენა თავისთავად და თავისთვის“ (სოსიური, 1972, გვ. 317).

ჩვენს ზემოთ მოყვანილ მაგალითში სემიტური ენების განსხვავებულობა შეიძლება ძლიერი დეფლექსიის შედეგი იყოს; როგორც წესი, გერმანული სიტყვების ფორმირების წესს საფუძვლად უდევს ფონოლოგიური ცვლილება - ლექსიკური ელემენტების სესხება, შემთხვევით გაქრობა და სხვა. სოსიურის თქმით, ამ ტიპის წმინდა ენობრივი განვითარებების გარდა, ენების უნარი გამოხატოს "ხალხის ხასიათი" მნიშვნელობას კარგავს (სოსიური, 1972, გვ. 311-312).

თუ კარგად გავეცნობით სოსიურის ნაშრომის დანარჩენ ნაწილებს, დავინახავთ, რომ ლინგვისტური რელატივიზმი არ განხილილება პერსპექტიულ მიდგომად შედარებით ფუნდამენტურ დონეზე: სოსიურის ლინგვისტური თეორიის ძირითადი პრინციპები ბლოკავს იმ მოდელს, რომელიც ემხრობოდა ლინგვისტური რელატივიზმის იდეას. შესაბამისად, სოსიური კატეგორიულად მიჯნავს სინქრონიას დიაქრონიისაგან: ”ამ ორი შეხედულების დაპირისპირება - სინქრონული და დიაქრონიული - არის აბსოლუტური და უკომპრომისო.” (სოსიური, 1972, გვ. 119).

ეტიმოლოგიური მოდელი, შესაბამისად, არაფრის მომცემია სინქრონიისა და დიაქრონიის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.



იგივე ხდება ფოკალურ მოდელთან მიმართებაშიც. სოსიური მკაცრად უარყოფს ენის ნომენკლატურულ შეხედულებას. ლინგვისტური ნიშნები არ აკავშირებს ბგერებს სრულად შემუშავებულ ცნებებთან. სინამდვილეში, ისინი ქმნიან სტრუქტურას თავდაპირველად ამორფულ კონცეპტუალურ სხეულში („ელემენტში“). ისინი ამ სხეულის ნაწილებს („ცნებებს“) ერთმანეთისაგან განასხვავებენ. მათი მნიშვნელობა დიფერენციალურია. ის შედგება სემანტიკური წინააღმდეგობებისაგან, რომლებიც ქმნიან საზღვრებს სხვა ნიშანებთან მიმართებაში და არა შინაგანად სტრუქტურირებულ შინაარსში. ცნებები ბირთვი - “kernel” და - პერიფერია- “periphery” აქ არ გამოიყენება: “რაოდენ გასაოცარი არ უნდა იყოს, ამ შემთხვევაში ღირებულებები წარმოიქმნება სისტემებისაგან. როდესაც ვაბობთ, რომ ისინი პასუხობენ ცნებებს, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ისინი წმინდად დიფერენციალურნი არიან, პოზიტიურად არ განისაღვრებიან საკუთარი შინაარსით, პირიქით, იძენენ ნეგატიურ მნიშვნელებას კონკრეტული სისტემის სხვა ელემენტებთან ურთიერთობის დროს“ (სოსიური, 1972, გვ. 162).

ეს შეხედულება აგრეთვე გულისხმობს ენის ჰოლისტურ შეხედულებას - საზღვრები განსხვავდება ენიდან ენაში, მაგრამ ყველა ენა მოიცავს, ფარავს ერთიდაიგივე კონცეპტუალურ მთლიანობას. შესაბამისად, არ შეიძლება ერთი ელემენტის შეფასება იზოლაციაში, მისი სხვა ელემენტებთან ერთიერთობის გათვალისწინების გარეშე: „ენა არის სისტემა, რომლის ყველა წევრი უნდა შეფასდეს საკუთარი სინქორნული მდგომარეობის გათვალისწინებით“ (სოსიური, 1972, გვ. 124).

შესაბამისად, თუ A ენის ელემენტს არ აქვს შესაბამისი ელემენტი B ენაში, ეს არ გულისხმობს იმას, რომ შინაარსი არ გამოთქმის, გამოიხატება, პირიქით, მისი გამოთქმა, გამოხატვა ხდება ამ კონკრეტული ენის სისტემაში არსებული ელემენტების საშუალებით. ლინგვისტური რელატივიზმის დასკვნები მე-19 საუკუნის გრამატიკულ მოდელთან ერთად, შესაბამისად, არარელევანტურია.

უნდა ითქვას, რომ სხვა მხრივ, სოსიურისეული რელატივიზმი ძლიერია: ის განიხილავს სხვადასხვა ბუნებრივ ენებს როგორც ერთ მთლიანობას ან/და ბუნებრივი ენების სხვადასხვა ფაზებს, როგორც ერთ მთლიანობას, რადგან ენის ცვლილებები მთლიან სისტემაში მიმდინარეობს. ამ შეხედულების სიმყარეს განაპირობებს კიდევ ერთი შეუსაბამობა:

დიფერენციალური ურთიერთობები განსაზღვრულია კონკრეტული ენის სისტემის ფარგლებში.

თუმცა არსებობს გარკვეული შეხედულებები, რომლებიც მიუთითებენ სოსიურისეული ლინგვისტური რელატივიზმის სისუსტეზე: ცნებები, რომლებიც ენაში განხორციელებული ცვლილებების შედეგს წარმოადგენენ, არ აქვთ პოზიტიური არსებითი მნიშვნელობა, მხოლოდ უარყოფითი, რაც ერთმანეთისგან მათი დელიმიტაციის შედეგია. სხვადასხვა ენაში განხორციელებული ცვლილებები არ აისახება არსებითად განსხვავებულ კატეგორიებში. მთლიანი შინაარსი რჩება მუდმივი. სოსიურის ლინგვისტური რელატივიზმი არ სცილდება ამ განმარტების საზღვრებს.

პრობლემურია ის, რომ სოსიურის ნეგატიურად განსაზღვრული კონცეპტები არაპრაქტიკულია მათივე ფორმით. როგორც ბაკერი გვიჩვენებს, ეს ყველაფერი წრიულია: „მინიმალურ სისტემაში, სადაც განიხილება ორი ელემენტი, ერთი ელემენტი მაგ. A და მეორე ელემენტი მაგ. Z. - ერთმანეთისაგან განსხვავებულია. თუ ვინმე იკითხავს, თუ რას გულისხმობს ეს ყველაფერი, პასუხი იქნება შემდეგი: A განსხვავდება Z- გან, რაც თავისთავად გულისხმობს ფაქტს, რომ მას განსხვავებული მახასიათებლები გააჩნია. შესაბამისად, მათ შორის ურთიერთობა არის წრიული და, რა თაქმა უნდა, ელემენტების რაოდენობა A დან Z-დე არ ცვლის ამ მიმართების რაობას“.

ბაკერი სწორად ასკვნის შემდეგს: იმისათვის, რომ სისტემამ იმუშაოს, ნიშნებს აუცილებლად უნდა გააჩნდეთ საკუთარი პოზიტიური ინდივიდუალურობა.

ნიშნები ამ ინდივიდუალურობას ფლობენ იმდენად, რამდენადაც მათ, გარდა მათი ღირებულებისა, აქვთ სემანტიკური ელემენტები, რომლებიც გაცილებით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოსიურის მოძღვრებაში. ნეგატიურად განსაზღვრული მნიშვნელობისგან განსხვავებით, სოსიური განიხილავს იმ ნიშანს, რომელიც დადებითად არის განსაზღვრული არსებითი კონცეპტუალური შინაარსის თვალსაზრისით (სოსიური 1972, გვ. 158). სოსიური ადარებს ლინგვისტურ სისტემას მონეტარულ სისტემას: 5 ფრანკს აქვს კავშირი მისგან არსებითად განსხვავებულ საგანთან, ანუ რა შეგიძლია იყიდო მისით? (აქ ავტორი საუბრობს ნიშანზე) ამავდროულად, ეს შეიძლება გავდეს იგივე სისტემის სხვა ელემენტს, მაგ. 1

ფრანკიანს (ამ შემთხვევაში, ავტორი საუბრობს ნიშნის ღირებულებაზე) (სოსიური, 1972, გვ. 160-161).

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ სოსიური განსხვავებს, გარდა მნიშვნელობებისა, რომლებიც წარმოადგენს ენობრივ-განსხვავებულ ცნებებს, დამოუკიდებელ (ქვე) მნიშვნელობებს, რომლებიც წარმოადგენენ არსებით ცნებებს. ეს მნიშვნელობები, ე.წ. „ცხვარისებრი“ მნიშვნელობები“ (გაიგივებულია ცხვართა ჯიშთან), დამოუკიდებელია სისტემის სხვა ნიშნებისაგან, რომლებიც განსხვავებულია თითოეული ენისთვის. ეს შესაბამისობა ავტომატურად არ მოდის სიტყვის გამოყენებასთან ერთად, ის იცვლება სიტუაციების მიხედვით.

სოსიური არ განიხილავს ამ იდეას და არ გვიზიარებს მის შეხედულებებს, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ღირებულებისა და ნიშნის კოგნიტურ გავლენას. კითხვაზე პასუხის გაცემა, არის თუ არა სოსიურისეული რელატივიზმი წარმოსახვითი და ფუნქციონირებადი, ძალიან მნიშვნელოვანია. თუ ღირებულება დომინანტურია, მაშინ წინადადება - მე ვხედავ ცხვარს - უნდა ატარებდეს კოგნიტურ განსხვავებულობას ინგლისურ და ფრანგულ ენებს შორის. მაგრამ, თუ ნიშანი განსხვავებულია მაშინ ეს განსახვევებულება ენათა შორის კიდევ უფრო გაუჩინარდება. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს „საერთო მნიშვნელობა“, რომელიც შესაძლოა გამოითქვას სხვადასხვა კონვენციური საშუალებებით, რაც თითოეულ ენაში მოიპოვება. ამ თვალსაზრისით, ღირებულების დონეზე მნიშვნელობათა ცოდნა შესაძლოა აღიწეროს ერთიდაიგივე ლინგვისტური საშუალებით, რომელმაც შესაძლოა ითამაშოს “თანაგანმსაზღვრელობითი“ როლი. შესაბამისად, ლინგვისტური რელატივიზმი კიდევ უფრო სუსტდება, რადგან მხოლოდ “ფონური“ მნიშვნელობები ერთვება ამ პროცესში.

ნიშნების, როგორც დამოუკიდებელი მნიშვნელობების განხილვა, ფაქტობრივად, უკავშირდება სოსიურის კონცეპტუალური სივრცის მუდმივობისა და ამორფულობის იდეას.

სტრუქტურული სემანტიკა, მათ შორის ლინგვისტური რელატივიზმის იდეა, განვითარდა სოსიურის ნაშრომებზე დაყრდნობით, ინსპირაციის წყარო ყოველთვის იყო დიფერენციალური მნიშვნელობის ხედვა, ღირებულებისა და სემანტიკური მნიშვნელობებს „დაპირისპირება“. ყურადღება ძირითადად მახვილდებოდა „სემანტიკური ველების“ შესწავლაზე, კერძოდ, სემანტიკურად დაკავშირებული სიტყვების ჯგუფების შესწავლაზე

(მაგ. ფერთა აღმნიშვნელი ტერმინები). ამ პროცესში, წესით, სოსიურს უნდა ევარაუდა, რომ ენობრივი ნიშნები, თუნდაც მხოლოდ დიფერენციაციისათვის, მაინც იძენენ რაიმე დადებითი თვისებას. სინამდვილეში ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი: მნიშვნელობა ყოველთვის აღწერილია არსებითად სემანტიკური მახასიათებლების დახმარებით.

სხვა თვალსაზრისითაც, სტრუქტურულ-სემანტიკური პრაქტიკა რეალურად მომდინარეობს სოუსურის პრინციპებიდან. პირველ რიგში, არსებობს ლექსიკური ნიშნები, რომელთა ფუნქცია არ არის მხოლოდ დიფერენცირება სხვა საგნების მიმართ. ეს ზუსტად ის თვისებებია, რომლებიც, როგორც ჩანს, არსებითია ჩვენი ცნებებისთვის და რომლებიც ასრულებენ როლს ყველა ლექსიკოლოგიურ ტრადიციაში (მაგ., „ყვითელი“ ბანანისთვის, ან ძაღლისთვის „შინაური ცხოველი“); მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს თვისებები დიფერენცირებულ როლს არ თამაშობენ. ლაიონსი (Lyons / ლაიონსი, 1977, გვ. 247) აღნიშნავს, რომ ფერის თვალსაზრისითაც კი, დიფუზური კონტინენტის შიგნით უბრალოდ სუფთა დემარკაცია არსებობს: არსებობს ფსიქო-ფიზიკურად ცენტრალური ფერის ის სფეროები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა ენაზე შეესაბამებოდეს პრაქტიკულად ეკვივალენტურ ფერთან დაკავშირებულ ტერმინებს, ხოლო მათი დემარკაციის გამოყენების სფეროები განსხვავებული იყოს თითოეული ენისათვის.

ზოგადად, მნიშვნელობას ენიჭება უფრო მდიდარი სტრუქტურა, ვიდრე ამას სოსიური ამტკიცებს. სემანტიკური ველის თეორია ამას ნათლად გვიჩვენებს. ტრირი განიხილავს, მაგალითად, გერმანული სიტყვებისგან აგებულ ველს, რომელიც გამოხატავს ცოდნას ან ცოდნის ფორმას. ეს სიტყვები ერთად ქმნიან მოზაიკურ სტრუქტურას „ცოდნის“ სემანტიკურ ველში, სადაც თითოეული სიტყვა მოიცავს ველის ერთ ნაწილს. ტრირი გვიჩვენებს განსხვავებას სხვადასხვა დემარკაციას შორის, რაც არსებობდა მე-13 და მე-14 საუკუნეების გერმანულ ენას შორის (Trier / ტრირი, 1972, გვ. 40-65).

სოსიურისეული თვალსაზრისით, ეს არ უნდა იყოს მხოლოდ უცვლელი კონცეპტუალური დომენის რესტრუქტურირება ლინგვისტური რელატივიზმის შედეგების გათვალისწინებით. სინამდვილეში, ტრირი არ უარყოფს სოსიურისეულ დასკვნებს იმისათვის, რომ გააკეთოს უფრო მეტად არსებითი რელატივისტური დასკვნები. აღნიშნული ისტორიული ცვლის საფუძველზე, იგი აღწერს შემეცნებითი ლექსიკური

ცვლილებების მთლიან სერიას, რომელიც დაკავშირებულია სოციალურ და კულტურულ ფაქტორებთან. ეს შესაძლებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რასაც ის აღწერს, რეალურად გაცილებით მეტია, ვიდრე უცვლელი დომენის რესტრუქტურისა. თავად დომენი არსებითად იცვლება: პირველ ეტაპზე ყველა მნიშვნელობას აქვს მორალური და რელიგიური კონოტაციები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტული პერიოდების კლასობრივ საზოგადოებასთან; მეორე ფაზაზე, ეს კონოტაციები უჩინარდება და ჩვენ ვუახლოვდებით იმას, რასაც ვიაზრებთ გონებით, ტექნიკური თუ სხვა უნარებით.

ნათელია, რომ სოსიური უარყოფს ლინგვისტურ რელატივიზმს და შესაბამისად, ყველა იმ მოდელის ინტერპრეტაცია, რასაც მივყავართ ლინგვისტურ რელატივიზმამდე, შეუძლებელია აღწერილ იქნას სოსიურისეული სტრუქტურალისტური ჩარჩოს გათვალისწინებით. მიუხიდავად ამისა, სოსიურის მნიშვნელობის დიფერენციალური ხედვა გულისხმობს ლინგვისტური რელატივიზმის ერთ სუსტ ტიპს. მხოლოდ მაშინ, როდესაც სოსიურისეული დასკვნები მდიდრდება (რაც, ზოგადად, ხდება სოსიურისეულ სტრუქტურულ სემანტიკაში) არასოსიურისეული ელემენტებით, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ შედარებით არსებითი რელატივისტური დასკვნები.

ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ, ჩვენ შეგვიძლია გავეცნოთ კოგნიტურ-ლინგვისტურ ნეო-რელატივიზმს. კოგნიტური ლინგვისტიკა არის მეტად ფართო კვლევის სფერო, მრავალრიცხოვანი ქვე-სტრუქტურებით, რომლებიც ნაწილობრივ კომპლემენტარულნი არიან და ნაწილობრივ უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ლინგვისტები, რომლებიც სწავლობენ კოგნიტურ ლინგვისტიკას, როგორც წესი, არ აქვთ ექსპლიციტური კავშირები სოსიურთან. კოგნიტური ლინგვისტიკა (და ლინგვისტური რელატივიზმი, რომელიც აღმოცენდა კოგნიტური ლინგვისტიკისაგან) ასოცირდება სოსიურის შეხედულებასთან სემანტიკაზე, მაგრამ ამის საფუძველზე ვერ ვიტყვით, რომ ლინგვისტები, რომლებიც იკვლევენ კოგნიტურ ლინგვისტიკას, პირდაპირ ეფუძვნებიან სოსიურის შეხედულებებს. შესაბამისად, ნერლიხი და კლარკი მათივე ნაშრომში აღნიშნავენ, რომ ლანგაკერმა მათ გაუზიარა საკუთარი შეხედულება სოსიურთან და ლინგვისტურ რელატივიზმთან დაკავშირებით, კერძოდ, ლანგაკერმა აღნიშნა, რომ მასზე გავლენა სოსიურს არ მოუხდენია და ლაკოფი არასდროს ახსენებს სოსიურს საკუთარ ნაშრომებში“.

## 1.2. კოგნიტური ლინგვისტიკის ინტერპრეტაციული მოდელები

ლინგვისტური რელატივიზმის იდეა განისაზღვრება იმ ოთხი მოდელით, რაც უკვე განვიხილეთ. სოუსური ამ მოდელებს იშვიათად განიხილავდა; საუკეთესო შემთხვევაში, არსებულ სოსისურის თეორიებში შესაძლოა შეგვენიშნა მხოლოდ ლექსიკური მოდელი.

შევეცდებით დავამტკიცოთ, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა ინტერპრეტაციულ მოდელებს უფრო „გულუხვად“ იყენებს, რაც სცდება ტერიის "გამდიდრებულ" ლექსიკურ მოდელს. ეს კიდევ უფრო მეტ საშუალებას იძლევა ვისაუბროთ ლინგვისტურ რელატივიზმზე; მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა არ არის აღიარებული ყველა იმ ლინგვისტის მიერ, რომლებიც სწავლობენ კოგნიტურ ლინგვისტიკას.

თუ სწორად შევხედავთ ლექსიკურ მოდელს დავინახავთ, რომ ეს მოდელი სოსიურის შეხედულების სწორ ინტერპრეტაციას იძლევა. სოსიურის მნიშვნელობის დიფერენციალური ხედვის საპირისპიროდ, კოგნიტურ-ლინგვისტური მნიშვნელობები კონტექსტუალურად ძალიან მდიდარია იმიტომ, რომ ისინი მოიცავენ შედარებით მეტ სემანტიკურ მახასიათებლებს. ლანგაკერი ამ შეხედულების გასააზრებლად იძლევა „ბანანის“ ცნების ანალიზს (1987, გვ. 154). ის ამბობს, რომ მაშინ, როდესაც ნიშანი „ყვითელი“ უმეტეს კომპონენტურ ანალიზის მეთოდებში განიხლება, როგორც სიტყვის სემანტიკური დესკრიფციის ნაწილი, ის ვერ იქნება გამოყენებული ისეთი კონცეპტის აღსაწერად, როგორცაა „ზრდა“. ამ სემანტიკური პროფუზიის საფუძველი, რომელიც ფაქტობრივად იწვევს ლექსიკასა და ენციკლოპედიას შორის განსხვავებას ბუნდოვანებას ან თუნდაც გაქრობას, არის ის, რომ ყველა ეს თვისება განსაზღვრავს სიტყვა „ბანანის“ გამოყენებას.

ანალოგიურად აღმოვაჩინოთ, რომ ფილმორის „სემანტიკური ჩარჩოს“ თეორიაში, კულტურული და რელიგიური ცნებები შედის ისეთი სიტყვების ველში, როგორებიცაა: ორშაბთი, კვირა და სხვა, რომლებიც ეხება, მაგალითად, კვირის დაყოფას სამუშაო დღეებად და დასვენების დღეებად (ნერლიხი & კლარკი, 2000, გვ. 143).

ორი ცენტრალური ვარაუდი ეხება სიტყვის მნიშვნელობათა ფართო შინაარსის არსებობას კოგნიტურ ლინგვისტიკაში: 1. ვარაუდო, რომ სიტყვები პოლისემიურია: მათი მნიშვნელობა მოიცავს უამრავ ურთიერთდაკავშირებულ ქვე-მნიშვნელობას; 2. რომის პროტოტიპის თეორია (Rosch's prototype theory), რომელიც სხვადასხვა გზით შესაძლოა ერთიადებოდეს

კოგნიტურ ლინგვისტიკაში. ორივე შემთხვევაში, გერარტსი (1989) იძლევა ჰოლანდიური ზედასართავი სახელის მაგალითს - „ახალი“. მისი მტკიცებით არსებობს არსებული ცნების ქვე-მნიშვნელობებიც, რომელიც ხაზს უსვამს ამ ცენაბათა ოჯახის მსგავსებაზე.

პროტოტიპების თეორიის საწინააღმდეგოდ, ზოგი ცნება მიეკუთვნება ბირთვს (კერძოდ, „ახლახანს შექმნილი / წარმოებული“), ხოლო, სხვა სახის ელემენტები მიეკუთვნება პერიფერიას („სიახლე“ ან „ოპტიმალურობა“).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ არასწორია იმის მტკიცება, რომ სტრუქტურალისტური დიფერენციალური სემანტიკა განიღვენა კვლევის სფეროდან. ამრიგად, გერარტსი, გრონდელარსი და ბაკემა ემყარებიან ტირის სემანტიკური ველების თეორიას. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მიდგომა ზედმეტად შეზღუდულია:

სტრუქტურალისტური სემანტიკა ამტკიცებს, რომ ლექსიკური საგნების ადეკვატური აღწერა მოითხოვს მათ პოზიციურ აღწერას ამ ლექსიკურ ველებში. თავის მხრივ, პროტოტიპზე ორიენტირებულმა ტრადიციამ, რომელიც შემუშავდა კოგნიტურ ენათმეცნიერებაში, ხაზი გაუსვა ლექსიკური კატეგორიების „შიდა“ სტრუქტურის შესწავლის მნიშვნელობას. არსებული მიდგომა ამტკიცებს, რომ სიტყვების აღწერა არ შეიძლება მხოლოდ სხვა სიტყვებთან გამიჯვნის საფუძველზე, ასევე საჭიროა თითოეული სიტყვის სათანადო შინაარსის შესწავლა (Geeraerts, Grondelaers & Bakema / გერარტსი, გრონდელერი & ბაკემა, 1994, გვ. 193).

გერარტსმა და მისმა თანამედროვეებმა აღნიშნეს, რომ სტრუქტურული სემანტიკოსები ემხრობიან ტირის მოსაზრებებს მაგრამ, მათ იმპლიციტურად გამოთქვეს ვარაუდო, რომ: ჩვენ უნდა შევისწავლოთ არამარტო ლექსიკური საგნების საზღვრები ამასთანავე, უნდა შევისწავლოთ „შიდა“ სტრუქტურები. ფილმორი მიიჩნევს მის ფრეიმულ თეორიას ტირის მიდგომის გაღრმავების მცდელობად; ამასთანავე, ის აღნიშნავს, რომ სიტყვის მნიშვნელობის გასააზრებლად, სიტყვის გასაგებად არ არის საკმარისი „ამ სფეროში მისი ლექსიკური მეზობლების“ ცოდნა, ამასთანავე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ მისი კონცეპტუალური „ფუძე“ (ნერლიხი & კლარკი, 2000, გვ. 144).

კოგნიტურ-ლინგვისტიკური სემანტიკა, რომელიც შედარებულია სოსოურის შეხედულებებს, „მდიდარია“ და მოიცავს ლექსიკური მოდელის ფართო შესაძლებლობებს, რომელიც

თავისთავად უკავშირდება ლინგვისტურ რელატივიზმს: ენის ლექსიკა რაც უფრო მეტი დროით, კოგნიტური და კულტურული ნიშნებით მდიდრდება, მით უფრო დიდი შესაძლებლობა არსებობს იმისა, რომ მოხდეს ენათა ლექსიკური ცვლილება. მაგალითად, არსებობს შემთხვევები, როდესაც ვხვდებით შედარებით მკაცრ ენობრივ მნიშვნელობებს. ამრიგად, ვერჟიციკა ირწმუნება, რომ ინგლისურ სიტყვას „კონფიდენციალურობას“ (privacy) არ აქვს მკაცრი შესატყვისი სხვა ევროპულ ენებში. ეს მოსაზრება ემყარება მის ვარაუდს, რომ „კონფიდენციალურობის“ თვისებები, რომლებიც ინგლისური კულტურის დამახასიათებლად ითვლება, მაგალითად, „ბუნებრივი“ და „ყველასათვის სასურველი“, ამ სიტყვის მნიშვნელობის ნაწილია და არ იძებნება სხვა ენებში (Wierzbicka / ვერჟიციკა, 2003, გვ. 47).

ლექსიკური განსხვავებები შესაძლოა სიტყვის მნიშვნელობათა უაღრესად სტრუქტურირებული ხასიათის შედეგი იყოს. გერარტის აღწერს, მაგ., ლექსიკურ-სტრუქტურულ განსხვავებებს მე-17 საუკუნის ჰოლანდიურსა და თანამედროვე ჰოლანდიურს შორის. ამრიგად, ზმნამ („შეგონება“) განიცადა ცვლილება პროტოტიპურ სტრუქტურაში - მაშინ, როდესაც არსებული ზმნის მნიშვნელობა - ”სერიოზულად მისწრაფოდე გაუმჯობესებისკენ“ იმ დროს პერიფერიული მნიშვნელობა იყო, ხოლო მნიშვნელობა - „თქმა“ ბირთვულ ელემენტად განიხილებოდა, თანამედროვე ჰოლანდიურში არსებულმა მნიშვნელობებმა ადგილები შეიცვალეს (გერარტისი, 1989, გვ. 176-177)

კოგნიტურ ლინგვისტიკაში ყოველი ლექსიკური ცვლილება დაკავშირებულია კონცეპტუალურ ცვლილებასთან (Dirven & Verspoor / დირვენი & ვერსფუარი, 1999, გვ. 17). ლექსიკური მოდელი, შესაბამისად, გახდა კონკრეტული ლინგვისტიკის ძირითადი პრინციპების ნაწილი.

გარდა ამისა, პროტოტიპური მნიშვნელობების ვარაუდი ააქტიურებს ფოკალურ მოდელს. ხშირად პერიფერიული მნიშვნელობები მიიჩნევა, როგორც პროტოტიპული ბირთვული მნიშვნელობები. ამის ნათელი მაგალითია, ისევე, როგორც ლინგვისტური რელატივიზმის შესაძლო შედეგების ილუსტრაცია, გოლდბერგის კონსტრუქციული გრამატიკა.

ამ ვარაუდით ვუახლოვდებით ეტიმოლოგიურ მოდელს, რომლის მიხედვითაც ძირითადი მნიშვნელობა მიჩნეულია „ბირთვად“. იმის გათვალისწინებით, რომ მეტაფორებმა ლაკოფის



ნაშრომის მეშვეობით მნიშვნელოვანი როლი შეიძინეს კოგნიტურ ლინგვისტიკაში, მეტაფორული მნიშვნელობის გაფართოება კოგნიტურ-ლინგვისტური სემანტიკის ცენტრალური ელემენტი გახდა.

ლაკოფი აღნიშნავს: „ეს არ არის მხოლოდ ჩვენი სიტყვების, ჩვენი ცნებების მიზანიმართული გამოყენება; არამედ, ჩვენ სისტემურად ვიაზრებთ სივრცით მდებარეობებს, სხვადასხვა საკითხს შორის არსებული ურთიერთობების გათვალისწინებით“.

ისევე, როგორც მე -19 საუკუნეში, ფოკალური მოდელის გამოყენების არეალი ცვალებადია. ლინგვისტების გარკვეული ნაწილი (მათ შორის, ლანგაკერი) უარყოფს ლაკოფის მოსაზრებას, რომ „სამიზნე“ მნიშვნელობა მომდინარეობს „წყარო“ მნიშვნელობისაგან; ისინი სინქრონულად განიხილავენ ორივე ტიპის მნიშვნელობას, როგორც შედარებით აბსტრაქტული სქემის კონცეპტუალიზაციას. მიუხედავად ამისა, ერთი მნიშვნელობა მიიჩნევა პროტოტიპულ მნიშვნელობად, ხოლო სხვა მნიშვნელობები (მეტაფორული) - დამატებებად. შესაბამისად, დიაქრონია ნათლად უზრუნველყოფილია. სხვა მხრივ, ლაკოფს ადანაშაულებენ იმაში, რომ მისი მეტაფორები მეტად “სინქრონულია“. შესაბამისად, გერარტსი და გრონდელარსი არ ემხრობიან ლაკოფის შეხედულებებს იმასთან დაკავშირებით, რომ მეტაფორები ყოველთვის ეფუძნებიან ფიზიკურ გამოცდილებას და აღნიშნავენ, რომ კულტურულ-ისტორიული ცნებები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ.

დიდი ყურადღება ეთმობა გრამატიკულ მიდგომებს კოგნიტურ ლინგვისტიკაში. მათი ანალიზი ხდება სემანტიკურად, კერძოდ, ფოკალური და ეტიმოლოგიური მოდელების გამოყენებით. გრამატიკული მოდელი, რომელშიც დასკვნები კეთდება გრამატიკული ელემენტების მარტივი არსებობისაგან ან არარსებობისაგან, ნაკლებად გამოირჩევა კოგნიტურ ლინგვისტიკაში.

შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია განვიხილოთ ვეუბიცკასა და ლაკოფის შეხედულებები კოგნიტური ლინგვისტიკისა და ლინგვისტურ რელატივიზმის მიმართემის საკითხთან დაკავშირებით.

მიუხედავად ინტერპრეტაციული მოდელების არსებობისა, ლინგვისტური რელატივიზმი არ არის კოგნიტური ლინგვისტიკის კვლევის ძირითადი საგანი. თუმცა, ბევრი ცნება, რომელიც იძებნება კოგნიტური ლინგვისტიკის საზღვრებში იმპლიციტურად დაკავშირებულია

ლინგვისტურ რელატივიზმთან. თუ ვამბობთ, რომ სიტყვები და გრამატიკული კონსტრუქციები ხასიათდება ლექსიკური, ფოკალური ან ეტიმოლოგიური მოდელით, მაშინ შეგვეძლება გავაკეთოთ ლინგვისტური რელატივისტური დასკვნები.

მხოლოდ რამდენიმე მეცნიერისათვის, რომელიც მუშაობენ კონგიტურ ლინგვისტიკაზე, ლინგვისტური რელატივიზმი ექსპლიციტურად მნიშველოვანი საგანია - მათ შორის, ლაკოფისთვისაც. ლაკოფი საკუთარ ნაშრომში „უორფი და რელატივიზმი“ ასახელებს მნიშველოვან არგუმენტს ლინგვისტური რელატივიზმის სასარგებლოდ. დიდი რაოდენობის ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით და სხვადასხვა განზომილებათა დეტალური ანალიზის მეშვეობით, ის ასკვნის შემდეგს: „ვარ მე რელატივისტი? მე მაქვს შეხედულებები, რომლებიც ახასიათებენ რელატივიზმის ასობით ფორმაში ” (Lakoff / ლაკოფი, 1987, გვ. 334).

კიდევ უფრო მნიშველოვან როლს თამაშობს ლინგვისტური რელატივიზმი ვეუბიცკას ნაშრომებში. მისთვის ლინგვისტური რელატივიზმი არის დომენი, სადაც მისი ემპირიული კვლევები ხორციელდება. მისი კვლევა ეხება უფრო მეტს, ვიდრე მხოლოდ ენასა და კოგნიტურ განსხვავებებს ევროპაში. მისი რელატივისტური დასკვნები მეტად საინტერესოა. ვეუბიცკას ნაშრომებში კოგნიტური თვისებები, რომლებიც ჩვეულებრივ მიეკუთვნება ინდივიდებს, განხილულია კოლექტივის დამახასიათებელ თვისებებად. ამ კონტექსტში ლექსიკური და ფოკალური მოდელები რელატივისტური დასკვნების მთავარი ბერკეტია.

ვერუბიცკას კვლევების დიდი ნაწილი ეხება ლექსიკურ მნიშველობებს. ის აგრეთვე გვთავაზობს სიტყვათა მნიშველობათა ანალიზს სხვადასხვა ენაში. ასეთი ერთ-ერთი სიტყვაა “ ბედნიერი “. ინგლისურ ენაში „ბედნიერი“ - ს, განსხვავებით გერმანული და ფრანგული ენებისაგან, სუსტი მნიშველობა აქვს, რაც შედეგია „ანგლო-საქსონური ტრადიციისა, რომლის მიხედვითაც დადებითად არ ფასდებოდა ემოციის ჩვენება“ (დირვენი & ვერსფუარი, 1999, გვ. 168).

კონგიტურ ლინგვისტიკასთან დაკავშირებით არსებობს დიდი წინააღმდეგობები. კრიტიკულ შენიშვნებს შორის, ემპირიული მიდგომა ცენტრალური ხასიათისაა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება აღინიშნოს ორი სახის კრიტიკული მიდგომა: 1. ექსტრაპოლაციის კრიტიკა ენიდან აზროვნებამდე და 2. ექსტრაპოლირებადი ენობრივი შეხედულებების კრიტიკა.

მრავალი მიზეზი არსებობს იმისათვის, რომ ყოველთვის არ ვივარაუდოთ, რომ ენასა და აზროვნებას შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ცნებები და აზროვნების მოდელები დიდად განსხვავდება ერთსა და იმავე ენაზე მოსაუბრეთა ჯგუფის შორის. ამასთანავე, ურთიერთობა მნიშვნელობასა და ცნებას შორის პრობლემურია.

მე-20 საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა ექსტრაპოლაციები ემპირიული ტესტირების გარეშე. კოგნიტური ლინგვისტიკა გვიჩვენებს ამ სიტუაციის ორ მხარეს. ერთი მხრივ, ლინგვისტური რელატივიზმი ექვემდებარება ფართო ემპირიულ კვლევას; მეორე მხრივ, კოგნიტურ ლინგვისტიკაში, როგორც ჩანს, არსებობს არასასურველი ექსტრაპოლაცია, რაც გამომდინარეობს მისი მნიშვნელობისა და კონცეფციის თვითმყოფადობის ცენტრალური წინაპირობიდან.

შემუშავებულია ემპირიული ტესტირების სხვადასხვა მეთოდი მეტაფორების აქტუალობის დასადგენად (ტეილორი, 2002, გვ. 500). ამ მიდგომას გააჩნია შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი, მაგრამ მიზანი ყოველთვის ერთია: ეტიმოლოგიურად განსაზღვრული კონცეპტუალიზაციის თავიდან აცილება იმისათვის, რომ არასწორად მოხდეს მათი გამოყენება ენის მატარებლის მიერ (გერარტსი & გრონდელერი, 1995).

მიუხედავად იმისა, რომ კოგნიტური ლინგვისტიკა შემუშავდა სოსიურის იდეებზე დაყრდნობით, სოსიურის მნიშვნელობის ხედვა მოიცავს ლინგვისტური რელატივიზმის გარკვეულ ფორმას (ტრიროტან ერთად). ყველა ინტერპრეტაციული მოდელი, რომელიც მხარს უჭერდა ლინგვისტურ რელატივიზმს სოსიურის იდეების წინაშე უძლური აღმოჩნდა.

რაც შეეხება ლექსიკურ მოდელს, შეიძლება ვფიქრობთ, რომ პოზიტიური განვითარება შეიმჩნევა. ჩვენ დავინახეთ, რომ სოუსურის მკაცრად დიფერენცირებული ლექსიკური სემანტიკა არ არის საკმაოდ დამაჯერებელი და მკაცრი გაგებით, ფაქტობრივად, არაფუნქციონალურია და პრაქტიკაში თანმიმდევრულად ვერ იქნა გამოყენებული.

ეტიმოლოგიური ნიმუშის ხელახლა დანერგვა, განსაკუთრებით მეტაფორულ კვლევებში, წარმოადგენს მე-19 საუკუნის ისტორიული აზროვნების ნიმუშის შეცვლას, რაც იწვევს დაბნეულობას მისი წარმოშობისა და გააზრების თვალსაზრისით. სოსიურის სინქრონიისა და დიაქრონიის მკაცრი განსხვავება არღვევს ამ მოდელს.

ფოკალური მოდელი, რომელსაც სოსიური არ ემხრობოდა, ბირთვისა და პერიფერულ მნიშვნელობებს შორის განსხვავების არარსებობის გამო, მნიშვნელოვნად დაბრუნდა კოგნიტურ ლინგვისტიკაში.

ასევე, გრამატიკული მოდელის დაბრუნებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული გაუგებრობები. სავარაუდოა, რომ გრამატიკული ელემენტები მნიშვნელოვან შემეცნებით როლს ასრულებენ. ამ დაკვირვებებს შეუძლია წვლილის შეტანა სემანტიკის საფუძვლებთან დაკავშირებით არსებულ მსჯელობაში. გარდა ამისა, ისინი კიდევ ერთხელ ამტკიცებენ, რომ ენათმეცნიერების ისტორიის ახლებურმა გააზრებამ შეიძლება ახალი შუქი მოჰფინოს დღევანდელ პრობლემებს.

## თავი II. კვლევის მეთოდოლოგია

### 2.1. პარადიგმა - აკუმულირებული ცოდნის სისტემა

პარადიგმაზე მსჯელობისას უნდა მივმართოთ კუნის ნააზრევს:

1. პარადიგმა წარმოადგენს აკუმულირებულ ცოდნათა სისტემას: პარადიგმის ფარგლებში მიღებული მონაცემები რეკურენტული, განზოგადებული, უწინ მიღებულ მონაცემთა დამაზუსტებელი ან უარმყოფელია;
2. პარადიგმის მაფორმირებელ იდეათა სისტემა უნდა იყოს მიმზიდველი, მეცნიერთა უმრავლესობის მიერ აღიარებული და არატრივიალური;
3. პარადიგმებს ინტედისციპლინარული ხასიათი აქვს;
4. პარადიგმისადმი მიკუთვნებულობა ვლინდება არა მხოლოდ კვლევის მეთოდების, არამედ მეტაენის ერთობაშიც, ასევე აზრის წარმოდგენის სტილისტიკაშიც;
5. ახალი პარადიგმა თვისებრივად გარდაქმნის მეცნიერულ წარმოსახვას და სძენს კვლევას სიახლის პათოსს (Percival / ფერსივალი, 1976).

როგორ უნდა დავადგინოთ ლინგვისტურ მიმართულებათაგან რომელია ძველი და რომელი - ახალი. როგორც ჩანს ძველ და ახალ ლინგვისტურ მიმართულებათა შორის არსებული განსხვავება ჰგავს ახალ სიტყვებსა და ნეოლოგიზმებს შორის არსებულ სხვაობას.

ნეოლოგიამი, ახალი სიტყვისაგან განსხვავებით, ცვლადია დროში და რელატიურია: სიტყვა ინარჩუნებს ნეოლოგიზმის სტაუსს მანამდე, სანამ მეტყველი სუბიექტები მასში სიახლეს გრძნობენ.

მეცნიერულ პარადიგმათა ცვლამ მნიშვნელოვნად შეცვლა ენის ლინგვისტური „სახე“. გაჩნდა ენისა და ენასთან დაკავშირებულ მოვლენათა ახალი იპოსტასები.

სწორედ ამიტომ გააჩნია თანამედროვე ლინგვისტიკას რამდენიმე საგანი. თითოეული ლინგვისტური დისციპლინა აკანონებს ენის განსაზღვრულ „სახეს“ ენის ხედვის საკუთარი პრინციპების შესაბამისად.

ცნობილია, რომ ადამიანს არ აქვს სამყაროსთან უშუალო შეხება. ადამიანის სამყაროსთან უერთიერთობა ენითაა გაშუალებული. აღწერს რა ენას, ლინგვისტი ახდენს მის ინტერპრეტირებას საკუთარი პოზიციის გათვალისწინებით.

ლინგვისტიკის მიზანს წარმოადგენს ენის ობიექტური და ყოვლისმომცველი აღწერა. რამდენადაც ცოდნა ენის შესახებ რელატიურია, ამდენად, ლინგვისტური წარმოდგენები მეტ-ნაკლებად სრულყოფილია, სხვა სიტყვებით, ლინგვისტური წარმოდგენები ენობრივი სინამდვილის შესახებ მეტ-ნაკლებად ადეკვატურია. სრულყოფილობისა და ადეკვატურობის მეტ-ნაკლებობა გულისხმობს შემდეგ ფაქტს: ენას, როგორც რეალობასა და ენის შესახებ ლინგვისტურ კვლევებში ფიქსირებულ წარმოდგენებს შორის არსებობს გარკვეული დაშორება.

თითოეული „ახალი“ ლინგვისტიკა დამოუკიდებელია. თითოეულ ლინგვისტურ მიმართულებებს აქვს თავისი ობიექტი, საგანი, მეთოდები, ანალიზის ხერხები და თეორიული დებულებები. რაც შეეხება თეორიულ-მეთოდოლოგიურ ბაზას, მისი სპეციფიკა სრულად დეტერმინირებულია იმ ფაქტით, თუ რომელ პარადიგმაში შედის დისციპლინა. თანამედროვე ლინგვისტიკის პოლიპარადიგმული სტატუსი განპირობებული დიდი“ და „მცირე“ პარადიგმების არსებობით.

დომინანტური, „დიდი“ პარადიგმა ანთროპოცენტრისტული პარადიგმა, რომელიც ანიჭებს თანამედროვე ლინგვისტიკას იმ პრობლემათა გადაჭრის შესაძლებლობას, რომლებიც ვლინდება მაშინ, როდესაც ამა თუ იმ მოვლენის ანალიზისას ათვლის წერტილს წარმოადგენს ადამიანი.

ანთროპოცენტრისტული პარადიგმა მოიცავს „მცირე“ პარადიგმებს, რომლებიც წარმოადგენს ანთროპოცენტრისტული პარადიგმის რეალიზაციას. ეს პარადიგმებია:

1. ნეოფუნქციონალური პარადიგმა, რომელის მახასიათებელსაც წარმოადგენს ენობრივი მოვლენებისადმი კოგნიტურ და კომუნიკაციურ მიდგომათა სინთეზი;
2. ლინგვოკუტუროლოგიური პარადიგმა, რომელიც ითვალისწინებს ენას კულტურასთან, ისტორიასა და ერის მენტალობასთან კავშირში;
3. ლინგვოსოციოლოგიური პარადიგმა, რომელიც ორიენტირებულია ენის საზოგადოებაში ფუნქციონირების კვლევაზე.

აღნიშნულ პარადიგმათა ანთროპოცენტრისტულ პარადიგმაში ჩართულობა განაპირობებს აღნიშნულ პარადიგმათა შორის საზღვრის ბუნდოვანებას.

ახალი ლინგვისტური მიმართულებები ერთიანდება პარადიგმებში, რამდენადაც ლინგვისტურ მიმართულებებათა ობიექტს წარმოადგენს ენის სხვადასხვა იპოსტასი:

1. ნეოფუნქციონალური პარადიგმა: ა) კოგნიტური: კოგნიტური ლინგვისტიკა, ლინგვოკონცეპტოლოგია, რეფლექსიური ლინგვისტიკა, სუგესტიური ლინგვისტიკა, ფსიქოლინგვისტიკა, ბიოლინგვისტიკა, კომპიუტერული ლინგვისტიკა; ბ) კომუნიკაციური: კომუნიკაციური ლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა, დისკურსოლოგია, კორპუსლინგვისტიკა, პარალინგვისტიკა;
2. ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმა: ლინგვოკულტუროლოგია, ეთნოლინგვისტიკა, გენდერული ლინგვისტიკა, ლინგვოპალეონტოლოგია, კულტურათაშორისი კომუნიკაცია;
3. ლინგვოსოციოლოგიური პარადიგმა: პოლიტიკური ლინგვისტიკა, ინტერნეტლინგვისტიკა, ეკოლინგვისტიკა, გენდერული ლინგვისტიკა.

იმ მრავალფეროვნებაში, რომელიც შეიმჩნევა ახალ ლინგვისტურ მიმართულებებში და, ერთი შეხედვით, მიუთითებს ამ მიმართულებათა სხვაობაზე, მაინც იკვეთება საერთო კონცეპტუალური მომენტები, რომელთაგან ერთ-ერთ დომინანტურს წარმოადგენს ტრიადა „ენა - ადამიანი - საზოგადოება“.

თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს:

1. მრავალფეროვნება, კვლევის ობიექტისა და საგნის მრავალგანზომილებიანობა;
2. პრინციპების სპეციფიკა (ნეოფუნქციონალიზმი, ანთროპოცენტრიზმი);
3. ახალი მეთოდოლოგიური ბაზა (ექსპანსიონიზმი, ინტეგრაციულობა, კულტუროცენტრიზმი, სოციოცენტრიზმი, დისკურსიულობა);
4. შედეგების თავისებურება (ექსპლონატორულობა, იზომორფიზმის ძიება ენასა და სხვა საგნობრივ სფეროებში, პლურალიზმი).

და ბოლოს, ყველა ლინგვისტური მიმართულების ფარგლებში განხორციელებულ კვლევებს აერთიანებს ორიენტაცია მეტყველ სუბიექტზე. თანამედროვე ლინგვისტურ მიმართულებებში დომინანტა არის ადამიანი - სამყაროსა და ენაში მოქმედი მთავარი პირი.

## 2.2. სინერგეტიკული პარადიგმის მეთოდოლოგიური პოტენციალი და ლინგვოსინერგეტიკა

ახალი პარადიგმის გაჩენა ამა თუ იმ სააზროვნო სივრცეში ყოველთვის იწვევს მნიშვნელოვან რეზონანსს ამ სააზროვნო სივრცის პრობლემურ სფეროში. რეზონანსულობა ვლინდება იმ პრობლემათა აქტუალიზაციაში, რომლებიც უწინ თავსდებოდა სააზროვნო სივრცის მარგინალურ სფეროში.

სინერგეტიკა უხსნის მკვლევარს ძალიან მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ პრობლემას, რომელიც მდგომარეობს რთულ სისტემათა კონსტრუირების სირთულესთან. სინერგეტიკა უსახავს მკვლევარს რთულის მარტივით აღწერის იმედს და ეს არ არის უსაფუძვლო იმედი. საქმე ისაა, რომ უკიდურესად რთული, მრავალგანზომილებიანი ელემენტი შეიძლება აღიწეროს არც თუ ისე მრავალრიცხოვანი იდეების მეშვეობით.

სინერგეტიკული პარადიგმა, ახალი ონტოლოგიითა და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტებით, იქცა ახალი მეცნიერული სურათის ბირთვად. სინერგეტიკული პარადიგმამ მისცა მკვლევარებს ახალი მიზნების დასახვის, მეცნიერული ძიების ახალი მიმართულების რეალიზაციის შესაძლებლობა.

სინერგეტიკული პარადიგმის ფორმირება და გავრცელება წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს - სინერგეტიკულმა პარადიგმამ მოშალა მკვეთრი საზღვარი განსხვავებულ სააზროვნო სივრცეთა შორის. ამ ფაქტმა კი უზრუნველყო სამყაროს უნივერსალური მეცნიერული სურათის კონსტრუირების შესაძლებლობა.

სინერგეტიკა მნიშვნელოვანია სწორედ თავისი მეთოდოლოგიური ასპექტის გათვალისწინებით. ჯერ კიდევ არ არის სრულად გააზრებული სამყაროს სინერგეტიკული ხედვის შესაძლებლობები. ეს შესაძლებლობები ეხება არა იმდენად პასუხების მიღების, რამდენადაც ახალი, არასტანდარტული შეკითხვების დასმის საშუალებათა უზრუნველყოფას. შეკითხვების დასმა კი უკიდურესად მნიშვნელოვანი მომენტია, ვინაიდან სწორედ შეკითხვებს ძალუძს კვლევის ახალ მიმართულებათა სტიმულირება.



სინერგეტიკა ორიენტირებულია არა არსებულზე, არამედ იმაზე, რაც წარმოიქმნება, სხვა სიტყვებით, სინერგეტიკა კონცენტრირებულია იმ მომენტებზე, რომელშიც უკავშირდება ქაოსიდან წესრიგის წარმოქმნას.

სინერგეტიკა, როგორც ინტერდისციპლინარული მიმართულება, შინაგანად პლურალისტურია - იგი მოიცავს მიდგომათა მრავალფეროვან რეპერტუარს. სინერგეტიკის ინტერდისციპლინარულობა შეიძლება გავიაზროთ როგორც სინერგეტიკის უნარი, ერთი მხრივ, შეავსოს დისციპლინათა შორის არსებული სივრცე, მეორე მხრივ კი, გამოავლინოს განსხვავებულთა გამაერთიანებელი პრინციპი.

სინერგეტიკა წარმოადგენს საკვლევ ფენომენზე ექსპერიმენტირების მეთოდს და არა წინასწარ განსაზღვრული მონაცემების მიღების ინსტრუმენტს. სინერგეტიკა ფენომენის ხედვის ის შესაძლებლობაა, რომელიც პასუხებს შეკითხვებზე თავად ფენომენისაგან ელის. როდესაც უახლოვდება ფენომენს სინერგეტიკული მიდგომით, მკვლევარი უნდა შეიარაღდეს მოთმინებით და დაელოდოს თუ „რა გამოვა“.

თუ თვალს გადავავლებთ სინერგეტიკის ფუძემდებლურ ცნებებს და მათ გამოვლინებას ენასა და მეტყველებაში, აღმოვაჩენთ, რომ ლინგვოსინერგეტიკა წარმოადგენს ლინგვისტიკის აქტუალურ მიმართულებას. თუმცა, ლინგვისტურ პარადიგმათა მრავალფეროვანი და ხშირად წინააღმდეგობრივი რეპერტუარის არსის, ასევე სხვადასხვა სკოლის მიერ პარადიგმათა ინტერპრეტაციების გააზრებისას, შეიძლება ჩამოგვიყალიბედეს შთაბეჭდილება ლინგვოსინერგეტიკის მარგინალურობის შესახებ. მაგრამ, თუ სწორად გავაცნობიერებთ მრავალფეროვნების მიზეზებს, ლინგვისტურ მოძღვრებათა წინააღმდეგობრიობასა და ლინგვოსინერგეტიკის უნარს პარადიგმათა ინტეგრაციისა, ჩამოგვიყალიბდება სრულიად საწინააღმდეგო შთაბეჭდილება.

დღეს არსებობს თვალსაზრისი, რომ თანამედროვე ლინგვისტიკა წარმოადგენს სხვადასხვა მეთოდოლოგიისა და მეცნიერული პარადიგმის ეკლექტიკურ სიმბიოზს და რომ ინტეგრაციის პროცესზე გაბატონდა დიფერენციაციის პროცესი. დიახ, ლინგვისტები მუდმივად ემიჯნებიან „რალაცას“ და ანადგურებენ მოწინააღმდეგეს ფრაზით „ეს არ არის ლინგვისტიკა!“ ერთი რამ აშკარაა: თანამედროვე ლინგვისტიკაში მიმდინარე პროცესებში იკვეთება თვითრეფლექსიისაკენ სწრაფვა, სხვა სიტყვებით, იკვეთება თანამედროვე

ლინგვისტიკის მეთოდოლოგიური მიდომების გაცნობიერებისა და ამ მიდგომების საერთო მეცნიერულ მეთოდოლოგიასთან შესაბამისობა/შეუსაბამობის დადგენის მცდელობები.

უნდა ვაღიაროთ, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა წარმომადგენლებისაგან განსხვავებით, ჰუმანიტარები არც ისე ხშირად მსჯელობენ იმ მეთოდებსა და პროცედურებზე, რომლებსაც მუდმივად იყენებენ. ლინგვისტები არც ისე ხშირად ფიქრობენ იმის შესახებ, თუ რატომ არის ერთი დებულება ჭეშმარიტი და მეორე - საეჭვო. ასევე იშვიათად კავდებიან ლინგვისტები ერთი დებულების მეორეზე დომინირებისა და ღირებულებით ორიენტაციათა ცვლის მიზეზის ძიებით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, თუ რა რაკურსით შევხედავთ თანამედროვე ლინგვისტიკის მეთოდოლოგიური ბაზის არასრულყოფილებას, ვინაიდან სწორედ ამაზე დამოკიდებული, თუ როგორი იქნება აღნიშნული ბაზის განვითარების პროგნოზი. განვითარების მაქსიმალურად ოპტიმისტური პროგნოზი კი შეიძლება წარმოვიდგინოთ იდეალური მეთოდოლოგიის სახით, რომელიც უზრუნველყოფს პასუხების მოძიებას ისეთ შეკითხვებზე, როგორცაა: „რა უნდა შევისწავლოთ?“, „როგორ უნდა შევისწავლოთ?“, „რატომ არის ღირებული ამის და არა სხვა რამის შესწავლა?“.

ლინგვისტებს ჯერაც არ აქვთ იდეალური მეთოდოლოგია, თუმცა სრულად აცნობიერებენ მის აუცილებლობას. ა. კიბრიკმა ლინგვისტიკის ყველაზე სასურველი მომავალი აღწერა როგორც გადასვლა „რა-ლინგვისტიკიდან“ (სტრუქტურათა აღწერა) „როგორ-ლინგვისტიკაზე“ (პროცესების აღწერა) და შემდეგ „რატომ-ლინგვისტიკაზე“.

ამრიგად, ლინგვისტიკის იდეალურ მომავალში უნდა შეიქმნას „რატომ-მეცნიერება“, გადაილახოს რედუქციონიზმი და შემცირდეს განმარტებათა „სიზუსტის“ იმპორტი სხვა მეცნიერებებიდან. ლინგვისინერგეტიკა ამკარად აცხადებს პრეტენზიას „რატომ-ლინგვისტიკაზე“ და, რაც მთავარია, ამ პრეტენზიას აქვს ობიექტური საფუძველი.

### 2.3. პარადიგმათა სინთეზირების პროცესი - ჰოლისტური ხედვის აქტუალიზაცია

პარადიგმათა მექანიკური „შეერთება“ ვერ უზრუნველყოფს პარადიგმათა სინთეზს, ვინაიდან მექანიკური "შეერთების" პროცედურები არ წარმოადგენს ფენომენის მთლიანობრივი ხედვის საკმარის პირობას. აღნიშნული ხედვის აუცილებელ და საკმარის პირობას წარმოადგენს ინტერპარადიგმული სინთეზის განხორციელება, რაც გულისხმობს:

1. სინთეზური მეთოდოლოგიის შინაარსის ანალიზს - თითოეული პარადიგმის მიერ დაწესებულ შეზღუდვათა ინტერპრეტაციას;
2. თითოეული პარადიგმისათვის რელევანტურ მონაცემთა ინტეგრაციას, რომელიც სრულად ეყრდნობა პარადიგმებისათვის საერთო თეორიულ დამშვებებს.

პარადიგმათა მიერ დაწესებული შეზღუდვები წარმოადგენს პარადიგმათა დიფერენციალურ ნიშნებს. სწორედ აღნიშნული ნიშანთა გაერთიანება წარმოადგენს პარადიგმათა სინთეზირების ძირითად პრობლემას. გაერთიანების ადეკვატურობის პრობლემა კი ასოცირდება დიფერენციალთა საერთო მნიშვნელის იდენტიფიცირებასთან.

პარადიგმათა (სისტემურ-სტრუქტურული და ანთროპოცენტრისტული პარადიგმები) სინთეზირება გულისხმობს დიფერენციალური ნიშნების ფონზე ინტეგრალური ნიშნის იდენტიფიცირების პროცესს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რა განსხვავებები ფიქსირდება ენისადმი იმანენტურ და არაიმანენტურ მიდგომებში მსგავსების ძიების პროცესში?

ის დიფერენციალური ნიშანი, რომელიც ასოცირდება კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის მახასიათებლებთან, შემდეგში მდგომარეობს: კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს წმინდა აზროვნების სფეროს, რომელიც შედგება კონცეპტებისაგან. ენის სემანტიკური სივრცე კი კონცეპტუალური სფეროს ის ნაწილია, რომელიც იძენს გამოხატულებას ენობრივი ნიშნების, მნიშვნელობების მეშვეობით.

კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის დიფერენციალურ ნიშანთა განსაზღვრის პრობლემა, პრინციპში, გულისხმობს ანალიზის კონცეპტუალური და სემანტიკური ტიპების დიფერენციალურ ნიშანთა განსაზღვრის პრობლემას.

კონცეპტუალური სფეროსა და ენის სემანტიკური სივრცის დიფერენციალურ ნიშნის არსი შემდეგში მდგომარეობს: კონცეპტუალური ანალიზი ორიენტირებულია კონცეპტის

მოდელირებასა და მის სხვა კონცეპტებთან არსებულ მიმართებათა გამოვლენაზე. აღნიშნულ მიმართებათა იდენტიფიცირება იძლევა არა მხოლოდ ცალკეული სიტყვის არსის აღწერის, არამედ მთელი კონცეპტუალური ველისა და მასში ინტეგრირებულ ელემენტთა მიმართებების სპეციფიკის განსაზღვრის შესაძლებლობას.

რაც შეეხება სემანტიკურ ანალიზს, მისი არსი სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ექსპლიკაციაში მდგომარეობს. სემანტიკური ანალიზი ორიენტირებულია სიტყვის ახსნაზე, რაც მიღწევადია სიტყვის დენოტატური, სიგნიფიკატური და კონოტაციური მნიშვნელობების დაზუსტებით.

ის დიფერენციალური ნიშანი, რომელიც ეხება კონცეპტისა და მნიშვნელობის მახასიათებლებს, შემდეგში მდგომარეობს: კონცეპტი ადამიანის კოგნიტური ცნობიერების პროდუქტია, მნიშვნელობა კი – ენობრივი ცნობიერების. კონცეპტი უფრო ფართოა, ვიდრე სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა - მნიშვნელობა კონცეპტის ნაწილია.

წარმოადგენს რა სემანტიკური სივრცის ელემენტს, ენობრივი მნიშვნელობა მიბმულია ენობრივ ნიშანთან, ხოლო კონცეპტი კი, როგორც კონცეპტუალური სფეროს ელემენტი, შეიძლება იყოს და არც იყოს გამოხატული ენობრივი ნიშნით - კონცეპტის სიტყვიერი ნომინაცია არ წარმოადგენს კონცეპტის არსებობის აუცილებელ პირობას.

სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისატულ პარადიგმათა აღნიშნული დიფერენციალური ნიშნების განზოგადების შედეგად ყალიბდება ერთი დიფერენციალური ნიშანი, რომლის არსიც აზროვნებისა და ვერბალიზაციის მექანიზმთა განსხვავებაში მდგომარეობს.

რა წარმოადგენს განსხვავებულთა მსგავსების საფუძველს, უფრო ზუსტად კი, სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისატულ პარადიგმათა სინთეზირების საფუძველს? - სინთეზირების შესაძლებლობას იძლევა შემდეგი ფაქტორები:

ენის სემანტიკურ სივრცეში ინტეგრირებულ ელემენტთა კავშირები ასახავს კონცეპტუალურ სფეროში ინტეგრირებულ კონცეპტთა მიმართებებს.

მართალია, კონცეპტუალური სფერო გაცილებით უფრო მოცულობითი ნაწილია, ვიდრე მისი ენობრივი საშუალებებით გამოხატული ნაწილი, თუმცა სწორედ ენობრივ ნიშანთა

სემანტიკაზე გადის ადამიანის კონცეპტუალურ სფერომდე მისასვლელი გზა - სწორედ ენობრივი მნიშვნელობებით ხორციელდება კონცეპტის ობიექტივიზაცია ენაში.

სისტემურ-სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა აღნიშნული ინტეგრალური ნიშნების განზოგადების შედეგად ყალიბდება ერთი ინტეგრალური ნიშანი, რომლის არსიც შემდგენიარად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ორივე - კონცეპტიც და მნიშვნელობაც - ასახავს სინამდვილეს.

კონცეპტის კვლევის ფარგლებში აღნიშნულ პარადიგმათა შორის არსებული მიმართების სპეციფიკის გამოვლენაზე ორიენტირებული კვლევის განხორციელება გულისხმობს პარადიგმათა ერთმანეთის მიმართ დომინანტურობა/არადომინანტურობის არსებობა/არარსებობის ფაქტის გამოვლენას.

მეთოდოლოგიის შინაგან იერარქიულობაზე მსჯელობა თავისთავად გვიბიძგებს, დომინანტურად/არადომინანტურად მივიჩნიოთ დიადის რომელიმე წევრი (სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმა - ანთროპოცენტრისტული პარადიგმა). ეს კი არღვევს ინტერპარადიგმულობის არსს. რა თქმა უნდა, დიადის ორივე წევრი თანაბარღირებულებიანია.

სწორედ თანაბარღირებულებიან წევრთა სინთეზირების შედეგად წარმოიშობა სინერგეტიკული პარადიგმა.

ლინგვისტური მეთოდოლოგია განიცდის უწყვეტ ტრანსფორმაციას და სწორედ ეს ფაქტი მიუთითებს აღნიშნული მეთოდოლოგიის დინამიზმზე. სწორედ, დინამიზმი უზრუნველყოფს ახალი პარადიგმის - სინერგეტიკული პარადიგმის - აქტივიზაციას სისტემურ - სტრუქტურულ და ანთროპოცენტრისტულ პარადიგმათა სინთეზირების შედეგად.

ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის შიდა სტრუქტურის განსაზღვრისას თავს იჩენს ამ სტრუქტურის შინაგანი იერარქიულობა/არაიერარქიულობის არსებობა/არარსების გამოვლენის პრობლემა.

მეთოდოლოგიის შინაგან იერარქიულობაზე მსჯელობა თავისთავად გვიბიძგებს, დომინანტურად/არადომინანტურად მივიჩნიოთ დიადის რომელიმე წევრი (სისტემურ-

სტრუქტურული პარადიგმა - ანთროპოცენტრისტული პარადიგმა). ეს კი არღვევს ინტერპარადიგმულობის არსს. რა თქმა უნდა, დიადის ორივე წევრი თანაბარდირებულეებიანია.

ნებისმიერი სტრუქტურული თავისებურების განსაზღვრისათვის საჭიროა თვალსაზრისთა წინასწარ მოცემულობა. ჩვენ ვეყრდნობით თვალსაზრისს, რომლის თანახმადაც, ექსტენსიურობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა და იერარქიული პირველობა ენიჭება სინერგიულობას.

რამდენადაც ვაღიარებთ სინერგეტიკული პარადიგმის დომინანტურობას და ვაცნობიერებთ, რომ სინერგეტიკული პარადიგმა გულისხმობს ნებისმიერი ფენომენის სინერგიულ ფაქტად თუ პროცესად განხილვას, ამდენად „კონცეპტს“ ვიკვლევთ როგორც სინერგიულობის ფენომენს.

ზემოთ განვითარებულმა მსჯელობამ გამოკვეთა ჩვენი კვლევისათვის რელევანტური მეთოდოლოგიის დომინანტური პარადიგმა – სინერგეტიკული პარადიგმა.

მაშ ასე, სინერგეტიკული პარადიგმა წარმოადგენს ინტერპარადიგმული მეთოდოლოგიის აუცილებელ კომპონენტს. სინერგეტიკული პარადიგმა იძენს უნივერსალურ სტატუსს - მისი გააზრება ხდება როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარულ სფეროში.

აქ შეგვიძლია პარალელი გაგავლოთ სინერგიულობისა და ველის ცნებებს შორის. ველის ცნებაც გენეტიკურად უკავშირდება ბუნებისმეტყველების სფეროს, კერძოდ კი, ფიზიკის სფეროს, თუმცა დღეს აქტიურად გამოიყენება ჰუმანიტარულ აზროვნებაში, განსაკუთრებით კი, ლინგვისტიკაში. სინერგიულობისა და ველის ცნებებს შორის არსებული გენეტიკური და ფუნქციური პარალელი იძლევა სინერგიულობის უკეთ წვდომის შესაძლებლობას.

სინერგიულობის უკეთ წვდომის შესაძლებლობაში კი შემდეგს ვგულისხმობთ: საქმე ისაა, რომ არ არის საკმარისი სინერგიულობის როგორც საბუნებისმეტყველო წარმოშობის კონცეპტის შენარჩუნება ჰუმანიტარულ სფეროში – საჭიროა მისი ტრანსფორმაცია, მაგრამ აღნიშნული ტრანსფორმაცია არ უნდა მოხდეს ავტომატურად, სხვა სიტყვებით, არ უნდა მოხდეს სინერგიულობის ფიზიკური ხედვის ავტომატური ტრანსპოზიცია ლინგვისტიკის სააზროვნო სივრცეში. ეს ტრანსპოზიცია მოითხოვს მნიშვნელოვან კონცეპტუალურ

ძალისხმევას - სინერგიული ატრიბუტიკის შენარჩუნებასა და მისი ჰუმანიტარულ - ლინგვისტური შინაარსის დატვირთვას.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს ტრანსფორმირებული სინერგიულობის ცნება ისე, რომ მან მთლიანად შეინარჩუნოს საკუთარი ატრიბუტიკა და, ამავე დროს, მიანიჭოს ამ ატრიბუტიკას ლინგვისტური სტატუსი? - აქ არსებობს ერთი პირობა: რამდენადაც ლინგვისტურ აზროვნებაში სინერგიულობის ცნება ტრანსპონირებულია საბუნებისმეტყველო სფეროდან, ბუნებრივია, რომ მასზე დაყრდნობა ნებისმიერი ლინგვისტური კვლევის პროცესში უნდა გულისხმობდეს ისეთსავე შინაარსობრივ ტრანსფორმაციას, როგორც განიცადა ველის ცნებამ.

აქედან გამომდინარე, გვაქვს უფლება ვთქვათ, რომ ჩვენ არა მხოლოდ ვიღებთ და ვიყენებთ სინერგიულობას იმ სახით, რომლითაც იგი ფუნქციონირებს თანამედროვე მეცნიერულ აზროვნებაში, არამედ ვახდენთ მის ტრანსფორმაციას - შინაარსობრივად ვუთავსებთ მას ველის პრინციპით ნაგულისხმებ შინაარსს.

#### 2.4. ანალიზის მეთოდები

ტერმინი „ანალიზი“ ფართოდ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებასა და სხვადასხვა მეცნიერებებში. ამ ტერმინის გამოყენებას დიდი ისტორია აქვს და, შესაბამისად, მისი მნიშვნელობის ზუსტი და ამომწურავი შესწავლა და მიმოხილვა შეუძლებელია.

„კონცეპტუალური ანალიზი“ ანალიზის ერთ - ერთი ფორმაა. თანამედროვე ფილოსოფიაში კონცეპტუალური ანალიზის აღმოცენება დაკავშირებულია ისეთ მეცნიერებთან, როგორებიც არიან: მური, რასელი, ვიტგენშტეინი. რა თქმა უნდა, ეს ფილოსოფოსები არ იყვნენ პირველნი, რომელთაც შემოგვთავაზეს კონცეპტუალური ანალიზი (Earl / ერლი, 2005) და არც პირველებს გამოუყენებიათ კონცეპტუალური ანალიზი (Beaney / ბინი, 2007), მაგრამ ისინი მიზნად ისახავდნენ ამგვარი ანალიზის განხორციელებას სხვადასხვა კონცეპტების შესწავლის დროს. კონცეპტუალური ანალიზის ძირითად როლს წარმოადგენს ფილოსოფიაში ე.წ. „ანალიტიკური ფილოსოფიის“ აღმოცენება.

ჩვენი მიზანია კონცეპტუალური ანალიზის სხვადასხვა მახასიათებლების დადგენა, მიმოხილვა და მისი პრაქტიკული გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ კონცეპტუალური ანალიზის კველვა არის როგორც აღწერილობითი, ისე მეთოდოლოგიური. შეგვიძლია განვიხილოთ კონცეპტუალური ანალიზის სამი ძირითადი ფორმა: კონსტრუქციული, რედუქციული და დეტექტირების ანალიზის ფორმები.

კონცეპტუალური ანალიზის მეშვეობით სხვადასხვა ტიპის კონცეპტებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაა შესაძლებელი. განვიხილავთ კონცეპტუალური ანალიზის სამ განსხვავებულ მეთოდს, რომლებიც მიზნად ისახავენ ენის შესახებ ცოდნის აკუმულირებას.

რას ნიშნავს ენის შესახებ ცოდნის აკუმულირება? არ უნდა იცოდეს მოსაუბრემ საკუთარი ენა? ეპისტემური შეხედულებიდან გამომდინარე ეს კითხვა ძალიან საკამათოა, რადგან ადამიანი შესაძლოა იყოს კომპეტენტური მოსაუბრე და სავსებით არ იცოდეს ენის სისწორის თეორია. (Chalmers / შალმერსი, 2004; Jackson / ჯექსონი, 2013).

კონსტრუქციული ანალიზის პრობლემას წარმოადგენს იმ ურთიერთობის არსის გარკვევა, რაც არსებობს კონკრეტულ ტერმინებსა და კონცეპტებს შორის ენის კონცეპტუალური თეორიის ფარგლებში. კონსტრუქციული ანალიზი მიზნად ისახავს ჩვენი კონცეპტუალური ცოდნის გაფართოებას ან ახალი ურთიერთობის სრულყოფას ან იმის გაცხადებას, რომ უკვე არსებობს გარკვეული კავშირი ენის დაუკავშირებელ ნაწილებს შორის.

ამგვარად, კონსტრუქციული ანალიზი საშუალებას იძლევა გავეცნოთ იმ ტერმინებსა და კონცეპტებს, რომლის ნაკლებობასაც განვიცდით კონცეპტუალური თეორიის ფარგლებში. ცხადია, გარკვეული განმარტებები (კერძოდ, პრესკრიპტიული), მჭიდროდ დაკავშირებული იქნება კონსტრუქციული ანალიზის შედეგებთან (გარდა იმ მაგალითების, რომლებიც უკავშირდებიან ექსპლიკაციას).

მართებული კონსტრუქციული ანალიზი უნდა ეფუძნებოდეს თავდაპირველ ექსპლიციტურ - კონცეპტუალურ თეორიას. კონსტრუქციული ანალიზი მართებულად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ კონცეპტუალური თეორიის შედეგად მიღებულმა ცვლილებამ გავლენა არ მოახდინა უკვე არსებული თეორიის მიერ კონკრეტული ქსელის შიგნით დადგენილ ურთიერთობებზე. სხვა სიტყვებით, ახალი კონცეპტუალური თეორია, რომელიც სწორი



კონსტრუქციული ანალიზის შედეგია, განიხილავს საწყის კონცეპტუალურ თეორიას საკუთარ ქვეკატეგორიად.

კონსტრუქციული ანალიზი თანმიმდევრულია, თუ კონცეპტუალური თეორიის ცვლილება ფიქსირდება საწყის კონცეპტუალურ თეორიაში უკვე წარმოდგენილი მასალის გამოყენებით. ამრიგად, თანმიმდევრული კონსტრუქციული ანალიზი ან არ ასახავს რაიმე ახალ კონცეპტებს ან / და ტერმინებს თეორიაში, ან არ ასაბუთებს ახალ ურთიერთობას. კონსტრუქციული ანალიზი ყოველთვის არ უნდა იყოს თანმიმდევრული.

კონცეპტუალური თეორიის სრულყოფის მცდელობა შესაძლოა ეფუძნებოდეს არსებული ან ახალი კავშირების დადგენას, რომლებსაც გააჩნიათ იმპლიციტურობა.

კონსტრუქციული ანალიზი ნათლად ცვლის ენის კონცეპტუალურ თეორიის არსს იმ ახალი კავშირების კონსტრუქციებით, რომლებიც თავდაპირველად არ იყო ექსპლიციტური. მსგავსი პრაქტიკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ფართოდ განხილული მაგალითი ცნობილია, როგორც „რუსელის დენოტირება“ (Russell / რასელი, 1905). სოამსის მიხედვით, არსებულმა კვლევამ საფუძველი დაუდო თანამედროვე ანალიტიკურ ფილოსოფიას (Soames / სოამსი 2003, 127), რომლის მეშვეობითაც რასელი გვთავაზობს წინდებულების მნიშვნელობის თეორიას, რაც მოიცავს დენოტირებად ტერმინებს. ამავდროულად, რასელი გვთავაზობს შეზღუდული დესკრიფციების თეორიას, რომლის მიხედვითაც დენოტირებადი ტერმინები მოიცავს განსაზღვრულ არტიკლს, როგორც ძირითად კვანტიფიკატორს.

არსებულ ნაშრომში ჩვენ არ განვიხილავთ არსებული თეორიის სისწორეს ან მასში არსებულ უზუსტობებს. ჩვენი მიზანია არსებული თეორიის მეთოდოლოგიური მხარის შესწავლა და განსაზღვრა.

რასელის ახალი თეორიის მიხედვით, განსაზღვრულ დესკრიპტორებს არ გააჩნიათ საკუთარი მნიშვნელობა. ისინი შეიძლება განიხილებოდნენ როგორც ენის კონცეპტუალური თეორიის შეზღუდვის მექანიზმები.

ამ თეორიის თანახმად, ენა არ მოიცავს ისეთ დენოტირებად ტერმინებს, როგორებიცაა თვითმნიშვნელობის მქონე ენობრივი ტერმინები, თუმცა ის შეიძლება მოიცავდეს კომპლექსური ტერმინების შემადგენელ დენოტირებად ტერმინებს. უნდა აღინიშნოს, რომ

რასელის ანალიზი არ ამდიდრებს კონცეპტუალურ თეორიას ახალი კონცეპტით. პირიქით, წარმოქმნის ახალ კავშირს, რომელიც არსებობს ენაში.

კონსტრუქციული ანალიზის მოდელი შემდეგნაირად გამოიყურება:

1. კონცეპტუალური გამოცდილების განსაზღვრა;
2. კონცეპტუალური პრობლემის ფორმულირება;
3. ახალი კონცეპტუალური კავშირის დადგენა;
4. კონცეპტუალური კავშირების ფორმულირება კონცეპტუალური გამოცდილების გათვალისწინებით;
5. ახალი კონცეპტუალური კავშირების შექმნა კონცეპტუალური გამოცდილების განსაზღვრის მეშვეობით;
6. თუ კავშირი ამართლებს ჩატარებული კვლევის შედეგებს, ის უნდა მივიჩნიოთ კონცეპტუალური გამოცდილების ნაწილად.

თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ კონსტრუქციული ანალიზის მეთოდი ნამდვილად კომპლექსური მეთოდია, რადგან იგი მოიცავს სხვა მეთოდებს, როგორც ცალკეულ ნაწილებს. შესაბამისად, შეგვიძლია განსხვავებულობის დადგენა კონსტრუქციულ ანალიზსა და არსებულ განმსაზღვრელ მეთოდს შორის. განმსაზღვრელი მეთოდის გარკვეულ ფორმებში ჩვენ ვიკვლევთ ჩვენს კონცეპტუალურ სისტემას და ვაყალიბებთ კავშირს განმსაზღვრელსა და განსაზღვრულს შორის. კონსტრუქციულ ანალიზში განსაზღვრის მეთოდი გამოიყენება ფართო კონტექსტში იმისათვის, რომ მოვახდინოთ გარკვეული პრობლემების იდენტიფიცირება და გადავჭრათ პრობლემათა გარკვეული ტიპები.

დეტექტირების ანალიზი არის ანალიზის ერთ-ერთი ტიპი, რომელიც ფილოსოფიაში გავრცელებულია პრაქტიკაა და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს კონკრეტული ენის კონცეპტებს შორის გარკვეულ ურთიერთობას. ვილიამსონის თანახმად, „ფილოსოფიური კითხვები კონცეპტუალური ბუნებისა“ (Williamson / უილიამსონი, 2007, გვ. 48).

ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ ენის ექსპლიციტურ და იმპლიციტურ კონცეპტუალურ თეორიებს, რაც წარმოშობს ბევრ ახალ კითხვას და აქედან გამომდინარე, წარმოადგენს ერთადერთ გზას ანალიზის შესაძლო პარადოქსთან გასამკლავებლად (Fumerton / ფამერტონი, 1983 ; Ackermann / აკერმენი, 1992).

ფილოსოფიაც ანალოგიურ მაგალითს გვთავაზობს. ჩვენი ცოდნის გამოყენებით ჩვენ კითხვის ნიშნის ქვეშ ვაყენებთ იმპლიციტური კონცეპტუალური ფაქტების არსებობას. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დეტექტირების ანალიზის პრობლემას წარმოადგენს შემდეგ კითხვაზე პასუხის გაცემა: არსებობს თუ არა გარკვეული კონცეპტუალური კავშირები კონცეპტუალური ქსელის შიგნით? ამ მეთოდის გამოყენებისას, ჩვენ არ ვსვამთ კითხვას იმ საკითხების შესახებ, რაც უკვე ვიცით და არც ექსპლიციტური კავშირების არსებობას ვეხებით. ჩვენ ვინტერესდებით შესაძლოა თუ არა ექსპლიციტურმა კონცეპტუალურმა თეორიამ შეიცვალოს ბუნება და გახდეს იმპლიციტური.

კონსტრუქციულ ანალიზსა და დეტექტირების ანალიზს შორის განსხვავება მდგომარეობს კონცეპტუალური თეორიის როლში და ამ როლის მნიშვნელობაში. კონსტრუქციული ანალიზი ინტერესდება იმ ცვლილებებით, რაც არსებობს ექსპლიციტური კონცეპტუალური თეორიის ფარგლებში.

თუმცა, დეტექტირების ანალიზის შედეგებმა შესაძლოა ხელი შეუწყოს კონსტრუქციული ანალიზის განვითარებას და მის ეფექტურ გამოყენებას; მაგალითად, ჩვენ შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ ჩვენი კონცეპტუალური ქსელი შედგება ეკვივალენტური ტერმინების მქონე ორი სფეროსაგან, რომლებიც ერთმანეთს არ უკავშირდებიან ექსპლიციტური ეკვივალენტურობის პრინციპით.

კიდევ ერთი განსხვავება კონსტრუქციულ ანალიზსა და დეტექტირების ანალიზს შორის გამოიხატება სწორი დეტექტირების ანალიზის მეთოდში, რომელმაც შესაძლოა მიგვიყვანოს ნეგატიურ შედეგამდე. ჩვენ შესაძლოა უბრალოდ შევექმნათ კონცეპტუალური ქსელი, რომელიც არ მოიცავს მოცემულ კონცეპტუალურ კავშირს და უარყოფს მას.

დეტექტირების ანალიზის მიზანია, დაადგინოს და შეისწავლოს ის მოცემულობა, რაც ფიქსირდება იმპლიციტური სახით კონცეპტუალურ თეორიაში. იმპლიციტურობის კონცეპტუალური თეორია ყალიბდება ლოგიკური კანონების ფარგლებში. დეტექტირების ანალიზსს შეუძლია წარმოადგინოს ფაქტების ფართო სპექტრი, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის კონცეპტებთან. მაგალითად, თუ ტერმინი A ეკვივალენტურია ტერმინის B და ტერმინი B ეკვივალენტურია ტერმინის C, მაშინ A ეკვივალენტურია ტერმინის C.

ზოგადად, დეტექტირების ანალიზი სვამს კითხვას იმის შესახებ შეგვიძლია თუ არა ზოგიერთი ტერმინის გამოყენება ჩვენთვის უკვე ნაცნობი ტერმინების გათვალისწინებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ამერიკელი ფილოსოფოსის - გეტერის სტატია, რომელიც დეტექტირების ანალიზის მოდელის შესახებ გვაწვდის მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გეტერის ანალიზის სისწორის დადგენა, ჩვენი მიზანი მეთოდოლოგიურია. მიუხედავად იმისა, რომ გეტერის ნაშრომი მხოლოდ სამ გვერდს მოიცავს, ის შედგება ერთზე მეტი დეტექტირების ანალიზისგან.

გეტერის მიხედვით, დეტექტირების ანალიზის მოდელი შედგება შემდეგი საფეხურებისაგან:

1. კონცეპტუალური თეორიის განსაზღვრა;
2. კონცეპტუალური პრობლემის განსაზღვრა თეორიის მიხედვით;
3. ლოგიკური ბარიერების დადგენა და განსაზღვრა;
4. კონცეპტუალური თეორიის გამოყენება და მისი შესაძლო საზღვრების გაფართოება;
5. პროცესის შესაძლო ნეგატიური შედეგის დადგენა;
6. პროცესის შესაძლო პოზიტიური შედეგის დადგენა იმ კავშირებზე დაყრდნობით, რომელსაც კონცეპტუალური თეორია მოიცავს.

რაც შეეხება რედუქციული ანალიზის მეთოდს, ამ ტიპის ანალიზის პრობლემას წარმოადგენს კითხვაზე პასუხის გაცემა - “ხდება თუ არა გარკვეული ენის ან თეორიის დაყვანა სხვა თეორიამდე ან ენამდე“?

ძირითადი განსხვავება კონსტრუქციული და დეტექტირების კონცეპტუალურ ანალიზს შორის მდგომარეობს შემდგომში: მაშინ, როდესაც ჩვენ ვიკვლევთ კავშირებს ენის სხვადასხვა ნაწილებს შორის, რედუქციულ კონცეპტუალურ ანალიზში ჩვენ ვსწავლობთ ორ ან მეტ კონცეპტუალურ ქსელს შორის არსებულ მიმართებებს.

რედუქციული კონცეპტუალური ანალიზის პრობლემა აღმოიფხვრება მაშინ თუ დავადგენთ შემდეგს: ფიქსირდება თუ არა კავშირი მოცემულ კონცეპტუალურ ქსელებს შორის, რომლებსაც ჩვენ ვიკვლევთ. ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ შესაძლო კავშირების არსებობა

ან დავასაბუთოთ შეხედულება, რომლის მიხედვითაც კონკრეტული კონცეპტუალური ქსელის მიღმა არსებობს გარკვეული ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ახალი კონცეპტების ინტეგრაციას არსებულ კონცეპტუალურ ქსელში.

ამ თავსაზრისით, რედუქციული კონცეპტუალური ანალიზის განსაზღვრა საშუალებას გავძლევს შევადაროთ კონსტრუქციული კვლევის ანალიზი დეტექტირების კვლევის ანალიზს. მაშინ, როდესაც დეტექტირების კვლევის ანალიზი სწავლობს ერთი კონცეპტუალური ქსელის მახასიათებლებს, რედუქციული კვლევის ანალიზი სწავლობს იმ კავშირს, რაც არსებობს ორ კონცეპტუალურ ქსელს შორის. ზოგადად, კონცეპტუალური ანალიზის მეთოდი გამოიყენება ენათა ექსპლიციტური კონცეპტუალური თეორიის შესაწავლისა და კონცეპტუალური ქსელის კვლევისას.

პრობლემა, რომელიც გვევლინება კონსტრუქციული კონცეპტუალური ანალიზის დროს, არის იმ კავშირის ნაკლებობა, რომელიც არსებობს ენის კონცეპტუალური თეორიის კონცეპტებს შორის. ამ ტიპის ანალიზი სწავლობს წინარე არსებულ კავშირებს კონცეპტუალურ თეორიაში და გვთავაზობს ახალ კავშირს, რომელიც უნდა შემოწმდეს.

პრობლემა, რომელიც გვევლინება დეტექტირების კონცეპტუალური ანალიზის დროს, არის კონცეპტუალური კავშირის არსებობის შესაძლებლობა კონცეპტუალური თეორიის იმპლიციტურ ნაწილში. იმპლიციტური კონცეპტუალური თეორიაში ინტერგირებულია ენის ექსპლიციტური კონცეპტუალური თეორიის გარკვეული კომპონენტები. დეტექტირების კონცეპტუალური ანალიზი გამოიყენება იმპლიციტური კონცეპტუალური თეორიის შესახებ არსებული ცოდნის ანალიზისა და სრულყოფისათვის.

პრობლემა, რომელსაც მივყავართ რედუქციულ კონცეპტუალურ ანალიზამდე, არის კონცეპტუალური კავშირის არსებობა სხვადასხვა ენებში. ექსპლიციტური კონცეპტუალური ქსელების ცოდნის მეშვეობით ჩვენ ვსწავლობთ შესაძლო კავშირებს ამ ქსელებს შორის. პრობლემა აღმოიფხვრება მხოლოდ მაშინ, როდესაც მსგავსი კვშირის ან / და კავშირების არსებობა მტკიცდება და მისი რეპრეზენტირება შესაძლებელია.

კონცეპტუალური ანალიზის ყველა მეთოდი იწყება ცოდნის შეგროვებით თვდაპირველი კონცეპტუალური სისტემების შესახებ. მკვლევარი შემდგომ ცვლის არსებულ ცოდნას

ინტუიციის გამოყენებით ან მიმართვს კონსტრუქციულ ნაბიჯებს, რომელთაც არ გააჩნიათ უარყოფითი გავლენა შესწავლილი კონცეპტუალური თეორიის მართებულობაზე.

### *თავი III. ენაში ასახული კონცეპტუალური სისტემა*

#### *3.1. ჰიპოთეზები, პრინციპები და მიდგომები*

ასახავს თუ არა ენაში არსებული სისტემური სტრუქტურა კონცეპტუალურ სისტემაში არსებულ სისტემურ სტრუქტურასაც?

კონკრეტული ლინგვისტები სწავლებენ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ჩვენი კონცეპტუალური სისტემების სტრუქტურა აისახება ენაში. თავის მხრივ, გონება ახდენს სამყაროს სტრუქტურირებასა და ორგანიზებას.

კონცეპტუალური სფერო წარმოადგენს კონცეპტუალური სისტემის ფარგლებში არსებულ ცოდნას, რომელიც მოიცავს და ფორმას აძლევს ერთმანეთთან დაკავშირებულ იდეებსა და გამოცდილებებს.

კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მონაპოვარი ადამიანის კონცეპტუალურ სისტემაში აბსტრაქტულ იდეათა სტრუქტურირებაა. კონცეპტუალური სფეროების ორგანიზება ხდება ფიზიკურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მოძრაობას, ზრდას და ფიზიკურ სიახლოვეს (Lakoff & Johnson / ლაკოფი & ჯონსონი, 1980, 1999). ჩანს, რომ ჩვენი კონცეპტუალური სისტემა აბსტრაქტული იდეების ორგანიზებას ახდენს კონკრეტულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც გვეხმარება აბსტრაქტული იდეების არსის წვდომაში.

კოგნიტურმა სემანტიკამ არსებობა დაიწყო 1970-იან წლებში და წარმოადგენდა ერთგვარ რექციას სამყაროს ხატის ობიექტივისტური აღქმის წინააღმდეგ. ი. სვითსტერის თვალსაზრისით: „მნიშვნელობა უნდა განიხილებოდეს, როგორც ურთიერთობა სიტყვებსა და სამყაროს შორის“ (Sweetser / სვიტსერი, 1990, გვ. 4). ამ შეხედულების საპირისპიროდ, კოგნიტური სემანტიკა განიხილავს ლინგვისტურ მნიშვნელობას კონცეპტუალური სისტემის მანიფესტად. გონების ბუნება და ორგანიზებულობა რეპრეზენტირდება თავისი მრავალფეროვნებით და სწორედ ეს ხდის მას საინტერესოს ლინგვისტიკისათვის.

1970-იან წლებში კოგნიტური ლინგვისტიკის ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერი, მკვლევარი ლეონარდ ტალმი შემდეგნაირად აღწერს კოგნიტურ სემანტიკას: „კოგნიტური სემანტიკის კვლევა არის კონცეპტუალური შინაარსის და მისი ორგანიზებულობის კვლევა“ (Talmy / ტალმი, 2000, გვ. 4). კოგნიტური სემანტიკა არ არის ერთიანი უნიფიცირებული ჩარჩო. თუმცა, კოგნიტურმა სემანტიკამ არსებობა დაიწყო როგორც გარკვეულმა რეაქციამ მნიშვნელობის ფორმალური თეორიების წინააღმდეგ, კერძოდ, მეოცე საუკუნეში ანალიტიკური ფილოსოფიისა და ობიექტივიზმის საწინააღმდეგოდ.

კოგნიტური სემანტიკის ფარგლებში არსებული ძირითადი პრინციპი იძლევა კოგნიტური სემანტიკის მრავალფეროვანი კვლევის საშუალებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს მიდგომები უფრო შორს მიდიან, ვიდრე ტრადიციული სემანტიკის პრინციპების უარყოფაა.

უნდა განვიხილოთ კოგნიტური სემანტიკის ოთხი ძირითადი მიდგომა:

1. კონცეპტუალური სტრუქტურის განსაზღვრა;
2. სემანტიკური სტრუქტურა კონცეპტუალური სტრუქტურაა;
3. მნიშვნელობის რეპრეზენტაცია ენციკლოპედიურია;
4. მნიშვნელობის კონსტრუირება კონცეპტუალიზაციაა.

კოგნიტური სემანტიკოსებისათვის ფუნდამენტური ინტერესის საგანს წარმოადგენს არსებული ურთიერთობის ბუნება კონცეპტუალურ სტრუქტურასა და გარე სამყაროს სენსორულ გამოცდილებას შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოგნიტური სემანტიკოსები იკვლევენ ადამიანის ურთიერთქმედების ბუნებას, გარე სამყაროს შესახებ ცნობიერების ამაღლებას და კონცეპტუალური სტრუქტურის თეორიას, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება ჩვენ მიერ სამყაროს აღქმას.

ერთ-ერთი იდეა, რომელიც აღმოცენდა კონცეპტუალური ბუნების ასახვებად ფიზიკურ სამყაროსთან ურთიერთქმედების საფუძველზე მდგომარეობს შემდგომში: კონცეპტუალური სისტემის ბუნება წარმოიქმნება გამოცდილებისგან და ნაწილობრივ კონცეპტუალურ სტრუქტურას მნიშვნელოვანს ხდის მასთან დაკავშირებული გამოცდილება.

1. სემანტიკური სტრუქტურა კონცეპტუალური სტრუქტურაა

ეს პრინციპი ამტკიცებს მოსაზრებას, რომ ენა ეხება მოსაზრების რეპრეზენტირებულ კონცეპტებს და არა გარე სამყაროში არსებულ ობიექტურ რელობას. სხვა სიტყვებით, სემანტიკური სტრუქტურა (მნიშვნელობები, რომლებიც დაკავშირებულია სიტყვებთან და სხვა ლინგვისტურ ერთეულებთან) გაიგივებულია თვითონ კონცეპტებთან; კონვენციონალური მნიშვნელობები დაკავშირებულია სიტყვებთან, რომლებიც წარმოადგენენ ლინგვისტურ ან ლექსიკურ კონცეპტებს: კონვენციონალურია ფორმა, რომელსაც კონცეპტუალური სტრუქტურა მოითხოვს ენის ადეკვატური აღქმისათვის.

თუმცა, მტკიცება იმისა, რომ სემანტიკური სტრუქტურა უთანაბრდება კონცეპტუალურ სტრუქტურას არ გულისხმობს მათ იდენტურობას. ამის ნაცვლად, კოგნიტური სემანტიკოსები ამტკიცებენ, რომ სიტყვებთან დაკავშირებული მნიშვნელობები წარმოადგენენ შესაძლო კონცეპტების ჯგუფს ან ჯგუფებს.

თუმცა, ლანგაკერის (1987) თვალსაზრისით, ლექსიკური კონცეპტების ერთობლიობა წარმოადგენს მოსაზრების ცნობიერებაში არსებულ კონცეპტთა ერთობლიობას. ენის თეორიისათვის ეს პრინციპი გაცილებით ღრმა მნიშვნელობის მატარებელია. სემანტიკური სტრუქტურა უკავშირდება არა მხოლოდ სიტყვებს, არამედ ყველა ლინგვისტურ ერთეულს.

არსებობს ორი მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ სემანტიკური სტრუქტურის რეპრეზენტირების კუთხით:

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, კოგნიტური სემანტიკოსების შეხედულების გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც ენა არ არის დაკავშირებული მხოლოდ მოსაზრების გონებაში არსებულ იდეებთან. ეს მიდგომა მიგვიყვანდა სუბიექტივიზმის უკიდურეს ფორმასთან, რომლის მიხედვითაც კონცეპტები გამოყოფილი არიან იმ რელობისაგან, რომელთაც მნიშვნელობით უკავშირდებიან (Sinha / სინა, 1999). რეალურად, ჩვენ გვაქვს კონცეპტები, რომლებიც გვეხმარებიან გარეგანი სამყაროს რელევანტურ აღმასა ან მის შემეცნებაში, გამომდინარე ჩვენი კოგნიტური სტრუქტურისა და ფიზიოლოგიიდან. კოგნიტურ სემანტიკას მივყავართ სუბიექტივიზმისა და ობიექტივიზმის დაპირისპირებასთან იმის მტკიცებით, რომ კონცეპტი უნდა ასახავდეს არსებულ გამოცდილებას ტრადიციულ სემანტიკაში.



მეორე ასპექტი დაკავშირებულია სემანტიკური სტრუქტურის ცნებასთან. ჩვენ ვივარაუდეთ რომ ერთიდაიგივე სიტყვა შესაძლოა აღნიშნავდეს სხვადასხვა სიტუაციას ან მოვლენას: მაგალითად, “Bachelor” ნიშნავს დაუოჯახებელ ახალგაზრდა მამაკაცს და ამავდროულად, ნიშნავს საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულს. ამ თვალსაზრისით, კოგნიტური სემანტიკოსები უარყოფენ სიტყვის განმარტებას, რომელიც ფიქსირდება ლექსიკონში, ენციკლოპედიური შეხედულების სასარგებლოდ.

## 2. მნიშვნელობის რეპრეზენტაცია ენციკლოპედიურია

კოგნიტური სემანტიკის მესამე ცენტრალური პრინციპი გულისხმობს, რომ სემანტიკური სტრუქტურა თავისი ბუნებით ენციკლოპედიურია. ეს მიდგომა გულისხმობს იმ ფაქტს, რომ სიტყვები არ წარმოადგენენ მნიშვნელობათა ორგანიზებულ ერთობას, ცოდნის ფართო სივრცეს, რომელიც დაკავშირებულია გარკვეულ იდეასთან ან კონცეპტუალურ სფეროსთან (ლანგაკერი, 1987).

რა თქმა უნდა, მტკიცება იმისა, რომ სიტყვები წარმოადგენენ ენციკლოპედიური მნიშვნელობის წვდომის არსს არ გულისხმობს იმას, რომ ჩვენ უნდა ვუარყოთ სიტყვათა კონვენციონალური მნიშვნელობები. კოგნიტური სემანტიკოსები დაობენ იმ ფაქტის შესახებ, რომ კონვენციონალური მნიშვნელობა დაკავშირებულია კონკრეტულ სიტყვასთან და წარმოადგენს მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორს.

## 3. მნიშვნელობის კონსტრუირება კონცეპტუალიზაციაა

კოგნიტურ სემანტიკასთან დაკავშირებული მეოთხე პრინციპი გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ენა თავისით არ ახდენს მნიშვნელობის ახსნას. როგორც ჩვენ ვნახეთ, სიტყვები წარმოადგენენ მხოლოდ მნიშვნელობის კონსტრუირების საშუალებებს.

ამ შეხედულების თანახმად, მნიშვნელობის კონსტრუირება ხდება კონცეპტუალურ დონეზე: მნიშვნელობის კონსტრუირება უთანაბრდება კონცეპტუალიზაციას - დინამიური პროცესი, სადაც ლინგვისტური ერთეულები განიხილებიან როგორც კონცეპტუალურ ოპერაციებად, ისე არსებული ცოდნის გამოყენების საშუალებებად. აქედან გამომდინარე, ვასკვნით, რომ მნიშვნელობა არის პროცესი და არა დისკრეტული „საგანი“, რომელიც შეიძლება ენამ „მოიცვას“.

მნიშვნელობის კონსტრუირება იყენებს ენციკლოპედიურ ცოდნას და მოიცავს ინფერენციულ სტრატეგიებს, რომლებიც დაკავშირებულია კონცეპტუალური სტრუქტურის განსხვავებულ ასპექტთა ორაგნიზებულობასთან (სვიტსერი, 1999; Fauconnier / ფოკონიერი, 1994,1997).

კონცეპტუალური სტრუქტურა მოიცავს და ატარებს მნიშვნელობას, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია წინარე კონცეპტუალურ გამოცდილებასთან და შესაბამისად, კავშირი აქვს კონცეპტუალური მეტაფორების შესწავლასთან. ამ მიდგომის თანახმად, კონცეპტუალური მეტაფორები დასაბამს აძლევენ კონვენციურ კონცეპტუალურ მეფინგთა სისტემებს, რომელსაც ხელს უწყობს რეალობის სქემატური სტრუქტურა. თუ რეალობის სქემა წარმოდგება არსებული გამოცდილებიდან, ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცემა განვმარტოთ კონცეპტუალური მეტაფორა როგორც კონკრეტულ სფეროთა დეტალური სტრუქტურა, რომელიც დაკავშირებულია უფრო მეტად აბსტრაქტულ კონცეპტებთან და კონცეპტუალურ სივრცეებთან.

კოგნიტური სემანტიკა ფოკუსირდება ენის უნარზე, კერძოდ, თუ როგორ ახდენს ენა კოდირებას და ასახავს კონცეპტუალურ სტრუქტურას. ამ საკითხის გააზრება გულისხმობს კონცეპტუალური სტრუქტურის მექანიზმების შესწავლას ლინგვისტური სტრუქტურის კუთხით. კონცეპტუალური სტრუქტურის ენაში გააზრების ერთ-ერთი საშუალებაა განსხვავებულ ფუნქციათა დაკავშირება ღია და დახურული კლასების სემანტიკურ სისტემებთან.

ტალმი (2000) ამტკიცებს, რომ არსებობს ორი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდება კოგნიტური რეპრეზენტაციის კოდირება ენაში. დახურული კლასის სემანტიკური სისტემა (მნიშვნელობათა სისტემა, რომელიც დაკავშირებულია გრამატიკულ კონსტრუქციებთან და სიტყვებთან, როგორებიცაა and და the) გვთავაზობს რეალობის (სცენის) სტრუქტურის რეპრეზენტაციას. ღია კლასის სემანტიკური სტრუქტურა გვაწვდის ძირითად მნიშვნელობას, რომელიც დაკავშირებულია ერთ კონკრეტულ სცენართან.

მნიშვნელობის ენციკლოპედიური ბუნების კვლევა ფოკუსირდება სემანტიკური სტრუქტურის ორგანიზებულობაზე, რომელიც დაკავშირებულია კონცეპტუალური ცოდნის სტრუქტურებთან. ერთ-ერთი მახასიათებელი გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის კონსტრუირებას ფრეიმზე დაყრდნობით, რომლის სიტყვათა მნიშვნელობები უკვე

გააზრებულია. ლინგვისტიკაში ეს იდეა განავითარა ჩარლზ ფილმორმა (Fillmore / ფილმორი, 1975, 1977, 1982, 1985ა). ფრეიმები წარმოადგენენ დეტალური ცოდნის სტრუქტურებს ან სქემებს, რომლებიც იქმნებიან ყოველდღიური გამოცდილებებიდან. ამ შეხედულების თანახმად, სიტყვის მნიშვნელობის ცოდნა წარმოადგენს ინდივიდუალური ფრეიმების ცოდნას, რომელთანაც სიტყვა არის დაკავშირებული. ფრეიმული სემანტიკის თეორია გვაწვდის მნიშვნელობათა ფართო ქსელს, რომელიც ახდენს სიტყვათა აკუმულირებას.

ლანგაკერმა (1987) შემოგვთავაზა დომენების თეორია (theory of domains) და დაასაბუთა, რომ ცოდნის რეპრეზენტაცია შეიძლება ეფუძვნებოდეს კონკრეტულ სისტემას. ლინგვისტური თეორიის ეს ნაწილი წარმოადგენს სემანტიკური სტრუქტურის ნაწილს, რომელზეც სიტყვა კონცეტირდება.

კოგნიტური სემანტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იდეა მდგომარეობს კონცეპტუალური მეფინგების თეორიაში. ფოკონიერმა (1997) დადგინა სამი ტიპის მეფინგი - კონსტრუირებადი მეფინგები, პრაგმატიკული ფუნქციონალური მეფინგები და სქემური მეფინგები.

### 1. კონსტრუირებადი მეფინგები

კონსტრუირებადი მეფინგები - ერთი სფეროს (წყარო) კონსტრუირება მეორეზე დაყრდნობით (მიზანი).

### 2. პრაგმატიკული ფუნქციონალური მეფინგები

პრაგმატიკული ფუნქციონალური მეფინგები ყალიბდება ორი სფეროს ჭრილში, რომლებიც იზიარებენ ერთ საერთო გამოცდილების ჩარჩოს. მაგალითად, მეტონიმია, რომელიც ემყარება ორ სფეროთა შორის არსებულ ასოციაციას, რომლის მეშვეობითაც ერთი სფერო გულისხმობს მეორეს და ეს წარმოადგენს პრაგმატიკული ფუნქციონალური მეფინგის მაგალითს.

### 3. სქემური მეფინგები

სქემური მეფინგები დაკავშირებულია სქემის შექმნასთან (ფრეიმთან), რომელიც ყალიბდება კონკრეტულ შესიტყვებებზე დაყრდნობით.

კატეგორიზაცია გახდა კოგნიტური სემანტიკის ინტერესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგანი, რაც წარმოადგენს ჩვენს უნარს მივაკუთნოთ გარკვეული საგნები კონკრეტული ჯგუფებს. სიტყვები, რომელთაც ჩვენ ვიყენებთ საგანთა აღსანიშნავად, წარმოადგენენ კატეგორიზაციას. კატეგორიზაციის უნარი უაღრესად მნიშვნელოვანია ადამიანთა აზროვნებისათვის; ეს უნარი აისახება სისტემის ორგანიზების უნარში. მეორე მიზანი კი მდგომარეობს კითხვაში, რომელიც უძველესი დროიდან მოყოლებული აინტერესებთ ფილოსოფოსებს (ბოლო პერიოდში ლინგვისტებს) - შესაძლოა თუ არა სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრა?

ელეონორ როშმა და მისმა კოლეგებმა კატეგორიზაციის კლასიკურ შეხედულებას დაუპირისპირეს ახალი, სერიოზული გამოწვევა, რომელიც გაბატონებული იყო დასავლურ აზროვნებაში არისტოტელეს დროიდან მოყოლებული. არსებული კლასიკური მოდელის თანახმად: ერთეული ან კონკრეტული სისტემის სრულფასოვანი წევრია ან საერთოდ არ მოიაზრება მის ფარგლებში.

ელეონორ როშის კვლევებმა გვიჩვენა, რომ კატეგორიზაციის შეფასება გულისხმობს პროტოტიპულობის ან ტიპურობის ეფექტებს.

ლაკოფის კვლევამ იდეალიზირებულ კოგნიტურ მოდელებთან მიმართებით დიდი ზეგავლენა მოხდინა ლექსიკურ სემანტიკაზე. ლექსიკურ ერთეულებს ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვთ და მნიშვნელობათა ასეთ რაოდენობას ეწოდება პოლისემია. პოლისემია წარმოდგება უფრო ნორმად, ვიდრე გამონაკლისად ენაში. ლაკოფმა შემოგვთავაზა იდეა, რომ ლექსიკური ერთეულები, სიტყვათა მსგავსად, უნდა განიხილებოდეს კონცეპტუალურ კატეგორიებად და ორგანიზებული და დაკავშირებული უნდა იყოს იდეალიზირებულ კოგნიტურ მოდელებთან ან პროტოტიპთან. ამ შეხედულების მიხედვით, პოლისემია ჩნდება იმიტომ, რომ სიტყვები დაკავშირებული არიან უფრო ლექსიკური კონცეპტების ქსელთან, ვიდრე ერთ კონკრეტულ კონცეპტთან.

ადამიანთა კონცეპტუალური სისტემა ფოკუსირდება შემდეგ კატეგორიზაციაზე - არსებული მსგავსებებისა თუ განსხვავებულობის იდენტიფიცირებისა და დაჯგუფების უნარზე ლინგვისტურ ერთეულებს შორის. კატეგორიზაცია ეყრდნობა და, თავის მხრივ, დასაბამს აძლევს კონცეპტებს. კატეგორიზაცია წარმოადგენს კონცეპტუალური სისტემის ცენტრალურ

ნაწილს, რადგან ის, თავის მხრივ, ახდენს კონცეპტების ორგანიზებას ენციკლოპედიური ცოდნის ქსელის ფარგლებში.

კატეგორიზაცია ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია როგორც კოგნიტური ფსიქოლოგებისათვის, ისე სემანტიკოსებისათვის, რადგან ორივე დისციპლინა მოითხოვს კატეგორიზაციის თეორიას იმისათვის, რომ მოხდეს ცოდნის რეპრეზენტაცია და მისთვის ლინგვისტური მნიშვნელობის მინიჭება. იკვეთება ლაკოფის კვლევის გავლენა. ნაშრომში „ქალები, ცეცხლი და საშიში რაღაცეები“ (1987) წარმოდგენილია კოგნიტური სემანტიკის ის მიდგომები, რომლებიც დაკავშირებულია მეტაფორასა და მეტონიმისთან, ლექსიკურ სემანტიკასთან (სიტყვის მნიშვნელობა) და გრამატიკულ სტრუქტურასთან.

ადამიანთა კატეგორიზაციის კლასიკური თეორია წარმოადგენდა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების კვლევის საგანს, რომელიც საბოლოოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ფაქტობრივად, პროტოტიპის თეორია უფრო ნაკლებად იყო ცოდნის რეპრეზენტაციის თეორია, ვიდრე იმ კვლევის შედეგების ერთობა, რომელიც გვაწვდიდა ადამიანის კატეგორიზაციის ახლებურ მიდგომებს.

როშმა შემოგვთავაზა შეხედულება, რომ ადამიანები კატეგორიზაციას ახდენენ არა საჭირო და საკმარისი პირობების საშუალებებზე დაყრდნობით, არა კლასიკური თეორიის მიხედვით, არამედ პროტოტიპული თეორიის მიხედვით. შედარებით აბსტრაქტული მენტალური რეპრეზენტაცია აერთიანებს მნიშვნელოვან ატრიბუტებს, რომელიც სიღრმისეულად წარმოადგენს მოცემულ კატეგორიას. შესაბამისად, პროტოტიპი მიჩნეული იყო ცენტრალური მახასიათებლების სქემატურ რეპრეზენტაციად.

მოგვიანებით წარმოქმნილი პრობლემა უკავშირდებოდა პროტოტიპის თეორიას, რამდენადაც მენტალურმა რეპრეზენტაციამ ვერ შეძლო აკუმულირებული ცოდნის მოდელირება. ამ კრიტიკამ მიგვიყვანა პროტოტიპული თეორიის შემდგომ განვითარებამდე.

უახლესი კატეგორიზაციის თეორიები ამტკიცებენ, რომ ცოდნის რეპრეზენტაციის ძირითადი ასპექტი არის სიმულაციების განხორციელების დინამიური უნარი. ამგვარად, პროტოტიპის თეორია ჩანაცვლდა უახლესი ემპირიული მონაცემებით და თეორიებით. თუმცა არსებობს გარკვეული მიზეზები, რომლებიც მნიშვნელოვანია კოგნიტური სემანტიკის გააზრებისათვის.

როშის კვლევების განხილვამდე, რომელიც დაკავშირებულია კატეგორიზაციასთან, მნიშვნელოვანია განვიხილოთ კვლევის ისტორიული კონტექსტი. კატეგორიზაციის კლასიკური თეორია იყო გაბატონებული თეორია არისტოტელეს დროიდან მოყოლებული და ჰქონდა კონცეპტუალური და ლინგვისტური კატეგორიებისათვის დამახასიათებელი დეფინიციური სტრუქტურა. ეს გულისხმობდა იმას, რომ გარკვეული ელემენტი გარკვეული სისტემის წევრია და აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რაც აუცულებელია ამ კონკრეტული სისტემის წევრობისათვის. ტრადიციულად მიიჩნეოდა, რომ ეს პირობები სენსორული და აღქმითი ხასიათის პირობები იყო.

თუმცა ბევრი ლინგვისტი ამტკიცებს, რომ დეკომპოზიციურმა მიდგომებმა უფრო მეტად გაამართლა ენის სტრუქტურული ასპექტების მოდელირების კუთხით. ბევრი ლინგვისტი მიიჩნევს, რომ კლასიკური დეკომპოზიციური სიტყვის მნიშვნელობის თეორიას აქვს ბევრი პრობლემა. განვიხილოთ ამ მიდგომის სამი ყველაზე სერიოზული პრობლემა.

### 1. დეფინირების პრობლემა

კლასიკური თეორიის თანახმად, კატეგორიებს გააჩნიათ დეფინიციური სტრუქტურა, რაც ართულებს იმ პირობების განსაზღვრას, რაც საჭიროა კატეგორიის განსასაზღვრად. ეს მოითხოვს ყველა იმ ნიშნის იდენტიფიცირებას, რომელსაც კატეგორიის ყველა წევრი იზიარებს და მათ ერთად შეუძლიათ განსაზღვრონ მთლიანი კატეგორია.

### 2. კონცეპტუალური გაუგებრობის პრობლემა

მეორე პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია კლასიკურ შეხედულებასთან, არის დეფინიციური სტრუქტურა, რაც მოიცავს კატეგორიებს, რომელთაც გააჩნიათ განსაზღვრული და გამოკვეთილი საზღვრები; სხვა სიტყვებით, ეს სისტემა შეიძლება მოიცავდეს ან არ მოიცავდეს კატეგორიის წევრების შესაბამის მახასიათებლებს. შესაძლოა ეს წარმოადგენდეს სხვადასხვა კატეგორიის განხილვის საგანს.

### 3. პროტოტიპულობის პრობლემა

კატეგორიების დეფინიციური შეხედულების მესამე პრობლემა უკავშირდება პროტოტიპულობის პრობლემას, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კატეგორიის ცენტრზე. ექსპერიმენტები აჩვენებს, რომ კატეგორიები, რომელთაც გააჩნიათ მკაფიოდ განსაზღვრული

ჩარჩოები, ასევე აქვთ ტიპურობის გავლენა. კატეგორიები, სადაც არსებობს სხვა კატეგორიების გავლენა, მიჩნეულნი არიან მზარდ კატეგორიებად. ტიპურობის გავლენა წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას კლასიკური თეორიისათვის იმიტომ, რომ თუ კატეგორიის თითოეული წევრი იზიარებს ერთი და იგივე დეფინიციურ სტრუქტურას, მაშინ თითოეული ამ კატეგორიის წევრი ელემენტი უნდა იყოს არსობრივად თანაბარი.

კონცეპტუალური ინტეგრაციის ან კონცეპტუალური ბლენდინგის თეორია, რომელსაც ხშირად ბლენდინგის თეორიას უწოდებენ, მომდინარეობს კოგნიტური სემანტიკის ფარგლებში არსებული ორი ტრადიციისგან: კონცეპტუალური მეტაფორისაგან და მენტალური სივრცეების თეორიისგან.

თავისი აგებულებიდან გამომდინარე, ბლენდინგის თეორია მჭიდროდაა დაკავშირებული მენტალური სივრცეების თეორიასთან და კოგნიტური სემანტიკოსები მას ამ მიდგომის გაგრძელებად მიიჩნევენ. მნიშვნელობის კონსტრუირების დინამიურ ასპექტებზე დაყრდნობით, ბლენდინგის თეორია დამოკიდებულია მენტალურ სივრცეებზე. ამის მიუხედავად, ბლენდინგის თეორია განსხვავებული თეორიაა, რომელიც განვითარდა ისეთი ფენომენის გამოსახატავად, რომლის გამოხატავც მენტალური სივრცეების თეორიამ და კონცეპტუალურმა მენტალურმა თეორიამ ვერ შეძლო. ბლენდინგის თეორიის სიღრმისეული გააზრების შედეგად ვასკვნიტ, რომ მნიშვნელობის კონსტრუირება მოიცავს სტრუქტურის ინტეგრაციას, რომელიც დასაბამს აძლევს გარკვეულ ელემენტთა ერთობლიობას. ბლენდინგის თეორეტიკოსები დაობენ, რომ კონცეპტუალური ინტეგრაციის ან ბლენდინგის პროცესი არის ზოგადი მიდგომა და ძირითადი კოგნიტური ოპერაცია, რომელიც განაპირობებს ჩვენს აზროვნებას.

კონცეპტუალური მეტაფორის თეორეტიკოსების თანახმად, კოგნიტური სემანტიკის ერთ - ერთი ძირითადი დასკვნა მდგომარეობს შემდგომში: „წარმოსახვა თამაშობს მნიშვნელოვან როლს კოგნიტურ პროცესებში და ადამიანის არსში“. ამ საკითხს სწავლობდნენ ფოკონიერი და ტერნერი.

ბლენდინგის თეორია თავდაპირველად განვითარდა ენის როლის აღსანიშნად მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესში, კერძოდ, მნიშვნელობის კონსტრუირების შემოქმედებითი ასპექტების: მეტაფორის და სხვა. ბლენდინგის თეორიამ დასაბამი მისაცა შეხედულებას,

რომლის მიხედვითაც კონცეპტუალური ბლენდინგი განიხილება ადამიანური შეხედულების და წარმოსახვის მნიშვნელოვან ასპექტად.

ფოკონიერისა და ტერნერის კვლევებიდან მომდინარეობს ბლენდინგის თეორიის საწყისები. ფოკონიერმა განავითარა მენტალური სივრცეების თეორია, რათა განესაზღვრა მნიშვნელობის კონსტრუირების ტრადიციული პრობლემები; ტერნერი კი მნიშვნელობის კონსტრუირების პრობლემას თავის კვლევებში არსებული პერსპექტივიდან (სალიტერატურო ენაში არსებული მეტაფორიდან) გამომდინარე განიხილავს. ფოკონიერისა და ტერნერის კვლევები ეფუძნება ლინგვისტურ ფენომენთა ერთობლიობას, რომელთაც გამოიჩევიან ცხადი მსგავსებით.

ფოკონიერმა და ტერნერმა შექმნეს ინტეგრაციულ ქსელთა თეორია. ინტეგრაციული ქსელი არის მექანიზმი მნიშვნელობის მოდელირებისათვის. ფოკონიერი და ტერნერი მიიჩნევენ, რომ ინტეგრაციული ქსელი შედგება მონაცემებისგან, რომელშიც ელემენტები მეფინგის საშუალებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ თვალსაზრისით, ბლენდინგის თეორია ეფუძნება კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას. მათ განავითარეს შეხედულება, რომლის მიხედვითაც ინტეგრაციულ ქსელში წარმოდგენილი კონცეპტუალური ერთეულები უნდა წარმოადგენდნენ მენტალურ სივრცეებს და არა ცოდნის სფეროს, როგორც კონცეპტუალურ მეტაფორის თეორიაში. ბლენდინგის თეორია ძირითად ორიენტირდება მნიშვნელობის ლოკალურ და დინამიურ კონსტრუირებაზე და მათი ფოკუსი ემყარება მენტალურ სივრცეთა თეორიას.

ბლენდინგის თეორიაში ინტეგრაციული ქსელები არ წარმოადგენენ ორ სივრცეში არსებულ ერთობლიობებს. იქიდან გამომდინარე, რომ ქსელები ცდილობენ მნიშვნელობის კონსტრუირების დინამიური ასპექტების ასახვას, ისინი წარმოადგენენ ერთობლიობებს, რომლებიც სხვადასხვა სივრცეებში არსებობენ.

ბლენდინგის მნიშვნელოვანი ფუნქცია მდგომარეობს მის გლობალურ ხედვაში. სხვა სიტყვებით, ბლენდი საშუალებას გვაძლევს შევქმნათ წარმოსახვითი სიტუაცია, სადაც გარკვეული აზრი სრულიად სხვაგვარად წარმოჩნდება. ფოკონიერისა და ტერნერის თანახმად (2002), კონცეპტუალური ბლენდინგი კომპლექსურობის შემცირებით აღწევს



მიზანს. ფოკონიერი და ტერნერი ემხრობიან შეხედულებას, რომ ბლენდინგის მეშვეობით ადამიანები ახდენენ ბევრი გასხვავებული მოვლენისა და გამოცდილების გააზრებას.

ფოკონიერი და ტერნერი (2002) განიხილავენ მიმართებათა ტაქსონომიას და მათი კომრესირების გზებს. რადგან მოვლენები დროებითია, დრო ფუნქციონირებს როგორც უმნიშვნელოვანესი მიმართება, რომელიც აკავშირებს ორ (ან მეტ) მოვლენას მონაცემთა სივრცეებად. მიმართებათა სხვა ტიპი, რომელიც არსებობს მონაცემთა სივრცეებს შორის, არის რეპრეზენტაცია. თუკი უმნიშვნელოვანესი მიმართებები აკავშირებენ მსგავსი ტიპის მხარეებს ერთმანეთთან (მაგალითად, დრო აკავშირებს ორ მოვლენას), რეპრეზენტაცია აკავშირებს ერთ მოვლენას მეორესთან.

ბლენდინგის თეორიაში ინტეგრაცია განიხილება როგორც კომპრესიის შედეგი და ჩანს, რომ კომპრესია გვაწვდის ერთგვარ შკალას; ამასთანავე, მეცნიერთა გარკვეული რაოდენობა მიიჩნევს, რომ ამ ოპერაციის მიზანია ადამიანისათვის გლობალური სამყაროს გააზრება.

გარე სამყაროს კომპრესია აღწევს გლობალურ გააზრებას ბლენდინგის საშუალებით, რის საფუძველზეც იქმნება ინტეგრაციის ქსელი, მათ შორის შინაგანი სივრცე. ბლენდინგის ელემენტების დეკომპრესიას შეუძლია მიგვიყვანოს დისანალოგიამდე, რაც გულისხმობს შემდეგს: მსგავსებას შეუძლია შექმნას სივრცე მაშინ, როდესაც თვითონ ეს სივრცე შეიძლება დაიშალოს ისეთ ელემენტებად, რომლებიც განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ეს ემყარება ბლენდინგის თეორიას, რომლის მიხედვითაც ჯგუფში შემავალ ელემენტებზე გავლენას ახდენს ბლენდინგი.

ფოკონიერისა და ტერნერის (ფოკონიერი & ტერნერი, 1998ა, 2002) მიხედვით, არსებობს ინტეგრაციული ქსელის სხვადასხვა ტიპი. ამავდროულად, ფოკონიერი და ტერნერი გვთავაზობენ შეხედულებას, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა ტიპის ინტეგრაციულ ქსელს. არსებობს ოთხი ტიპის ინტეგრაციული ქსელი.

### 1. ცალმხრივი ქსელი

ცალმხრივი ქსელი წარმოდგება ორი მახასიათებლით: ერთი, რომელიც მოიცავს როლთა ფრეიმს, მეორე რომელიც მოიცავს ღირებულებებს.

### 2. სარკისებური ქსელი

ფოკონიერისა და ტერნერის მიხედვით, სარკისებური ქსელის არსი მდგომარეობს შემდგომში: ქსელში შემავალი ყველა სივრცე იზიარებს ერთ საერთო ფრეიმს, მათ შორის ბლენდს.

### 3. ერთჩარჩოიანი ქსელი

მაშინ, როდესაც ცალმხრივ ქსელში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ფრეიმი და სარკისებურ ქსელში ყველა სივრცე იზიარებს საერთო ფრეიმს, ერთჩარჩოიანი ქსელში ორივე შემადგენელი მოიცავს ფრეიმს, მაგრამ ორივე ფრეიმი ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

### 4. ორჩარჩოიანი ქსელი

ორჩარჩოიან ქსელში ქსელი მოიცავს ორ ფრეიმს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავებულია; ამის საფუძველზე ბლენდი ორგანიზდება თითოეული ფრეიმის სტრუქტურაზე დაყრდნობით.

ბლენდინგის თეორიის განხილვისას წარმოიქმნება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ იზღუდება მნიშვნელობის კონსტრუირების მოდელი. ფოკონიერმა და ტერნერმა შემოგვთავაზეს რამდენიმე ძირითადი პრინციპი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ოპტიმალურობის პრინციპები. როგორ ხდება იმ საშუალებების კონსტრუირება, რასაც მივყავართ ბლენდინგამდე (ფოკონიერი & ტერნერი, 1998ა)?

ბლენდინგის თეორიის ძირითადი პრინციპებია:

1. ტოპოლოგიის პრინციპი;
2. მოდელის კონსტრუირების პრინციპი;
3. ინტეგრაციის პრინციპი;
4. ქსელის პრინციპი;
5. კვანძის გახნის პრინციპი;
6. შესაბამისობის პრინციპი;
7. მიმართებათა მაქსიმიზაციის პრინციპი.

ტოპოლოგიური პრინციპი ინარჩუნებს შინაგან სივრცეთა არსებულ ურთიერთობრივ სტრუქტურას, რომელიც არ იზიარებს ურთიერთობათა პრინციპის მაქსიმიზაციას. ეს პრინციპი ნაწილობრივ ემსახურება გარე სივრცეში არსებულ მიმართებათა დაყვანას

ბლენდინგის ერთ სტრუქტურამდე. ეს წარმოადგენს კომპრესირების მიზანს. ბლენდინგის მიზნის სისრულეში მოსაყვანად ორივე პრინციპმა უნდა იმუშაოს ერთობლივად, რაც გაამარტივებს იმ კონკრეტული მიზნების მიღწევას, რასაც ბლენდინგი, როგორც პროცესი ისახავს.

ბლენდინგის თეორიის ჩამოყალიბების დროს მისი მომხრეები დაობდნენ, რომ ის წარმოადგენდა კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის ალტერნატიულ ჩარჩოს. თუმცა, გრეიდის, ოკლეისა და კოულსონის (1999) მიხედვით, არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომლის თანახმადაც ბლენდინგის და კონცეპტუალური მეტაფორის თეორიები უფრო კომპლემენტარულია ვიდრე - დაპირისპირებული.

ბლენდინგის თეორია კონცეპტუალური მეტაფორის თეორიისაგან განსხვავდება სხვადასხვა თვალსაზრისით, კერძოდ:

#### 1. ყველა ბლენდი არ არის მეტაფორული

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ყველა ბლენდი არ არის მეტაფორული. როგორც უკვე ვნახეთ, ინტეგრაციულ ქსელთა ტაქსონომიაში პროტოტიპული მეტაფორული ქსელი არის ერთჩარჩოიანი ინტეგრაციული მეტაფორული ქსელი. მეტაფორისა და ერთჩარჩოიანი ბლენდის ძირითად ნიშანს წარმოადგენს ფრეიმის კონსტრუირების ასიმეტრია: მაშინ, როდესაც ორივე მონაცემი მოიცავს განსხვავებულ ფრეიმებს, მხოლოდ ერთი ფრეიმის წარმოდგენა ხდება არსებული მონაცემიდან („წყარო“ წარმოდგენილია კონცეპტუალური მეტაფორული ტერმინებით, ხოლო, „ფრეიმი“ აისახება ბლენდინგის ფარგლებში).

#### 2. ბლენდინგი არ მოიცავს ერთი მნიშვნელობის მატარებელ მეფინგს

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიისაგან განსხვავებით, ბლენდინგის თეორია მოიცავს სტრუქტურის შექმნას ბლენდის სივრცეში არსებული მონაცემებისაგან. ბლენდიდან წარმოქმნილი სტრუქტურა შესაძლოა დაუბრუნდეს შიდა სივრცეებს. შესაბამისად, ეს ორი თეორია იყენებს განსხვავებულ სტრუქტურას მსგავსი ფენომენების მოდელირებისათვის.

სფეროთა შორის არსებული მეფინგები ცოდნის მყარი სტრუქტურებია. ამის საპირისპიროდ კონცეპტუალური ბლენდინგის თეორია იყენებს მენტალურ სივრცეებს. მენტალური სივრცეები დინამური და დროებითი კონცეპტუალური „პაკეტების“ სახით

კონსტრუირდებიან. ამის მიუხედავად შესაძლებელია ბლენდების კონვენციონალიზაცია, რომლის დროსაც ის ყალიბდება კონცეპტუალურ სისტემაში ცოდნის მყარ სტრუქტურად.

ფოკონიერმა და ტერნერმა (1994) კონცეპტუალური ინტეგრაციის ან ბლენდების თეორია თავდაპირველად მოიხსენიეს მრავალ სივრცულ მოდელად. ეს კი მიგვანიშნებს აშკარა სხვაობაზე, რაც არსებობს ბლენდინგის თეორიასა და კონცეპტუალურ მეტაფორას შორის: კონცეპტუალური მეტაფორის თეორია ორსფეროიანი მოდელია, მაშინ როდესაც ბლენდინგის თეორია იყენებს მინიმუმ ოთხ სივრცეს.

ამ შედარების ერთ-ერთი შედეგი არის ის, რომ ბლენდინგის თეორია ხაზს უსვამს შერწყმის დინამიურ და ურთიერთგამომრიცხავ ასპექტებს და მის როლს მნიშვნელობის კონსტრუირებაში, ხოლო კონცეპტუალური მეტაფორის თეორია ხაზს უსვამს იმ იდეას, რომლის მიხედვითაც არსებობს "მეტაფორული სისტემა", რომელშიც კონცეპტუალური მეტაფორები ურთიერთქმედებენ, რათა უზრუნველყონ შედარებით სტაბილური სტრუქტურა ადამიანის კონცეპტუალურ სისტემაში. ეს გამოხატავს ორი ტრადიციის განსხვავებულ მიდგომებს. მეტაფორის თეორეტიკოსები დაინტერესებულნი არიან კონცეპტუალურ სტრუქტურაში ტრადიციული მაგალითების მეფინგით, ხოლო ბლენდინგის თეორეტიკოსები კი იკვლევენ კონცეპტუალური ინტეგრაციის როლს მიმდინარე მინიშვნელობის კონსტრუირების პროცესში.

კონცეპტუალური მეტაფორის თეორეტიკოსები ახდენენ მეტაფორული გამონათქვამების ფართო ასპექტის განზოგადებას, ხოლო კონცეპტუალური ბლენდინგის თეორეტიკოსები ავითარებენ კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ზოგად პრინციპებს.

კონცეპტუალური ბლენდინგის კონსტრუქციული პროცესი გულისხმობს შიდა სივრცეში არსებულ ელემენტთა მსგავსების იდენტიფიცირებას. გრეიდის (1999) თანახმად, იმის მიუხედავად, რომ კონცეპტუალური მეტაფორების დიდი ჯგუფი წარმოადგენს ბლენდს, არსებობს კონცეპტუალურ მეტაფორათა მნიშვნელოვანი ჯგუფი, რომლებიც არ წარმოადგენენ ბლენდს. ესენი არიან პირველადი მეტაფორები. პირველადი მეტაფორები ეფუძნებიან კოცეპტთა შორის არსებულ ურთიერთმიმართებას და არა მთლიან სფეროებს (თუმცა პირველადი წყარო და პირველადი სამიზნე კონცეპტები მოთავსებულნი არიან განსხვავებულ სფეროებში). გარდა ამისა, პირველადი მეტაფორები იქმნებიან მჭიდრო და

უაღრესად მკაფიო კორელაციების საფუძველზე, რომლებიც დასაბამს აძლევს წინა კონცეპტუალურ დონეზე არსებულ კორელაციას, ვიდრე კონცეპტუალურ დონეზე მსგავსი ელემენტების შორის არსებულ მიმართებას. ამგვარად, კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის მნიშვნელოვან მიღწევად წარმოდგება მეტაფორული მეფინგების იდენტიფიცირება, რომლებიც მყარად აისახებიან გამოცდილებაში. ამგვარი ტიპის მეფინგები, რომლებიც კონცეპტუალური სტრუქტურის ფუნდამენტალურ ასპექტად არიან მიჩნეულნი, არ წარმოადგენენ ბლენდს.

რა დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს ბლენდინგის თეორია კონცეპტუალურ მეტაფორის თეორიას?

ბლენდინგის თეორიას ორი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კონცეპტუალური მეტაფორის გააზრების პროცესში: 1. წვლილი შეაქვს სტრუქტურის არსებობაში და 2. რთული მეტაფორების დერივაციაში. ბლენდინგის თეორია იძლევა საშუალებას გავიგოთ, თუ როგორ ხდება უნიფიკაციის პროცესი და როგორ წარმოდგება ის რთულ მეტაფორულ ბლენდად.

### *3.2. მნიშვნელობის კონსტრუირება და მენტალური სივრცეები*

მნიშვნელობის კონსტრუირება არის პროცესი, სადაც ენა ახდენს კოგნიტურ რეპრეზენტაციას. არსებული რეპრეზენტაცია დაკავშირებულია სცენარებთან და სცენარების გარკვეულ ასპექტებთან, როგორებიცაა: ემოცია, ეფექტი, სუბიექტური გამოცდილება და ა.შ.

კოგნიტური სემანტიკოსები მიიჩნევენ მნიშვნელობის კონსტრუირებას იმ პროცესად, რომელიც ბუნებით კონცეპტუალურია. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე უნდა განვიხილოთ დროებითი კონცეპტუალური დომენები, რომლებიც ვითარდებიან კონკრეტული დისკურსის შედეგად. ამ დომენებს ვუწოდებთ მენტალურ სივრცეებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან მრავალი გზით, რაც საშუალებას აძლევს მოსაუბრეებს დაუკავშირდნენ ადრე ჩამოყალიბებულ მენტალურ სივრცეებს მიმდინარე ლინგვისტური მახასიათებლების გაცვლის შედეგად. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, მნიშვნელობა არ წარმოადგენს ინდივიდუალური წინადადებების შემადგენელ ნაწილს და არც გარე

სამყაროსთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციას. ნაცვლად ამისა, მნიშვნელობა განიმარტება, როგორც მნიშვნელობის კონსტრუირების დინამიური პროცესი, რასაც ჩვენ ვუწოდებთ კონცეპტუალიზაციას.

მენტალურ სივრცეთა თეორია განავითარა ფოკონიერმა (1985, 1994, 1997). არსებული მიდგომა ამტკიცებს, რომ ენა ახდენს მნიშვნელობის კონსტრუირებას პირდაპირ კონტექსტში. ამ შეხედულების თანახმად, წინადადებათა გაანალიზება არ შეიძლება იზოლირებულად მიმდინარე დისკურსის მიღმა. სხვა სიტყვებით, სემანტიკა (ტრადიციულად, კონტექსტისაგან დამოუკიდებელი წინადადების მნიშვნელობა) ვერ გამოიყოფა პრაგმატიკისაგან (ტრადიციულად, კონტექსტისაგან დამოკიდებელი წინადადების მნიშვნელობა). იმიტომ, რომ მნიშვნელობის კონსტრუირება წარიმართება კონტექსტით და შესაბამისად, უკავშირდება ინფორმაციას კონკრეტულ მოვლენათა შესახებ. უფრო მეტიც, მნიშვნელობის კონსტრუირება გააზრებულია როგორც კონცეპტუალური პროცესი და ეს მიდგომა მხედველობაში იღებს ზოგად კოგნიტურ პროცესებსა და პრინციპებს, რომელთაც წვლილი შეაქვს მნიშვნელობის კონსტრუირებაში, კერძოდ, მნიშვნელობის კონსტრუირება ეყრდნობა კონცეპტუალური კონსტრუირების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა მეტაფორა და მეტონიმია.

კოგნიტური სემანტიკა იაზიარებს ექსპერიმენტულ პერსპექტივას - მნიშვნელობის კონსტრუირება ყალიბდება მნიშვნელობას ენციკლოპედიურ ცოდნაზე დაყრდნობით.

პირველ რიგში, ენაში არსებული მნიშვნელობები კონცეპტუალური სტრუქტურის ნაწილობრივი ან არასრული რეპრეზენტაციებია. მაშინ, როდესაც გამოცდილებათა რეპრეზენტაცია, რაც ქმნის კონცეპტუალურ სისტემას (რაც მოიცავს ფრეიმებს, დომენებს, კონცეპტუალურ მეტაფორებს და ა.შ.) არის ნაკლებად დეტალური. უფრო მეტიც, კონცეპტუალური რეპრეზენტაცია მიჩნეულია წარმოსახულ ფენომენად, რომლესაც კონცეპტუალური სტრუქტურა გვაწვდის. სემანტიკური რეპრეზენტაცია ახდენს გამონათქვამის კონსტრუირებას სიმბოლური სისტემის მეშვეობით. ეს გულისხმობს იმას, რომ ლინგვისტური სისტემა, რომელიც შედგება წერიითი, ორალური ან ნიშანთა სიმბოლოებისაგან კარგავს კონცეპტუალური რეპრეზენტაციის მულტიმოდელურ ხასიათს.

მეორე მხრივ, კოგნიტური შეხედულების თანახმად, კონცეპტუალიზაცია წარმოიქმნება ენის გამოყენებით კონტექსტში. ის ეყრდნობა შეხედულებას, რომ არ არსებობს პრინციპული

განსხვავება სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის. ფორმალური მიდგომები ხშირად ვარაუდობენ, რომ გამოანათქვამთა მნიშვნელობა ორსაფეხურიანი პროცესია. პირველ ეტაპზე, კონტექსტისაგან დამოუკიდებელ სიტყვათა მნიშვნელობები დეკოდირდება მსმენელის მიერ და შედგება წინადადების კონტექსტურად დამოუკიდებელი სემანტიკური რეპრეზენტაციისაგან. მეორე საფეხურზე მნიშვნელობები განიცდიან პრაგმატულ დამუშავებას, რაც აკავშირებს ინფორმაციას კონტექსტთან, წინარე ცოდნასთან და იმ მიდგომებთან, რაც გააჩნია მსმენელს. ამის საპირისპიროდ, მენტალურ სივრცეთა თეორია ვარაუდობს, რომ კონცეპტუალიზაცია ხდება კონტექსტით. ამ შეხედულების მიხედვით, მნიშვნელობის კონსტრუირება ლოკალიზდება, რაც მოიცავს მთლიანად პრაგმატულ ინფორმაციასა და ცოდნას, რაც ახდენს მნიშვნელობის კონსტრუირებას. შესაბამისად, მაშინ როდესაც პრაგმატული ცოდნა შეიძლება განსხვავდებოდეს რაოდენობრივად სემანტიკური ცოდნისაგან, სემანტიკური ცოდნა არის ერთადერთი მნიშვნელობის მატარებელი ერთეული კონტექსტში.

საბოლოოდ, კონცეპტუალიზაცია ეყრდნობა კომპლექსურ კონცეპტუალურ დამუშავებას. ეს მოიცავს კონცეპტუალურ მეტაფორებს, კონცეპტუალურ მეტონიმიას და სქემის ინდუქციის პროცესს. ეს არის პროცესი, სადაც კონცეპტუალიზაცია ხდება ფართო ცოდნის სტრუქტურების გამოყენებით, რაც ასრულებს კონტექსტუალიზაციის ფუნქციას. კონცეპტუალური კონსტრუირების მექანიზმები, როგორებიცაა მეტაფორა, მეტონიმია და სქემის ინდუქცია ქმნიან მეფინგებს. მეფინგი აკავშირებს ერთ კონცეპტუალურ სივრცეში მოთვსებულ ჯგუფებს სხვასთან. ეს მეფინგები შეიძლება იყოს კონვენციონალური ძირითადი კონცეპტუალური მეტაფორების შემთხვევაში ან შეიძლება მოხდეს მათი კონსტრუირება მიზანთა ლოკალური გაგებისათვის. ფოკონიერი ამ პოზიციას განმარტავს შემდეგნაირად: „ენა, რომელსაც ვიყენებთ, არის კოგნიტური კონსტრუირების აისბერგის წვერი. დისკურსის გახსნასთან ერთად იხსნება ახალი სცენარები; ჩნდება ახალი დომენები, მყარდება კავშირები, იქმნება აბსტრაქტული მნიშვნელობები, წარმოიქმნება და ვრცელდება შინაგანი სტრუქტურა, იცვლება შეხედულება და ფოკუსი (ფოკონიერი, 1994).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელობა არ არის მარტივად წინარე არსებული ცოდნა, რომელიც ენის მიერ კოდირდება. კოგნიტური სემანტიკოსები ამტკიცებენ, რომ ენისა და მნიშვნელობის გადაცემა და წინარე არსებული მნიშვნელობის ექსტერნალიზაცია არის

არასწორი (Reddy / რედი, 1979, 1993). მნიშვნელობის კონსტრუირება მიჩნეულია კომპლექსურ პროცესად, რომელიც მიმდინარეობს კონცეპტუალურ დონეზე. სიტყვები და გრამატიკული კონსტრუქტები განიხილებიან ნაწილობრივ და კომპლექსურ კოგნიტური პროცესებად.

მენტალური სივრცის კონსტრუირების სპეციფიკის განხილვისას უნდა შევხვით ისეთ საკითხებს, როგორცაა:

### 1. სივრცეთა მაკონსტრუირებელი ერთეულები

ამ თეორიის თანახმად, როდესაც ჩვენ ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ ვქმნით მენტალურ სივრცეებს. მენტალური სივრცეები იქმნება სივრცეთა მაკონსტრუირებელი ერთეულების მიერ, კერძოდ, ლინგვისტური ერთეულების მიერ. სივრცეთა მაკონსტრუირებელი ერთეულები შეიძლება იყოს წინდებულებიანი ფრაზები (in 1966, at the shop, in Fred's mind's eye, from their point of view), ზმნიზედები (really, probably, possibly, theoretically), მაკავშირებლები (if . . . then . . . ; either . . . or ...) და სუბიექტური ზმნების კომბინაციები, რასაც მოსდევს სრული წინადადება (Fred believes [Mary likes bananas], Mary hopes . . . , Susan states ...).

### 2. ელემენტები

მენტალური სივრცეები დროებითი კონცეპტუალური დომენებია, რომლებიც კონსტრუირდებიან მიმდინარე დისკურსის განმავლობაში.

### 3. კუთვნილება და ურთიერთობა

მენტალური სივრცეების კონსტრუირება დაკავშირებულია არსებულ სივრცეთა ელემენტებთან, ამავდროულად მნიშვნელობის კონსტრუირების პროცესში ხდება იმ ინფორმაციის დამუშავება, რომელიც კავშირშია ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებთან.

### 4. მენტალურ სივრცეთა ბადე

მას შემდეგ, რაც ერთი მენტალური სივრცე კონსტრუირდება, ის უკავშირდება წინარე არსებულ სივრცეს, იქმნება ერთიანი ბაზისური სივრცე - სივრცე, რომელიც საშუალებას იძლევა ახალი მენტალური სივრცის კონსტრუირებისათვის.

### 5. დაპირსპირებული ნაწილები და მაკავშირებლები



სხვადასხვა მენტალურ სივრცეში არსებული ელემენტები შეიძლება იყოს დაკავშირებული. განსხვავებულ სივრცეთა ელემენტები დაკავშირებული არიან მაკავშირებლებით, რომლებიც ქმნიან მეფინგებს დაპირისპირებულ ელემენტთა შორის.

## 6. წვდომის პრინციპი

ფოკონიერი აყალიბებს მენტალურ სივრცეთა კონფიგურაციის კონსტრუირების პრინციპს მნიშვნელობის წვდომის პრინციპის კონტექსტში. (ფოკონიერი, 1997, გვ. 41)

## 7. როლები და ღირებულებები

მენტალურ სივრცეთა თეორიის მნიშვნელოვანი ასპექტი გულისხმობს არსებითი სახელის ფრაზის განსაზღვრული ინტერპრეტაციის თავისებურებებს.

ფოკონიერის მიხედვით, მნიშვნელობის კონსტრუირება მოიცავს ორ პროცესს: პირველი - მენტალური სივრცეების აგება და მეორე - მენტალურ სივრცეებს შორის მეფინგების შექმნა. უფრო მეტიც, მეფინგების ურთიერთობა წარმართება დისკურსის კონტექსტით, რაც გულისხმობს შემდეგს: მნიშვნელობის კონსტრუირება ყოველთვის სიტუაციური და კონტექსტურია. ფოკონიერი განმარტავს მენტალურ სივრცეებს როგორც ნაწილობრივ სტრუქტურებს, რომლებიც ფართოვდებიან მაშინ, როცა ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ და საშუალებას გვაძლევენ დისკურსისა და ცოდნის მიღებაში (ფოკონიერი, 1997, გვ. 11).

როგორც ვხედავთ, მენტალური სივრცეები წარმოადგენენ კონცეპტუალურ სივრცეებს, რომლებიც მოიცავენ კონკრეტული ტიპის ინფორმაციას. მათი ჩამოყალიბება ხდება ზოგად ლინგვისტიკაზე, პრაგმატულ და კულტურულ სტრატეგიებზე დაყრდნობით, რაც ემსახურება ინფორმაციის მოძიებას.

*თავი IV. კონცეპტის ინტერდისციპლინარული და ინტეპარადიგმული კვლევა*

*4.1. კულტუროლოგიური ლინგვისტიკის თეორიული და ანალიტიკური ჩარჩო*

ენისა და კულტურის მიმართების საკითხის შესწავლა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დიდ ინტერესს იწვევდა სხვადასხვა მკვლევართა შორის. ჰუმბოლდტი (1767–1835), ბოასი (1858–1942), სეპირი და უორფი (1897–1941) არიან ის ცნობილი მკვლევარები, რომლებიც სწავლობდნენ ენის, აზროვნებისა და კულტურის მიმართების საკითხს (Blount / ბლუნტი, 1995). მიუხედავად ამისა, უნიფიცირებული ქვედისციპლინა, რომელიც სწავლობდა ენისა და კულტურის მიმართების საკითხს სრულყოფილად არ ჩამოყალიბებულა.

დურანტი (2003) განასხვავებს 3 ძირითად პარადიგმას ენისა და კულტურის შესწავლის ისტორიის განმავლობაში. არსებული პარადიგმების მიხედვით, შესაძლოა, განვარჩიოთ 3 ძირითადი ფოკუსი, ენის არსი და ასოცირებული მარკერები, კერძოდ:

ენისა და კულტურის შესწავლის ერთიანი ქვედისციპლინის ნელი განვითარება გამოწვეულია ტერმინების განსაზღვრის სირთულესთან სხვადასხვა ტიპის ურთიერთობების კონტექსტში. რა არის ენა და რა არის კულტურა? გასული საუკუნის განმავლობაში შეხედულებები განსხვავდებოდა - ენას მიიჩნევდნენ კოგნიტურ სისტემად, ქმედებად, სოციალურ პრაქტიკად, ადაპტირების რთულ სისტემად და ა.შ. განსხვავებულად აღიქმებოდა კულტურა აზროვნების სხვადასხვა სკოლების მიერ. კულტურა მიიჩნეოდა კოგნიტურ სისტემად, სიმბოლურ სისტემად, სოციალურ პრაქტიკად და ა.შ. (Foley / ფოლეი, 1997; Mills / მაილსი, 2015; Atkinson / ატკინსონი, 2015). შესაბამისად, ურთიერთობა ენას, კულტურასა და აზროვნებას შორის განსხვავებულად აღიქმება სხვადასხვა დისციპლინაში სხვადასხვა მეცნიერის მიერ.

ტერმინი „კულტუროლოგიური ლინგვისტიკა“ (Palmer / პალმერი, 1996) ხშირად აღინიშნება ტერმინით „ეთნოლინგვისტიკა“ (Underhill / ანდერჰილი, 2012). დურანტის მიხედვით (2009, გვ. 33), კულტუროლოგიური ლინგვისტიკა არის კვლევის ზოგადი სფერო, რომელიც სწავლობს ენისა და კულტურის მიმართების საკითხს (Peeters / პიტერსი, 2016).

კულტუროლოგიური ლინგვისტიკა სწავლობს ენათა მახასიათებლებს, რომლებიც ახდენენ საგანთა კონცეპტუალიზაციას, რაც მოიცავს ადამიანის გამოცდილების მთელ სპექტრს. ამის

თქმის საშუალებას იძლევა ის ფაქტი, რომ ენათა მრავალი მახასიათებელი რეპრეზენტირდება კულტურულ კონცეპტებში.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ასევე გამოიყენება გამოყენებითი ენათმეცნიერების რამდენიმე სფეროში, მათ შორის, ინტერკულტურულ კომუნიკაციაში, პოლიტიკური დისკურსის ანალიზში, ინგლისური ენის, როგორც საერთაშორისო ენის სწავლებაში და ა.შ. (Sharifian / შარიფიანი, 2011ა, 2014, 2015ა; Sharifian & Palmer / შარიფიანი & პალმერი, 2007).

კულტუროლოგიური ლინგვისტიკა გვთავაზობს როგორც თეორიულ, ისე ანალიტიკურ ჩარჩოს იმ კულტურული კონცეპტების შესასწავლად, რომლებიც ემყარებიან ენათა გამოყენების სპეციფიკას.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის თეორიული ჩარჩოს საფუძველია ”კულტურული შემეცნება”, რაც ახდენს ორი ცნების - „შემეცნება“ და „კულტურა“ - ინტეგრირებას იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ორივე ცნება ეხება ენასა და მის გამოყენებას (შარიფიანი, 2009ა, 2011ა). ”კულტურული შემეცნების” კონცეფცია გვთავაზობს შემეცნების მულტიდისციპლინურ გააზრებას, რომელიც ინდივიდუალური გონების მიღმა რჩება (Clark & Chalmers / კლარკი & შალმერსი, 1998; Sutton / სუტონი, 2005, 2006; Wilson / ვილსონი, 2005). კულტურული შემეცნება „კონსტრუირებული შემეცნების“ ფორმაა, რომელიც სოციალური და ლინგვისტური ურთიერთობის შედეგია ინდივიდებს შორის გარკვეულ დროსა და სივრცეში (Cowley & Vallée-Tourangeau / ქოული & ვალე-ტურანჟო, 2013). მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საზოგადოების კულტურული შემეცნების ვერბალური ელემენტები თანაბრად არ ზიარდება ამ საზოგადოების ყველა წევრის მიერ. შესაბამისად, კულტურული შემეცნება „დისტრიბუციული შემეცნების“ ერთგვარი ფორმაა (Hutchins / ჰაჩინსი, 1994; შარიფიანი, 2008ა). კონკრეტულ ენაზე მოსაუბრეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი საზოგადოების „კულტურული შემეცნების“ წვდომისა და ინტეგრაციის კონტექსტში. „კულტურული შემეცნება“ დინამიურია იმდენად, რამდენადაც არსებობს განსხვავებები თაობებს შორის.

„კულტურული შემეცნების“ შესწავლას აქვს პარალელები კოგნიტური მეცნიერებების სხვადასხვა პარადიგმას შორის (Frank / ფრანკი, 2015). კულტუროლოგიური ლინგვისტიკა სწავლობს „კულტურულ შემეცნებას“, როგორც კომპლექსურ ადაპტირებულ სისტემას (CAS),

რაც წარმოიშობა საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთქმედების პროცესში კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მეორე მხრივ, კულტუროლოგიური ლინგვისტიკის ერთ – ერთი მთავარი ატრიბუტი არის ის, რომ ის აღწერს სისტემის მნიშვნელოვან თვისებებს. მაშინ, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ადაპტირებულ სისტემაზე, „კულტურული შემეცნება“ გვაწვდის ენის იმ თვისებებს, რომელიც ადამიანთა ურთიერთობის შედეგია კონკრეტულ დროსა და სივრცეში. „კულტურული შემეცნების“ ეს თვისებები გლობალურ დონეზე არ განიხილება იმ თვისებებად, რაც ახასიათებს საზოგადოების მხოლოდ ერთ წევრს ისევე, როგორც საზოგადოების მთლიან ჯგუფს. იგივე შეიძლება ითქვას ენაზე. ფრანკი აღნიშნავს (2008, გვ. 243): „მაკროსტრუქტურულ დონეზე ენა შესაძლოა განხილული იქნას, როგორც განვითარებადი ფენომენი, სოციოლოგიურად კონსტრუირებული ენობრივი ელემენტების ჰეტეროგენული ქცევის კუმულატიური ეფექტი“.

რთული სისტემების მჭიდრო კავშირის შედეგია ის, რომ სისტემის შემადგენელი ნაწილების ჯამი არ უდრის ელემენტთა მთლიანობას. მსგავსად ამისა, „კულტურული შემეცნება“ შეიძლება გაგებულ იქნას როგორც კომპლექსური სისტემა, სადაც ინდივიდის შემეცნება მთლიანად არ მოიცავს იმ საზოგადოების შემეცნებას, რომელი საზოგადოების წევრიც არსებული ინდივიდია.

კომპლექსურ სისტემებს აქვთ სხვა მახასიათებლებიც, კერძოდ, ისინი მწყობრი სისტემებია. სისტემაში შემავალი ერთეულები თვითონ კომპლექსური ადაპტირებული სისტემებია. ისევე, როგორც მეტყველი საზოგადოების წევრები, კულტურული შემეცნების „აგენტები“, განიხილებიან კომპლექსურ სისტემადად.

რთული სისტემების კიდევ ერთი მახასიათებელი არის მათი საზღვრების დადგენის სირთულე: საუბარია ”ღია სისტემებზე“. საზღვრების დადგენა, ძირითადად, უფრო მოსაუბრის მოთხოვნილებებსა და ცრურწმენებზეა დამოკიდებული, ვიდრე თავად სისტემის რაობაზე. რთული სისტემების ეს ასპექტი ასევე ვრცელდება კულტურულ შემეცნებაზე, რადგან საზღვრები, თუ სად მთავრდება ერთი მეტყველი საზოგადოება ან იწყება სხვა, რთულია განსასაზღვრად.

როგორც „კულტურული შემეცნების“ ცენტრალური ასპექტი, ენა წარმოადგენს მეტყველი საზოგადოების „კოლექტიური მეხსიერების ბანკს“. მეტყველი საზოგადოების ენის მრავალი

ასპექტი ფორმირდება კულტურული შემეცნების ელემენტების მიერ, რომლებიც ადამიანის განვითარების ისტორიის სხვადასხვა საფეხურზე არსებობდა. ამ თვალსაზრისით, ენა შეიძლება განიხილებოდეს როგორც „კულტურული შემეცნების“ „შენახვისა“ და გადაცემის მექანიზმი, რომელიც თამაშობს „მეხსიერების ბანკისა“ და „კულტურული შემეცნების“ გადაცემის იარაღის როლს.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის თეორიული ჩარჩო შეიძლება განიხილებოდეს როგორც საშუალება, რომელიც გვეხმარება კულტურული კონცეპტების გააზრებასა და ენის რეალიზებაში. ენა ორმაგ როლს ასრულებს კულტურულ კონცეპტების თვალსაზრისით. ერთი მხრივ, ლინგვისტური კავშირები მნიშვნელოვანია კულტურული კონცეპტების განვითარებისათვის იმდენად, რამდენადაც საშუალებას აძლევენ მოსაუბრეებს შექმნან მნიშვნელობები მათივე გამოცდილების გათვალისწინებით; მეორე მხრივ, როგორც ენის სტრუქტურის, ისე ენის გამოყენების მრავალი ასპექტი იზიდავს და ასახავს კულტურულ კონცეპტებს. შესაბამისად, ენის შესწავლა ძირითადი საშუალებაა კულტურული კონცეპტების გასააზრებლად.

გარდა ენისა, ჩვენ შესაძლოა შევხვდეთ კულტურულ კონცეპტებს ადამიანის ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში, კერძოდ, ხელოვნებაში, ლიტერატურაში, რიტუალებში, არავერბალურ ქცევებში, ემოციებში. აქედან გამომდინარე, კულტურული კონცეპტების გააზრება მხოლოდ ენის შესწავლით შეუძლებელია იმდენად, რამდენადაც არსებული კონცეპტები აისახება ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა დონეზე.

შესაბამისად, კულტურული კონცეპტების მეცნიერული კვლევა შესაძლოა მოხდეს ფართო სპექტრის დისციპლინების გამოყენებით, როგორებიცაა: ანთროპოლოგია, ფსიქოლოგია, ლიტერატურა, სოციოლოგია, თეოლოგია და სახვითი ხელოვნება.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ემყარება იმ ვარაუდს, რომ ენათა მრავალი მახასიათებელი აყალიბებს კულტურულ კონცეპტებს. სხვა სიტყვებით, კულტურული კონცეპტები ინტეგრირებულია ენათა მრავალ მახასიათებელში. მათი ანალიტიკური ჩარჩო გვაწვდის სხვადასხვა საშუალებას მოვახდინოთ არსებული მახასიათებლების კვლევა, კერძოდ, შევისწავლოთ ენისა და კულტურული კონცეპტების მიმართების საკითხი.

არსებული ჩარჩო მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა „კულტურული სქემა“, „კულტურული კატეგორია“ და „კულტურული მეტაფორა“.

„კულტურული სქემები“ მოიცავს რწმენებს, ნორმებს, წესებს და ქცევით მოლოდინებს ისევე, როგორც იმ ღირებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია გამოცდილების სხვადასხვა ასპექტებთან და კომპონენტებთან.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის ანალიტიკური ჩარჩო, როგორც უკვე აღინიშნა, სწავლობს ენისა და კულტურული კონცეპტების მიმართების საკითხს, სადაც კულტურული კონცეპტები მოიცავს: „კულტურულ კატეგორიებს“, „კულტურულ მეტაფორებს“ და „კულტურულ სქემებს“, მაშინ, როდესაც ენა მოიცავს: მორფოსინტაქსს, მნიშვნელობას (სემანტიკური/პრაგმატიკული) და დისკურსს.

კულტურული კონცეპტების შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია ფერი. განსხვავებულ ენებს გააჩნიათ განსხვავებული ფერთან ასოცირებული კონცეპტები. ერთ ენაში, მაგალითად, გარკვეული კულტურული სქემები შეიძლება ახდენდეს ფერის „მწვანე“ ასოცირებას შერთან, როგორც ინგლისურ ენაში, ხოლო სხვა ენაში არსებული ფერი შესაძლოა ასოცირდებოდეს სამოთხესთან, მაგალითად, არაბულ ენაში. აქედან ვასკენით, რომ განსხვავებული ენები იძლევიან ფერთა განსხვავებულ კონცეპტებს (Paulsen, Uskūla, & Brindle / პაულსენი, უსკულა & ბრინდლი, 2016).

ჩვენი კონცეპტუალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტი არის ადამიანის უნარი მოახდინოს არსებული კონცეპტების რეკონცეპტუალიზაცია. ეს მიდგომა სულ უფრო აქტუალური ხდება, რადგან გლობალიზაცია აღრმავებს უერთიერთობებს სხვადასხვა საზოგადოებებს შორის, შესაბამისად, კულტურული კონცეპტების სხვადასხვა სისტემებს შორის. მაგალითად, „მადლიერების დღე“ აღინიშნება ჩინეთის სხვადასხვა რეგიონში, რითაც ხალხი გამოხატავს მადლიერებას მასწავლებლების და მშობლების მიმართ, რაც ეწინააღმდეგება ამ დღის რეალურ არსს, რაც მდგომარეობს შემდეგში: გადაუხადო უფალს მადლობა მიღებული მოსავლისათვის.

ამრიგად, უფრო ზოგადი თვალსაზრისით, რეკონცეპტუალიზაციამ შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმა, მათ შორის, კონცეპტუალური სისტემის ელემენტების შერწყმა

განსხვავებულ მეტყველ საზოგადოებებში. ამ შემთხვევაში ვსაუბრობთ ფენომენზე, რომელსაც კულტურათაშორის რეკონცეპტუალიზაციად მოიხსენიებენ.

ფრანკი (2015, გვ. 493) აღნიშნავს, რომ „კულტუროლოგიურ ლინგვისტიკას აქვს შესაძლებლობა წინ წამოწიოს ის მოდელი, რომელიც წარმატებით მოახდენს დამატებითი მიდგომების კომბინირებას ისეთი საკითხების განხილვით, როგორებიცაა: ენის გააზრება, როგორც კომპლექსური ადაპტაციური სისტემა, „დისტრიბუციული შემეცნება“ და „მულტი-დინამიური სისტემების თეორია“. ფრანკი ამტკიცებს, რომ კულტუროლოგიური ლინგვისტიკის ჩარჩო შეთავსებადია იმ ძირითად პარადიგმულ ცვლილებასთან, რაც მოხდა კოგნიტურ მეცნიერებაში.

„კულტურული სქემები“ ე.წ. „კოგნიტური სქემების“ კულტურულად კონსტრუირებული ქვეკლასია. სქემის კონცეპტი ემყარება ფართოდ გამოყენებულ ტერმინებს, როგორებიცაა „სკრიპტი“, „ფრეიმი“, „გლობალური კონცეპტი“, „სცენარი“, „გეგმა“, „მენტალური მოდელი“, „კოგნიტური ველი“ და სხვ. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში სქემები განიხილება როგორც შემეცნების მაკონსტრუირებელი საშუალებები, რაც გვეხმარება ინფორმაციის ორგანიზებაში, ინტერპრეტაციასა და კომუნიკაციაში (Bartlett / ბარლეტი, 1932; Bobrow & Norman / ბობროუ & ნორმანი, 1975; D'Andrade / დ'ანდრადე, 1995; Holland & Cole / ჰოლანდი & კოლი, 1995; Minsky / მინსკი, 1975; Rumelhart / რუმელჰარტი, 1980; შარიფიანი, 2001; Strauss & Quinn / შტროსი & ქვინი, 1997). სქემის თეორიამ დიდი პოპულარობა მოიპოვა კოგნიტური ფსიქოლოგიის დომინანტურ პარადიგმებში, კერძოდ, კლაცისიზმსა და კონექტივიზმში. მეცნიერები, რომლებიც სწავლობენ სხვადასხვა ტიპის კავშირებს, მიიჩნევენ, რომ სქემები აქტივიზაციის დისტრიბუციული მოდელებია, რომლებიც წარმოიქმნება ურთიერთდაკავშირებული ერთეულების დონეზე ადამიანის მეხსიერების ქსელებში, რაც ხდება გარე სტიმულირების საპასუხოდ.

შემეცნებისა და გარემოს ურთიერთობის კონტექსტში ტეილორი და კროკერი ასახელებენ კოგნიტური სქემების ისეთ ფუნქციებს, როგორიცაა:

1. სტრუქტურის უზრუნველყოფა, რომლის მიხედვითაც ხდება გამოცდილების ფიქსაცია;
2. ინფორმაციის კოდირება და მისი მეხსიერებაში მოძიება;

3. ინფორმაციის დამუშავების ეფექტურობასა და სიჩქარეზე გავლენის მოხდენა;
4. არსებული ინფორმაციის საშუალებით მეხსიერების კონსტრუირება;
5. პრობლემების გადაჭრის შაბლონების შექმნა;
6. გამოცდილების შეფასების ხელშეწყობა;
7. მომავლის შეფასების გაადვილება, მიზნების დასახვა, დაგეგმვა და მიზნების მიღწევა.

არსებობს სქემათა რამდენიმე ტიპის კლასიფიკაცია. სქემის ადრინდელი კლასიფიკაცია არ ითვალისწინებდა კულტურულ განსხვავებულობებს. ამის მაგალითია კუკის (1994) სქემის სამი ტიპი. „სამყაროს სქემა“, რაც გულისხმობს მსოფლიო ცოდნის სქემატურ ორგანიზებას; „ტექსტის სქემა“, რაც გულისხმობს ფაქტების ლოგიკურ წყობას რელურ და გამოგონილ სამყაროში; „ენის სქემა“, რაც ეხება ენის გრამატიკის შესახებ არსებულ განზოგადებულ ცოდნას. ნიშიდას (1999) ინტერკულტურული კვლევა ერთ-ერთი პირველი კვლევაა, რომელიც სწავლობდა სქემის ტიპოლოგიას კულტურული ელემენტების გათვალისწინებით. ნიშიდა განასხვავებს რვა ძირითადი ტიპის სქემას სოციალური ინტერაქციის თვალსაზრისით:

1. ფაქტისა და კონცეპტის სქემა: ეს არის სქემა, რომელიც მოიცავს ფაქტობრივ ინფორმაციას, როგორცაა „საქართველო ევროპის ნაწილია“ და კონცეპტუალურ ინფორმაციას, როგორცაა „ბანანი ყვითელია“;
2. პერსონის სქემა: ეს არის სქემა, რომელიც მოიცავს ხალხის სხვადასხვა ტიპების შესახებ ცოდნას, მათ პერსონალურ მახასიათებლებს;
3. სქემა, რომელიც მოიცავს სოციალური „მე“-ს და ინდივიდუალური „მე“-ს შესახებ არსებულ ცოდნას;
4. როლური სქემა: ეს არის სქემა, რომელიც მოიცავს ცოდნას სოციალური როლების მიღწევისა და ამ როლებთან დაკავშირებული მოსალოდნელი ქცევის შესახებ;
5. კონტექსტუალური სქემა: ეს არის სქემა, რომელიც მოიცავს ცოდნას სხვადასხვა სიტუაციისა და ამ სიტუაციაში რელევანტური ქცევის შესახებ;
6. პროცედურული სქემა: ეს არის სქემა, რომელიც მოიცავს ცოდნას საერთო სიტუაციებში მოვლენების შესაბამისი რიგითობის შესახებ;
7. სტრატეგიული სქემა: ეს სქემა მოიცავს ცოდნას პრობლემის გადაჭრის სტრატეგიების შესახებ;



8. ემოციურობის სქემა: ეს სქემა მოიცავს ინფორმაციას გავლენის და შეფასების შესახებ. ემოციური სქემები ფაქტობრივად აქტიურდება სხვა სქემებთან მათი ასოცირების გზით.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის შემსწავლელ ლიტერატურაში აქცენტირებულია ისეთი სქემები, როგორცაა: მოვლენათა სქემა (მაგ. დასავლეთ-ქრისტიანულ სამყაროში ქორწილის მოვლენათა სქემა), როლური სქემა (მაგ. ავსტრალიურ აბორიგენული დედობის როლური სქემა), ხატის სქემა (მაგ. გზის ხატობრივი სქემა დასავლურ აზროვნებაში), მტკიცებითი სქემა (მაგ. ავსტრალიური აბორიგენული მტკიცებითი სქემა შეხედულებისა - „აბორიგენული წესის დარღვევამ შესაძლოა დააზიანოს ყველა“) და ემოციურობის სქემა (მაგ. ავსტრალიური აბორიგენული სირცხვილის ემოციურობის სქემა).

„კულტურული სქემები“, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება მოიცავდეს ქვე-სქემებს, ენის უამრავი ასპექტის საშუალებით რეპრეზენტირდება. ისინი იძენენ ენციკლოპედიურ მნიშვნელობას, რომელიც კულტურულად კონსტრუირებულია ენის სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულში.

მოკლედ, „კულტურული სქემები“ მოიცავს ცოდნის იმ ტიპებს, რაც აპირობებს და საფუძველს უქმნის ენციკლოპედიურ და პრაგმატიკულ მნიშვნელობებს სხვადასხვა ენებში. ამასთანავე, კულტურული სქემები „საერთო გაგების“ საფუძველს ქმნიან (შარიფიანი, 2014), ანუ ხდება ცოდნის გაზიარება მეტყველი საზოგადოების წევრების მიერ.

კატეგორიზაცია კონცეპტუალიზაციის ერთ-ერთი ფორმაა. ეს არის ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური შემეცნებითი საქმიანობა (Polzenhagen & Xia / ფოლჟენჰაგენი & შია, 2015). ის იწყება ადრეულ ასაკში იდიოსინკრეტული გზით. ბევრი კვლევა ჩატარდა იმის შესახებ, თუ როგორ ახდენენ ბავშვები ადრეულ ასაკში საგნებისა და მოვლენების კატეგორიზაციას (Mareschal, Powell & Volein / მარესქალი, პაუელი & ვოლეინი, 2003). ბავშვები თავდაპირველად ქმნიან საკუთარ კატეგორიებს, მაგრამ მაშინ, როდესაც იზრდებიან, ისინი იკვლევენ და აღმოაჩენენ ახალ კატეგორიებს, რაც მათი კოგნიტური განვითარების შედეგია.

კატეგორიზაცია შინაგანად კულტურულია. გლუშკო, მაგლიო, მეტლოკი და ბარსელოუ (2008, გვ. 129) აღნიშნავენ, რომ კატეგორიზაციის კვლევა ფოკუსირებულია კულტურის მიერ

გაზიარებული და ენასთან დაკავშირებული კატეგორიების შექმნასა და გამოყენებაზე – ეს არის ის, რასაც „კულტურულ კატეგორიზაციას“ ვუწოდებთ. კულტურული კატეგორიები იქმნება ობიექტების, მოვლენების, პარამეტრების, ფსიქიკური მდგომარეობის, თვისებების, ურთიერთობებისა და გამოცდილების სხვა კომპონენტების საფუძველზე.

კულტუროლოგიურ ლინგვისტიკაში კატეგორიები იყოფიან შედარებით პატარა კლასებად, როგორც სქემები. რაც შეეხება კულტურულ კატეგორიებსა და ენას შორის ურთიერთობას, ენათა ლექსიკური ერთეულები ხშირად კატეგორიების და მათი აღმნიშვნელი მაგალითების მარკერებად გამოიყენებიან. შესაბამისად, არსებობს კულტურული კატეგორიები და ქვეკატეგორიები იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავენ ისინი – საგნებს, მოვლენებს, მენტალურ მდგომარეობებს, ურთიერთობებს და ა.შ.

ბევრ ინსტრუქციულ საზოგადოებაში, ხალხი „დროს“ სხვადასხვანაირად აღიქვამს, კერძოდ, „დრო“ შეიძლება „დაიზოგოს“, „დაიხარჯოს“, „გაიფლანგოს“ და ა.შ. „დრო“ არის ცნება, რომლის კონცეპტუალიზაცია მეტად კონკრეტულია და შესაბამისად, ის წარმოდგება შედარებით მცირე კლასებად. კულტუროლოგიურ ლინგვისტიკაში ამ ტიპის კონცეპტუალიზაცია აღინიშნება „კონცეპტუალურ მეფინგად“ ან „კონცეპტუალურ მეტაფორად“. კულტუროლოგიური ლინგვისტიკის ქვე-პარადიგმა, რომელიც სწავლობს კონცეპტუალურ მეტაფორებს ცნობილია, როგორც „კონცეპტუალური მეტაფორის თეორია“. კულტურული სქემებისა და კულტურული კატეგორიებისაგან განსხვავებით, კულტურული მეტაფორები გულისხმობენ კონცეპტუალიზაციის იმ ფორმას, რაც მიცავს წყარო დომენებსა და სამზინე დომენებს.

კონცეპტუალური მეტაფორის თეორიას ჰქონდა უნივერსალური ხასიათი (ლაკოფი & ჯონსონი, 1980). მუსოლფი აღნიშნავს, რომ „კონცეპტუალური მეტაფორის თეორია“, რომელიც განვითარდა 1980-იანი წლების შემდეგ ლაკოფის, ჯონსონისა და სხვა მეცნიერების მიერ, ატარებდა უნივერსალურ ხასიათს, რადგან მეტაფორული მეფინგების საფუძველი განიხილებოდა ნეიროფსიქოლოგიური სტრუქტურის ნაწილად“. იმ მეცნიერებისათვის, რომლებიც იკვლევენ კულტუროლოგიურ ლინგვისტიკას, კულტურული მეტაფორები კულტურული კონცეპტებია, რომელთა უმეტესობას საფუძველი ძველ რელიგიებსა და მსოფლმხედველობებში ძევს (Musolff / მულოფი, 2017, გვ. 325–326)

„კულტურული სქემები“, კულტურული კეტრგორიები და კულტურული მეტაფორები კულტუროლოგიური ლინგვისტიკის სამი ძირითადი ანალიტიკური იარაღია, რომელიც სწავლობს კულტურულ კონცეპტებსა და ენის გამდიდრების საკითხებს. კულტურული მეტაფორების შესწავლის დროს მნიშვნელოვანია რამდენიმე მიდგომის გთვალისწინება. კულტურულ მეტაფორებში მათი მეტაფორული / რიტორიკული მნიშვნელობა დაფუძნებულია კულტურულ კონცეპტებზე, რომელიც მოსაუბრის მსოფლმხედველობის ანარეკლია. შესაბამისად, ეს ყველაფერი კულტურათაშორისი აღქმის შედეგია.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის, როგორც მულტიდისციპლინარული პარადიგმის შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი საკითხია მისი მეთოდოლოგია.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ლინგვისტური ეთნოგრაფიის ფორმაა, მაგრამ, რა თქმა უნდა, ის ლინგვისტური ეთნოგრაფიის საზღვრებსაც სცდება. სინამდვილეში, ლინგვისტური ეთნოგრაფია უფრო ეპისტემოლოგიაა, ვიდრე მონაცემთა შეგროვების და ენის მახასიათებლების ანალიზის დადგენილი პროცედურა. კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ასევე არის ეპისტემოლოგია, მაგრამ გარდა ამისა, იგი წარმოადგენს ღია პროცედურების ერთობლიობას მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, რაც მიზნად ისახავს მის მიერ შესწავლილ ენებში არსებული კულტურული კონცეპტების შესწავლას.

ლინგვისტური ეთნოგრაფიის მსგავსად, კულტუროლოგიური ლინგვისტიკაც სწავლობს ენის სოციო-კულტურულ მახასიათებლებს. კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ეფუძნება იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ურთიერთობა ენასა და მის სოციო-კულტურულ კონტექსტს შორის ორმხრივია, სადაც ერთი ახდენს მეორის ფორმირებას. ეს ქმნის „კავშირებს ენას, კულტურას, საზოგადოებასა და შემეცნებას შორის რთული გზებით, რომლებიც ადვილად არ ექვემდებარება მკაცრად კონტროლირებად ანალიტიკურ კატეგორიებს“ (Creese / კრისი, 2008, გვ. 232).

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის თვალსაზრისით, ენის სოციო-კულტურული მახასიათებლების შესწავლა იღებს კულტურული კონცეპტების შესწავლის სახეს.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის ანალიზი შეიძლება დაიწყოს მაშინ, როდესაც მკვლევარი „შეხვდება“ მისი ენის ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ მახასიათებელს, რომელიც

გამოირჩევა კონკრეტული კულტურული კონცეპტების კოდირებით. არსებობს სიტყვები, რომლებიც ვერ ითარგმნება; არსებულმა სიტყვებმა შესაძლოა მოახდინოს სხვადასხვა კონცეპტის კოდირება, რაც გამოირჩევა კულტურული თავისებურებით.

მკვლევარმა შეიძლება შეისწავლოს ის მნიშვნელობები, რომლებიც რეპრეზენტირდება კონკრეტულ მეტყველ საზოგადოებაში კონკრეტული ენის იმ მახასიათებლების გათვალისწინებით, რომლებიც ქმნიან კონცეპტუალურ ველს.

ზოგადად, ენის წარმატებული შესწავლისა და მასში შემავალი კულტურული კონცეპტების გააზრებისათვის აუცილებელია ენაზე დაფუძნებული ანალიზის გაკეთება ე.წ.

„სიღრმისეული აღწერის“ გამოყენებით. „სიღრმისეული აღწერა“ (Geertz / გერტსი, 1973) გულისხმობს სიღრმისეული კითხვების გამოყენებას ინფორმაციის მოპოვებისათვის.

კულტუროლოგიური ლინგვისტიკის შემთხვევაში არსებული ანალიზი მიზნად ისახავს კულტურულად კონსტრუირებული ცნებების ნიუანსებისა და კომპლექსურობის შესწავლას კონკრეტულ ენაზე მოსაუბრე საზოგადოებაში. ეს შეიძლება გაკეთდეს მონაცემების ეთნოგრაფიული ანალიზით, ცოდნის ნებისმიერი წყაროს საშუალებით, რამაც შესაძლოა მოგვაწოდოს ის კონცეპტები, რომელთა კვლევას მიზნად ისახავს მსგავსი ტიპის ანალიზი.

აბორიგენი და არააბორიგენი სტუდენტების ჯგუფის კვლევისას, რაც გულისმობდა არსებულ ჯგუფში კულტურული კონცეპტების შესწავლას, შარიფიანმა (2005, ა) გამოიყენა ეთნოგრაფიული მიდგომა სიტყვების ასოციაციების ველის ანალიზისათვის. სიტყვების ასოციაციას აქამდე იყენებდნენ ძირითადად სხვადასხვა სახის კოგნიტური სტრუქტურების რაოდენობრივ კვლევებში. სიტყვათა ასოციაციის კვლევის პროცედურა ნაწილობრივ შეიცვალა იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი შესწავლა თვისებრივ კვლევის გამოყენებით, რაც მიზნად ისახავდა კულტურული კონცეპტების შესწავლას. არსებული კვლევა შედგებოდა ორი ფაზისაგან: ასოციაციური ფაზისა და ინტერპრეტაციული ფაზისაგან.

ამ მეთოდის კვლევის ობიექტია სიტყვათა ასოციაცია, რაც ასხავს კონცეპტუალურ სისტემაში ასოციაციურ კავშირებს. ეს ასოციაციური კავშირები ჩვეულებრივ იქმნება შემეცნებითი პროცესების შედეგად, როგორცაა სქემატიზაცია და კეტეგორიზაცია. შესაბამისად, მასტიმულირებელი სიტყვის ასოციაციური პასუხები მეტწილად უნდა ასახავდეს

კონცეპტუალიზაციის ელემენტებს და ასპექტებს ინდივიდუალურ კონცეპტურ სისტემაში. მეტყველი საზოგადოების წევრების ასოციაციურ პასუხები კონკრეტული სიტუაციის მიმართ მსგავსია და შესაბამისად, იძლევიან მსგავს კულტურულ კონცეპტებს.

„(არა) თავაზიანობის“ კონცეპტის აღქმის ანალიზის მიზნით, შარიფიანმა და ტაეიბიმ (2017ა, 2017ბ) შეიმუშავეს ახალი სამსაფეხურიანი მეთოდოლოგია, რომელშიც შედის: მეტადისკურსის ანალიზი, დისკურსის ანალიზი და კონცეპტუალური ანალიზი. ამ სამსაფეხურიანი ანალიზის გამოყენებით შეგვიძლია ვიკვლიოთ საკითხი სამი მიმართულებით.

მეტადისკურსის ანალიზის გამოყენებით შეგვიძლია შევისწავლოთ „თავაზიანობის“ აღმნიშვნელი ენობრივი ერთეულები. იგი ყურადღებას ამახვილებს იმ სიტყვების ან გამონათქვამების იდენტიფიცირებაზე, რომლებსაც ხშირად იყენებენ ინტერაქციაში, სადაც აღწერილია (არა) თავაზიანი მოქმედებები. ამ ტიპის ანალიზი ფოკუსირდება იმ სიტყვებისა და გამონათქვამების იდენტიფიცირებაზე, რაც გამოიყენება საკომუნიკაციო პროცესის მონაწილეების მიერ. დისკურსის ანალიზის დროს ჩვენ შეგვიძლია იმ სცენარების იდენტიფიცირება, რაც აპირობებს არსებული კონცეპტის (არა) თავაზიანობის შეფასებას. საბოლოოდ, შესაძლებელია აღქმისა და (არა) თავაზიანობის შეფასების მიმართების საკითხის შესწავლა. იმის გამო, რომ მეტადისკურსის და დისკურსის დონე უკავშირდება კულტურულ კონცეპტებს, ანალიზში არსებული სამი ეტაპი შინაგანად დაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებულეულია.

ჯენსენი (2017) განიხილავს სიტუაციას, რომლის მიხედვითაც კულტუროლოგიურმა ლინგვისტიკამ შესაძლოა დიდი სარგებელი მიიღოს თუ კორპუსზე დაფუძნებული ანალიზი დაემატება ზოგადი კვლევის მეთოდებს.

პირველ რიგში, ჯენსენი მიმოიხილავს კულტურულად „მგრძობიარე“ კორპუს-ლინგვისტურ კვლევას და შემდეგ წარმოგვიდგენს სხვადასხვა შემთხვევის ანალიზს. იგი განმარტავს, თუ როგორ შეიძლება კორპუს-ლინგვისტური ანალიზის გამოყენებით მოვახდინოთ იმ მოდელების იდენტიფიცირება, რომლებიც ემყარებიან კულტურულ კონცეპტებს და მათ გამოყენებას სხვადასვა ენაში.

ჯენსენი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ კორპუსზე დაფუძნებულ და ექსპერიმენტულ მეთოდებს შეუძლიათ ერთმანეთი შეავსონ.

ვიეტნამში ინგლისური ენის სწავლების (ELT) სასწავლო გეგმაში კულტურის წარმომადგენლობის შესწავლისას, დინჰმა (2017) შეიმუშავა ოთხსაფეხურიანი მეთოდოლოგია იმისათვის, რომ შეესწავლა კულტურული კონცეპტები, რომლებიც ფიქსირდებოდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონის სახელმძღვანელოებში. პირველი საფეხური გულისხმობს კულტურული კონცეპტების იდენტიფიცირებას ტექსტებში. ეს კონცეპტები შესაძლოა იძებნებოდეს დასათაურებებში ან თამაშობდნენ ძირითადი კონცეპტების როლს მთლიანი ტექსტის გააზრებისათვის. მეორე საფეხური არის ლიტერატურული კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს უკვე ჩატარებული ეთნოგრაფიული კვლევის შედეგების გააზრებას კულტურული კონცეპტების დადგენის მიზნით. მესამე საფეხური გულისხმობს მცდელობას დავაკავშიროთ ეთნოგრაფიული მონაცემები იმ ტექსტებს, რომელიც დგინდება პირველ საფეხურზე იმისათვის, რომ ნათელი მოვფინოთ იმ კულტურულ კონცეპტებს, რომლებიც სახელმძღვანელოებში იძებნება. მეოთხე საფეხური გულისხმობს ვიზუალური მხარის სემიოტიკურ ანალიზს იმის დასადგენად ასახვევ თუ არა კულტურულ კონცეპტებს. საბოლოოდ, დინჰი გვთავაზობს ამ ოთხი საფეხურის შემდეგ დესკრიფციას:

1. საფეხური # 1 - კულტურული კონცეპტების იდენტიფიცირება ტექსტებში (იმ კულტურული კონცეპტების იდენტიფიცირება, რომლებიც მოცემულია დასათაურებებში);
2. საფეხური # 2 - ეთნოგრაფიული კვლევის ჩატარება (მოპოვებული მასალის ლიტერატურის მიმოხილვა და მსგავსი კონცეპტების შესწავლა, რომლებიც იძებნება ანთროპოლოგიის, სოციოლოგიისა და კულტუროლოგიური სწავლების სფეროებში);
3. საფეხური # 3 - კონცეპტუალური ანალიზის ჩატარება ეთნოგრაფიულ კვლევაზე დაფუძნებით;
4. საფეხური # 4 - ვიზუალური ანალიზი (ტექსტისა და ვიზუალის სემიოტიკური ანალიზი).

მოკლედ, მიმოვიხილავთ კულტუროლოგიური ლინგვისტიკის სამ ძირითად ანალიტიკურ ინსტრუმენტს ანუ კულტურულ სქემებს იმისათვის, რომ შეიქმნას პრაგმატიკული ხერხების, ენობრივი ქმედებების, პრაგმიმებისა (პრაგმატიკული ქმედებების ზოგადი სიტუაციური პროტოტიპების) და პრაქტების (პრაგმატიკული ქმედებების) შესწავლის ზოგადი ჩარჩო. განვიხილავთ კულტურული სქემების კონკრეტულ კლასს - ე.წ. „პრაგმატიკული კულტურული სქემები“, რაც პრაგმატიკული მნიშვნელობის კომუნიკაციის საფუძველს წარმოადგენს. პრაგმატიკული კულტურული სქემები ახდენენ (ე.წ. პრაგმატიკული სქემები), იერარქიული ურთიერთობის კონსტრუირებას ენობრივი ქმედებების, პრაგმიმებისა და პრაქტებს გამოყენებით, რის შედეგადაც კონკრეტული პრაგმატიკული ქმედებები ქმნიან პრაგმიმებს (პრაგმატიკული ქმედებების ზოგად სიტუაციური პროტოტიპების), რაც თავის მხრივ აყალიბებს კონკრეტულ ენობრივ აქტს, რაც ასოცირდება პრაგმატიკულ სქემასთან. სხვა სიტყვებით, ოთხეტაპიანი იერარქია (პრაგმატიკული სქემა - > ენობრივი ქმედებები - > პრაგმიმები (პრაგმატიკული ქმედებების ზოგადი სიტუაციური პროტოტიპები) - > პრაქტები (პრაგმატიკული ქმედებები) პრაქტების სწორი ინტერპრეტაციისათვის მოითხოვს პრაგმატიკული სქემების, ენობრივი ქმედებებისა და პრაგმიმების ცოდნას, რომლებიც ერთმანეთს განსაზღვრავენ.

პრაგმატიკული ქმედების თეორიის მიხედვით (Mey / მეი, 2001), პრაგმიმები არიან „პრაგმატიკული ქმედებების ზოგადი სიტუაციური პროტოტიპები, რომელთა რეალიზაცია ხდება კონკრეტულ სიტუაციასა ან / და სიტუაციათა ჯგუფში“ (მეი, 2010, გვ. 2884). პრაქტები, სხვა მხრივ, გულისხმობენ პრაგმიმების რეპრეზენტაციისა და რეალიზებას.

პრაქტების სწორი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია სიტუაციური კონტექსტის ცოდნაზე ისევე, როგორც პრაგმატიკული ქმედების ასოცირებულ პრაგმიმებზე (მეი, 2010). თუმცა, პრაგმიმები ხშირად დაკავშირებული არიან კონკრეტულ კულტურულ ვარაუდებთან, მოლოდინებთან და ცოდნასთან, რაც გულისხმობს პრაგმატიკული მნიშვნელობების სწორ გააზრებას. მიუხედავად ამისა, არსებობს შემთხვევები, როდესაც პრაგმიმები ჩართულია კულტურულ კონტექსტში (Kecskes / კეჩკე, 2013).

შესაბამისად, ვასკვნიტ, რომ „კულტურული სქემის“ ცნება ეხება ცოდნის იმ ტიპს, რომელიც მოიცავს ენაში კოდირებული მნიშვნელობების უდიდეს ნაწილს. ყოველდღიურ

კომუნიკაციაში საკომუნიკაციო პროცესში ჩართული ინდივიდები ფლობენ ცოდნას გაზიარებული კულტურული სქემების ვარაუდების შესახებ. ცოდნის ეს ტიპი, რომელიც ემყარება სამეტყველო ქმედებებს, ამ ცოდნის ნაწილია. კულტურული სქემები გვაწვდის პრაგმატიკული მნიშვნელობების საფუძველს, რაც თავისთავად დაკავშირებულია „პრაგმატიკულ სქემებთან“. პრაგმატიკული მნიშვნელობის თეორიები განსხვავებულად განიხილავენ კითხვას, თუ როგორ იყენებენ საკომუნიკაციო პროცესში ჩართული ინდივიდები საერთო ცოდნას კომუნიკაციის დროს ენის გამოყენებისას; კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ემყარება „პრაგმატიკული სქემების“ ცნებას და ამტკიცებს, რომ არსებული სქემები განიხილებიან, როგორც „გაზიარებული ცოდნის შესაძლო წყაროები“, რომელსაც ემყარებიან კომუნიკაციის პროცესის მონაწილენი.

#### 4.2. კონცეპტი „ღირებულება“ მულტიდისციპლინარულ განზომილებაში

ტერმინი „ღირებულება“ ან „ღირებულებები“ გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში და აქვს სხვადასხვა მნიშვნელობა. ღირებულება შეიძლება აღნიშნავდეს სტანდარტს, რწმენას, პრინციპებს, მორალურ ვალდებულებებს და სოციალურ ნორმებს ისევე, როგორც სურვილებს, საჭიროებებსა და ინტერესებს. უფრო მეტიც, ღირებულება შეიძლება აღნიშნავდეს ინტერესის საგანს, საგნის მნიშვნელობას.

უნდა განვასხვავოთ ორი ზოგადი თვალსაზრისი, რომელთა მიხედვითაც ეს ტერმინი შეიძლება იქნას გამოყენებული:

1. გარკვეული ობიექტის ან ფენომენის შეფასება;
2. სტანდარტები ან ფენომენები, რომელთა მიხედვითაც ეს შეფასება კეთდება.

არსებობს ცხადი განსხვავება ღირებულების მქონე საგანსა და ~ შეფასების სტანდარტებს შორის (ობიექტი და სუბიექტი დაკავშირებულია შეფასების პროცესში).

პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს განსხვავება ხშირად ბუნდოვანია, რადგან შეფასების სტანდარტების გამოყენება აღიბეჭდება იმ ინტერესის ობიექტში, რომელსაც ღირებულება



გააჩნია; უფრო მეტიც, ობიექტის ღირებულება შეიძლება მივიჩნიოთ შეფასების დამატებით სტანდარტად.

ღირებულების ზოგადი გაგების კონტექსტში მნიშვნელოვანია განვასხვაოთ შემდეგი ორი ტერმინი:

1. მინიჭებული ღირებულება ან ობიექტური ღირებულება (კონკრეტული ობიექტის ან ფენომენის შეფასების შედეგი);
2. ღირებულება, როგორც კრიტერიუმი (სტანდარტი, რომლის მიხედვითაც ხორციელდება შეფასება).

ღირებულების მნიშვნელობათა კლასიფიკაციისათვის ფრანკენამ (1967, გვ. 229-230) შემოგვთავაზა, განგეხილა ღირებულება, როგორც „აბსტრაქტული არსებითი სახელი“, „კონკრეტული არსებითი სახელი“ ან „ზმნა“.

ღირებულება, როგორც აბსტრაქტული არსებითი სახელი გამოიყენება 3 განსხვავებული თვალსაზრისით:

1. ვიწრო გაგებით, ის ეხება რაიმე კარგს, სასიამოვნოს, სასურველს;
2. ფართო გაგებით, ის ეხება რაიმე ლამაზს, სწორს, წმინდას და სხვა;
3. უზოგადესი გაგებით, ღირებულება მოიცავს კრიტიკული მტკიცებების, შეხედულებების ყველა ტიპს.

ღირებულებას, როგორც კონკრეტულ არსებით სახელს, აქვს ორი ზოგადი გამოყენება. აქ საქმე გვაქვს ობიექტურ ღირებულებასა და ღირებულებას, როგორც კრიტერიუმს შორის არსებულ განსხვავებას:

1. ღირებულება მოიცავს იმას, რასაც აქვს ღირებულება ან არის ღირებული; ამ თვალსაზრისით, ვსაუბრობთ იმაზე, რაც არის კარგი, სწორი, ლამაზი და მართალი (ობიექტური ღირებულება);
2. ღირებულება მოიცავს იმას, რაც შეფასებული, განსჯილი ან სასურველია; ამ თვალსაზრისით, ვსაუბრობთ ინდივიდუალურ ღირებულებებზე, ქრისტიანულ ღირებულებებზე და სხვა (ღირებულება, როგორც კრიტერიუმი).

ღირებულება, როგორც ზმნა გვხვდება ისეთ გამონათქვამებში, როგორებიცაა „შეაფასო, დააფასო“. მიუხედავად იმისა, თუ ღირებულების რომელ ინტერპრეტაციულ მოდელს ვიყენებთ, ღირებულება მოიცავს შეფასების ქმედებების ვიწრო და ფართო გაგებებს. შესაბამისად, შეაფასო რაიმე გულისმობს განსაჯო ის მისი სისწორით, სილამაზით, ღირსებით.

უნდა აღინიშნოს, რომ განასხვავებენ ღირებულების კიდევ ორ განმარტებას: ერთი მხრივ, ეს ტერმინი გამოიყენება მოწონების, სურვილის გაგებით, რაც განსაზღვრავს ემოციურ პასუხს კონკრეტულ ქმედებაზე, მეორე მხრივ, ღირებულება შეიძლება გნვიხილოთ როგორც შემეცნებითი ქმედება.

ღირებულების კონცეპტისა და მისი საზომების განვითარება ფილოსოფიაში, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ეფუძნება ღირებულების თეორიებს. ეს ტიპოლოგია ეფუძნება იმ შეხედულებებს, რომლებიც განიხილავს ნორმატიულ და მეტა-ნორმატიულ თეორიებს ეთიკური პერსპექტივის კონტექსტში.

ჩვენ შეიძლება განვასხვაოთ დესკრიპტული, ნორმატიული და მეტა-ნორმატიული ღირებულების თეორიები:

1. ღირებულების დესკრიპტული თეორიები განიხილავენ იმას, რაც არსებობს ღირებულების საზღვრებში, მაგალითად, ეს თეორიები სწავლობენ იმ ღირებულებებს, რომლებიც გააჩნია საზოგადოებრივ ჯგუფებს (Frankena / ფრანკენა, 1967); დესკრიპტული განაცხადები იმის შესახებ, თუ რა არის ღირებულება, ემატება ნორმატიულ და მეტა-ნორმატიულ ღირებულებების განხილვის პროცესს;
2. ღირებულების ნორმატიული თეორიები განიხილავენ იმას, თუ რა უნდა დაემატოს ღირებულებათა ჯგუფს, მაგალითად, ისინი განიხილავენ თუ რა არის „სამართლიანი“, „კარგი“ ან „მორალური“ ინდივიდისათვის ისევე, როგორც საზოგადოებისათვის;
3. მეტა-ნორმატიული თეორიები აანალიზებენ ღირებულებას და ღირებულების განსაზღვრის პროცესებს. ეს თეორიები განმარტავენ თუ რა არის „სიკარგე“ და „ღირებულება“. მეტა-ნორმატიული თეორიები ქმნიან ღირებულების ნორმატიული და დესკრიპტული თეორიების საფუძველს.

ღირებულების თეორიებს შორის უნდა განვასხვაოთ მინიჭებული ღირებულება და ღირებულება, როგორც კრიტერიუმი, რომელიც იძლევა ღირებულების ემპირიული კვლევის შესაძლებლობას სოციოლოგიაში, ანთროპოლოგიაში, ფსიქოლოგიასა და სოციალურ ფსიქოლოგიაში.

ღირებულება, როგორც კრიტერიუმი შეიძლება დაიყოს ძირითად, კომპლექსურ და განვითარებად ღირებულების ტიპოლოგიებად.

1. ძირითადი ღირებულების ტიპოლოგიას ახასიათებს ადამიანის ღირებულებათა დიაპაზონის შემცირება მარტივი კლასიფიკაციის საშუალებების გამოყენებით; ადამიანის ღირებულება შეიძლება მოიცავდეს რაიმე სასურველს და ამ სასურველი მიზნის მიღწევის საშუალებებს;
2. კომპლექსური ღირებულების ტიპოლოგია იყენებს კლასიფიკაციის პრინციპების უფრო დიდ რაოდენობას, რათა უზრუნველყოს იქნას „ღირებულების“ ფენომენის ასპექტების განხილვის ზუსტი მექანიზმი.

რესჩერი (1969) განასხვავებს ღირებულების კლასიფიკაციის 6 ძირითად პრინციპს:

1. ვსვამთ კითხვას: „ვინ ფლობს ღირებულებას?“. შესაძლოა, გამოიყოს პერსონალური ღირებულებები, საზოგადოებრივი ღირებულებები, ეროვნული ღირებულებები ან პროფესიული ღირებულებები;
2. ღირებულებები განიმარტება იმ ობიექტის ან ობიექტთა კლასის მიხედვით, რომელსაც ისინი აღნიშნავენ. შესაბამისად, უნდა განვასხვაოთ შემდეგი ღირებულებები: ობიექტური ღირებულებები, ინდივიდუალური და პერსონალური ღირებულებები, ჯგუფის ან საზოგადოების ღირებულებები და სხვა;
3. ღირებულებები განიმარტება ადამიანთა სურვილების, საჭიროებებისა და ინტერესების მიხედვით. ასეთი კატეგორიებია: ესთეტიკური ღირებულებები, სულიერი ღირებულებები, პოლიტიკური ღირებულებები, ეკონომიკური ღირებულებები;
4. ღირებულებების კლასიფიკაცია შესაძლებელია სარგებლის რეალიზების მიზნით;
5. შესაძლებელია ეგოცენტრული, პატრიოტული, ჰუმანიტარული და ეკოცენტრული ღირებულებების გამოყოფა;

6. გარკვეული ღირებულებები სხვა ღირებულებების მიღწევის საშუალებად განიხილება. შესაბამისად, ერთმანეთისაგან განსხვავდება ინსტრუმენტალური, გარეგანი, ტერმინალური და შინაგანი ღირებულებები.

ღირებულის ნორმატიული თეორიების ფარგლებში ყალიბდება დასკვნები იმის შესახებ, თუ რა არის „სამართლიანი“, „კარგი“, „მორალური“ ინდივიდისა და საზოგადოებისათვის. იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც აფასებენ მორალურ ქმედებს, ნორმატიული თეორიები შესაძლოა დაიყოს დეონტოლოგიურ, ტელეოლოგიურ, აქსიოლოგიურ და პრაქტიკულ ტიპებად.

1. დეონტოლოგიური ნორმატიული თეორიები აფასებენ ქმედებებს „თანდაყოლილი სიმართლის“ პრინციპით ან ფორმალური პრინციპების გამოყენებით და მათი დამატებითი შეფასება საჭირო აღარაა. ნორმატიული კრიტერიუმი ფასდება ფორმალური, უნივერსალური პრინციპის (ფორმალური დეონტოლოგიური თეორიები) მიერ.
2. ტელეოლოგიური ნორმატიული თეორიები აფასებენ ქმედებებს მათი შედეგების „სიკარგის“ პრინციპით. შესაძლოა აღინიშნოს, რომ ყველაზე ცნობილი ტელეოლოგიური თეორია უტილიტარიზმია. უტილიტარიზმის მიხედვით, "კარგი" ქმედება არის ის, რომელიც ხელს უწყობს ადამიანთა დიდი რაოდენობისათვის სარგებლის მოტანას. შესაბამისად, ნორმატიული კრიტერიუმი არის ქმედების შედეგის „სიკარგე“ და მისი „ღირებულება“. არსებული კრიტერიუმი უპირისპირდება „თანდაყოლილი სიმართლის“ ცნებას.
3. აქსიოლოგიური ნორმატიული თეორიები მჭიდროდაა დაკავშირებული ტელეოლოგიურ თეორიებთან; ორივე ეფუძნება „სიკარგეს“ და ღირებულებას როგორც ნორმატიულ კრიტერიუმს. თუმცა, აქსიოლოგიური თეორიები აფასებენ სხვადასხვა ქმედებებს მათი „თანდაყოლილი სიმართლის“ პრინციპის გათვალისწინებით და ეწინააღმდეგებიან შედეგების (ტელეოლოგიური) „სიკეთის“ პრინციპს.

დეონტოლოგიურ და აქსიოლოგიურ თეორიებს შორის ძირითადი განსხვავება არის ის, რომ დეონტოლოგიური თვალსაზრისით გარკვეული ქმედებები თავიდანვე სწორი ან

ობლიგატორიულია მაშინ, როდესაც აქსიოლოგიური თვალსაზრისით ჩვენ ვსაუბრობთ თანდაყოლილ სიკეთესა და ღირებულებაზე.

1. პრაქტიკულ ნორმატიულ თეორიებში აქცენტირებულია მიზეზობრიობა, როგორც ქმედებათა ნორმატიული შეფასების კრიტერიუმი. ქმედება შეიძლება იყოს „კარგი“ ან „სწორი“, თუ ის ემორჩილება არსებულ კანონებსა და ნორმებს (Baier / ბაიერი, 1965; Habermas / ჰაბერმასი, 1970; Taylor / ტეილორი, 1961).

მეტა-ნორმატიული თეორიები იძლევა ფილოსოფიურ საფუძველს როგორც ნორმატიული, ისე ღირებულების დესკრიპტული თეორიებისათვის. მეტა-ნორმატიული თეორიები სვამენ კითხვებს: „არსებობს თუ არა ეთიკური ცოდნა და თუ არსებობს, რა ტიპისაა ეს ცოდნა?“, „შესაძლებელია ნორმატიული მტკიცების სიმართლის განსაზღვრა?“ ან „რა ტიპის ბუნება გააჩნია ღირებულებას?“

მეტა-ნორმატიული თეორიები შესაძლოა დაიყოს ორ ძირითად კლასად: კოგნიტივისტურ და არა-კოგნიტივისტურ თეორიებად. ძირითადი განსხვავება ამ თეორიებს შორის დამოკიდებულია იმ პასუხზე, რასაც გავცემთ კითხვას: „რა ტიპის ცოდნას წარმოადგენს მორალური განსჯა?“. შესაბამისად, ეს თეორიები განსხვავდებიან ნორმატიული თეორიების ეპისტემოლოგიური სტატუსის შეფასების თვალსაზრისით.

კოგნიტივიზმი ამტკიცებს, რომ ნორმატიული თეორიები მოიცავს გარკვეული ტიპის ცოდნას, რაც შეიძლება იყოს სწორი ან არასწორი, ხოლო არა-კოგნიტივიზმი ამ მიდგომას უარყოფს.

არსებობს აზროვნების ორი ძირითადი სკოლა კოგნიტივიზმის თვალსაზრისით:

ნატურალიზმი და არა-ნატურალიზმი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე სკოლა აღიარებს ფაქტს, რომ ნორმატიული ეთიკა მოიცავს გარკვეული სახის ცოდნას, ისინი განსხვავდებიან ამ ცოდნის ბუნების შეფასების თვალსაზრისით. ნატურალიზმი ინარჩუნებს შეხედულებას, რომ ეთიკური ცოდნა ემპირიული ცოდნისაგან ფუნდამენტურად არ განსხვავდება და შესაძლებელია მათი ფორმირება იმ მეთოდებით, რა მეთოდებიც არსებობს სოციალურ და გამოყენებით მეცნიერებებში. ამის საპირისპიროდ, არა-ნატურალიზმი ამტკიცებს, რომ ეთიკური ცოდნა სხვა ტიპის ცოდნისაგან საკმაოდ განსხვავებულია და მისი რეპრეზენტირება ვერ მოხდება სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით; მორალური

ტერმინები, როგორცაა „კარგი“ გულისხმობს საგნის არა-ნატურალისტურ ბუნებას, რომელსაც ვერ განვმარტავთ. შესაბამისად, არა-ნატურალიზმი არსებითად ობიექტივისტური დოქტრინაა.

ნატურალისტების მიხედვით, ეთიკური ცოდნა შესაძლებელია რეპრეზენტირდეს და გამოიცადოს სამეცნიერო მეთოდების გამოყენებითა და ემპირიული დაკვირვებით. თუმცა, არსებობს გარკვეული განსხვავებები ამ სკოლაში, რაც ემყარება ორ ძირითად საკითხს: 1. ეთიკური ცოდნის წყაროს და 2. პროცედურებს, რომელთა მეშვეობითაც ეს ცოდნა ყალიბდება.

ობიექტივისტური ნატურალიზმი ამკიცებს, რომ ისეთი ღირებულებები, როგორცაა „კარგი ან „სწორი“ ობიექტის თანდაყოლილი ღირებულებებია და არა დამოკიდებული გარე ფაქტორებზე. ამის საპირისპიროდ, სუბიექტური ნატურალიზმი ღირებულების წყაროს მიიჩნევს, როგორც დამკვირვებელსა და დაკვირვების საგანს შორის არსებულ მიმართებას.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ შეხედულებები იმ პროცედურების შესახებ, რაც აყალიბებს ეთიკურ ცოდნას, განსხვავდება: ეპისტემიური სუბიექტივიზმი ემყარება ინტერესების, სურვილებისა და უპირატესობების უკუქცევით შეფასებას მაშინ, როდესაც არა-ეპისტემიური სუბიექტივიზმი ემყარება ინტერესების, სურვილებისა და უპირატესობების მარტივ გამომხატველობას.

არა-კოგნიტივიზმი ინარჩუნებს შეხედულებას, რომ ნორმატიული თეორიები არ მოიცავენ ცოდნას და შესაბამისად, ვერ იქნებიან ვერიფიკაციისა და ფალსიფიცირების საგანი. ამ შეხედულების კონტექსტში ისმის კითხვა: “ რას გულისხმობს ნორმატიული მტკიცება, თუ ის არ მოიცავს გარკვეული ტიპის ცოდნას?” რამდენიმე შესაძლო განმარტებას გვთავაზობენ არა-კოგნიტივისტები, მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ემოციური, დირექტიული და წამახალისებელი.

აქვე შევხებით აქსიოლოგიას - კრიტიკული მტკიცებების ზოგად თეორიას. თუმცა, ჩვენ განვიხილავთ ღირებულების ვიწყო გაგების მახასიათებლებსაც; ამ ვიწრო გაგებით, აქსიოლოგია იკვლევს გარკვეულ მტკიცებებს, რაც ეთიკისა და მორალური ფილოსოფიის ნაწილია; ფილოსოფიის ეს განხრა ინტერესდება იმით, თუ რა არის მორალურად კარგი და ცუდი, სწორი ან არასწორი.

აქსიოლოგიის, როგორც ღირებულების ზოგადი თეორიის განვითარება მოხდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გერმანელი ფილოსოფოსის რუდოლფ ჰერმან ლოტცეს მიერ. აქსიოლოგები ცდილობენ ღირებულების ზოგადი კონცეპტის კონსტუირებას იმისათვის, რომ შეძლონ ფართო კონტექსტის მქონე ქმედებების შეფასება.

ლოტცე და ბრენტანოს მიხედვით, „ღირებულებითი გამოცდილება“ მოიცავს 4 ელემენტს:

1. ღირებულების სუბიექტს - ინდივიდი, რომელიც რაიმეს განიცდის;
2. პოზიტიურ (ან ნეგატიურ) ემოციას, რასაც ღირებულებითი გრძნობა ეწოდება;
3. რეალურ ან „განზრახვით“ (არარსებულ) ობიექტს, ღირებულების ობიექტს (შეფასებას იმისა, რაც კეთდება);
4. არსებული ღირებულების ობიექტის რეალიზებისა და არსებობის განსჯას (Rescher / რესჩერი, 1969, გვ. 51).

„ღირებულებითი გამოცდილების“ დაყოფა ბადებს ორ ფუნდამენტურ კითხვას, რაც ნებისმიერი აქსიოლოგიური თეორიის ცენტრალური ნაწილია:

1. არის ღირებულება საკუთრება, თუ ეს არის ობიექტსა და სუბიექტს შორის არსებული მიმართება?
2. არის ღირებულების აღქმა პერსონალური, სრულიად ინტუიციური გამოცდილება, თუ არსებობს გარკვეული ობიექტური ფაქტორები, რომელთა შესწავლაც უნდა მოხდეს სამეცნიერო მეთოდების გამოყენებით?

მეინონგის პოზიცია ამ კითხვებთან დაკავშირებით მოიცავს პირველ განაცხადს, რაც ცნობილია, როგორც „ღირებულების სუბიექტივისტური ინტერპრეტაცია“.

სუბიექტივიზმი ინარჩუნებს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, ღირებულება იქმნება იმ ურთიერთობით, რაც არსებობს სუბიექტსა და ობიექტს შორის (სუბიექტი, ვინც ახდენს ღირებულების კონსტრუირებას და ობიექტი, რასაც ენიჭება ეს ღირებულება). ამ შეხედულებას დიდი გავლენა ჰქონდა ფილოსოფიის განვითარებაზე, ისევე როგორც სოციალური და ბიჰევიორისტული მეცნიერებების ჩამოყალიბებაზე. პერის შეხედულებით, სუბიექტივიზმი გულისხმობს შემდეგს: „მამინ აქვს რაიმეს ღირებულება ან არის ღირებული, როდესაც ის არის ინტერესის საგანი“ (Perry / პერი, 1954, გვ. 2-3).

სუბიექტივიზმის საწინააღმდეგო შეხედულება ცნობილია, როგორც ობიექტივიზმი. ობიექტივიზმის მიხედვით, ღირებულება ეკუთვნის ობიექტებს, რომლებიც სასურველია ან ღირებულია ხალხისათვის. ობიექტივისტური სკოლის მიხედვით, ღირებულება რეპრეზენტირდება ისეთ ინტუიციური პროცესების მეშვეობით, როგორებიცაა: ემოცია და ინტელექტი.

ობიექტივისტურ და სუბიექტივისტურ დოქტრინებს შორის განსხვავება ემყარება ღირებულების ბუნების შესახებ არსებულ ვარაუდებსა და ცოდნას.

ღირებულების ფენომენის შესწავლისათვის ფილოსოფოსები ხშირად ერთმანეთისაგან განასხვავებენ ღირებულების ტიპებსა და კლასებს. ღირებულების ფენომენის კომპლექსურობამ გამოიწვია იმ მიდგომათა მრავალფეროვნება, რომლებიც შეიძლება გამოვიყენოთ ღირებულების კლასიფიკაციისათვის. კლასიფიკაციის პრინციპების შერჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზანზე (რესჩერი, 1969). კლასიფიკაციის პრინციპების თვალსაზრისით, შეგვიძლია განვიხილოთ პერის, ლუისის, რაითის და ჰარტმანის მიდგომები.

პერი განასხვავებს ღირებულების 8 ძირითად კლასს: მორალი, ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია, ეკონომიკა, პოლიტიკა, სამართალი და წეს-ჩვეულება.

ღირებულების ვიწრო გაგების მიხედვით, ლევისი (1946) განასხვავებს ღირებულების 5 კლასს: სარგებელი (გარკვეული მიზნების სარგებლიანობა); გარეგანი ანუ ინსტრუმენტალური ღირებულება (იყო ღირებული); თანდაყოლილი ღირებულება; შინაგანი ღირებულება; ხელის შემწყობი ღირებულება (ღირებულება, რომელსაც წვლილი შეაქვს იმ ზოგად კლასში, რომლის წევრიც ის არის).

ჰარტმანი განასხვავებს კონცეპტების 3 ძირითად ტიპს (სინთეზური, ანალიტიკური და სინგულარული) და შესაბამისად, გვამღევეს ღირებულების სამი ტიპის ინტერპრეტაციას:

1. სისტემური ღირებულება - სინთეზური კონცეპტის რეალიზება; სინთეზური კონცეპტი უფრო ადამიანის შემეცნების კონსტრუქტია, ვიდრე ემპირიული; სისტემური ღირებულება არის კონკრეტული კონცეპტისა და მისი მნიშვნელობის ურთიერთობა;



2. გარეგანი ღირებულება არის ის ღირებულება, რომელიც ემპირიულ საგნებს გააჩნიათ ანალიტიკური კონცეპტების თვალსაზრისით; მათი რაოდენობა შესაძლოა იყოს განუსაზღვრელი. არ არის აუცილებელი ემპირიული საგნები მოიცავდნენ ყველა იმ ატრიბუტს, რომელიც კონცეპტს გააჩნია;
3. შინაგანი ღირებულება არის ის ღირებულება, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურ საგნებს, სადაც ეს საგნები გამოიყენება როგორც სინგულარული კონცეპტები. სინგულარული კონცეპტი არ ეფუძნება საგანთა კლასის ზოგად ატრიბუტებს; ის განსაზღვრავს მხოლოდ ერთ, უნიკალურ საგანს განუსაზღვრელი რაოდენობის მექანიზმებით.

ამ კლასიფიკაციის თვალსაზრისით, ღირებულების კომპლექსურობა იზრდება სისტემური დონიდან (მაგალითად, ადამიანთა კლასი) გარეგან დონემდე (აბსტრაქტული პირი საზოგადოებაში) და გერეგანი დონიდან შინაგან დონემდე (უნიკალური ინდივიდი).

აქსიოლოგთა ყურადღება ფოკუსირდება შინაგანი ღირებულებისა და ინსტრუმენტალური ღირებულების სხვაობის საკითხზე. მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ღირებულებას მიიჩნევს „მიზნად საკუთარ თავში“, რაც ეწინააღმდეგება ღირებულების, როგორც მიზნის მიღწევის საშუალებას.

ძირითადი კითხვა, რომელიც იბადება მიზნის ღირებულების ბუნების შესახებ, დაკავშირებულია შინაგანი ღირებულების კრიტერიუმთან. სწორედ აქ განსხვავდება ძირითადი ეთიკური სისტემები. ძირითადი განსხვავება არსებობს მონისტურ და პლურალისტურ თეორიებში. მონისტური თეორიების თვალსაზრისით არსებობს შინაგანი ღირებულების მხოლოდ ერთი კრიტერიუმი, ხოლო პლურალისტური თეორიების თანახმად არსებობს შინაგანი ღირებულების კრიტერიუმების მთელი წყება.

მონისტურ თეორიებს შორის მნიშვნელოვანია ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ჰედონისტური და ანტი-ჰედონისტური თეორიები. ჰედონისტები შინაგანი ღირებულების ძირითად კრიტერიუმად მიიჩნევენ სიამოვნებას. შესაბამისად, ყველა გამოცდილება, რომელიც სასიამოვნოა, კარგია. ამ სკოლის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები იყვნენ ჰიუმი, ბენტამი, ერენფელსი (ფრანკენა, 1967). ანტი-ჰედონისტური ფილოსოფოსები გვთავაზობენ ალტერნატიული კრიტერიუმების ფართო სპექტრს შინაგანი ღირებულებისათვის,

როგორებიცაა: ზიარება ღმერთთან (ავგუსტინე - Augustine, აქვინელი - Aquinas), ცოდნა (სპინოზა - Spinoza), თვით-რეალიზაცია (ბრედლი - Bradley) ან ძალა (ნიცშე - Nietzsche) (ფრანკენა, 1967).

ფლურალისტები (პლატო, მური, ჰარტმანი და პერი) გვთავაზობენ შინაგანი სიკეთის თანაარსებული კრიტერიუმების ფართო სპექტრს, როგორებიცაა: სიამოვნება, ცოდნა, სილამაზე, სიმართლე, ჰარმონია, სიყვარული, მეგობრობა, სამართალი და სხვა (ფრანკენა, 1967).

ღირებულების კონცეპტები გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტებში სხვადასხვა მნიშვნელობებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ღირებულების სუბიექტივისტური და ობიექტივისტური ინტერპრეტაცია. ღირებულების ბევრი კლასიფიკაცია მოიცავს შინაგანი ღირებულების კლასს. თუმცა, არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები ამ კლასის შესატყვის კონტენტებს შორის.

ღირებულების კვლევა სოციალურ და ბიჰევიორისტულ მეცნიერებებში ეფუძნება ღირებულების ნორმატიულ და მეტა-ნორმატიულ თეორიებსა და ღირებულების ფილოსოფიურ კონცეპტებს. შესაბამისად, ღირებულების დომენის განსაზღვრება შეიძლება მერყეობდეს მისი რესტრიქტული ბუნებიდან საყოველთაო ბუნებამდე.

„ღირებულების“ რესტრიქტული განმარტების მიხედვით, ღირებულება არის სასურველი კონცეპტი, რომელიც გავლენას ახდენს სელექციურ ქმედებაზე (Kluckhohn / კლაკჰონი, 1951). სუბარია იმ სხვაობაზე, რომელიც არსებობს სასურველსა და ვინმეს ჩანაფიქრს შორის. სასურველი არის ის, რასაც ვინმე ჩაიფიქრებს ან ღირს ჩასაფიქრებლად.

პერი (1926, 1954) გვთავაზობს ღირებულების საყოველთაო განმარტებას, რომელიც მოიცავს ნებისმიერი სუბიექტის ინტერესს, ყველა ტიპის სურვილს, მოწონებას, სიამოვნებას, საჭიროებას, უპირატესობას და სხვა სელექციური ქმედების ტიპებს (Pepper / პეპერი, 1958).

ტერმინი „ღირებულება“ შეიძლება გამოვიყენოთ ორი თვალსაზრისით: 1. ღირებულება, როგორც კრიტერიუმი, ხშირად გამოიყენება ისეთი კონცეპტების აღნიშვნისათვის, როგორებიცაა: დამოკიდებულებები, ნორმები და მოტივები. ის აგრეთვე შესაძლოა ეხებოდეს

ღირებულების, როგორც კრიტერიუმის, კონკრეტულ ტიპს ან კლასს, რომელიც განსხვავდება სხვა კლასებისაგან დამოკიდებულებებითა და ნორმებით.

როკიჩი გვთავაზობს ღირებულების და დამოკიდებულების კონცეპტების შემდეგ განმარტებებს:

1. „ღირებულება არის მუდმივი რწმენა, ქმედების კონკრეტული ტიპი ან არსებობის მდგომარეობა“ (Rokeach / როკიჩი, 1973, გვ. 5);
2. „დამოკიდებულება არის რწმენათა შედარებით ორგანიზებული ფორმა, რომელიც არსებობს კონკრეტული ობიექტის შესახებ და პასუხობს კონკრეტულ სიტუაციას სასურველი მანერით“ (როკიჩი, 1968, გვ. 450).

ღირებულებები და დამოკიდებულებები მჭიდროდ დაკავშირებული კონცეპტებია. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ღირებულებები სცდება კონკრეტულ სიტუაციებს მაშინ, როდესაც დამოკიდებულებები კონკრეტული სიტუაციის კონტექსტში განიხილებიან. ამასთანავე, ღირებულება შესაძლოა განხილულ იყოს როგორც ერთი, ცალკეული ელემენტი მაშინ, როდესაც დამოკიდებულებები სხვადასხვა ტიპის რწმენათა ორგანიზებული ფორმაა. დამოკიდებულებები ყალიბდება კონკრეტული ღირებულებებით, რომლებიც ეხება კონკრეტულ სიტუაციას ან სიტუაციათა კლასს. ამ თვალსაზრისით, ღირებულებები შედარებით ფუნდამენტური კონცეპტებია ვიდრე დამოკიდებულებები.

ღირებულებებსა და ნორმების შორის განსხვავება ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს შორის არსებული განსხვავების მსგავსია. ნორმები გულისხმობს კონკრეტული ღირებულებების გამოყენებას კონკრეტულ სიტუაციებში. ერთი და იგივე ღირებულება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სხვადასხვა ნორმასთან. დამოკიდებულებებისაგან განსხვავებით, ნორმები, როგორც კონკრეტული ქცევის წესები, წარმოადგენენ კონკრეტული ღირებულებების ანარეკლს და ხალხის კონკრეტული ჯგუფის დამოკიდებულებებს.

საჭიროებებისა და ღირებულების, როგორც კრიტერიუმის მიმართების საკითხი ძალიან დიდ ინტერესს იწვევს იმ მეცნიერთა შორის, რომლებიც იკვლევენ ღირებულების კონცეპტს. ბიოლოგიური და სოციალური საჭიროებები შესაძლოა, მივიჩნიოთ კონკრეტული ღირებულებების წინაპირობად. ამ თვალსაზრისით, შვარცი და ბილსკი განასხვავებენ ღირებულების დომენის 8 ტიპს, მათ შორის: „სიამოვნებას“, „უსაფრთხოებას“, „სოციალურ

ძალას“ და „თვითგამოხატულებას“. შესაბამისად, საჭიროებები ქმნიან ღირებულებებს და ამის საპირწონედ, ღირებულებები აისახება ჩვენს დამოკიდებულებებსა და ნორმებში.

ღირებულებათა ჯამი, რომელიც გააჩნია ინდივიდთა ჯგუფს ან ინდივიდს, ქმნის ღირებულებათა სისტემას: „ღირებულებათა სისტემა არის სტანდარტების ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც გამოიყენება სასურველი საგნებისა და ქმედებების შესარჩევად, კონფლიქტების მოსაგვარებლად, სოციალური სანქციების გამოყენებისას და იმ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, რომლებიც გააჩნია კონკრეტულ ინდივიდს ან ინდივიდთა ჯგუფს“.

იმის გამო, რომ ღირებულებები გაერთიანებულია ღირებულებათა სისტემაში, ისინი შესაძლოა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია განვიხილოთ „წესრიგის“ არსი ღირებულებათა სისტემაში: „ღირებულებათა სისტემა არის რწმენათა ორგანიზებული ფორმა, რომელიც მოიცავს ქმედების სასურველ ტიპს ან არსებობის“.

ჯგუფის დონეზე, ტერმინები, როგორებიცაა: „სოციალურ ღირებულებათა სისტემა“, „კულტურულ ღირებულებათა სისტემა“ ან „ორგანიზაციული ღირებულებათა სისტემა“ ხშირად გამოიყენება ღირებულება მწყობრი სისტემის აღსანიშნავად.

ღირებულებებს, როგორც რწმენებს, გააჩნიათ კოგნიტური, აფექტური და ბიჰევიორისტული კომპონენტები (როკიჩი, 1973):

1. ღირებულება, როგორც კოგნიცია ეხება აღქმას ან ცოდნას იმ მიზნის შესახებ, რომლისთვისაც ვიბრძვით; ქცევის სწორი გზა;
2. ღირებულება, როგორც აფექტური კომპონენტი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რას გრძნობს ადამიანი კონკრეტული მოვლენისა თუ საგნის შესახებ;
3. ღირებულება, როგორც ბიჰევიორისტული კომპონენტი არის ცვლადი, რომელიც გააქტიურებისთანავე იწვევს მოქმედებას.

„ღირებულების“ კონცეპტის ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით, ღირებულება:

1. არის კონცეპტი ან რწმენა;
2. არის სასურველი მდგომარეობა ან ქცევა;

3. სცდება კონკრეტულ სიტუაციას;
4. გვეხმარება კონკრეტული ქცევის შერჩევაში;
5. ფიქსირებულია ღირებულებათა სისტემაში.

ადამიანები არ იბადებიან ღირებულებებით - ღირებულებები ისწავლება და ვითარდება ხალხთან ურთიერთობით და კონკრეტულ სიტუაციებში გადაწყვეტილებების მიღებით. შესაბამისად, ღირებულება არის ადამიანის ისტორია, კერძოდ, მისი ბავშვობისა და მოზრდილობის პერიოდის ისტორია (Colby, Kohlberg, Gibbs, & Lieberman / კობი, კოლბერგი, გიბსი & ლიბერმანი, 1983). გზა, რომლითაც ისწავლება ღირებულებები, დიდ გავლენას ახდენს ამ ღირებულებებისა და ღირებულებათა სისტემების სტაბილურობაზე. ზოგადად, „ღირებულება“ მიიჩნევა რწმენად, რომელიც გავლენას ახდენს სელექციურ ქცევაზე.

თავი V. კონცეპტის „თავისუფლება“ ანალიზი

### 5.1. კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგვოკოგნიტური ანალიზი

კვლევის მოცემული სეგმენტი ეძღვნება იმ მსოფლმხედველობრივი კონცეპტის კვლევას, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდის სოციალურ ქცევას. სწორედ ამ ტიპის კონცეპტს წარმოადგენს „თავისუფლება“.

თანამედროვე ლინგვისტიკის კოგნიტურ პარადიგმაში ენა განსაზღვრულია როგორც კოგნიტური პროცესი, რომელიც მიმდინარეობს კომუნიკაციურ ქმედებაში, უზრუნველყოფილია კოგნიტური სტრუქტურებითა და მექანიზმებით.

ამ ტიპის კვლევათა მიზანს წარმოადგენს ენობრივ საშუალებათა მრავალფეროვანი რეპერტუარის მიღმა არსებული მენტალური არსის გამოვლენა. სწორედ ენობრივ ერთეულთა მეშვეობით გამოიხატება კონცეპტები და სწორედ მათი მეშვეობით იძენს მენტალური არსი რაციონალურ და მწყობრ ფორმას.

კონცეპტი „თავისუფლება“ ხშირად ქცეულა ლინგვისტურ კვლევათა ობიექტად: არსებობს ნაშრომები, რომლებშიც იდენტიფიცირებულია სხვადასხვა ენაში სიტყვის „თავისუფლება“ უნივერსალური სემანტიკური ელემენტები; ცნობილია კვლევები, რომლებშიც განხორციელებულია „თავისუფლების“ სინონიმური რიგის შემადგენლობის ანალიზი, ინტერსს იწვევს სხვადასხვა ენაში კონცეპტის „თავისუფლება“ დიაქრონიული ასპექტის განხილვა, მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნია კვლევებს, რომლებშიც ასახულია „თავისუფლების“ სემანტიკის ევოლუცია ენათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, „თავისუფლების“ სამეცნიერო მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს ქმნის ის ნაშრომები, რომლებშიც კონცეპტი „თავისუფლება“ განიხილება ტრიადის „ადამიანი - მეზღუდვის წყარო - არჩევანის ნორმატიული სფერო“ კონტექსტში.

მიუხედავად ამ ფაქტისა, დღემდე არასაკმარისადაა შესწავლილი კონცეპტის „თავისუფლება“ ზოგიერთი ასპექტი, კერძოდ, დღემდე არ განხორციელებულია კონცეპტის „თავისუფლება“ კოგნიტური შინაარსის კომპლექსური ანალიზი თანამედროვე ინგლისური ენის კონცეპტუალურ სფეროში.

ამკარაა, რომ კონცეპტის „თავისუფლება“ აქტუალიზაციისა და ფუნქციონირების სოციოკულტურული და პოლიტიკური პირობები ქმნიან კონცეპტის შინაარსობრივი სტრუქტურის ეთნოსპეციფიკას. ინტენსიური ინტერკულტურული კომუნიკაციის ფონზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კონცეპტის „თავისუფლება“ და ეთნოსპეციფიკით დეტერმინირებულ კონპონენტთა შესწავლა.

კონცეპტის „თავისუფლება“ კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ყველა სოციუმისათვის განსაკუთრებული საზოგადოებრივ - პოლიტიკური მნიშვნელოვნების, განსაკუთრებული მსოფლმხედველობრივი ღირებულების მქონე კონცეპტის გააზრება ყველა შესაძლო განზომილებაში.

კვლევის მოცემულ სეგმენტში დასახული მიზნის მიღწევას - კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგვოკოგნიტური ანალიზის განხორციელებას თანამედროვე ინგლისურ ენაში - ემსახურება ისეთი ამოცანების გადაჭრა და კვლევის ეტაპების განხორციელება, როგორცაა:

1. ლინგვოკოგნიტურ კვლევათა თეორიული საფუძვლის განსაზღვრა;
2. კონცეპტის შინაარსისა და სტრუქტურის ანალიზის მეთოდოლოგიურ მიმართულებათა დადგენა;
3. კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსის მოდელირებისათვის საჭირო მეთოდებისა და პრინციპების შერჩევა;
4. კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსის გაანალიზება და სტრუქტურირება სიტყვა - რეპრეზენტანტთა ლექსიკური მნიშვნელობის საფუძვლებზე;
5. კონცეპტის ვერბალიზაციის თავისებურებათა იდენტიფიცირება სხვადასხვა ტიპის ენობრივ ველებსა და სინონიმურ რიგებში;
6. კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსის ანალიზი ინგლისურ ლინგვოკულტურაში;
7. კონცეპტის „თავისუფლება“ ბირთვისა და პერიფერიის განსაზღვრა;
8. კონცეპტის „თავისუფლება“ ეთნოსპეციფიკის გამოვლენა.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა ითხოვს კვლევის მეთოდების ფართო სპექტრის გამოყენებას. კვლევის მოცემულ სეგმენტში გამოყენებულია დესკრიფციის მეთოდი, სემანტიკურ მნიშვნელთა ანალიზი, კონტექსტუალური ანალიზი, ფრეიმული ანალიზი, კოგნიტური ინტეპრეტაციისა და მოდელირების მეთოდები.

კვლევის მასალა მოპოვებულია სხვადასხვა ტიპის (ორენოვანი, განმარტებითი, სინონიმური) ლექსიკონებიდან და ტექსტუალური მასალიდან.

ნაშრომისათვის ფუძემდებულური დებულებები შემდეგნაირად ჟღერს:

1. კონცეპტი „თავისუფლება“ წარმოადგენს ბაზისურ კონცეპტს, რომელიც აყალიბებს ინდივიდისა და სოციუმის მსოფლმხედველობას, შესაბამისად კი, არეგულირებს ინდივიდის ქცევას სოციუმში;
2. კონცეპტის „თავისუფლება“ გამოყენების სფერო ფართოა: კონცეპტი გამოიყენება იმ მოვლენათა გასააზრებლად, რომლებიც განეკუთვნება რეალობის სრულიად განსხვავებულ ასპექტებს;
3. საკვლევი ენის კონცეპტუალურ სფეროში კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსობრივი ველი სტრუქტურირდება რეალობის საზოგადოებრივ - პოლიტიკური, პიროვნული, იურიდიული, ფილოსოფიური, ისტორიული და სასაუბრო - ყოფითი ასპექტების შესაბამისად;
4. კონცეპტს „თავისუფლება“ გააჩნია რთული სტრუქტურა, რომელიც წარმოდგენილია რეალობის შესაბამისი ცალკეული კონცეპტუალური ფრაგმენტებით;
5. კონცეპტის ენობრივი ფუნქციონირების თავისებურებათა ანალიზი ხორციელდება კონცეპტის ამა თუ იმ სფეროში რეალიზაციის სიხშირის განსაზღვრის გზით.

კვლევის მოცემული სეგმენტის ფარგლებში მიღებულ შედეგთა მეცნიერულ სიახლეს განსაზღვრავს შემდეგი ფაქტორები:

1. თანამედროვე ინგლისურ ენაში კონცეპტი „თავისუფლება“ წარმოდგენილია კოგნიტური მოდელის სახით, ასევე ფილოსოფიურ, კულტუროლოგიურ და ისტორიულ განზომილებათა გათვალისწინებით;
2. იდენტიფიცირებულია უნივერსალური და უნიკალური კომპონენტები, რომლებიც ახასიათებს კონცეპტს „თავისუფლება“, როგორც მენტალურ მსოფლმხედველობრივ ფენოემენს.

კვლევის მოცემული სეგმენტის ფარგლებში მიღებულ შედეგთა თეორიული ღირებულება განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:



1. ნაშრომში კონცეპტის ლინგოკოგნიტური აღწერა წარმოდგენილია მრავლასპექტური მიდგომის სახით;
2. გამოვლენილია კონცეპტის „თავისუფლება“ კოგნიტური ნიშნები, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს კონცეპტუალიზაციისა და კატეგორიზაციის კოგნიტური თეორიის შემდგომ განვითარებაში.

ნაშრომში განხორციელებულია ლინგოკოგნიტოლოგიის ძირითადი ცნებების - კონცეპტის, კონცეპტუალური სფეროსა და სამყაროს ხატის - ანალიზი, ასევე განხილულია ლინგოკოგნიტოლოგიის ძირითადი დებულებები.

ენა და სამყაროს ენობრივი ხატი ასახავს კატეგორიზაციისა და კონცეპტუალიზაციის თავისებურებას კონკრეტულ ლინგოკოგნიტურაში.

კონცეპტუალიზაცია, როგორც სამყაროს აღქმისა და ორგანიზაციის თავისებური მეთოდი, ახასიათებს ნებისმიერ ბუნებრივ ენას.

ბუნებრივ ენაში გამოხატული მნიშვნელობები ქმნიან თვალსაზრისთა სისტემას, გარკვეული სახის კოლექტიურ ფილოსოფიას, რომელსაც იზიერებს ენის ყველა მატარებელი.

კონცეპტუალიზაცია წარმოადგენს ადამიანის შემეცნებითი საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პროცესს, რომელიც ორიენტირებულია ადამიანის გამოცდილების მინიმალური შინაარსობრივი ერთეულების იდენტიფიცირებაზე.

კონცეპტუალიზაცია გულისხმობს ინფორმაციის გააზრებას, საგნებისა და მოვლენების აზრობრივ კონსტრუირებას, რასაც შედეგად მოყვება კონცეპტების ფორმით სამყაროს შესახებ გარკვეულ წარმოდგენათა ჩამოყალიბება.

კონცეპტუალიზაციის შედეგად ფორმირდება კონცეპტუალური სფერო - მენტალური (ფსიქიკური) ორგანიზაცია, რომელშიც აკუმულირებულია ადამიანის გონებისათვის ხელმისაწვდომი კონცეპტების ერთობლიობა.

კონცეპტუალური სფერო მოწესრიგებული მთლიანობაა. კონცეპტები, რომლებიც ქმნიან კონცეპტუალურ სფეროს, იმყოფებიან ერთმანეთთან მსგავსებით, განსახვავებითა და იერარქიით ნიშანდებულ სისტემურ მიმართებებში.

სხვადასხვა ერს შეიძლება ჰქონდეს სამყაროს განსხვავებული კონცეპტუალური ხატი. აღნიშნული ხატი შეიძლება სხვაობდეს როგორც დროსა და სივრცეში, ისე სოციალური, გენდერული და პროფესიული მარკერებით დეტერმინირებულ ჯგუფებში.

სხვადასხვა ენის მატარებელ ხალხს შეიძლება ჰქონდეს სამყაროს მსგავსი კონცეპტუალური ხატები, ხოლო და ერთი და იმავე ენაზე მოლაპარაკე სუბიექტებს კი - სამყაროს განსხვავებული კონცეპტუალური ხატები. შესაბამისად, სამყაროს კონცეპტუალურ ხატში ურთიერქმედებენ ზოგასაკაცობრიო, ეროვნული და პიროვნული ფაქტორები.

კონცეპტი წარმოადგენს კონცეპტუალური სფეროს ერთეულს. ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე იკვეთება კონცეპტის კვლევისადმი ფსიქოლინგვისტური, ისტორიულ-კულტუროლოგიური, ლოგიკურ - სემანტიკური და მხატვრულ - შემეცნებითი მიდგომები. ყველა მიდგომა ერთიანდება კონცეპტის კვლევისადმი ლინგვოკოგნიტურ და ლინგვოკულტურულ მიდგომებში.

კონცეპტისადმი ლინგვოკულტუროლოგიური მიდგომა კონცენტრირდება კონცეპტის ღირებულებით ელემენტზე. კოგნიტური ლინგვისტიკა იკვლევს ცნობიერებას ენის მასალაზე და ორიენტირებულია მენტალური კონსტრუქტების ფორმირების პროცესში ზოგად კანონზომიერებათა გამოვლენაზე.

კონცეპტთა ნაწილს გააჩნია ენობრივი „ბმა“, ნაწილი კი წარმოდგენილია ფსიქიკაში განსაკუთრებული მენტალური რეპრეზენტაციებით - სახეებით, სურათებით და სქემებით. არსებობს არავერბალიზებული კონცეპტებიც. არსებობს კონცეპტები, რომლებსაც არ გააჩნია ეთნოკულტურული შემადგენელი.

ე.ს. კუბრიაკოვას თვალსაზრისით, „ტერმინი „კონცეპტი“ ემსახურება ადამიანის ცნობიერების მენტალური და ფსიქიკური რესურსებისა და ინფორმაციული სტრუქტურის ახსნას, რომელიც ასახავს ადამიანის ცოდნასა და გამოცდილებას. კონცეპტი წარმოადგენს მეხსიერების, მენტალური ლექსიკონის, კონცეპტუალური სისტემისა და გონების ენის, ადამიანის ფსიქიკაში ასახული სამყაროს ხატის შინაარსობრივ ერთეულს (Кубрякова / კუბრიაკოვა, 1996, გვ. 90).

ლინგვოკოგნიტური და ლინგვოკულტურული მიდგომები არ გამორიცხავენ ერთმანეთს. ლინგვისტიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ლინგვისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კონცეპტის გააზრებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მიდომათა გაერთიანება, რაც გულისხმობს ინტერგატიული მიდგომის რეალიზაციას.

კონცეპტის არსის გააზრების სირთულე ასოცირებულია კონცეპტთა ტიპოლოგიზაციის პრობლემასთან. კონცეპტები კლასიფიცირდება აზრობრივ სურათებად, სქემებად, ფრეიმებად, სცენარებად, ლოგიკურ - კონსტრუირებად და კალეიდოსკოპურ კონცეპტებად. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ფრეიმი წარმოადგენს ცოდნის წარმოდგენის ყველაზე მომგებიან საშუალებას, ყველაზე უნივერსალურ კოგნიტურ მოდელს, რომელსაც გააჩნია მკაფიო სტრუქტურა. ფრეიმი არის მოცულობითი, მარავალკომპონენტური კონცეპტი, რომელიც მიიჩნევა სტერეოტიპული სიტუაციის შესახებ არსებული ინფორმაციის, ცოდნის „პაკეტი“.

კონცეპტის სტრუქტურაში შედის სხვადასხვა ტიპის ბაზისური კოგნიტური კომპონენტები - განცდითი კომპონენტი, ინფორმაციული კონტინუმი და ინტერპრეტაციული ველი. ამა თუ იმ კონცეპტის სტრუქტურის აღწერა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც განისაზღვრება და აღიწერება მისი შინაარსი, სხვა სიტყვებით, მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოვლინდება კონცეპტის შინაარსის შემადგენელი კოგნიტური ნიშნები. კონცეპტის შინაარსი შინაგანად მოწესრიგებულია ველის პრინციპით - იგულისხმება კონცეპტში ბირთის, ახლო, შორეული და უკიდურესი პერიფერიის არსებობა. შინაარსის ამა თუ იმ ზონისადმი მიკუთვნებულობა დგინდება იმის მიხედვით, თუ რამდენად მკვეთრია კონცეპტის კოგნიტური ნიშანი კონცეპტის მატარებლის ცნობიერებაში. დესკრიფცია გულისხმობს კოგნიტურ ნიშანთა სიმკვეთრის ხარისხის შემცირების ობზერვაციას ბირთვიდან პერიფერიისაკენ.

კოგნიტურ ლინგვისტიკაში იკვეთება კონცეპტის კვლევის რამდენიმე მეთოდი: სემნატიკურ - კოგნიტური მეთოდი, ფრეიმების თეორია, კონცეპტუალური (კოგნიტური) კარტირება და კონტენტ - ანალიზი.

ნაშრომში კონცეპტი „თავისუფლება“ განხილულია ფილოსოფიური, კულტურულ-ინსტორიული და ლინგვისტური პერსპექტივებიდან.

კონცეპტის სტრუქტურა წარმოდგენილია ფრეიმისა და ველის მოდელით. კვლევის მოცემულ სეგმენტში გამოყენებულია კომპლექსური მიდგომა კონცეპტის სტრუქტურის კოგნიტური კვლევისადმი, რაც გულისხმობს ფრეიმული ანალიზისა და ველის პრინციპების (ელემენტთა შემადგენლობის ბირთვულ და პერიფერიულ რეპერტუარად დიფერენცირება) სინთეზირებას.

ლინგოკოგნიტურ კონცეპტს „თავისუფლება“, როგორც მრავალგანზომილებიან და მრავალკომპონენტიან კატეგორიას, გააჩნია ფრეიმული ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს სტერეოპიტული სიტუაციის შესახებ არსებული ინფორმაციის „პაკეტს“. ფრეიმის ელემენტები წარმოდგენილია მნიშვნელობებით შევსებული სლოტებით, რომელთაგან თითოეული ორინეტირებულია ფრეიმის ამა თუ იმ ასპექტის კონკრეტიზაციაზე. სლოტი წარმოადგენს განსაზღვრულ პირობებს, რომლითაც უზრუნველყოფილია ფრეიმის კონკრეტიზაცია (მინსკი, 1979, გვ. 7).

ნაშრომში სლოტები განსაზღვრული და სტრუქტურირებულია საკვლევი კონცეპტის ასპექტების გათვალისწინებით. კონცეპტის „თავისუფლება“ თითოეული ასპექტი განიხილება ფრეიმის სახით, რომელიც შედგება სლოტებისაგან. ასპექტი გააზრებულია როგორც კონცეპტის სტრუქტურაში არსებული კონცეპტუალური ფრაგმენტები ან კონცეპტუალური სფეროები, რომლებიც შეესაბამება ენასა და მეტყველებაში რეალიზებულ სამყაროს ფრაგმენტებს.

საკვანძო სიტყვას, რომლის მეშვეობითაც რეპრეზენტირებულია კონცეპტი, წარმოადგენს “freedom“.

კვლევის საწყის ეტაპზე აღნიშნული ლექსემის კომპონენტური ანალიზი განხორციელდა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებში ფიქსირებულ განმარტებათა განხილვის შედეგად. ლექსემის “freedom“ განმარტებათა კომპონენტური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელობათა საზოგადოებრივ - პოლიტიკური, პიროვნული, ფილოსოფიური, იურიდიული, ისტორიული და სასუბრო - ყოფითი ასპექტები. განმარტებებისა და სემანტიკური მნიშვნელების ანალიზი იძლევა კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსზე ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. შესაბამისად, აღნიშნულ ლექსემათა სემანტიკური სივრცის ასპექტები ქმნიან საკვლევი კონცეპტის კოგნიტურ სივრცეს.

კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსის კვლევის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს კონცეპტის ვერბალიზაციის საშუალებათა, კერძოდ კი, ბაზისური ლექსემის სინონიმური რიგების ანალიზი. სინონიმური რიგების ანალიზმა უზრუნველყო კონცეპტის „თავისუფლება“ კოგნიტური სივრცის მნიშვნელოვანი ასპექტების ენობრივ ობიექტივატორთა იდენტიფიცირების შესაძლებლობა.

კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსის კვლევის ძირითად ეტაპს წარმოადგენს ლექსემის „freedom“ ენობრივი ვერბალიზაციის მაგალითების ანალიზი, რაც საფუძვლად ედება საკვლევი კონცეპტის ფრეიმული და ველის მოდელით წარმოადგენას.

მაგალითების წყაროს წარმოადგენს თანამედროვე ინგლისური ენის ეროვნული კორპუსი. კონცეპტის საკვანძო ლექსემა, რომელიც იდენტიფიცირდა ტექსტის ფრაგმენტებში, დაექვემდებარა კონტექსტუალურ ანალიზს.

საკვლევი კონცეპტის რეპრეზენტაციის თავისებურებები ვლინდება კონტექსტში. კოგნიტურ ლინგვისტიკაში კონტექსტი არ განეკუთვნება ენის სისტემას: სიტყვათა მნიშვნელობები ეთანადება კოგნიტურ კონტექსტებს - კოგნიტურ სტრუქტურებს, ცოდნის ბლოკებს, რომლებიც დგანან ამ მნიშვნელობათა უკან და უზრუნველყოფენ მათ გაგებას. მოცემულ კოგნიტურ კონტექსტებს ეწოდება „cognitive domains“ - კოგნიტური სფერო (ლანგაკერი, 1987), მენტალური სივრცე (ფოკონიერი, 1998; ლაკოფი, 1990) ან ფრეიმები (ფილმორი & ატკინსი, 1992). ამდენად, კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობა ცხადდება მხოლოდ კოგნიტური კონტექსტის ან ფრეიმის ფარგლებში.

კონტექსტუალური ანალიზის შედეგად კონცეპტის კოგნიტურ სივრცეში (კონცეპტის ასპექტებსა და ფრეიმებში) გამოვლინდა სლოტები და განხორციელდა მათი სახელდება. სლოტების გამოვლენისა და სახელდების პროცესი განხორციელდა კონტექსტუალური ანალიზის ფარგლებში. ძირითად პრინციპს წარმოადგენს ლექსემათა შეთანხმების ვარიანტთა ანალიზი. ამდენად, სლოტის სახელწოდება ეფუძნება ლექსემის „freedom“ სხვა ელემენტებთან კონტექსტუალური შეთანხმების შესაძლებლობათა ანალიზს.

მაგალითების კოგნიტური ინტერპრეტაციის შედეგად ჩამოყალიბდა კონცეპტის „თავისუფლება“ მრავალასპექტიანი მოდელი, რომელიც მოიცავს მრავალ სტრუქტურულ ელემენტს - სლოტებს, რომელთაგან თითოეული გამოხატავს ცოდნას მეტყველებაში

კონცეპტის „თავისუფლება“ ამა თუ იმ ასპექტის რეალიზაციის სტერეოტიპული პირობების შესახებ.

კონცეპტის „თავისუფლება“ უნივერსალური და ეთნოსპეციფიკური კომპონენტების აღწერის მიზნით, კონცეპტის შინაარსი შეიძლება წარმოვიდგინოთ ბირთვისა და პერიფერიის ფორმით.

კონცეპტის ბირთვი კონცეპტის ბირთვი ყველაზე უკეთ ასახავს საკვანძო ლექსემის სემანტიკას; იგი შედგება აუცილებელი ნიშნებისაგან. პერიფერიულ ინფორმაციულ ველში კი (იმპლიკაციონალი) ინტეგრირებულია შედარებით აბსტრაქტული, სუსუტად სტრუქტურირებული ნიშნები.

კონცეპტის „თავისუფლება“ ფრეიმული და ველის მოდელი მოიცავს ბირთვს მნიშვნელოვანი ფრეიმების (ასპექტების) ფორმით, ასევე ახლო და შორეულ პერიფერიას კონცეპტის ნაკლებად აქტუალიზირებული ფრეიმებით.

თითოეული ფრეიმის შინაგანი სტრუქტურა ხასიათდება ველის პრინციპით ორგანიზებული წყობით: ბირთვი წარმოდგენილია დომინანტური სლოტებით, ახლო და შორეული პერიფერია კი - ნაკლებად მნიშვნელოვანი, არადომინანტური სლოტებით.

ნაშრომში კონცეპტის ბირთვისა და პერიფერიის იდენტიფიცირება ეფუძნება ვერბალიზაციის სიხშირის განსაზღვრას, რაც უზრუნველყოფს კონცეპტის ძირითადი და ფაკულტატური კონცეპტუალური ნიშნების განსაზღვრას: რაც უფრო მაღალია კონტექსტებში ნიშნის აქტუალიზების სიხშირის ხარისხი, მით უფრო ახლოსაა ეს ნიშანი ბირთვთან და პირიქით, რაც უფრო დაბალია კონტექსტებში ნიშნის აქტუალიზების სიხშირის ხარისხი, მით უფრო შორსაა ნიშანი ბირთვთან.

ბირთვული და პერიფერიული სლოტების სტრუქტურულ პოზიციათა კონტრასტული ანალიზის საფუძველზე იკვეთება კონცეპტის „თავისუფლება“ ეთნოსპეციფიკა.

კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგვოკოგნიტური ანალიზი უზრუნველყოფს კონცეპტის ფრეიმული ორგანიზაციის აღწერას თანამედროვე ინგლისურ ენაში.

კონცეპტის „თავისუფლება“ გამოყენების სფერო ფართოა, რის გამოც იგი გამოიყენება რეალობის ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ასპექტების გასააზრებლად.

თანამედროვე ინგლისურ ენის კონცეპტუალურ სფეროში კონცეპტის „თავისუფლება“ შინაარსობრივი ველი სტრუქტურირდება საზოგადოებრივ - პოლიტიკური, პიროვნული, იურიდიული, ფილოსოფიური, სასუბრო - ყოფითი და ისტორიული ასპექტების მიხედვით.

საზოგადოებრივ - პოლიტიკური ასპექტის სლოტების რეპერტუატი შედგება ისეთი სლოტებისაგან, როგორცაა:

1. თავისუფლება როგორც კანონი (23,76 %): „საკუთარი თვალსაზრისის ღიად გამოხატვა, აქტიური საზოგადოებრივი პოზიცია“; „ხელისუფლების ქმედებათა კრიტიკა“; „უპირობო გარანტია“; „ღირებულება“; „რაიმეს დაცვისადმი სწარფვა“; „ინდივიდის სამართლებრივი სივრცე, რომელიც გონივრულ ფარგლებში დამოუკიდებელია კანონისაგან“; „შიში“;
2. თავისუფლება საერთაშორისო სივრცეში (10,56 %): „კონტროლი, დაკვირვება სხვა ქვეყნებში არსებული დემოკრატიული თავისუფლების ხარისხზე“; „სწარფვა დემოკრატიული თავისუფლების დამკვიდრების მხარდაჭერისადმი“;
3. თავისუფლება შიდა სახელმწიფოებრივი პოლიტიკის ფარგლებში (8,08 %): „ხელისუფლება ხელს უწყობს საზოგადოების დემოკრატიული თავისუფლების დამკვიდრებას“; „ხელისუფლება ხელს უშლის საზოგადოების დემოკრატიული თავისუფლების დამკვიდრებას“; „ღარიბი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა“;
4. თავისუფლების თეორიული წინამძღვრები (4,45 %): „კანონიერი შეზღუდვა“;
5. თავისუფლება როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, კომპანიების, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებათა საქმიანობა (3,63 %): „ფინანსური დამოუკიდებლობა“;
6. ეკონომიკური თავისუფლება (3,3 %): „დამოუკიდებლობა, რომელსაც მოჰყვება დადებითი შედეგი“;
7. აკადემიური თავისუფლება (2,31 %): „სწრაფვა, მიანიჭო გაცნობიერებული არჩევანის უფლება სასწავლო პროცესში“.

პიროვნული (გარეგანი) ასპექტის სლოტების რეპერტუატი შედგება ისეთი სლოტებისაგან, როგორცაა:

1. თავისუფლება როგორც ქმედების თავისუფლება (5,94 %): „ქმედება, რომელსაც მოჰყვება (ადამიანისათვის) დადებითი შედეგი“; „ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობებისაგან თავისუფალი ქმედება“ (ადამიანისათვის უარყოფითი შედეგის მომტანი);
2. თავისუფლება როგორც პროფესიული საქმიანობა (5,77 %): „საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას“; „არასასურველი საქმიანობა“;
3. თავისუფლება როგორც დამოუკიდებელი ცხოვრების სტილი (5,44 %): „შესაძლებლობა მოიქცე ისე, როგორც გსურს“; „რადაც სასურველი, სასიამოვნო“;
4. გადაადგილების თავისუფლება (4,45 %): „შესაძლებლობა წახვიდე, სადაც გინდა ან როცა გინდა“; „მომრაობის ფიზიკური თავისუფლება“.

პიროვნული (შინაგანი) ასპექტის სლოტების რეპერტუატი შედგება ისეთი სლოტებისაგან, როგორიცაა:

1. თავისუფლება როგორც შემოქმედების ძირითადი მამომრავებელი ძალა (2,97 %): „თვითგამოხატის უნარი“;
2. თავისუფლება როგორც ქრისტიანობის ერთ - ერთი ძირითადი საფუძველი (2,64 %): „სიმშვიდე, სულის სიმშვიდე“; „თავისუფლება როგორც ფსიქოლოგიური მდგომარეობა“ (2,31 %): „სიამოვნება, სიხარული“;
3. თავისუფლება როგორც აზროვნების უნარი (1,65 %): „თვითგანვითარების შესაძლებლობა“.

ფილოსოფიური ასპექტის სლოტების რეპერტუატი შედგება ისეთი სლოტებისაგან, როგორიცაა:

1. ინდივიდის ნების თავისუფლება (2,97 %): „ინდივიდუარულურისა და საზოგადოებრივის დიალექტიკა“; „პასუხისმგებლიანი არჩევანი“.

სასაუბრო - ყოფითი ასპექტის სლოტების რეპერტუატი შედგება ისეთი სლოტებისაგან, როგორიცაა:



1. თავისუფლება როგორც რაიმე ობიექტის შეუზღუდავად გამოყენება (1,98 %): „დადებითი ეფექტი“;
2. თავისუფლების ხარისხი როგორც სამეცნიერო ტერმინი (1,81 %): „მეცნიერული მიგნებები, ფაქტები“;
3. თავისუფლება როგორც რაიმეს არყოფნა, არარსებობა (0,82 %): „დამაკამაყოფილებელი მდგომარება, ხსნა რაიმე არასასიამოვნოსაგან“.

იურიდიული ასპექტის სლოტების რეპერტუატი შედგება ისეთი სლოტებისაგან, როგორცაა:

1. პატიმრობისაგან, ციხისაგან თავისუფლება (3,13 %): „სწარფვა პატიმრობისაგან თავის დაღწევისაკენ“; „გაურკვევლობა, შეფარდებითი ხასიათი“.

ისტორიული ასპექტის სლოტების რეპერტუატი შედგება ისეთი სლოტებისაგან, როგორცაა:

1. ბატონისაგან (უფროსისაგან) და მისდამი ვალდებულებებისაგან თავისუფლება (1,98 %): „დამოკიდებლობის მოპოვებაზე მიმართული ქმედება“.

მეტყველებაში კონცეპტის ფუნქციონირების თავისებურებას წარმოადგენს მისი რეალიზაციის სიხშირის გადანაწილება ამა თუ იმ სფეროში. როგორც წესი, ეს განპირობებულია ექსტრალინგვიტური (კულტურული და სოციალურ - პოლიტიკური) ფაქტორებით. რეალიზაციის სიხშირის გადანაწილება ზრდის ასპექტთა ერთი ნაწილის აქტუალობას ასპექტთა მეორე ნაწილის ხარჯზე. ამდენად, კონცეპტის „თავისუფლება“ ერთ - ერთ უნივერსალურ თვისებას წარმოადგენს საზოგადოებრივ - პოლიტიკური ასპექტის გამოკვეთილი მნიშვნელოვნება და, შესაბამისად, აღნიშნული ასპექტის კონცეპტის ბირთვში განთავსება.

ახლო პერიფერიის სივრცე მოიცავს იმ ელემენტებს, რომლებიც ნაკლებად ხასიათდებიან უნივერსალური თვისებებით. შორეული პერიფერიის სივრცის შემადგენლობა კი გამოირჩევა სამეტყველო რეალიზაციის დაბალი ხარისხით. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ პერიფერიაში ვლინდება კონცეპტის „თავისუფლება“ ეთნოსპეციფიკა.

თანამედროვე ინგლისური ენის კონცეპტუალურ სფეროში კონცეპტის „თავისუფლება“ საზოგადოებრივ - პოლიტიკური ასპექტი ხასიათდება დადებით ნიშანთა შთამბეჭდავი რაოდენობით („გარანტია“, „სწრაფვა ვინმეს დაცვისაკენ“, „კანონიერი შეზღუდვა“ და სხვ.) და

აქტიურად ფუნქციონირებს არა მხოლოდ შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის სფეროში, არამედ საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეშიც კონტროლის, დემოკრატიული თვისუფლებისათვის მხარდაჭერისა და დემოკრატიული თვისუფლების დამკვიდრებისაკენ სწრფვის მნიშვნელობებით.

## 5.2. კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგოკულტურული ანალიზი

კვლევის მოცემული სეგმენტის ობიექტია კონცეპტი „თავისუფლება“ ენობრივ ცნობიერებაში. კვლევის საგანს წარმოადგენს კონცეპტის „თავისუფლება“ მახასიათებლები, რომლებიც ფიქსირდება ინგლისური (ბრიტანული და ამერიკული) ლინგოკულტურის ყოფით და ფილოსოფიურ სივრცეებში.

კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგოკულტურული პერსპექტივიდან კვლევის აქტუალობა განისაზღვრება შემდეგი ფაქტორებით:

1. ენობრივი ცნობიერების ლინგოკულტურული შესწავლა წარმოადგენს თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ - ერთ ყველაზე ინტენსიურად განვითარებად მიმართულებას. მიუხედავად ამ ფაქტისა, ლინგოკულტუროლოგიის ერთ - ერთ მახასიათებელს წარმოადგენს დისკუსიურ საკითხთა ინტერპრეტაციის არაერთმნიშვნელოვნება;
2. თავისუფლება წარმოადგენს იმ ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა მსოფლალქმასა და ქცევას. კონცეპტი „თავისუფლება“ არასაკმარისადაა შესწავლილი ინგლისურ ლინგოკულტურაში;
3. კონცეპტი „თავისუფლება“ დამკვიდრებულია როგორც ფილოსოფიურ, ისე ყოფით ცნობიერებაში. მიუხედავად ამ ფაქტისა, აღნიშნული კონცეპტის სპეციფიკა თანამედროვე ინგლისური ენის კონცეპტუალურ სფეროში დღემდე არ ქცეულა ლინგვისტური ანალიზის საგნად.

კვლევა ეფუძნება შემდეგ ჰიპოთეზას: რამდენადაც კონცეპტი „თავისუფლება“ წარმოადგენს რთულ მენტალურ კონსტრუქტს, სავარაუდოდ, იგი უნდა მოიცავდეს ერთი მხრივ, როგორც

ზოგადკულტურულ, ისე ეთნოსპეციფიკურ მახასიათებლებს, მეორე მხრივ კი, როგორც ყოფითი, ისე ფილოსოფიური დისკურსისათვის რელევანტურ მარკერებს.

კვლევის მოცემული სეგმენტის მიზანს წარმოადგენს კონცეპტის „თავისუფლება“ მახასიათებელთა იდენტიფიცირება ინგლისურ ლინგოკულტურაში ყოფითი და ფილოსოფიური შემეცნების ფარგლებში.

დასახული მიზნის მიღწევა მოითხოვს ისეთ ამოცანათა გადაჭრას და კვლევის ისეთი ეტაპების განხორციელებას, როგორცაა:

1. კონცეპტის „თავისუფლება“ კონსტიტუტიური ნიშნების იდენტიფიცირება;
2. კონცეპტის „თავისუფლება“ ლინგოკულტურული სპეციფიკის გამოვლენა ინგლისურ ენობრივ ცნობიერებასა და კონცეპტის ვერბალური გამოხატულების სფეროში;
3. კონცეპტის „თავისუფლება“ თავისებურების იდენტიფიცირება ფილოსოფიურ და ყოფით ცნობიერებაში.
4. კვლევის მეცნიერული სიახლე იკვეთება ისეთ საკითხთა ფონზე, როგორცაა: კონცეპტის „თავისუფლება“ არსებით ნიშანთა განსაზღვრა;
5. კონცეპტის ძირითად სახეობრივ, ცნებობრივ და ღირებულებით მარკერთა გამოვლენა;
6. კონცეპტის სპეციფიკის იდენტიფიცირება ინგლისურ ცნობიერებაში;
7. კონცეპტის თავისებურებათა დადგენა ფილოსოფიურ და ყოფით ცნობიერებაში;
8. კონცეპტის „თავისუფლება“ სხვა კონცეპტებთან მიმართების ქსელის კონსტრუირება.

კვლევის მოცემული სეგმენტის თეორიული ღირებულება განისაზღვრება კონცეპტთა ეთნო და სოციოსპეციფიკური ასოციაციური მახასიათებლების გამოვლენის ფაქტით.

კვლევის მოცემული სეგმენტის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს კვლევის მონაცემთა ვალიდურობაში თანამედროვე ლინგვისტური თეორიებისა და კვლევის მეთოდების, ინგლისური ენის ლექსიკოლოგიისა და ლინგოკულტუროლოგიის კურსებისათვის.

კვლევის მასალად გამოყენებულია სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებში ფიქსირებული კონცეპტის საკვანძო ლექსემა - რეპრეზენტატების განმარტებები, ტექსტის ფრაგმენტები,

პარემიებისა და სენტენციების ფონდი, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშები, სარეკლამო ტექსტები და სოციოლინგვისტური ექსპერიმენტის მონაცემები.

ენობრივი მასალის ანალიზისას გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: ცნობობრივი ანალიზი; ლექსიკონში ფიქსირებული დეფინიციათა ანალიზი; ინტერპრეტაციული ანალიზი; სტატისტიკური ანალიზის ელემენტები; ფსიქოლინგვისტური ექსპერიმენტი (ანკეტირება); ინტროსპექცია.

ნაშრომი ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

1. თითოეულ ენაში თავისებურად გარდატყდება ხალხის გამოცდილება; ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობები ზემოქმედებენ ამა თუ იმ კინგვოკულტურის წარმომადგენელთა მსოფლადქმასა და ქცევაზე; ლინგვოკულტურის ერთეულს წარმოადგენს კონცეპტი;
8. ყოფითი და ფილოსოფიური ცნობიერების კონცეპტები ხასიათდებიან გარკვეული სპეციფიკით;
9. სიტყვათა ასოციაციურ მახასიათებელთა კვლევა იძლევა კონცეპტების იმ აზრის გამოვლენის შესაძლებლობას, რომელიც არ არის ფიქსირებული ლექსიკონებში.

კვლევის მოცემული სეგმენტი ეძღვნება კონცეპტის „თავისუფლება“ მახასიათებელთა გამოვლენას ლინგვისტურ კვლევებში, ფილოსოფიურ ტექსტებში, სინონიმურ და ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში, პარემიებში, მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებსა და ინფორმანტთა გამოკითხვის გზით მიღებული მონაცემებში.

კვლევის მიზანს წარმოადგენს კონცეპტის „თავისუფლება“ მოდელის აგება და მისი ეთნოკულტურული სპეციფიკის გამოვლენა ინგლისელთა ენობრივ ცნობიერებაში.

თავისუფლება ფილოსოფიის ერთ - ერთი ბირთვული კონცეპტია. სწორედ ამიტომ, განმარტავს მას თავისებურად თითოეული ფილოსოფიური სკოლა. ფოლოსოფოსისათვის თავისუფლება, პირველ რიგში, ნების თავისუფლებას ნიშნავს. თავისუფლების არსის ინტერპრეტაცია ტრანსფორმირდებოდა ეპოქებში.

ევროპული ფილოსოფიური ტრადიცია (გობსი, ლოკი, ფრომი, ბერლინი, ჰაიდეგერი და სხვ.) აკავშირებენ თავისუფლებას კანონთან, სამართალთან, ადამიანის საზოგადოებაში ცხოვრებასთან.

ანტიკური ეპოქის ინტერპრეტაცია კი შემდეგნაირად გამოიყურება:

Freedom/Liberty (თავისუფლება/ნება)

1. შესაძლებლობა, მოიქცე ისე, როგორც გინდა, ნების თავისუფლება;
2. შესაძლებლობა, აკეთო ის, რისი კეთებაც გინდა;
3. თავისუფლების მდგომარეობა, შეზღუდვათა არარსებობა;
4. თავისუფლება, როგორც ციხეში, მონობაში არყოფნა;
5. შეზღუდვათა, აკრძალვათა არქონა პოლიტიკურ სფეროში;
6. რაიმეს კეთების ოფიციალური ნებართვა ან უფლება;
7. რაიმეს საკუთრებაში ქონის ან თავისუფლად გამოყენების უფლება;
8. პრივილეგია, საპატიო უფლება;
9. ფამილიარობა, ქცევის, აზრის გამოხატვის თავისუფლება;
10. გულწრფელობა, ღიაობა, გულახდილობა;
11. სიმსუბუქე, რაიმეში სირთულის, შებოჭილობის არარსებობა;
12. თავისუფლება მოძრაობაში;
13. თავისუფალი, არადაკავებული დრო, დასვენება;
14. კონცეპტის „თავისუფლება“ სახელწოდება მიემართებოდა კანონიერად გაჩენილ ადამიანებს.

ლექსიკონებში ფიქსირებულ განმარტებათა ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ინგლისურ ლინგვოკულტურაში გამოიკვეთა სამი ძირითადი მნიშვნელობა:

1. შესაძლებლობა მოიქცე ისე, როგორც გინდა;
2. შეზღუდვათა, აკრძალვათა არარსებობა;
3. არყოფნა ციხეში, მონობაში.

კონცეპტის ზმნური რეპრეზენტაცია ხორციელდება ზმნათა შემდეგი ჯგუფების მეშვეობით:

1. თავისუფლების მოპოვების მნიშვნელობის მქონე ზმნები;

2. თავისუფლების მინიჭების მნიშვნელობის მქონე ზმნები;
3. თავისუფლების დაკარგვის მნიშვნელობის მქონე ზმნები;
4. თავისუფლების წართმევის მნიშვნელობის მქონე ზმნები.

აღნიშნულ ჯგუფთაგან ყველაზე მრავალრიცხოვანი თავისუფლების წართმევის მნიშვნელობის მქონე ზმნათა ჯგუფია.

რამდენადაც კონცეპტი „თავისუფლება“ ბინარულია, კვლევის მოცემულ სეგმენტში განხილულია არა მხოლოდ თავისუფლების მოპოვებასთან დაკავშირებული, არამედ თავისუფლების წართმევასთან დაკავშირებული ქმედებებიც:

თავისუფლების მოპოვების ზოგადი სემანტიკის მქონე ზმნები - შემზღუდავი ფაქტორებისაგან თავის დაღწევა, გათავისუფლება:

1. მავნე ჩვევებისაგან (მოწევა, სმა), მავნე ჩვევების გადაგდება: to dispose of, to overcome და სხვ.
2. ავადმყოფობისაგან - გამოჯანმრთელება: to recover და სხვ.
3. ტანსაცმლისაგან - მოძრაობის შემზღუდველი სამოსისაგან: to unwrap oneself, to unswaddle oneself და სხვ.
4. კანონის შესრულებისაგან - კანონის დარღვევა, მეამბოხეობა: to revolt, to rebel და სხვ.
5. ვადლებულებებისაგან - დემობილიზაცია, დეზერტირობა: to get demobilized, to desert და სხვ.
6. თავის დაღწევა, გათავისუფლება გაურკვეველი (რაც არ არის მითითებული) ფაქტებისგან: to break out, to escape, to throw off და სხვ.

თავისუფლების მოპოვების მნიშვნელობის მქონე ზმნები აღწერენ:

1. სუბიექტის გადასვლას არათავისუფლების მდგომარეობიდან თავისუფლების მდგომარეობაში;
2. სუბიექტის გადასვლას ნაკლებ თავისუფალი მდგომარეობიდან მეტად თავისუფალ მდგომარეობაში;
3. თავის დაღწევას ვინმეზე ან რამეზე დამოკიდებული მდგომარეობიდან.

აღნიშნულ ზმნათა მიერ აღწერილი ქმედებების უმრავლესობა ფასდება დადებითად.

თავისუფლების მინიჭების მნიშვნელობის მქონე ზმნათა ჯგუფი შემდეგი ელემენტებითაა წარმოდგენილი:

1. უფლების მიცემა: to let (in, through, by), to permit, to allow და სხვ.
2. რაიმეს გახსნა, გაღება: to open, to unlock და სხვ.
3. შემზღვეველი ფაქტორების თავის დაღწევა: ტანსაცმელისაგან (to unwind, to uncoil, to unshoe), ვალდებულებებისაგან (to demobilize, to dismiss), გაურკვეველი ფაქტორებისაგან (to disentangle (from), to let out, to rescue).

თავისუფლების დაკარგვის მნიშვნელობის მქონე ზმნების ჯგუფი ყველაზე მცირერიცხოვანია, რაც, სავარაუდოდ, განპირობებულია შემდეგი ფაქტით: ადამიანს არ სჩვევია დამოუკიდებლად, ნებაყოფლობით გადავიდეს თავისუფლების მდგომარეობიდან არათავისუფლების მდგომარეობაში. აღნიშნული ჯგუფი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა:

1. დამორჩილების მნიშვნელობის მქონე ზმნები (დამორჩილება, დაქვემდებარება): to obey, to yield (up, to), to submit (to). აღნიშნული ზმნები აღწერენ სიტუაციას, როდესაც ადამიანი დამოკიდებულია სხვა ადამიანზე (ადამიანებზე) ან გარემოებაზე (გარემოებებზე) და იძულებულია გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც არ სურს. ხშირად ამ ტიპის სიტუაცია ასოცირდება სტატუსებრივ სხვაობასთან: შვილები - მშობლები, ხელქვეითი - უფროსი და სხვა. ამ ტიპის სიტუაცია შეიძლება გულისმობდეს მორჩილებას ბედისადმი, ბესიწერისადმი, იმ ძალებისადმი, რომელთა წინააღმდეგ წასვლა საშიშია ან შეუძლებელი;
2. სივრცობრივი შეზღუდვის, აკრძალვის მნიშვნელობის მქონე ზმნები (იზოლირება, ბარიკადირება, შემოზღუდვა): to fence oneself in და სხვ.
3. საზღვრების დადგენა (ლიმიტირება): to limit oneself (to), to restrict oneself (to) და სხვ.

თავისუფლების წართმევის მნიშვნელობის მქონე ზმნათა ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია. აღნიშნული სემანტიკის მქონე ზმნათა მრავალრიცხოვნება მიუთითებს ადამიანისათვის თავისუფლების წართმევის ან თავისუფლებისათვის საფრთხის შექმნის შესაძლო სიტუაციათა მრავალფეროვნებაზე. რამდენადაც ადამიანის ფსიქიკის ერთ - ერთ მახასიათებელს წარმოადგენს დადებით მოვლენათა ნეიტრალიზაცია და უარყოფით

მოვლენებზე ყურადღების კონცენტრაცია, ამდენად შეიძლება დავასკვნათ, რომ ნორმალური, სწორი სტუაციისაგან განსახვავებით, თავისუფლების წართმევის სიტუაცია არღვევს ნორმას და არასწორია. აღნიშნული ზმნათა მრავალფეროვნება წარმოადგენს ადამიანისათვის თავისუფლების ღირებულების დემონსტრირებას. ზმნათა ჯგუფი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა:

1. ობიექტის სივრცობრივი შეზღუდვის (ბარიკადირება, ბლოკირება) მნიშვნელობის მქონე ზმნები: to block, to enclose with და სხვ.
2. სუნთქვის, მოძრაობის შეზღუდვის მნიშვნელობის მქონე ზმნები: to constrain, to constrict და სხვ.
3. ობიექტზე უშუალო ზემოქმედების (შემზღუდავი ქმედების) მნიშვნელობის მქონე ზმნები: to arrest, to bind და სხვ.
4. იძულების მნიშვნელობის მქონე ზმნები: to order, to compel, to force და სხვ.
5. მორჩილების, დაქვემდებარების მნიშვნელობის მქონე ზმნები: to subdue, to conquer და სხვ.
6. აკრძალვის მნიშვნელობის მქონე ზმნები: to prohibit, to forbid, to ban და სხვ.
7. საზოგადოებრივ - პოლიტიკურ ცხოვრებაში შეზღუდვის (დისკრიმინაცია, ტერორიზირება) მნიშვნელობის მქონე ზმნები: to discriminate, to terrorize და სხვ.
8. მისაკუთრების, მიტაცების, დაპყრობის მნიშვნელობის მქონე ზმნები: to conquer, to grab, to seize, to occupy, to capture, to kidnap და სხვ.
9. წინააღმდეგობის მნიშვნელობის მქონე ზმნები: to hinder from, to impede და სხვ.
10. საზღვრების, ზღვრული ნორმის დადგენის, ლიმიტირების მნიშვნელობის მქონე ზმნები: to limit, to restrict და სხვ.

ყველა აღნიშნული ქმედება შეიძლება დავიყვანოთ რამდენიმე ძირითად ქმედებამდე:

1. შეზღუდვა (ჯგუფები 1, 2, 3, 7, 10);
2. იძულება (ჯგუფი 4);
3. დამორჩილება, დაქვემდებარება (ჯგუფი 5);
4. აკრძალვა (ჯგუფი 6);
5. მისაკუთრება, მიტაცება (ჯგუფი 8);



6. გართულება, წინააღმდეგობის შექმნა (ჯგუფი 9).

თავისუფლების წართმევაზე ორიენტირებულ ქმედებათა არსი მდგომარეობს:

1. ობიექტის იძულებაში, გააკეთოს ის, რისი გაკეთებაც მას არ სურს;
2. ობიექტისათვის სასურველი ქმედების განხორციელების შესაძლებლობის წართმევაში.

ზემოქმედების სუბიექტი შეიძლება იყოს ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ადამიანის ნება, რომელიც რეპრეზენტირებულია საზოგადოებაში თანაარსებობის წესებისა და ნორმების მეშვეობით. ზემოქმედების ობიექტი შეიძლება იყოს სულიერი არსება - ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი, ცხოველი ან ადამიანებით დასახლებული ტერიტორია.

გამოიყენება ზემოქმედების ისეთი საშუალებები, როგორცაა:

1. წინააღმდეგობის შექმნა სუნთქვისათვის, გადაადგილების, მოძრაობისა და სივრცეში განთავსებისათვის (ჯგუფები 1, 2, 3, 7, 10);
2. უშუალო ზემოქმედება (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ძალადობრივი, არაძალადობრივი): შეზღუდვა, იძულება, აკრძალვა, მითვისება, მიტაცება.

სუბიექტს წარმოადგენს ასევე ის ძალები, რომელთათვისაც წინააღმდეგობის გაწევა ადამიანს არ ძალუძს (ბუნების მოვლენები, კატასტროფები და სხვ.). ამ ძალებს შეუძლია შეზღუდვა (გზის ბლოკირება, ხილვადობის შემცირება), იძულება და გართულება. ობიექტს წარმოადგენს სულიერი არსება - ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ცხოველი.

კონცეპტის ზმნური გამოხატულება აქტუალიზირდება თავისუფლებიდან არათავისუფლებაში (ან მეტი თავისუფლებიდან ნაკლებ თავისუფლებაში) გადასვლის „ზღვრულ“ სიტუაციებში.

ინგლისურ ლინგვოკულტურაში თავისუფლებასთან ასოცირებულ საკვანძო იდეათა იდენტიფიცირების მიზნით, ნაშრომში გაანალიზდა პარემიები და სენტენციები. ინგლისურ პარემიოლოგიურ ცნობიერებაში ფიქსირებულია შემდეგი იდეები:

1. ღარიბი ადამიანი არ არის თავისუფალი. სიმდიდრე ანიჭებს ადამიანს თავისუფლებას. ადამიანმა უნდა იბრძოდეს საკუთარი არსებობისათვის, თუნდაც

- მოუხდეს კანონის დარღვევა: A golden key opens every door (სიმდიდრე ყველა კარს აღებს);
2. სიმდიდრე არ არის უმთავრესი რამ. ფულის გარეშე შეიძლება შეიგრძნო თავისუფლება. ადამიანმა უნდა დაინახოს და დააფასოს სიღარიბის დადებითი მხარეები: A great fortune is a great slavery (დიდი ქონება - დიდი მონობა);
  3. ობიექტურ გარემოებათა გამო (ბუნების კანონები) ადამიანს არ ხელეწიფება კეთება იმისა, რაც მას სურს: A fog can not be dispelled with a fan (ღრუბელს მარათი ვერ გაფანტავ);
  4. კმაყოფილება იმით, რაც გაქვს - ადამიანის დადებითი თვისებაა: Contentment is better than riches (კმაყოფილება სიმდიდრეს სჯობს). ფიქსირდება ის ანდაზებიც, რომლებშიც აქცენტირებულია სოციალური უთანასწორობის აქტუალობა: The shepherd even when he comes a gentleman smell of the lamb (მწყემსს მაშინაც კი ცხვრის სუნი ასდის, როცა ჯენტლმენი ხდება);
  5. ადამიანი საკუთარი ბედის გამგებელია. მხოლოდ ბედისა და ღმერთის იმედად ყოფნა არ შეიძლება - ადამიანმა თავად უნდა შექმნას საკუთარი ბედი, ცხოვრება: God helps those who help themselves (ღმერთი მას სწყალობს, ვინც საკუთარ თავს ეხმარება);
  6. ადამიანის ცხოვრებაში ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული: Every bullet has its billet (ყველა ტყვიას თავისი დანიშნულება აქვს); No flying from fate (ბედს ვერ გაექცევი);
  7. ზედმეტი თავისუფლება აფუჭებს ადამიანს: Spare the rod and spoil the child (თუ მათრახს არ გამოიყენებ, ბავშვს გააფუჭებ);
  8. ყველა შეიძლება აღმოჩნდეს ციხეში. აზრი არ აქვს ხელისუფლებასთან ბრძოლას: Law catch flies, but let hornets go free (კანონი იჭერს ბუზებს და არა კრაზანებს).

შემდეგი იდეები ობიექტივირებულია პარემიათა მცირერიცხოვან ჯგუფებში:

1. ადამიანი არ არის თავისუფალი - იგი იძულებულია დაიცვას საღრმთო მცნებები, ასევე საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი ნორმები და ქცევის წესები. ადამიანმა უნდა შეზღუდოს საკუთარი თავისუფლება, რათა არ ხელყოს სხვა ადამიანის თავისუფლება: Live and let live (იცხოვრე და სხვასაც მიეცი ცხოვრების საშუალება), Do in Rome as the Romans do (რომში რომაელივით მოიქეცი);

2. ადამიანმა უნდა დაიცვას საკუთარი თავისუფლება: Forbearance is no acquittance (მოთმინება არ გულისხმობს გათავისუფლებას).

ზოგიერთ ინგლისურ პარემიაში დადებითად ფასდება ძლიერისადმი მორჩილება.

უთანასწორობის აღიარება გამოიხატება იმ უნარში, რომელიც გულისხმობს კამაყოფილებას იმით, რაც გაქვს.

საკუთარი თავის მართვა, თავშეკავებულობა ინგლისელის ტიპური მახასიათებელია: He that is master of himself will soon be master of others (ის, ვინც საკუთარ თავს ვერ უმკლავდება, სხვებს ვერ მართავს).

ინგლისურ პარემიებში ჭარბობს თავისუფლების დადებითი შეფასება, პარემიათა ძალიან მცირე ნაწილში კი იკვეთება თავისუფლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება.

კონცეპტის „თავისუფლება“ ლექსიკურ რეპრეზენტატთა ანალიზის შედეგად ნაშრომში გამოიყო თავისუფლების სამი ტიპი: ზეადამიანური, ზოგადადამიანური და ინდივიდუალური. კონცეპტის „თავისუფლება“ მოდელირებისას ინდივიდუალურ ცნობიერებაში შესაძლებელია შემდეგი სიტუაციის წარმოდგენა: ადამიანი ამბობს: „მე არ ვარ თავისუფალი“ და ამით აქცენტირდება გარკვეულ შეზღუდვათა არსებობა. შეზღუდვები შეიძლება გულისხმობდეს პატიმრობას, მონობას, ტყვეობას, ასევე საკუთარი ნებით აღებულ ვალდებულებებათა შესრულებას (მუშაობას, სწავლას, ოჯახს). ასეთ შემთხვევაში შეზღუდვათა რაოდენობა დიდია, სურვილები ბუნდოვანია, ხოლო თავად თავისუფლება კი წარმოადგენს სასურველ მიზანს. მიზნობრიობის დომინირების სიტუაციაში ადამიანი ამბობს: „მე თავისუფალი ვარ / მე არ ვარ თავისუფალი იმისათვის, რომ ეს გავაკეთო“. აქ იგულისხმება შესაძლებლობები ან შეზღუდვები, რომლებიც უზრუნველყოფენ / ვერ უზრუნველყოფენ მიზნის მიღწევას. თავისუფლება კი, როგორც შესაძლებლობათა ან შეზღუდვათა ერთობლიობა, წარმოადგენს მიზნის მიღწევის საშუალებას.

ყველა შემთხვევაში, იქნება ეს თავისუფლება, როგორც მიზანი, თუ თავისუფლება, როგორც საშუალება, ადამიანის გამონათქვამი თავისუფლებაზე წარმოსდგება გარკვეული სურვილიდან (სურვილებიდან), ხოლო თავისუფლების რეალიზაცია / არარეალიზაცია კი გულისხმობს სასურველის მიღება / არმიღებას.

აქედან გამომდინარე, ინდივიდუალურ ცნობიერებაში არსებული კონცეპტის „თავისუფლება“ მოდელმა შეიძლება შემდეგი ტიპის კონფიგურაცია მიიღოს:

1. საჭიროების წარმოქმნა - დისკომფორტის წარმოქმნა, რაც იწვევს აქტიურობის საჭიროებას;
2. ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს ბუნების ან საზოგადოების კანონებით განპირობებული დისკომფორტის აღმოფხვრას;
3. საჭიროების რეალიზაცია, რაც იწვევს კომფორტს, კმაყოფილებასა და ბედნიერებას.

ქმედების აღნიშნული მახასიათებლები და პირობები შეესაბამება თავისუფლებისა და არათავისუფლების სიტუაციებს.

ადამიანის საჭიროებათა (სურვილების) მრავალფეროვნება განსაზღვრავს ადამიანის თავისუფლების ინტერპრეტაციათა სიმრავლეს. საჭიროებებსა და თავისუფლებებს შორის შესაბამისობა შეიძლება დადგინდეს საჭიროებებისა და თავისუფლებების კლასიფიკაციის სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე. ის, თუ რა ტიპისაა საჭიროება - ბირთვული თუ პერიფერიული - განსაზღვრავს ამა თუ იმ ტიპის თავისუფლების მნიშვნელოვნებას ადამიანის ღირებულებათა სისტემაში. თვითრეალიზაციის საჭიროება ეთანადება ნების თავისუფლებას, პოლიტიკურ და სოციალურ თავისუფლებებთან. როცა საფრთხე ემუქრება სიცოცხლისათვის აუცილებელ საჭიროებებს, ადამიანი მზადაა იბრძოდეს პიროვნული, ჯგუფური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ამდენად, ცნობიერებაში არსებული თავისუფლების მოდელი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ჯაჭვის ფორმით: „საჭიროება (სურვილი) - თავისუფლება - კომფორტი (ბედნიერება)“. თუ საჭიროება არაღირებულია ადამიანისათვის, არ არსებობს არც არათავისუფლების სიტუაცია.

ადამიანის საჭიროებები შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც არარეალიზებულ (არარეალიზებად) და რეალიზებულ მოთხოვნათა ჯამი.

რამდენადაც ნაშრომში თავისუფლება გააზრებულია როგორც საჭიროებათა ფუნქცია, არარეალიზებულ (არარეალიზებად) და რეალიზებულ მოთხოვნათა წყვილს შეესაბამება წყვილი „თავისუფლება - არათავისუფლება“.

არათავისუფლება დგება მაშინ, როცა შეუძლებელია საჭიროების რეალიზაცია, ხოლო თავისუფლება კი დგება მაშინ, როცა ადამიანი სჩადის ქმედებას (მოიპოვებს თავისუფლებას). არათავისუფლებისა და თავისუფლების ჯამი წარმოადგენს სიდიდეს, რომელიც ასახავს ადამიანის მიერ გააზრებულ „შესაძლებლობათა“, „შეუძლებლობათა“ და „შეზღუდვათა“ ერთობლიობას. ადამიანის მიერ გააზრებული თავისუფლების სიდიდეს ჩვენ ვუწოდებთ „კოგნიტურ თავისუფლებას“. ეს უკანასკნელი განსაზღვრავს ადამიანის პიროვნული თავისუფლების სივრცეს (კოგნიტური თავისუფლება = არათავისუფლება + თავისუფლება).

მიჯნავს რა ერთმანეთისგან ზოგადადადამიანურ და პიროვნულ თავისუფლებას და ითვალისწინებს თავისუფლების ამა თუ იმ ტიპის პრიორიტეტულობას ადამიანის პირად სივრცეში, „რაციონალისტური“ კოგნიტური მიდგომა ხსნის ბევრი წინააღმდეგობას და თავისუფლების პარადოქსალურ ინტერპრეტაციებს.

### 5.3. კონცეპტი „თავისუფლება“ ბრიტანულ და ამერიკულ ასოციაციურ-ვერბალურ ქსელში

კველვის მოცემულ სეგმენტში განხილულია კონცეპტის „თავისუფლება“ ასოციაციური მახასიათებლები ინგლისურ (ბრიტანულ და ამერიკულ) ლინგვოკულტურაში და გაანალიზებულია კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა ასოციაციური ველების სტრუქტურის კვანტიტატიური მარკერები.

კონცეპტის „თავისუფლება“ ასოციაციურ მახასიათებელთა ანალიზისათვის გამოყენებულია: Edinburgh Associative Thesaurus of English — EAT და The University of South Florida word association, rhyme, and word fragment norms.

ასოციაციები დაიყო შემდეგ შინაარსობრივ ჯგუფებად:

1. სინონიმური და ანტონიმური რეაქციები, მომიჯნავე ცნებები;
2. ისტორიული, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური კონოტაციის მქონე ასოციაციები;
3. წარმოდგენები თავისუფლებაზე;
4. პრეცედენტული ფენომენები;

5. კლიშეები და მყარი სიტყვათშთანხმებები;
6. ხატები (სახეობრივი ელემენტები);
7. ინდივიდუალური ასოციაციები.

აღნიშნული ჯგუფების განხილვამ უზრუნველყო კონცეპტის სამგანზომილებიანი სტრუქტურის ანალიზი.

კონცეპტის აზრობრივი კომპონენტების კონსტრუირებისათვის საჭირო იდეები იდენტიფიცირდა შემდეგ ჯგუფებში: „სინონიმური და ანტონიმური რეაქციები“, „ისტორიული, კულტურული, სოციალური და პოლიტიკური კონოტაციის მქონე ასოციაციები“, „წარმოდგენები თავისუფლებაზე“, „კლიშეები და მყარი სიტყვათშთანხმებები“ და „თავისუფლების ხატები (სახეობრივი ელემენტები)“. კონცეპტის ხატობრივი (სახეობრივი) კომპონენტი რეკონსტრუირებულია ასოციაციური ექსპერიმენტისა და ინტერნეტ-ასოციაციური კვლევის მონაცემების, რეკლამისა და მხატვრული ლიტერატურის ტექსტების ანალიზის საფუძველზე.

„პრეცედენტული ფენომენების“ ჯგუფი მოიცავს კონვენციონალურად დაკავშირებულ სიტყვათშთანხმებებს, რომელშიც განეკუთვნება ეროვნულ კოგნიტურ ბაზას. ამ ტიპის რეაქციები უყალიბდება რესპოდენტს ქვეცნობიერ დონეზე იმ სიტუაციაში, როცა სტიმული მეხსიერებიდან გამოიწვევს ხოლმე ნაცნობ ტექსტს. პრეცედენტული ფენომენები წარმოადგენს ფონეტიკურ ასოციაციებს; ამ შემთხვევაში აპელირება არ ხდება პრეცედენტული სიტუაციის ან პრეცედენტული ტექსტის აზრობრივ ასპექტზე. პრეცედენტული ფენომენების მონაცემთა ფრეიმი ინახება კონკრეტული ლინგვოკულტურის წარმომადგენელთა კოლექტიურ კოგნიტურ სივრცეებში.

პრეცედენტულ ფენომენტაგან გამოყენების სიხშირის ყველაზე მაღალი ხარისხით ხასიათდება:

1. Statue of liberty (ბრიტანული ლინგვოკულტურა - 36%; ამერიკული ლინგვოკულტურა - 64%);
2. Liberty Bell (ბრიტანული ლინგვოკულტურა - 18%; ამერიკული ლინგვოკულტურა - 82%);

3. Freedom, equality, and brotherhood (ბრიტანული ლინგვოკულტურა - 93%; ამერიკული ლინგვოკულტურა - 7%).

დასახელებული პრეცედენტული ფენომენები დამკვიდრდნენ ბრიტანულ და ამერიკულ ლინგვოკულტურებში და იქცნენ ეროვნული მენტალური სივრცის სრულფასოვან ელემენტებად.

ანალიზმა ცხადყო, რომ პრეცედენტულ ფენომენტთა უმრავლესობა დაკავშირებულია ელემენტთან „Liberty” (ბრიტანული ლინგვოკულტურა: statue - 57, diabolical - 43; ამერიკული ლინგვოკულტურა: statue - 58, lady - 15, torch - 4, monument -2, bell - 21).

საკვანძო იდეათა რეპერტუარი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება კონცეპტის „თავისუფლება“ სემანტიზაცია, შემდეგნაირად გამოიყურება:

1. თავისუფლება, როგორც ციხეში ყოფნის საწინააღმდეგო მდგომარეობა;
2. თავისუფლება, როგორც მონობის საწინააღმდეგო მდგომარეობა;
3. თავისუფლება, როგორც ადამიანისა და სახელმწიფოს უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;
4. თავისუფლება, როგორც რაიმე ადგილიდან გამოსვლა, წასვლა;
5. თავისუფლება, როგორც შეზღუდვათა არარსებობა;
6. თავისუფლება, როგორც ვალდებულებათა არასებობა;
7. თავისუფლება, როგორც ქორწინებაში არმყოფი ან განქორწინებული ადამიანის მდგომარეობა;
8. თავისუფლება, როგორც სრულწლოვანება;
9. თავისუფლება, როგორც აკრძალვის არარსებობა;
10. თავისუფლება, როგორც ფულის ქონის მდგომარეობა;
11. თავისუფლება, როგორც სიმშვიდე;
12. თავისუფლება, როგორც უწესრიგობა, უკანონობა;
13. თავისუფლება, როგორც არჩევანის შესაძლებლობა;
14. თავისუფლება, როგორც უცერემონიოება;
15. თავისუფლება, როგორც სიმსუბუქე.

ინგლისურ და ამერიკულ ლინგვოკულტურებში თავისუფლება გააზრებულია ციხესთან, საპყრობილესთან, პატომრობასთან კონტრასტირებით (imprison, jail, prison, US: jail, prison და სხვ.). ინგლისურ ენაში მოცემული მნიშვნელობა ძირითადად აქტუალიზდება ლექსემის “freedom“ მეშვეობით. რესპოდენტების მიერ თავისუფლება გააზრებულია ასევე შებოჭილობის, სივიწროვის, სუნთქვისა და გადაადგილების ბარიერების არარსებობად (ბრიტანული ლინგვოკულტურა: bondage, spacious; ამერიკული ლინგვოკულტურა: bondage, relief და სხვ.)

თავისუფლების, როგორც მონობის საწინააღმდეგო მდგომარეობის გააზრება, წარმოადგენს ბრიტანული და ამერიკული ენობრივი ცნობიერების მახასიათებელს (ბრიტანული ლინგვოკულტურა: chains, slavery; ამერიკული ლიტერატურა: slavery). რესპოდენტებისათვის თავისუფლება ასოცირდება რაიმე ადგილიდან გამოსვლის ან წასვლის შესაძლებლობად (ბრიტანული ლინგვოკულტურა: release; escape; away; out of; ამერიკული ლინგვოკულტურა: release; escape; flee და სხვ.) აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბრიტანელები და ამერიკელები აქცენტს აკეთებენ ინდივიდუალურ ძალისხმევაზე ადამიანის მიერ თავისუფლების მოპოვების პროცესში.

ბევრი ადამიანისათვის თავისუფლება ასოცირდება უფლებებთან და დემოკრატიულ ღირებულებებთან, კანონიერებასა და სახელმწიფოსთან (ბრიტანული ლინგვოკულტურა: democracy; democratic; independent; independence; justice; rights; vote; ამერიკული ლინგვოკულტურა: democracy; independent; justice; rights).

გარდა პოლიტიკური, სოციალური და იურიდიული თავისუფლებისა, რესპოდენტთა ნაწილი თავისუფლებას აკავშირებს „ყოფით“ თავისუფლებასთან. ამ ტიპის რესპოდენტებისათვის თავისუფლება ასოცირდება ვალდებულებების (სწავლა, მუშაობა, ოჯახი) არარსებობასა და დასვენებასთან (დასვენება, უსაქმურობა, გართობა, ზაფხული და სხვ.) - ბრიტანული ლინგვოკულტურა: holidays; holiday; leisure; vacation; weekend; ამერიკული ლინგვოკულტურა: fun, summer, outdoors და სხვ.

ბრიტანული და ამერიკული ლინგვოკულტურის წარმომადგენლებმა თავისუფლება ასევე დააკავშირეს სრულწლოვანებასა და მშობლებისაგან დამოუკიდებლად ცხოვრების



შესაძლებლობასთან (ინგლისური ლინგვოკულტურა: twenty-one; adults; apartment; bedsit; ამერიკული ლინგვოკულტურა: adult; apartment და სხვ.)

საკვლევ ლინგვოკულტურებში თავისუფლება ასოცირდება არჩევანის თავისუფლებასთან: choice; choose.

გარდა აღნიშნული ასოციაციებისა, ინგლისურენოვანმა რესპოდენტებმა დააფიქსირეს თავისუფლების კავშირი ანარქიასთან.

ამდენად, რეაქციათა შორის გამოიკვეთა ორი შეხედულება თავისუფლებაზე: ლიბერალური - საზოგადოებრივ ასპექტზე ორიენტირებული თავისუფლება (კანონი და თავისუფლება) და „ობივატელური“ თავისუფლება - თავისუფლების პიროვნულ, ინდივიდუალურ, ჰედონისტურ, ეგოისტურ აღქმით დეტერმინირებული შეხედულება.

თავისუფლების აღნიშნული ტიპები დაკავშირებულია სხვადასხვა ტიპის საჭიროებებთან: ლიბერალური პოზიციის ფარგლებში თავისუფლება ასოცირდება თვითრეალიზაციასა და თვითაქტუალიზაციასთან, ობივატელური პოზიციის ფარგლებში კი - უტილიტარულ საჭიროებებთან.

საზოგადოებრივ ასპექტზე ორიენტირებული ლიბერალური პოზიციის თანახმად, ადამიანი აცნობიერებს არსებული სიტუაციის დადებითი ალტერნატივის არსებობას, საკუთარ თავს კი აღიქვამს იმ ძალად, რომელსაც ძალუმს ცვლილების განხორციელება. ცვლილება გულისხმობს უფლებებისა და თავისუფლებების არსებული სისტემის მეშვეობით, საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებსა და წესებზე ზემოქმედებას, საკუთარი თავისუფლების ჩარჩოთა გაფართოებას, შეზღუდვათა შემცირებასა და შესაძლებლობათა გაზრდას.

მეორე შემთხვევაში ადამიანი ასევე აცნობიერებს არათავისუფლების ალტერნატივის (მუშაობა ან სწავლა, როგორც დასვენება, არდადეგები და სხვ.) არსებობას, თუმცა სხვადასხვა მიზეზების გამო, ადამიანს არ ძალუმს ცვლილებების განხორციელება (ან არ თვლის საჭიროდ რაიმეს შეცვლას, ვინაიდან აღიარებს არსებული მდგომარეობის ან სიტუაციის სისწორეს).

თავისუფლების სახეობრივი რეპერტუარი საკმაოდ მარავლფეროვანია და მოიცავს როგორც დინამიურ, ისე სტატიკურ ხატებს. ინგლისურ და ამერიკულ ლინგვოკულტურებში დომინირებს თავისუფლების დინამიური ხატები: ინგლისური ლინგვოკულტურა - climbing, flying, running, train, bird, falcon, with the wind, glide, sailing, cart, jump, sprinted, animals, deer, lions, wind, wild; ამერიკული ლინგვოკულტურა - bird, gull, seagull, sail, sailing, wind, flying, flight, car, jeep, vehicle, hike, freeway.

ინგლისურ და ამერიკულ ლინგვოკულტურებში ფიქსირდება თავისუფლების სტატიკური ხატებიც: ინგლისური ლინგვოკულტურა - spur, countryside, mountains, plains, oxygen; ამერიკული ლინგვოკულტურა - field, space, ocean, iceberg, pasture, room, wilderness.

კონცეპტის „თავისუფლება“ სახეობრივ რეპერტუარში სიხშირის ყველაზე მაღალი ხარისხით გამოირჩევა შემდეგი ელემენტები:

1. ჰაერი: air; gave it a blazing air of freedom and dcflance (H. B. Stowe);
2. ქარი: with the wind; Thou shalt be free/As mountain winds: but then exactly do/All points of my command (W. Shakespeare);
3. ჩიტები: flight, glide, bird, falcon, gull, seagull; In feeling I was but a child, /When first we met - one year ago, /As free and guileless as the bird, / That roams the dreary woodland through (A. I. Menken);
4. ზღვა და ოკეანე: ocean, iceberg, sail, sailing; Thine is the heritage of simple things, / The untasked liberty of sea and air (S. W. Mitchell);
5. სივრცე: field, space, pasture, plains, room, freeway.

თავისუფლება ღირებულია ყველასათვის. ადამიანი ითხოვს და ელის თავისუფლებას, ადამიანი ისწრაფვის თავისუფლებისაკენ და იბრძვის მისთვის, უფროსილდება მას: ბრიტანული ლინგვოკულტურა - fighter, fighters, fight, attain, victory; ამერიკული ლინგვოკულტურა - struggle, fighter, bravery.

ადამიანი იცავს და უფროსილდება თავისუფლებას: ბრიტანული ლინგვოკულტურა - defend, defender; ამერიკული ლინგვოკულტურა - shelter.

თავისუფლება რელატიური, სხვა ფაქტორებთან ურთიერთქმედებაში მყოფი, შეზღუდული და იშვიათია: ბრიტანული ლინგვოკულტურა - impossible, nothing, nowhere; ამერიკული ლინგვოკულტურა - mutual, ideal, responsibility.

ზოგჯერ თავისუფლება ტვირთთან ასოცირდება: ills.

მთლიანობაში თავისუფლება აღიქმება დადებით ფენომენად, რომელიც ასოცირდება სხვა დადებით კონცეპტებთან: harmony, betterment.

დადებით მახასიათებელთა გარკვეული კვეთა ფიქსირდება ისეთ ელემენტებთან, როგორცაა: oicueem, life, alive, life, happiness, hope, youth, love.

რაც შეეხება ამა თუ იმ სტიმულის კვანტიტატურ მახასიათებლებს, ჩვენი თვალსაზრისით, კონცეპტუალური ანალიზისათვის მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მაჩვენებელი: სტიმულზე რეაქციათა სტრუქტურის ენტროპია (განუსაზღვრელობის დონე) და კონცეპტის ენობრივ ობიექტივატორთა აზრობრივი კორელაციის კოეფიციენტი.

რაც უფრო მაღალია სტიმულზე რეაქციათა ენტროპია, მით უფრო ძლიერია სტიმულის უნარი გამოიწვიოს სხვადასხვა ასოციაციები. კონცეპტის „თავისუფლება“ ენობრივ ობიექტივატორთაგან სხვადასხვა ასოციაციების გამოწვევის ყველაზე ძლიერი უნარით გამოირჩევა ელემენტი “freedom“. ელემენტი “liberty“ აქტუალურია ეროვნული კოგნიტური ბაზისათვის რელევანტურ სხვადასხვა მყარ სიტყვათშეთანხმებებში და ასახავს კონცეპტის აზრობრივ განზომილებათა მრავალფეროვნებას.

აზრობრივი კორელაციის ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა ლექსებებს “freedom“ და “liberty“ შორის, რაც ადასტურებს შემდეგ ფაქტს: აღნიშნული ელემენტები ფუნქციონირებენ როგორც კონცეპტის „თავისუფლება“ ბირთვული ენობრივი ობიექტივატორები.

კონცეპტი „თავისუფლება“ განეკუთვნება ბაზისურ კონცეპტთა - რეგულატივთა - რიგს, რომელიც ხშირად წარმოდგენლია სიმბოლოს სახით. კონცეპტის „თავისუფლება“ არსი მდგომარეობს „თავისუფლებისა“ და „არათავისუფლების“ ბინარულ დაპირისპირებაში. კონცეპტი „თავისუფლება“ აქტუალიზირდება გარდამავალ, ზღვრულ სიტუაციაში (თავისუფლებიდან არათავისუფლებაში ან მეტი თავისუფლებიდან ნაკლებ თავისუფლებაში გადასვლის სიტუაციაში).

კონცეპტი „თავისუფლება“ ხასიათდება შემდეგი მარკერებით:

1. სახეობრივი კომპონენტებია: ქარი, ზღვა, ოკეანე, ჩიტი, ფრენა, სუნთქვა, ღია სივრცე და სხვა;
2. ცნებობრივი კომპონენტებია: შესაძლებლობა მოიქცე ისე, როგორც გსურს; შეზღუდვათა არარსებობა; მონობის, ტყვეობის, პატიმრობის, შებოჭილობის საპირისპირო მდგომარეობა;
3. ღირებულებითი კომპონენტებია: ერთ - ერთი ყველაზე პრიორიტეტული ღირებულება, რომელსაც შეიძლება დაემუქროს საფრთხე, რომელიც შეიძლება დაკარგო, რომლისთვისაც უნდა იბრძოლო და რომელიც უნდა დაიცვა.

ინგლისურენოვან ცნობიერებაში იკვეთება:

1. კორელაცია კონცეპტებს „თავისუფლება“ და „უფლება“ შორის;
2. კონცეპტის „თავისუფლება“ დაპირისპირება კონცეპტთან „მონობა“;
3. ინდივიდუალური ძალისხმევის აუცილებლობა თავისუფლების მოსაპოვებლად.

#### *5.4. „თავისუფლება“ როგორც ღირებულება: თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის მონაცემთა სოციოკულტურული ანალიზი*

ჩვენი მიზანია ერთ - ერთი ძირითადი ღირებულების - „თავისუფლების“ - ფსიქოლოგიურად რელევანტური კონტენტის ჩამოყალიბების პროცესისა და მისი შესაძლო დინამიკის ობზერვაცია.

ზოგადად, მიიჩნევა, რომ ძირითადი ეთნიკური ღირებულებები რამდენიმე თაობის განმავლობაში სტაბილურია. თუმცა, ჩატარებულ კვლევაზე დაყრდნობით, შეიძლება ვისაუბროთ ძირითადი ღირებულების - „თავისუფლების“ - დინამიკის შესახებ. კვლევაში გამოყენებულია თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი, როგორც კვლევის ძირითადი მეთოდი. თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტი ჩატარდა 450 რესპოდენტთან, რომელთა ასაკი მერყეობდა 16-დან 40 წლამდე. შეირჩა 220 რეაქცია შერჩევითობის პრინციპის გარეშე და მოხდა მათი ანალიზი. დადგინდა, რომ ძირითადი ღირებულების - „თავისუფლების“ -

კონცეპტუალური ბირთვი თითქმის უცვლელია. თუმცა, ემოციურად შეფასებითი ასოციაციები გვიჩვენებენ მნიშვნელოვან ცვლილებას სიტყვის კონოტაციის კონტექსტში, რაც თავისთავად მიუთითებს იმ ცვლილებაზე, რომელიც არსებობს ძირითადი ღირებულების - „თავისუფლების“ - გააზრებაში.

ეთნიკურ ჯგუფებს შორის ურთიერთქმედება ხორციელდება ცხოვრების ყველა სფეროში, თუმცა სხვადასხვა კულტურისა და ერის წარმომადგენლები ხშირად ფსიქოლოგიურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დაწყებული მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან, ერებს გაუჩნდათ სურვილი დაეცვათ საკუთარი „ორიგინალურობა“ და ხაზი გაესვათ მათი კულტურისა და ფსიქოლოგიური უნიკალურობისათვის. მკვლევართა გარკვეულ ნაწილს (Bromley / ბრომლეი, 1987, და სხვა) სჯერა, რომ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ენა, ღირებულებები და ნორმები, ისტორიული მეხსიერება, რელიგია, კონცეპტები რაც დაკავშირებულია სამშობლოსთან, მითები საერთო წინაპრებზე, ეროვნული ხასიათი, ფოლკლორი და ხელოვნება მიეკუთვნება იმ მახასიათებლებს, რომლებიც განასხვავებს ერთ ეთნოსს სხვა ეთნოსისაგან. ამ ცნებების განმარტება ორაზროვანი და წინააღმდეგობრივია.

შესაბამისად, ეს ცნებები ვერ იქნება გამოყენებული ინტერპრეტაციის საშუალებად კროს - კულტურულ და საზოგადოების კონკრეტული მახასიათებლების კვლევებში.

„ძირითადი“ ღირებულების კონცეპტი ინტერდისციპლინურია. შესაბამისად, მეცნიერები ცდილობენ განმარტონ ეს კონცეპტი სიღრმისეულად. შლეჩეტი განმარტავს ღირებულებებს, როგორც კონცეპტებს, რომლებიც საზოგადოებისათვის სასურველია, რადგან ეს კონცეპტები ხალხის „სახელმძღვანელოა“ (Schlecht / შლეჩეტი, 2017).

ლეი განმარტავს „ღირებულებას“, როგორც კონცეპტს რაიმე „სასურველის“ შესახებ, რაც ფორმირდება განვითარების სოციოკულტურულ პროცესში. ამის გარდა, იგი ხაზს უსვამს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციოკულტურულ და მორალურ ღირებულებებს. ასეთი კონცეპტები ფართოდ გამოყენებადია და მიჩნეულია იმ ძირითად პრინციპებად, რომელსაც ადამიანი შეიძლება მიჰყვეს (Ley / ლეი, 2017).

ამერიკელი ანთროპოლოგი კლაკონი გვთავაზობს „ღირებულების“ კონცეპტის შემდეგ განმარტებას: „ღირებულება არის კონცეპტი, რომელიც შეიძლება იყოს იმპლიციტური ან ექსპლიციტური, ინდივიდის განმასხვავებელი და ჯგუფისათვის დამახასიათებელი,

სასურველი, რომელიც გავლენას ახდენს საშუალებების და ქმედების მიზნების ფორმირებისა და შერჩევის პროცესზე“ (ლეი, 2017).

როკიჩი განმარტავს „ღირებულების“ კონცეპტს, როგორც „მუდმივ რწმენას“ (Rokeach / როკიჩი, 1973, გვ. 3). მას სჯერა, რომ მნიშვნელოვანი ღირებულებების ჯამი ძალიან მცირეა. მისი აზრით, ყველას აქვს მსგავსი ღირებულებები, რომელთა მნიშვნელობა ყველასათვის განსხვავებულია. ყველა ღირებულება სისტემით ორგანიზებულია და ადამიანის ღირებულებათა წარმომავლობა შეიძლება უკავშირდებოდეს კულტურას, საზოგადოებას და სოციალურ ინსტიტუტებს. შესაბამისად, ჩვენ მივიჩნევთ ძირითად ეთნიკურ ღირებულებებს ცხოვრებისეული დამოკიდებულებებისა და იდეალების წყებად, რომელთაც ეთნიკური ჯგუფის წევრები მიიჩნევენ ტიპურად და მნიშვნელოვნად. ხალხს ურჩევნია მოიქცეს იმ ღირებულებათა სისტემის შესაბამისად, რომელიც გაბატონებულია საზოგადოებაში და რომელსაც ამ საზოგადოების წევრები იზიარებენ. ღირებულებათა სისტემა განსაზღვრავს ადამიანთა სოციალურ კომფორტს. მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ღირებულებები ყოველთვის განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას (Lurie / ლური, 2004, გვ. 624).

ყველა კულტურაში ძირითადი ღირებულებების სიტემას აქვს მყარი, მაგრამ დინამიური სტრუქტურა იმიტომ, რომ ის სპონტანურად ფორმირდება ეთნოსსა და საზოგადოებაში, რომლის ფუნქციონირებაზე გავლენას ახდენს ჰეტეროგენული ფაქტორები. ძირითადი ღირებულებების იმპლემენტაცია დამოკიდებულია ადამიანის განათლებაზე, საქმიანობაზე, შემოსავალზე, სოციალურ სტატუსზე, ქორწინებაზე, საცხოვრებელ ადგილზე და სხვა ფაქტორებზე.

ძირითადი ღირებულებების სისტემებს ახასიათებთ შინაგანი დინამიურობა. ეს შეიძლება შევნიშნოთ ღირებულებათა იერარქიის ცვლილებაში. ეს ფაქტი დაკავშირებულია უამრავ საკითხთან, რომელიც განსაზღვრავს სოციალურ განვითარებას, სოციო - ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფაქტორებს.

იმისათვის, რომ განვსაზღვროთ ძირითადი ღირებულების - „თავისუფლების“ - ცნება და მისი შესაძლო დინამიკა და გავიაზროთ ამ სიტყვის ეტიმოლოგია, უნდა შეიქმნას სიტყვის „თავისუფლება“ სემანტიკური ველი სხვადასხვა ლექსიკონის მიხედვით. ამასთანავე მნიშვნელოვანია მოვახდინოთ სტიმული - სიტყვის - „თავისუფლება“ - ასოციაციური ველის

კონსტრუირება ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონის გამოყენებით. ასოციაციური ველის კონსტრუირებისათვის უნდა გამოვიყენოთ ის მონაცემები, რაც მოპოვებულ იქნა თავისუფალი ასოციაციური ექსპერიმენტის გამოყენებით.

შემოთავაზებული მეთოდი ეფექტური იარაღია ძირითადი ღირებულებების შესასწავლად, რადგან იგი გვცხმარება იმ მნიშვნელობების მოძიებაში, რომელიც რესპოდენტებისათვის ფსიქოლოგიურად რელევანურია.

პირველ რიგში, კვლევის ფარგლებში შესაწავლ იქნა სიტყვის „თავისუფლება“ ეტიმოლოგია. ფაზმერის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „თავისუფლება“ მომდინარეობს ძველი ინგლისურიდან, რაც აღნიშვავდა „დამოუკიდებლობას“ და „თავისუფალ ცხოვრებას“.

ეტიმოლოგიის ონლაინ ლექსიკონის (Online Etymology Dictionary) მიხედვით, სიტყვა „თავისუფლება“ მომდინარეობს ძველი ინგლისურიდან, რაც განიმარტება, როგორც: „თვითგამორკვევის ძალა“, „თავისუფალი ნება“, „მონობისაგან განთავისუფლება“, „თავისდახსნა“ ("power of self-determination, state of free will; emancipation from slavery, deliverance;"). მე-14 საუკუნეში სიტყვა „თავისუფლება“ განიმარტებოდა, როგორც „განთავისუფლება თვითნებური ან დესპოტური კონტროლისაგან“, „სამოქალაქო თავისუფლება“ ("exemption from arbitrary or despotic control, civil liberty"). ხოლო, მე-16 საუკუნის 70-იან წლებში სიტყვამ „თავისუფლება“ შეიძინა შემდეგი მნიშვნელობა „კონკრეტული პრივილეგიების ქონა“ ("possession of particular privileges"). მსგავსი ფორმაცია განიცადა სიტყვამ „თავისუფლება“ ძველ ფრიზიულ ენასა (fridom) და ჰოლანდიურ ენაში (vrijdom), ხოლო შუა საუკუნეების გერმანულში კონცეპტს „თავისუფლება“ ვხვდებით შემდეგი ფორმით - "vridom".

ჩემბერსის ეტიმოლოგიური ლექსიკონის მიხედვით (Chambers's Etymological Dictionary of the English Language), „თავისუფლება“ (fré'dum) არის „მდგომარეობა, როდესაც ხარ თავისუფალი“, „გულახდილობა, გულღიაობა“, „გამოყოფა, დაშორება“, „პრივილეგიები, რაც დაკავშირებულია ქალაქთან“, „არასათანადო ნაცნობობა“, „ნებართვა“ ("the state of being free: frankness: separation: privileges connected with a city: improper familiarity; licence".)

მნიშვნელოვანია განვიხილოთ რამდენიმე ინგლისური ენის ახსნა - განმარტებითი ლექსიკონის მონაცემები. Oxford Learner's Dictionary - ის მიხედვით სიტყვა „თავისუფლებას“ გააჩნია 6 განმარტება:

1. პირველი განმარტება: ძალა ან უფლება გააკეთო ან თქვა ის, რაც გინდა სხვათა ჩარევის გარეშე (“the power or right to do or say what you want without anyone stopping you”);
2. მეორე განმარტება: მდგომარეობა, როდესაც არ ხარ პატიმარი ან მონა (“the state of not being a prisoner or slave”);
3. მესამე განმარტება: მდგომარეობა, როდესაც არ იმართები უცხო ან ბოროტი მთავრობის მიერ (“the state of not being ruled by a foreign or cruel government”);
4. მეოთხე განმარტება: მდგომარეობა, როდესაც შეგიძლია თავისუფლად გადაადგილება (“the state of being able to move easily”);
5. მეხუთე განმარტება: მდგომარეობა, როდესაც არ ახდენენ შენზე გავლენას (“the state of not being affected”);
6. მეექვსე განმარტება: ნებართვა, გამოიყენო რაიმე შეზღუდვის გარეშე (“permission to use something without limits”).

ვებსტერის ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, სიტყვა „თავისუფლება“ ინტერპრეტირდება, როგორც „მდგომარეობა, როდესაც ხარ თავისუფალი“ (“the state of being free”), განთავისუფლება სხვის უფლებამოსილებისა და კონტროლისაგან (“exemption from the power and control of another”); ისევე, როგორც “განსაკუთრებული პრივილეგიები“ (“particular privileges”). ცხადია, რომ „თავისუფლების“ კონცეპტი საკმაოდ ფართოა. ამას მოწმობს ვებსტერის მიერ შემოთავაზებული ერთეულები, რომლებიც სიტყვის „თავისუფლება“ (“freedom) სინონიმებად მიიჩნევა. ესენია: liberty, independence, frankness, openness, separation, franchise, immunity, license.

ახსნა-განმარტებით ლექსიკონში - The Free Dictionary - ვხვდებით თავისუფლების 13 განმარტებას.



1. პირველი განმარტება: მდგომარეობა, იყო თავისუფალი, ვიდრე დაპატიმრებული ან იყო თავისუფალი ფიზიკური შეზღუდვებისაგან ("the state of being free or at liberty rather than in confinement or under physical restraint");
2. მეორე განმარტება: განთავისუფლება გარე კონტროლისაგან ("exemption from external control").
3. მესამე განმარტება: ძალა, განსაზღვრო ქმედება შეზღუდვის გარეშე ("the power to determine action without restraint");
4. მეოთხე განმარტება: პოლიტიკური ან ეროვნული დამოუკიდებლობა ("political or national independence").
5. მეხუთე განმარტება: პერსონალური თავისუფლება: მონები, რომლებმაც იყიდეს საკუთარი თავისუფლება ("personal liberty: slaves who bought their freedom");
6. მეექვსე განმარტება: განთავისუფლება; იმუნიტეტი: შიშისგან თავისუფლება ("exemption; immunity: freedom from fear");
7. მეშვიდე განმარტება: კავშირების ან ვალდებულებების არარსებობა ან მათგან განთავისუფლება ("the absence of or release from ties or obligations");
8. მერვე განმარტება: გადაადგილების ან მოქმედების თავისუფლება ან საშუალება ("ease or facility of movement or action");
9. მეცხრე განმარტება: სიტყვისა და ქცევის პირდაპირობა ("frankness of manner or speech");
10. მეათე განმარტება: მოპოვებული თავისუფლება ("a liberty taken");
11. მეთერთმეტე განმარტება: სამოქალაქო თავისუფლება, რომელიც ეწინააღმდეგება დამორჩილებას არბიტრალური ან დესპოტური მთავრობისადმი ("civil liberty, as opposed to subjection to an arbitrary or despotic government");
12. მეთორმეტე განმარტება: უფლება, მიიღო სიამოვნება ყველა პრივილეგიისა ან საზოგადოების წევრობის კონკრეტული უფლებებისაგან ("the right to enjoy all the privileges or special rights of membership in a community");
13. მეცამეტე განმარტება: უფლება, რომელიც შეგიძლია გამოიყენო სურვილისამებრ და სიამოვნება მიიღო მისით („the right to frequent, enjoy, or use at will“).

The Free Dictionary - ის მიხედვით, სიტყვის „თავისუფლება“ (“freedom”) შემდეგი სინონიმები არსებობს: independence, democracy, sovereignty, autonomy, self-determination, emancipation, self-government, home rule, autarchy, right, privilege, entitlement, prerogative, liberty, release, discharge, emancipation, deliverance, manumission, exemption, release, relief, privilege, immunity, impunity, licence, latitude, a free hand, free rein, play, power, range, opportunity, ability, facility, scope, flexibility, discretion, leeway, carte blanche, blank cheque, elbowroom, openness, ease, directness, naturalness, abandon, familiarity, candour, frankness, informality, casualness, ingenuousness. ხოლო, The Free Dictionary - ის მიხედვით, სიტყვა „თავისუფლება“ (“freedom”) ინგლისურ ენაში აქვს შემდეგ ანტონიმები: caution, restraint, slavery, imprisonment, dependence, captivity, bondage, servitude, thralldom, restriction, limitation.


The Free Dictionary - ის მიხედვით, სიტყვის „თავისუფლება“ (“liberty”) შემდეგი სინონიმები არსებობს: freedom, autonomy, shore leave, indecorum, impropriety, familiarity, independence, sovereignty, liberation, autonomy, immunity, self-determination, emancipation, self-government, self-rule, freedom, liberation, redemption, emancipation, deliverance, manumission, enfranchisement, unshackling, unfettering, escaped, unlimited, at large, not confined, untied, on the loose, unchained, unbound, able, free, allowed, permitted, entitled, authorized. ხოლო, The Free Dictionary - ის მიხედვით, სიტყვა „თავისუფლება“ (“liberty”) ინგლისურ ენაში აქვს შემდეგ ანტონიმები: restraint, constraint, slavery, imprisonment, captivity, tyranny, enslavement, restriction, duress.

გარკვეულ შემთხვევებში, „თავისუფლება“ გაგებულა, როგორც „ადამიანის შესაძლებლობა, იმოქმედოს მისი ინტერესებისა და მიზნების შესაბამისად ობიექტური საჭიროების ცოდნაზე დაყრდნობით“ ("the ability of a person to act in accordance with one's interests and goals, based on the knowledge of objective necessity"). უნდა აღინიშნოს, რომ კონცეპტი „თავისუფლება“, მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე, ხშირ შემთხვევაში უკავშირდება „პოლიტიკური ან ეკონომიკური ჩაგვრის არარსებობას“ ("the absence of political and economic oppression").

ახსნა - განმარტებით ლექსიკონებზე დაყრდნობით, შეგვიძლია სიტყვა „თავისუფლების“ სემანტიკური ველის კონსტრუირება.

დიაგრამა N 1

სიტყვის „თავისუფლება“ სემანტიკური ველი ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით



ახსნა - განმარტებითი ლექსიკონების მიხედვით, თავისუფლება არის ნების მანიფესტაცია, შეზღუდვებისა და აკრძალვების არარსებობა, პოლიტიკური და ეკონომიკური ჩაგვრის არარსებობა, სიტყვისა და ქცევის პირდაპირობა. განმარტებითი ლექსიკონების საფუძველზე შექმნილი სემანტიკური ველი ემთხვევა ეტიმოლოგიური ლექსიკონების საფუძველზე ჩამოყალიბებული სიტყვის თავდაპირველ მნიშვნელობას.

საინტერესოა შევხვით ინგლისური ენის სიტყვათა ასოციაციურ ქსელში სიტყვა „თავისუფლების“ ასოციაციების კვლევას. ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ ასოციაციური ლექსიკონები იქმნება ასოციაციურ ექსპერიმენტებზე დაყრდნობით, რომელთა მონაცემებს ეყრდნობა სხვა, ახალი ექსპერიმენტები. ასოციაციური ლექსიკონებისა და ასოციაციური ექსპერიმენტების დახმარებით შესაძლებელია სამყაროს ხატის გარკვეული ფრაგმენტების მოდელირება, რომელსაც საზოგადოების გარკვეულ ნაწილში რეალიზდება.

„თავისუფლების“ სიტყვა - სტიმულის თვალსაზრისით, სიტყვათა ასოციაციურ ქსელის (Word Associations Network) მიხედვით არსებობს 400 რეაქცია ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში. იმისათვის, რომ ჩაგვეტარებინა რელევანტური ანალიზი, ჩვენი კვლევის საფუძველზე მიღებული რეაქციები დავაჯგუფეთ ასოციაციური მნიშვნელობების მოდელის გამოყენებით.

კონცეპტები: ნება (7), დამოუკიდებლობა (6), საკუთრება, ტვირთი, საჭიროება, სურვილი - 17 რეაქცია

კონცეპტები:

1. პერსონალური გამოცდილება: სიყვარული, თვითგამოხატულება, მანიფესტაცია, ზღვის სანაპირო მზის ამოსვლისას, დედა, ქოხი – 6 რეაქცია;
2. ბრძოლის ნიშნები: იბრძოლო, მიაღწიო, მოიგო, მოიპოვო, სიძლიერე, სურვილის დაკმაყოფილება – 6 რეაქცია;
3. თავისუფალი ქვეყანა: ამერიკა, გერმანია, ნიუ - იორკი, მოგზაურობა – 4 რეაქცია;
4. ბუნება: გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, ჯანმრთელობა, დროის გატარება, მეგობრები, სიყვარული – 7 რეაქცია;
5. პოლიტიკური ატრიბუტები: დემოკრატია, ძალაუფლება, სამართლიანობა, უსამართლობა, კანონის უზენაესობა, დაცულობა, სიტყვის თავისუფლება, ქმედების თავისუფლება – 8 რეაქცია;
6. თავისუფლების გააზრება: ნება, ცხოვრება, მშვიდობა, იმედი, სამოთხე, სიტყვა, ქმედება, მიღწევა, მოპოვება – 9 რეაქცია.

სულ: 40 რეაქცია.

ემოციურად შეფასებითი რეაქციები: ბედნიერება (9), სიყვარული (3), აბსურდი, შესანიშნავი, კარგი, სიხარული, ჩაკეტილობა, დაკმაყოფილება, გამოხატვა – 19 რეაქცია;

ფორმალურ - გრამატიკული რეაქციები: გამოხატვის (15), სიტყვის (13), ქმედების (7), არჩევანის, სრული თავისუფლება, სასურველი (2), სინდისის (2), დამოუკიდებლობა, თანასწორობა, შეზღუდული, სქესის, სიტყვისა და სინდისის, პატივის - 46 რეაქცია;

კულტურული რექაციები: თანასწორობა (9), ერთობა (7), ძმობა (4), ღმერთი, ბარიკადები, ბოძება, სიცოცხლე, თვითგამოხატვა, ჯორჯ ფლოიდისათვის, სიყვარულისათვის, ერთსულოვნება -28 რექაცია.

კონცეპტუალური რექაციები პასუხობს თავისუფლების განმარტებებს: დამოუკიდებლობა, ვინმეს ნება ("independence, one's own will"). რექაცია „ტვირთი“ ("burden") ამ სიტყვა სტიმულის ანტონიმია.

ყველა რეაქცია - კონცეპტი იზოლირებულია და ასახავს შემდეგ მახასიათებლებს: რესპოდენტების პერსონალური გამოცდილება, ბრძოლის ნიშნები, თავისუფალი ქვეყანა, პოლიტიკური ატრიბუტები, თავისუფლების ცოდნა ("personal experience of respondents", "signs of struggle", "free country", "nature", "political attributes", "realization of freedom").

რესპოდენტების პერსონალური ასოციაციურ-ვერბალური კავშირები ნაჩვენებია ისეთი რექაციებით, როგორებიცაა: „სიყვარული“, „თვითგამოხატულება“, „მანიფესტაცია“, „ზღვის სანაპირო მზის ამოსვლისას“, „დედა“, „ქოხი“, რაც შეიძლება დაკავშირებულია რესპოდენტების პერსონალურ გამოცდილებასთან და ასახულია მათ ასოციაციურ - ვერბალურ მეხსიერებაში. საინტერესოა აღნიშნოს, რომ ორი რექაცია, რომელიც ეკუთვნის „თავისუფალი ქვეყნის“ მნიშვნელობას, დაკავშირებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან - ნიუ - იორკი, ამერიკის შეერთებული შტატები. ეს ქვეყანა ყველაზე თავისუფალ ქვეყანადაა მიჩნეული. შესაძლოა, რესპოდენტების აღნიშნული რექაციები ეწინააღმდეგებოდეს საკუთარი სამშობლოს აღქმას. ექვსი რექაციიდან ოთხი „ბრძოლის ნიშნების“ ჯგუფიდან არის ზმნა: იბრძოლო, მიაღწიო, მოიგო, მოიპოვო. ეს დაკავშირებულია რესპოდენტების ცნობიერებასთან, რომელთა აზრითაც თავისუფლებისათვის ბრძოლა საჭიროა. რეაქციები, რომელთაც „ბუნების“ მნიშვნელობა აქვთ (გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, ჯანმრთელობა, დროის გატარება, მეგობრები, სიყვარული) ასოცირდებიან ყოველგვარი ხილული საზღვრების არარსებობასთან. რექაციები, რომლებიც დაკავშირებულია თავისუფლებასთან პოლიტიკური თვალსაზრისით, არსობრივად აღნიშნავენ დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებას. დარჩენილი რეაქციები მიეკუთვნებიან „თავისუფლების გააზრებას“ და ასოცირდებიან ცხოვრების რეპრეზენტაციასთან, როგორც ადამიანის ღირებულებასთან.

ემოციურად შეფასებითი პასუხები ძირითადად პოზიტიურია. მხოლოდ ორი რექცია „აბსურდი“ და „ჩაკეტილობა“ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რესპოდენტებს ეჭვი შეაქვთ თავისუფლების არსებობაში ან მის მისაღწევად გარკვეული ბარიერების გადალახვაში.

რექაციების უმეტესობა (46 რექაცია) არის ფორმალურ - გრამატიკული, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ლექსემა არის რესპოდენტებისათვის რელევანტური და სიტყვა ხშირად გამოიყენება. შედარებით რთულია, განვასხვაოთ ერთმანეთისაგან ფორმალურ გრამატიკული და კულტურულად დეტერმინირებული პასუხები. ყველაზე გავრცელებული რექაციები - „გამოხატვის თავისუფლება“, „სიტყვის თავისუფლება“ და „ქმედების თავისუფლება“ ასახავს ადამიანის შეხედულებისა და ქმედების თავისუფლების უფლებებს მისივე ინტერესების, მიზნებისა და იდეალების გათვალისწინებით. „სრული თავისუფლება“ ერთ - ერთი ყველაზე საინტერესო რექაციაა. ერთი მხრივ, ეს რექაცია შეიძლება ინტერპრეტირდეს პოზიტიურად იმიტომ, რომ გამოხატავს შეზღუდვების არარსებობას ("the absence of any restrictions"), მაგრამ, სხვა მხრივ, „სრული თავისუფლება“ შეიძლება მიჩნეულ იყოს ნეგატიურად, რადგან მისი გაიგივება შეიძლება მოხდეს „უკანონობასთან“ ("lawlessness").

კულტურული რექაციები ძირითადად დაკავშირებულია ფრანგული რესპუბლიკის მოტოსთან: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა“ ("Freedom, equality, fraternity!"), რაც მომდინარეობს ფრანგული რევოლუციის პერიოდიდან, რაც მიიჩნეოდა, როგორც თავისუფალი დემოკრატიული სახელმწიფოს სიმბოლოდ. რექაცია "ღმერთი" ალბათ დაკავშირებულია ღმერთის, როგორც განმათავისუფლებლის ბიბლიურ გაგებასთან. ათი მცნება იწყება გამოცხადებით: „მე ვარ უფალი თქვენი ღმერთი, რომელიც გამოგიყვანეთ ეგვიპტის ქვეყნიდან, მონობის სახლიდან" ("I am the Lord your God who brought you out of the land of Egypt, out of the house of bondage").

ყველაზე გავრცელებული რექაციები - გამოხატვის (15), სიტყვის (13), ქმედების (7), სასურველი (2), სინდისის (2), არჩევანის, სრული თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თანასწორობა, შეზღუდული, სქესის, სიტყვისა და სინდისის, პატივის - ნიშნავს იმას, რომ რესპოდენტები აღიქვამენ თავისუფლებას, როგორც მორჩილების არარსებობას დესპოტური მთავრობის მიმართ. უფრო მეტიც, ეს რექაციები ასახავენ სამყაროს პოზიტიურ კონოტაციას. სიტყვა - სტიმულის „თავისუფლება“ ასოციაციური ველი ემთხვევა როგორც სალექსიკონო

მნიშვნელობას, ისე ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში არსებულ პირვანდელ მნიშვნელობას: ნების გამოხატვა, შეზღუდვების არარსებობა ("the expression of one's will, the absence of restrictions").

მილერი, ოსგუდი და ლეონტიევი მიიჩნევენ, რომ ასოციაციური ექსპერიმენტი არის ლექსიკური მნიშვნელობებისა და სიტყვის ასოციაციური ველის შესწავლის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მეთოდი (Miller / მაილერი, 1951; Osgood / ოსგუდი, 1975, გვ. 198). ასოციაციური ექსპერიმენტის დახმარებით შეგვიძლია შევქმნათ იმ სიტყვის სუბიექტურ - სემანტიკური ველი, რომელიც ფორმირებულია ადამიანის ცნობიერებაში. ასევე განვსაზღვროთ სიტყვათა სემანტიკური კავშირების სპეციფიკა ასოციაციურ ველთან - ინტერპრეტაციული კონსტრუქტი, რომელიც ძირითადად აერთიანებს შინაგან და გარეგან კავშირებს და სიტყვათა მიმართებებს, როგორც ენობრივ ერთეულებს.

ასოციაციური ექსპერიმენტი, რომელიც მოიცავს სიტყვის ვერბალურ და არავერბალურ ასოციაციურ კავშირებს, საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნები ლექსიკური მნიშვნელობების სტრუქტურის შესახებ მნიშვნელობათა ანალიზის მეშვეობით. უფრო მეტიც, სიტყვათა კორელაციების სემანტიკური სტრუქტურის შესწავლით, ჩვენ არა მხოლოდ ვიკვლევთ სიტყვათა ლექსიკურ - სემანტიკურ ვარიანტებს, არამედ ვადგენთ არსებული სიტყვების რელევანტურობის დონეს მშობლიურ ენაზე მოსაუბრეთა შორის. შეუძლებელია შევადაროთ სიტყვები მხოლოდ იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც მოცემულია ახსნა - განმარტებით ლექსიკონებში. ვფიქრობ, რომ იმ მონაცემების შედარება, რომელიც მოცემულია ლექსიკონებში ასოციაციურ ექსპერიმენტთან ერთად უფრო ეფექტურია. ამ შედარებაზე დაყრდნობით, შესაძლებელია სიტყვის სემანტიკური ბირთვის იდენტიფიცირება.

ასოციაციური ექსპერიმენტი ჩატარდა 2019 წლის აპრილსა და მაისში, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, 450 რესპოდენტთან, რომელთა ასაკი მერყეობდა 16 დან 40 წლამდე. რესპოდენტებს მიეწოდათ კითხვარი 28 სიტყვა - სტიმულით. მათ უნდა ეპასუხათ სიტყვა - სტიმულისათვის პირველივე სიტყვით, რაც მოაფიქრდებოდათ.

კვლევისას მივიღეთ 620 რეაქცია „თავისუფლების“ სიტყვა - სტიმულთად დაკავშირებით, აქედან შეირჩა 220 რეაქცია შერჩევითობის პრინციპის გარეშე ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონში არსებულ რეაქციებთან ვალიდური შედარებისათვის.

კონცეპტები: დამოუკიდებლობა (8), მარტობა (2), ნება (2), უკანონობა – 13 რეაქცია.

კონცეპტები:

1. პერსონალური გამოცდილება: თქმა (7), გამოხატვა (5), დასვენება (2), მოგაზაურობა (2), კომფორტი, ადგილი, გარემოებები, განვითარება, საუბარი, ფართო – 20 რეაქცია;
2. ბრძოლის ნიშნები: მანიფესტაცია (3), სიტყვის თავისუფლება (2), გამოხატვის თავისუფლება (2), რელიგიის თავისუფლება - 8 რეაქცია;
3. თავისუფალი ქვეყანა: ამერიკა (2), გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ჰიმნი, დროშა – 7 რეაქცია;
4. ბუნება: ცა (12), ფრენა (7), ქარი (4), ჩიტი (4), ოკეანე (2), ტალღები, სიწყნარე, მტრედი, მთა, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, მდელო, ჟრიამული, ბუნება – 40 რეაქცია;
5. პოლიტიკური ატრიბუტები: ლიბერალიზმი, დემოკრატია, არა დიქტატურას, სიტყვის თავისუფლება – 4 რეაქცია;
6. თავისუფლების გააზრება: თავისუფალი ცხოვრება (28), მშვიდობა (13), ღირებულებები (4), სამართალიანობა (2), სურვილი, სიყვარული, ღიაობა, სიმართლე, სტიმული, პატივი – 53 რეაქცია;
7. თავისუფლების არარსებობა: გამოკეტვა (9), გაღია (6), ჯაჭვი (2), ილუზია, ნიღაბი, მორჩილება, მონობა, საზღვრები, ციხე – 23 რეაქცია;
8. ფერი: თეთრი, მწვანე, ცისფერი – 3 რეაქცია;
9. თავისუფლების ფასი: ფული (4), ოქრო – 5 რეაქცია.

ჯამში: 163 რეაქცია.

ემოციურად შეფასებითი რეაქციები: ბედნიერება (9), არა (2), სიხარული (2), ტკივილი, ტანჯვა, სასურველი, მიღწევადი, მიუღწეველი – 18 რეაქცია;

პოზიტიური: ბედნიერება (6), სიხარული (3), სიყვარული – 10 რეაქცია;



ნეგატიური: არა (5), ტკივილი (2), სიკვდილი, დასჯა, არარსებობა, სიცრუე, ტვირთი, ვალდებულება – 13 რეაქცია;

ფორმალურ - გრამატიკული რეაქციები: გამოხატვის (15), სიტყვის (11), არჩევანის (8), ნების (7), შეზღუდვა (2), განვითარება, თავისუფლება – 45 რეაქცია;

კულტურული რეაქციები: თავისუფლების ქანდაკება (4), ბატონყმობის გაუქმება, თანასწორობა, ძმობა, დანგრეული კედელი, ოცდამეერთე საუკუნე – 9 რეაქცია.

კონცეპტუალური რეაქციები ემთხვევა სიტყვა „თავისუფლების“ განმარტებებს სხვადასხვა ლექსიკონში, რაც მიუთითებს იმაზე, რომ რესპოდენტებს ესმით ამ სიტყვის მნიშვნელობა. ახალ მნიშვნელობებში, რომლებიც გამოჩნდა ასოციაციურ ექსპერიმენტში, რეაქცია „მარტოობა“ ("loneliness") უნდა აღინიშნოს. ეს რეაქცია არ არის წარმოდგენილი ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში და პასუხობს ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას „მარტოხელას ცხოვრება“ ("bachelor life"). აგრეთვე ყურადღება უნდა გამახვილდეს რეაქციაზე „უკანონობა“ ("lawlessness"), რაც არის თავისუფლების უკიდურესი ხარისხი და ნეგატიურად აღიქმება. მსურს ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ თავისუფლება შეიძლება ეფუძნებოდეს ბუნებისა და საზოგადოების კანონის შესახებ არსებულ ცოდნას. უკანონობა, ამის საპირისპიროდ, არის თავისუფლება სოციალურად ჩამოყალიბებული ნორმებისა და წესებისაგან.

რეაქციათა დიდი ნაწილი მიეკუთვნება კონცეპტებს (163 რეაქცია). ქვემოთ მოცემულ ცხრილში ეს კონცეპტები შედარებულია ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონს (იხ. ცხრილი N 1).

ცხრილი N 1

*სიტყვა-სტიმულის „თავისუფლება“ რეაქციები და კონცეპტები (მონაცემები აღებულია ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონისა და ასოციაციური ექსპერიმენტიდან)*

	ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონი	ასოციაციური ექსპერიმენტი
--	---	-----------------------------

<p>პესრონალური გამოცდილება</p>	<p>სიყვარული, თვითგამოხატულება, მანიფესტაცია, ზღვის სანაპირო მზის ამოსვლისას, დედა, ქოხი – 6 რეჟაცია</p>	<p>თქმა (7), გამოხატვა (5), დასვენება (2), მოგზაურობა (2), კომფორტი, ადგილი, გარემოებები, განვითარება, საუბარი, ფართო – 20 რეჟაცია;</p>
<p>ბრძოლის ნიშანი</p>	<p>იბრძოლო, მიაღწიო, მოიგო, მოიპოვო, სიძლიერე, სურვილის დაკმაყოფილება – 6 რეჟაცია;</p>	<p>მანიფესტაცია (3), სიტყვის თავისუფლება (2), გამოხატვის თავისუფლება (2), რელიგიის თავისუფლება - 8 რეჟაცია;</p>
<p>თავისუფალი ქვეყანა</p>	<p>ამერიკა, გერმანია, ნიუ- იორკი, მოგზაურობა – 4 რეჟაცია;</p>	<p>ამერიკა (2), გერმანია, საფრანგეთი, ჰოლანდია, ჰიმნი, დროშა – 7 რეჟაცია;</p>
<p>ბუნება</p>	<p>გაზაფხული, ზაფხული, ზამთარი, ჯანმრთელობა, დროის გატარება, მეგობრები, სიყვარული– 7 რეჟაცია;</p>	<p>ცა (12), ფრენა (7), ქარი (4), ჩიტი (4), ოკეანე (2), ტალღები, სიწყნარე, მტრედი, მთა, გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი, მდელო, ჟრიამული, ბუნება – 40 რეჟაცია;</p>
<p>პოლიტიკური ატრიბუტები</p>	<p>დემოკრატია, ძალაუფლება, სამართლიანობა, უსამართლობა, კანონის უზენაესობა, დაცულობა, სიტყვის თავისუფლება,</p>	<p>ლიბერალიზმი, დემოკრატია, არა დიქტატურას, სიტყვის თავისუფლება – 4 რეჟაცია;</p>

	ქმედების თავისუფლება – 8 რეაქცია;	
თავისუფლების გააზრება	ნება, ცხოვრება, მშვიდობა, იმედი, სამოთხე, სიტყვა, ქმედება, მიღწევა, მოპოვება – 9 რეაქცია.	თავისუფალი ცხოვრება (28), მშვიდობა (13), ღირებულებები (4), სამართალიანობა (2), სურვილი, სიყვარული, ღიაობა, სიმართლე, სტიმული, პატივი – 53 რეაქცია;
თავისუფლების არარსებობა	-----	გამოკეტვა (9), გალია (6), ჯაჭვი (2), ილუზია, ნილაბი, მორჩილება, მონობა, საზღვრები, ციხე – 23 რეაქცია;
ფერი	-----	თეთრი, მწვანე, ცისფერი – 3 რეაქცია;
თავისუფლების ფასი	-----	ფული (4), ოქრო – 5 რეაქცია.

რეაქციები, რომლებიც მივიღეთ ასოციაციური ექსპერიმენტის დროს „პერსონალური გამოცდილების“ მნიშვნელობის კონტექსტში ემთხვევიან იმ რეაქციებს, რომლებიც ფიქსირდება ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში. ისინი დაკავშირებულია - დასვენებასთან, სეირნობასთან, მოგზაურობასთან. ასოციაციურ ექსპერიმენტში ისევე, როგორც ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში, იძებნება ისეთი რეაქციები, რომლებიც დაკავშირებულია „ბრძოლის ნიშნებთან“. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რესპოდენტების გარკვეული ნაწილი, უმეტეს შემთხვევაში, კონცეპტს „თავისუფლება“ აკავშირებს ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამერიკის შეერთებული შტატები ზოგადად მიჩნეულია თავისუფლების სიმბოლოდ. შესაძლოა, ეს დაკავშირებულია 80-იანი წლების კულტურულ გავლენასთან: ამერიკულ მუსიკასთან, ლიტერატურასთან, კინოსთან. „ბუნებასთან“

დაკავშირებული რეაქციების რაოდენობა ასოციაციურ ექსპერიმენტში 10 - ჯერ მეტია იმ რეაქციებთან შედარებით, რომლებიც იძებნება ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში. ძირითადი ღირებულების „თავისუფლება“ ფსიქოლოგიურად რელევანტური მნიშვნელობა დაკავშირებულია ცასთან, ჩიტების ფრენასთან, ჰაერთან, ოკეანესთან, ტალღებთან. სავარაუდოა, რომ რესპოდენტებს აქვთ იმპლიციტური ასოციაციები: „თავისუფალი, როგორც ჩიტი“, „თავისუფალი, როგორც ქარი“, „მშვინვარე ტალღები“. რეაქციები - „ცა“, „ჰაერი“, „ოკეანე“, „მდელო“, „უდაბნო“ მიუთითებენ შეზღუდვების არარსებობაზე, რაც ემთხვევა სიტყვის „თავისუფლება“ მნიშვნელობას ლექსიკონში. ფილოსოფიური კონცეპტი „ლიბერალიზმი“ აცხადების ადამინის თავისუფლებას და უფლებას უმაღლეს ღირებულებად. ამას ადასტურებს ისეთი რეაქციები, როგორებიცაა: „სამყარო“ და „ცხოვრება“. უმეტესი რეაქცია ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რესპოდენტები მიიჩნევენ თავისუფლებას მორალურ და ეთიკურ ღირებულებად. ამასთანავე, ექსპერიმენტის საფუძველზე შეიძლება გამოვყოთ ახალი მახასათებლები, როგორებიცაა: „თავისუფლების ნაკლებობა“, „ფერი“, „თავისუფლების ფასი“. ერთ - ერთი რეაქცია მიუთითებს თავისუფლების ილუზიაზე - „ნიღაბი“. საინტერესოა, რომ რესპოდენტები ფიქრობენ, რომ თავისუფლების შეძენა შესაძლებელია.

პოზიტიური და ნეგატიური შეფასებითი რეაქციების რაოდენობა ერთნაირია. პოზიტიური რეაქციები წარმოადგენს „თავისუფლებას“, როგორც ბედნიერებას მაშინ, როდესაც ნეგატიური რეაქციები მიუთითებენ იმ ფაქტზე, რომ ეს ღირებულება არ არსებობს გარკვეული რესპოდენტების ღირებულებათა სისტემაში.

ასოციაციური ექსპერიმენტის ფორმალურ-გრამატიკული რეაქციების რაოდენობა ფაქტობრივად ემთხვევა იმ რეაქციების რაოდენობას, რაც იძებნება ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში. (იხ. ცხრილი N 2).

## ცხრილი N 2

*სიტყვა-სტიმულის „თავისუფლება“ ფორმალურ-გრამატიკული რეაქციები (მონაცემები აღებულია ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონისა და ასოციაციური ექსპერიმენტიდან)*

ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონი	ასოციაციური ექსპერიმენტი
--------------------------------------	--------------------------

<p>გამოხატვის (15), სიტყვის (13), ქმედების (7), სასურველი (2), სინდისის (2), არჩევანის, სრული თავისუფლება, დამოუკიდებლობა, თანასწორობა, შეზღუდული, სქესის, სიტყვისა და სინდისის, პატივის - 46 რეაქცია.</p>	<p>გამოხატვის (15), სიტყვის (11), არჩევანის (8), ნების (7), შეზღუდვა (2), განვითარება, თავისუფლება – 45 რეაქცია.</p>
--	--

კულტუროლოგიურ რეაქციებს შორის, რეაქციები „თანასწორობა“ და „ძმობა“ ერთმანეთს ემთხვევა. კულტუროლოგიური რეაქცია „თავისუფლების ქანდაკება“ თავისუფლების ხატია. ქანდაკება წარმოადგენს ქალს, რომელიც გატეხილ ჯაჭვებზე დგას. მას მარცხენა ხელში უჭირავს დაფა, სადაც დაწერილია აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის თარიღი (1776 წლის 4 ივლისი). რეაქცია „ბატონყმობის გაუქმება“ ასოცირდება ისეთ მოვლენებთან, როგორებიცაა: მონებით ვაჭრობის აკრძალვა და სხვა. რეაქცია „დანგრეული კედელი“ ეხება ბერლინის კედლის დანგრევას, რაც ასოცირდება სამოქალაქო უფლებების მოპოვებასთან და გერმანელი ხალხის თავისუფლებასთან. ხოლო, რეაქცია „ოცდამეერთე საუკუნე“ ასოცირდება თავისუფლების მოლოდინთან.

შეგვიძლია შევადაროთ ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში ყველაზე ხშირად გამოყენებული რეაქციები ასოციაციურ ექსპერიმენტში არსებულ ხშირად გამოყენებულ რეაქციებს (იხ. ცხრილი N 3).

### ცხრილი N 3

*სიტყვა-სტიმულის „თავისუფლება“ ყველაზე გავრცელებული რეაქციები (მონაცემები აღებულია ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონისა და ასოციაციური ექსპერიმენტიდან)*

ინგლისური ენის ასოციაციური ლექსიკონი	ასოციაციური ექსპერიმენტი
გამოხატვის (15), სიტყვის (13), ქმედების (7), თანასწორობა (9), ბედნიერება (9), ერთობა (7), ძმობა (4), სიყვარული (3), სასურველი (2), სინდისის (2).	გამოხატვის (15), სიტყვის (11), არჩევანის (8), ნების (7), არა (5), თავისუფლების ქანდაკება (4), ტკივილი (2), შეზღუდვა (2), ბედნიერება (9), არა (2), სიხარული (2).

უნდა აღინიშნოს, რომ ის რეაქციები, რომლებიც მინიმუმ 6 ჯერ გამეორდა, არსებული კონცეპტის ბირთვის წარმოადგენს.

თანამედროვე რესპოდენტების რეაქციები საკმაოდ მსგავსია. მიუხედავად იმისა, რომ „თავისუფლება“ არის რესპოდენტებისათვის ძირითადი ღირებულება, რაც ასახულია ისეთ რეაქციებში როგორებიცაა „ცხოვრება“ და „სამყარო“, სიტყვის კონოტაცია იცვლება. ყველაზე გავრცელებულ რეაქციათ შორის ვხვდებით ისეთ რეაქციას, როგორიცაა „გალია“, რაც არსებული სიტყვა - სტიმულის ანტონიმაა. უკვე აღინიშნა, რომ ინგლისური ენის ასოციაციურ ლექსიკონში რეაქციათა უმეტესობა პოზიტიურია მაშინ, როდესაც ასოციაციური ექსპერიმენტის დროს ვხვდებით როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ რეაქციებს. სიტყვის კონოტაციის მნიშვნელოვანი ცვლილება მიუთითებს ძირითადი ღირებულების დინამიურობაზე და კონცეპტის რეკონსტრუირების დასაწყისზე. იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადი ღირებულებები უმეტესად სტერეოტიპებია, რომლებიც ეფუძნებიან ემოციურ კომპონენტს, ჩვენ ვისაუბროთ ძირითადი ღირებულების სტერეოტიპული კონტენტის ტრანსფორმაციის დასაწყისზე. ამასთანავე, მოიძებნა ახალი მნიშვნელობები, როგორებიცაა: „თავისუფლების არარსებობა“ და „თავისუფლების ფასი“. რესპოდენტები შესაძლებლად მიიჩნევენ იყიდონ ან გაყიდონ თავისუფლება, რაც თავისთავად ამ ღირებულების არსს უპირისპირდება.

შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ ძირითადი ღირებულების „თავისუფლება“ დინამიურობაზე. რეაქციათა უმეტესობა მიუთითებს ამ კონცეპტის სტაბილურობაზე, მაგრამ ფიქსირდება მნიშვნელობები, რომლებიც იცვლება. ნეგატიური კონოტაციების მზარდი

რაოდენობა მიუთითებს სიტყვის სტრუქტურულ - ინფორმაციულ რესტრუქტურიაზაციაზე. ძირითადი ღირებულების „თავისუფლება“ ბირთვი თითქმის უცვლელია. თუმცა, ემოციურად შეფასებითი ასოციაციები მიუთითებენ სიტყვის კონოტაციის ცვლილებაზე, რაც ამ ღირებულების ცვლილებაზე მიუთითებს.

ეს ცვლილებები შესაძლოა იყოს გარკვეული კრიზისის ნიშანი ძირითადი სოციოკულტურული ღირებულებების ტრადიციულ გაგებაში. ნეგატიური მნიშვნელობების გამოჩენამ შეიძლება მიგვანიშნოს ადამიანების პოლიტიკურ, სამართლებრივ, ეკონომიკურ, სოციალურ და მორალურ თავისუფლებათა განვითარებაზე. თუმცა, ახალგაზრდა თაობას აქვს გავლენა მთლიანი საზოგადოების ღირებულებათა სისტემაზე და შეუძლია მისი შეცვლა. ძირითადი ღირებულებების ინტერდისციპლინარულმა სოციოლოგიურ - ფსიქოლოგიური კვლევებმა შესაძლოა ასახოს ეს ცვლილებები.

### *5.5. კონცეპტი „თავისუფლება“ პოლიტიკურ დისკურსში*

ღირებულება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია პოლიტიკურ დისკურსში, ვინაიდან სწორედ ღირებულებების გამოყენებითაა შესაძლებელი პოლიტიკოსებისა და საზოგადოების „აზრების“ წაკითხვა. ნებისმიერი პოლიტიკური გამოსვლისას აუდიტორიის საჭიროებებისა და ღირებულებების ცნობა და დაპირების მიცემა მნიშვნელოვანი ქმედებაა პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად (Karwat / კარვატი, 1982).

კრიტიკული დისკურსის კვლევებში (CDS), ენა მიიჩნევა იდეოლოგიის მატერიალურ ფორმად (Wodak & Meyer / უონდაკი & მეიერი, 2009). ბევრი მკვლევარი ბახტინი (1981), ვოლოშინოვი (1973), ალთუსერი (1971) და გრამსკი (1971) იდეოლოგიის ამ კონცეპტს განიხილავს იმ მთლიანობად, რომელიც აღწევს საზოგადოების ყველა ფენაში. კრიტიკული თეორიის გავლენის გამო, მკვლევარები უარყოფენ სოციოლოგიურ პოზიტივიზმს და ფოკუსირდებიან ენაზე, იდეოლოგიასა და საზოგადოებას შორის კავშირების შესწავლაზე. სწორედ ამიტომ, კრიტიკული დისკურსის კვლევებში დაფიქსირებული თვალსაზრისის

მიხედვით, ღირებულებისა და ღირებულებითი პროცესების შესწავლა არის მენტალური რეპრეზენტაციული სისტემების ანუ იდეოლოგიების ძირითადი ასპექტი.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასება კრიტიკული დისკურსის კვლევების ფუნდამენტური ასპექტია, ღირებულების კონცეპტი ხშირად უგულებელყოფილია. სოციო - კოგნიტური მიდგომა (van Dijk / ვან დეიკი, 1998) ერთადერთია, რომელიც განსაზღვრავს ღირებულებას და გთავაზობს კვლევას ღირებულებითი ცნებების შესახებ. ვან დეიკის თქმით, (2000, გვ. 14):  
 ”ცხადია, რომ ღირებულებათა ინტერპრეტაცია (რაც დაკავშირებულია რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან და წარმოადგენს ინტერესის საგანს) ფორმას აძლევს იდეოლოგიურ რწმენებს“. ამრიგად, თუ მიზნად დავისახავთ პოლიტიკური ფასეულობების ტიპოლოგიის დამკვიდრებას, მაშინ თითოეული ღირებულება განსხვავებულად იქნება კონცეპტუალიზებული მათი სოციო - კულტურული და პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით. სამწუხაროდ, აქსიოლოგიური კვლევა, რომელიც ფოკუსირდება ღირებულებათა რეპრეზენტაციაზე დისკურსში, არასდროს გამოყენებულა კრიტიკული დისკურსის კვლევებში.

კვლევის მოცემულ სეგმენტში განხილულია სხვადასხვა კრიტიკული მიდგომა ღირებულების კონტექსტში, ასევე ის მეთოდოლოგიური რესურსები, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური დისკურსის აქსიოლოგიურ ანალიზში.

ღირებულების კვლევამ ძალა მოიკრიბა მას შემდეგ, რაც კონტექსტიდან კონტექსტში მნიშვნელობის ცვალებადობის კვლევამ სისტემური ხასიათი მიიღო (Sowińska / სოვინსკა, 2012, გვ. 49–50). კვლევით დაინტერესდნენ ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა: სემიოტიკა, პრაგმატიკა და კოგნიტური ლინგვისტიკა.

არსებობს მიდგომები, რომლებიც ჩამოყალიბდა სისტემურ - ფუნქციონალური ლინგვისტიკის ფარგლებში (Halliday & Matthiessen / ჰალიდეი & მათიესენი, 2004). არსებული მიდგომები ფოკუსირდება შემეცნებაზე და ყურადღებას ამახვილებს კოგნიტურ ლინგვისტიკასა და სოციალურ ფსიქოლოგიაზე. ფორმალურ დონეზე ღირებულებები დაკავშირებულია ენის სტრუქტურებთან. მაგალითად, ზოგი ლინგვისტი ფიქრობს, რომ რეპრეზენტაცია ყალიბდება ღირებულებითი სისტემებით, რომლებიც მოცემულია სამყაროს აღქმის მედიუმში - ენაში ” (Fowler / ფოულერი, 1996, გვ. 4). ჰოჯის და კრესის (1993, გვ. 5)



მიხედვით: „ენა აფიქსირებს სამყაროს, რომელიც უფრო მეტად სტაბილური და თანმიმდევრულია, ვიდრე მას ჩვენ ვხედავთ. ის ფიქსირდება ჩვენს ცნობიერებაში და ხდება ის, რაც ჩვენ უკვე ვნახეთ და ვიფიქრეთ“. აღნიშნული თვალსაზრისის კვლადაკვალ, ფერკლოუ (1989, გვ. 112) განასხვავებს ღირებულების სამ ტიპს: ექსპერიმენტულს, რელატიურს და ტექსტუალურს.

ენის სტრუქტურის ამგვარი ხედვა გააკრიტიკეს (Chilton / ჩილტონი, 1998, გვ. 692).

შესაბამისად, კრიტიკული დისკურსისადმი შემეცნებით - ორიენტირებულ მიდგომებში ენა არ არის ის, რაც ახდენს სამყაროს ფიქსაციას. ეს ყველაფერი ხდება ადამიანის კოგნიტური პროცესებისა და ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის ფარგლებში.

ერთ - ერთი პირველი მიდგომა, რომელმაც სერიოზულად განიხილა შემეცნება და შემოგვთავაზა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც შემეცნება დისკურსისა და საზოგადოების დამაკავშირებელი რგოლია, არის სოციო - კოგნიტური მიდგომა, რომელიც განავითარა ვან დეიკმა (SCA).

სოციო - კოგნიტური მიდგომის მიხედვით (ვან დეიკი, 1998, გვ. 74), მენტალური გამოცდილების სფეციფიკის მიუხედავად, ღირებულებები არსებითად სოციალურადაა კონსტრუირებული. მათი სოციო - კულტურული სტატუსი, ერთი მხრივ, მხოლოდ ინდივიდებს არ გულისხმობს, იგი ასევე მოიცავს შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ყოველდღიური ცხოვრებისეული გამოცდილება და დაკვირვება ქმნის ღირებულებებს. კულტურულად გაზიარებულ ცოდნასთან ერთად, ისინი საერთო კულტურული საფუძვლის ნაწილია და, შესაბამისად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ იდეოლოგიის კონსტრუირებაში.

ვან დეიკი ამტკიცებს, რომ ყველა იდეოლოგია ეფუძვნება ღირებულებათა შერჩევასა და კომბინაციას კულტურულ გამოცდილებაზე დაყრდნობით. სხვა სიტყვებით, ღირებულებები გვეკარნახობს თუ რა არის ნებადართული და რა არის აკრძალული; ღირებულებები გვისახავს მიზნებს, რომლისკენაც ჩვენ, ინდივიდები და საზოგადოებები ვისწრაფვით. ისინი წარმოადგენენ იმ განსხვავებებს, რომლებიც განგვასხვავებენ ჩვენ სხვებისაგან (ვან დეიკი, 1998, გვ. 67-69).

დისკურსი განიხილავს იდეოლოგიურ პოლარიზმს, როგორც სიტუაციას, სადაც ჩვენთვის „კარგი“ სხვისთვის შეიძლება იყოს „ცუდი“. ხშირად პოზიტიური ღირებულებები განისაზღვრება ჩვენი ინტერესების, მიზნებისა და ქმედებების საფუძველზე. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სხვადასხვა ჯგუფებმა შეიძლება განახორციელონ ფასეულობათა განსხვავებული კონცეპტუალიზაცია. ვან დეიკი (2000) ამ სიტუაციას აღწერს, როგორც „ღირებულებათა „თარგმანს“ იდეოლოგიურ რწმენათა კომპონენტებში“. ვან დეიკი აღნიშნავს (1998, გვ. 76): „განსხვავებული ან დაპირისპირებული სოციალური ჯგუფები შეიძლება ირჩევდნენ ერთი და იგივე ღირებულებას, მაგრამ იყენებდნენ სხვადასხვა იდეოლოგიურ კონტენტში. მენეჯერები იდეოლოგიურად იყენებენ თავისუფლების ღირებულებას, როგორც „ბაზრის თავისუფლებას“ ან „სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფლებას“, როგორც თვითმყოფად იდეოლოგიურ მიზანს, რაც იძლევა ძალისა და ინტერესების არსებობის გარანტიას“.

ამ შეხედულებებმა გამოიწვია კრიტიკა და წარმოქმნა ახალი მიდგომები, რომლებიც ითვალისწინებს ადრესატის მიზანს კომუნიკაციის პროცესში (Charteris-Black / ჩარტერის-ბლეკი, 2004, 2005; Koller / კოლერი, 2004; Hart / ჰარტი, 2007, 2010). ტომსონისა და ჰათსონის (2000) თვალსაზრისით, „შეფასების“ კონცეპტი ძალიან მნიშვნელოვანია და იგი განიმარტება, როგორც „ფართო მნიშვნელობის მქონე სიტყვა მოსაუბრის ან მწერლის დამოკიდებულების ან პოზიციის გამოხატვისათვის, შეხედულება ან გრძნობა სხვადასხვა პირთა მიმართ ან სიტუაცია, რომლის შესახებაც ინდივიდები საუბრობენ“ (Thompson & Hunston / ტომსონი & ჰათსონი, 2000, გვ. 5).

ჩარტერის-ბლეკი (2004, გვ. 11–12) მეტაფორების პრაგმატიკული როლის განხილვისას ხაზს უსვამს შეფასების კონცეპტის მნიშვნელობას კომუნიკაციისა და, შესაბამისად, ტექტების იდეოლოგიის კონსტრუირების პროცესში. აღნიშნული თვალსაზრისის კვლადაკვალ, მაალეჟი (2007, გვ. 136) ამტკიცებს, რომ „მეტაფორების კაპიტალიზაცია შესაძლებელია კონკრეტული იდეებისა და ღირებულებების სამიზნე დომენის გამოყენებით“. ჰარტი (2010, გვ. 169) განასხვავებს ორი ძირითადი ტიპის შეფასებას: ეპისტემიურს და დამოკიდებულებითს.

შეფასების თეორია, რომელიც განავითრეს მარტინმა და უაიტმა (2005), სწავლობს ინტერპერსონალურობას ენაში (ჰალიდეი & მათიესენი, 2004) და შესაბამისად, ფოკუსირდება შეფასებით რესურსებზე.

მარტინისა და უოდაკის (2003) შეხედულებით, კრიტიკული და სისტემურ - ფუნქციონალური მიდგომები ინტეგრირებულად გამოიყენება წარსულის რეკონსტრუირებისა და შეფასებისათვის. მარტინისა და უოდაკის (2003, გვ. 9) თვალსაზრისით: “იმის ინტერპრეტირება, რაც მოხდა მოიცავს სოციალურ ღირებულებებს; სწორედ ამიტომ, იმის ინტერპრეტირება თუ რა მოხდა, სადაოა“.

ამ მიდგომათა ანალიზმა გამოავლინა ძირითადი განსხვავება აქსიოლოგიური ლინგვისტური კვლევის ორ ძირითად ტიპს შორის: კვლევა, რომელიც ორიენტირებულია ენაში ფიქსირებული ღირებულებების შესწავლაზე ანუ ღირებულებების კვლევაზე სისტემური მიდგომების გამოყენებით და მეორე, ღირებულებების შეწავლა დისკურს - პრაგმატიკულ დონეებზე.

კვლევის მოცემულ სეგმენტში გაანალიზებულია კონცეპტის „თავისუფლება“ გამოყენების სპეციფიკა პრეზიდენტ ბუშის გამოსვლებში. მოცემული ანალიზი გვიჩვენებს, თუ როგორ იყენებდა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია ამერიკელი ერის ისტორიისა და იდენტობის ერთ - ერთ ყველაზე ფუნდამენტურ ღირებულებას - „თავისუფლებას“. ზოგადად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტები ხშირად იყენებენ „თავისუფლების“ კონცეპტს მათი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. და, რა თქმა უნდა, „თავისუფლების“ კონცეპტი ბუშის ადმინისტრაციის ცენტრალური ღირებულებაა (სოვინსკა, 2012ბ; Collins & Glover/კოლინზი & გლოვერი, 2002; ლაკოფი, 2006).

„თავისუფლების“ კონცეპტის კონსტრუირება და მისი გამოყენება ეფუძნება აბსოლუტურობის ცნებას, რაც დაკავშირებულია ამერიკული „განსაკუთრებულობის“ იდეასთან (Lipset / ლიფსეტი, გვ. 1996).

2002 წლის გამოსვლაში ბუშმა განიხილა დემოკრატიის იდეა. ამ გამოსვლას ეფექტურობას მატებს ის რიტორიკული სტრატეგიები, რომლებიც საშუალებას აძლევდა ბუშის ადმინისტრაციას:

1. გაემართლებინა ამერიკის სამხედრო ძალების ჩართულობა ერაყში მიმდინარე მოვლენებში და ომი ტერორიზმის წინააღმდეგ, რაც გარდაუვალი ბრძოლა იყო „თავისუფლებასათვის“ „ტირანიას“ წინააღმდეგ;
2. აღეწერა ერაყის ოპერაცია როგორც მრავალჯერადი ქმედება, რასაც, თავის მხრივ, შესაძლოა გაემართლებინა ამ პროცესებთან დაკავშირებული ზოგიერთი ნეგატიური ასპექტი (ერაყში აშშ-ს სამხედრო ძალების განლაგების დროის გახანგრძლივება, ამერიკელი ჯარისკაცების დაღუპვა);
3. გაეფართოებინა აქსიოლოგიური ჩარჩო მოკავშირეთა მოსაძებნად "თავისუფლების" დაცვის მიზნით, რისი მეშვეობითაც მოახდენდა საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციას გლობალურ დონეზე. (Cap / კეპი, გვ. 2010).

ბუმის ადმინისტრაცია სტრატეგიულად იყენებდა მეტაფორებს, განსაკუთრებით პერსონიფიკაციას და „ცვლად“ მეტაფორებს იმისათვის, რომ წარმოედგინა თავისუფლება, როგორც ღვთიური და აბსოლუტური ღირებულება - ღირებულება თავისთვის და თავის თავში („თავისუფლება არის ღმერთის საჩუქარი კაცობრიობისათვის“ / “it’s God’s gift to humanity” (SOTU 2002)).

გამონათქვამები, როგორცაა „თავისუფლება ბრძოლა“ (“freedom’s fight”) (მაგალითი # 1), „თავისუფლება პროგრესია“ (“freedom’s advance,” SOTU 2002), „თავისუფლება გამარჯვება“ (“freedom’s victory,” SOTU 2002), „თავისუფლება ძალა“ (“freedom’s power” SOTU 2002, 2005) კონსტრუირდა „ძალის“ სქემის თვალსაზრისით და არა მხოლოდ უკავშირდებოდა „თავისუფლების“ კონცეპტს, არამედ ამყარებენ აზრს, რომ თავისუფლების რეპრეზენტაცია ღვთიური ძალაა. უნდა აღინიშნოს, რომ „ძალა“ პოზიტიურად ფასდება, რადგან მისი გაკონტროლება შესაძლებელია. მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც „ძალა“ არაკონტროლირებადია, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მის ნეგატიურ შეფასებასთან, როგორცაა ფრაზა „ტირანიის აღზევა“ (“the rise of tyranny”, SOTU 2005). არ არის გასაკვირი, რომ იგივე მეტაფორები და სქემები „ამერიკის“ რეპრეზენტაციის დროსაც გამოიყენება თავისუფლების კონცეპტის კონტექსტში, მაგ. „ამერიკა თავისუფლებისა და კეთილდღეობის ძალა“ (“America is a great force for freedom and prosperity”, SOTU 2006).

უსულო, აბსტრაქტული ცნებებისათვის, როგორებიცაა თავისუფლება და ისტორია, ადამიანური თვისებების მიწერით, ბუმის ადმინისტრაცია სტრატეგიულ ნაბიჯებს დგამდა (ჰოჯი & კრესი, 1993, 2005). სხვა სიტყვებით, ამერიკა არ იწყებდა კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებს; „თავისუფლება“ კონკრეტული ქმედებების შედეგია; თავისუფლება დაკავშირებულია გარკვეულ ქმედებებთან და პროცესებთან მატერიალური თვალსაზრისით, მაგ.: “ის ხელს უშლის ტირანიის აღზევებას” (“it stops the rise of tyranny”, SOTU 2005), „თავისუფლება მარშია“ (“freedom is the march”, SOTU 2006) ან „მიღწევები ახლო აღმოსავლეთში“ (“advances in the Middle East”, SOTU 2008). იმის გამო, რომ ისტორიამ თვითონ მიყვანა ამერიკა „თავისუფლებისთვის“ ბრძოლაში, ომები ავღანეთში და ერაყში წარმოადგენენ მორალურ და ლეგიტიმურ ქმედებას. იმის მტკიცებით, რომ „თავისუფლება ბრძოლაა“ (“freedom’s fight”), ბუმის ადმინისტრაციის მიყვავართ შემდეგ მტკიცებამდე „ჩვენი მთავარი პრიორიტეტი ყოველთვის ჩვენი ერის უსაფრთხოებაა“ (“Our first priority must always be the security of our Nation”), რაც საშუალებას აძლევს ბუმს გააკეთოს შემდეგი განაცხადი: „ჩემი ბიუჯეტი ამერიკის სამ დიდ მიზანს მოხმარდება: ჩვენ მოვიგებთ ამ ომს; ჩვენ დავიცავთ ჩვენს სამშობლოს; და ჩვენ განვაახლებთ ჩვენს ეკონომიკას (“My budget supports three great goals for America: We will win this war; we will protect our homeland; and we will revive our economy”).

თავისუფლების უნივერსალურობა და ხელშეუხებლობა მყარდება განზოგადებით - „ყველა მამას და დედას, ყველა საზოგადოებაში, სურს, რომ მისი შვილი იყოს განათლებული და იცხოვროს სიღარიბისა და ძალადობის გარეშე“ (“All fathers and mothers, in all societies, want their children to be educated and live free from poverty and violence”, SOTU 2002)

(Dunmire/დუნმაირი, 2005). მიიჩნევენ, რომ თავისუფლება არსებობს ახლაც და იარესებებს მომავალშიც, მაგალითად: „ამ დიდ კონფლიქტში, ჩვენ თავისუფლების გამარჯვებას ვნახავთ“ (“in this great conflict (...) we will see freedom’s victory” (SOTU 2002); იხ. მეორე, მესამე და მეოთხე მაგალითები).

„ცვლადი“ მეტაფორები ქმნიან სოლიდარობის განცდას. როგორც ჩარტერის-ბლეკი (2004, გვ. 93) აღნიშნავს: „ცვლად მეტაფორებში პოლიტიკოსთა ქმედებების მიზნები კონცეპტუალიზდება როგორც მოგზაურთა დანიშნულების ადგილები“. შესაბამისად სქემა „წყარო - გზა - მიზანი“ მოიცავს იმ საჭირო ელემენტებს, როგორებიცაა საწყისი,

დანიშნულებითი და ნებაყოფლობითი ელემენტები. შესაბამისად, სასურველი მიზნის მისაღწევა რთულია და მოითხოვს „თავგანწირვას“. „ცვლადმა“ მეტაფორებმა შეიძლება უბიძგონ ადამიანებს მოთმენისაკენ ” (ჩარტერის-ბლეკ, 2005, გვ. 66–67).

ეს ასპექტი ნათლად ჩანს პრეზიდენტ ბუშის გამოსვლებში. მიუხედავად იმისა, რომ ყურადღება გამახვილებულია თავისუფლების მიღწევაზე, საინტერესოა, რომ თავისუფლების მიღწევის კონკრეტული საშუალებები არ არის განმარტებული. მაგალითად, არ არის ნათქვამი, თუ როგორ „ვითარდება თავისუფლება“. „ცვლადი“ მეტაფორები „გზის“ და „ძალის“ სქემების გამოყენებით, რაც ქმნის თავისუფლების კონსტრუირების საფუძველს და ბუშის ადმინისტრაციის მიზანს შეიტანოს „თავისუფლება“ შუა აღმოსავლეთში, დასკვნების გამოტანის ძირითადი წყაროა. ისინი განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როდესაც თავისუფლება რელიგიური თვალსაზრისით ვლინდება (ჩილტონი, 2004, გვ. 181). შესაბამისად, „თავისუფლების მიყოლა სწორი გზაა“, მიუხედავად იმისა, რომ მისი მიღწევის გზა „უსწორმასწორო და არაპროგნოზირებადია“.

ბედისწერის გზა უსწორმასწორო და არაპროგნოზირებადია - თუმცა ჩვენ ვიცით თუ სად მიდის ეს გზა: ეს გზა მიდის თავისუფლებამდე (SOTU 2005) / “The road of providence is uneven and unpredictable – yet we know where it leads: It leads to freedom.” (SOTU 2005).

პერსონიფიკაცია და “ცვლადი“ მეტაფორები რელიგიურ ლექსიკასთან ერთად კარგად ერწყმის ამერიკული განსაკუთრებულობის იდეას, რაც წარმოადგენს ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც უნიკალურ სახელმწიფოს, რომელმაც უნდა დაიცვას უნივერსალური ღირებულებები (ლიპსეტი, 1996), როგორც ამას ჯორჯ ბუში ამტკიცებს მის 2004 წლის გამოსვლაში, „ამერიკა არის ერი მისიით“. ჩანგისა და მეჰანის (2006, გვ. 10) მიხედვით, დისკურსის „რელიგიური ხერხი“ არის ერთგვარი საშუალება იმისათვის, რომ ბუშის ადმინისტრაციამ მოახდინოს თავისი სამხედრო ქმედებების ლეგიტიმაცია.

პერსონიფიკაციის გონივრულ გამოყენებასთან ერთად, „ცვლადი“ მეტაფორების გამოყენებას შეეძლო გაემლიერებინა შეხედულება, რომ გარკვეული მოვლენები გარდაუვალი იყო, რაც საშუალებას მისცემდა ბუშის ადმინისტრაციას, მოეთხოვა თმენა და თავგანწირვა ამერიკელი ხალხისაგან იმ ბრძოლაში გამარჯვებისათვის, სადაც კარგი (თავისუფლება) და ცუდი (ტირანია და ტერორი) ძალები ერთმანეთს ებრძოდნენ.

ჯორჯ ბუშის მიერ მეორე საპრეზიდენტო ვადის დროს გაკეთებულ გამოსვლებში, თავისუფლება ძალიან იშვიათად მოიხსენიება როგორც ღვთიური და აბსოლუტური ღირებულება. ამის ნაცვლად, თავისუფლება მიიჩნევა ინსტრუმენტალურ ღირებულებად: „თავისუფლება დემოკრატიისა და მშვიდობის მიღწევის საშუალებაა“ (“freedom is a means to achieve democracy and peace”). არსებობს თავისუფლების შედარებით მაღალი და დაბალი სტანდარტები დემოკრატიის სტიმულირების პროცესში.

ბუშის ადმინისტრაციის საბოლოო გამოსვლებში იკვეთება აქსიოლოგიური სპექტრის გაფართოების მცდელობა ისეთი ღირებულებების გამოყენებით, როგორებიცაა: „დემოკრატია“, „თავისუფლება - (liberty)“ და „თვითმმართველობა“, რის მეშვეობითაც იქმნება ეკვივალენტური ურთიერთობა ამ ღირებულებებსა და თავისუფლებას (“freedom”) შორის.

„თავისუფლების“ კონცეპტის ანალიზი პრეზიდენტ ბუშის გამოსვლებში იძლევა იმის გამოვლენის შესაძლებლობას, თუ როგორ იცვლება არსებული კონცეპტის მნიშვნელობა თავისუფლებისა და დემოკრატიის აღქმის თავისებურებებთან გათვალისწინებით.

### *5.6. კონცეპტის “ადამიანის უფლებები” კოგნიტური, დისკურსული, კონტექსტუალური და ისტორიული მახასიათებლები*

ადამიანი აღიქვამს და ქმნის სამყაროს მისი გრძნობის ორგანოების მეშვეობით და იყენებს მათ სამყაროს რეპრეზენტაციული სისტემის შექმნის ბაზისურ საშუალებად. ადამიანი ახდენს არსებული რეალობის ინტერპრეტირებას და ეს ცნობიერების შედეგი გადაეცემა სხვადასხვა საზოგადოებას ენის მეშვეობით. ამ შემთხვევაში ენა განიხილება, როგორც ურთიერთობათა მარეგულირებელი საშუალება ადამიანსა და კანონს შორის, როგორც „დამცველი“ და „მბრალდებელი“.

ადამიანები განსხვავებულად აღიქვამენ არსებულ რეალობას და მის მიმართებას სხვადასხვა კონცეპტთან, ვერბალურ გამოხატულებასთან, რაც ხალხის ისტორიული, გეოგრაფიული, ყოფითი საკითხების, სამართლებრივი სისტემების და სოციალური აზროვნების

განვითარების შედეგია. ამ საკითხთა სემანტიკური კვლევისათვის მხოლოდ ერთი კონკრეტული საზოგადოების შესწავლა, რომელსაც ეს კონკრეტული ენა მიეკუთვნება, არ არის საკმარისი.

სასურველი შედეგის მიღება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკითხის კვლევისას გავითვალისწინებთ საზოგადოებრივ აზრს. ერთი და იგივე კონცეპტს შესაძლოა ჰქონდეს განსხვავებული მნიშვნელობა სხვადასხვა ცივილიზაციაში. ასეთ სემანტიკურ განსხვავებებს აუცილებლად ექნებათ არებითი შედეგები ლინგვისტური ერთეულების ფორმალური ანალიზისათვის.

კოგნიტური თვალსაზრისით, კონცეპტი „ადამიანის უფლებები“ გულისხმობს მენტალური სტრუქტურების შესწავლას არა მხოლოდ კოლექტიურ ცოდნაზე დაყრდნობით, არამედ ცალკეული ენის მატარებლის ყოველდღიური გამოცდილების, სამყაროს ცნობიერი და არაცნობიერი აღქმის გათვალისწინებით ისევე, როგორც მისი როლით სხვადასხვა გამონათქვამის და ლინგვისტური ერთეულის მნიშვნელობების კონსტრუირებაში. ბოლდირევის თვალსაზრისით, ამ პროცესში დიდ მნიშვნელობას იძენს ცოდნის ენობრივი რეპრეზენტაცია და მისი მენტალური ფორმები ყოველდღიურ ინტერაქციაში (Boldyrev, 2000, p.4).

სამართლებრივი სფერო ენაში ასახული ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ლინგვისტური მსოფლმხედველობა, რაც თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითადი განზომილებაა, არის რეალობის ამსახველი ერთეულების განუყოფელი ნაწილი, რომელიც არსებობს ინდივიდუალურ და კოლექტიურ ცნობიერებაში და ასახულია კომუნიკაციის პროცესში.

სამართლებრივი სამყაროს ლინგვისტური გააზრება წარმოადგენს მენტალური საგნების კომპლექსურ გაერთიანებას (კონცეპტები, სტერეოტიპები, სცენარები, კონცეპტუალური სფეროები და სხვ.), რაც უკავშირდება კომუნიკაციის სამართლებრივ სფეროსა და სამართლებრივ დისკურსს. მსგავსი საგნების უმეტესობა ენაში გვხვდება სიტყვების, აბრევიატურების, სიტყვათა კომბინაციების, ფრაზეოლოგიური ერთეულების მეშვეობით, რაც ახდენს სამყაროს შესახებ სხვადასხვა მსოფლმხედველობის კონსტრუირებას, განსაკუთრებით კატეგორიზაციის გზით.



როგორც კოგნიტოლოგები აღნიშნავენ, ადამიანი ფიქრობს სხვადასხვა კონცეპტების გამოყენებით და მათი კომბინირების გზით, რომლის დროსაც იქმნება ახალი კონცეპტები. მკვლევარების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ კონცეპტი არის აზროვნების მოქმედი შინაარსის მატარებელი ერთეული ან აკუმულირებული სტრუქტურირებული ცოდნა.

თანამედროვე ლინგვისტები კონცეპტს მიიჩნევენ მენტალურ ფენომენად, რომელიც განისაზღვრება სიტყვით (ფრაზეოლოგიური ერთეულები, აბრევიატურები, სიტყვათა კომბინაციები და სხვ.). კონცეპტები ის აბსტრაქტული ერთეულები და მნიშვნელობებია, რომელებიც გამოიყენება ფიქრის პროცესში. კონცეპტები ასახავენ მიღებული ცოდნის, გამოცდილების, ადამიანთა ქმედებისა და სამყაროს შესწავლის შედეგის კონტენტს განსაზღვრული ერთეულების მეშვეობით, რომელთაც ცოდნის „კვანტს“ - ჯამს ვუწოდებთ.

ზოგადად, ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის გადაცემა და კომუნიკაციის პროცესი წარმოადგენს კონცეპტების გადაცემისა და გაცვლის პროცესს ვერბალური ან არავერბალური ფორმების გამოყენებით. კონცეპტები ასახავენ ეროვნული სამართლებრივი ცნობიერების ძირითად ელემენტებს. მსგავსი ტიპის კონცეპტები ქმნიან კონცეპტთა ქსელს, სადაც ეროვნული სამართლებრივი კულტურა წარმოადგენს კონცეპტთა ბირთვს.

კონცეპტი „ადამიანის უფლებები“ მოიცავს სიტყვათა მნიშვნელობების ფართო სპექტრს და ამ კულტურის მატარებელი საზოგადოების შეხედულებებს სხვადასხვა მოვლენის ბუნების შესახებ. მათი მნიშვნელობები შესაძლოა ცდებოდეს ერთი რომელიმე კონკრეტული სიტყვის მნიშვნელობას და უკავშირდებოდეს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ატრიბუტები, კავშირები, მახასიათებლები და შეფასებები. იგი ფაქტობრივად მოიცავს სამართლის ყველა დარგს, სამართლებრივ დისციპლინებს და სხვა. ადამიანის უფლებები მნიშვნელოვანია კანონის არსის გასაგებად ისევე, როგორც მოქალაქეთა ცნობიერების შესასწავლად. ადამიანის უფლებები ფარავს ადამიანთა არსებობის ყველა სფეროს.

